მარიკა ბარათაშვილი

ეს წერილი გადმოსახიდიდან

მოგონებები

ბაკური

© მარიჯა ბარათაშვილი
„ასი წლის გადმოსახედიდან"

© ლანა ყურაშვილი - შემდგენელი
© ლევან ჭოლაშვილის ნახატი „ბარათაშვილების ოჯახი" (ყდა)
(სერიიდან „ქართული არისტოკრატია")
© არჩილ ვეფხვაძე მხატვარი
© ფოტოები ბარათაშვილების საოჯახო არქივიდან
(პირველი გამოცემა)

© წიგნი გამოსაცემად მომზადდა გამომცემლობა „ხარებაში"
რედაქტორი - ბელა შალვაშვილი, გამომცემლობის რედაქტორი - გალინა ხარებაშვილი,
კორექტორი - მაია ტყემალაძე, კომპიუტერული უზრუნველყოფა - ლელა ბოჭორიშვილი.

სარედაქციო ჯგუფი მადლობას უხდის გიორგი ლეონიძის სახელობის
ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს და
ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმს მოწოდებული მასალისათვის.

გამოცემის სპონსორია მაგთიკომი

მაგთიკომი
MAGTICOM

© გამომცემლობა „ბაკმი" 2009
www.bakmi.ge
E-mail: bakmipublishing@gmail.com
ISBN 978-99940-27-70-5

წინათქმა

წარსულის სახლში მიმალული – კუთვნილ საკანში,
ფიქრს ვაშრიალებ, – ფერგაურეცილ რვეულს გადავშლი.
მზეს ვევედრები, – შორს გადამჭრალ სხივს მონატრული,
გამომინათოს, წამაკითხოს ჩემი წარსული.
მიმაგნებინოს დღეებს განვლილ გზებზე ჩანაქსოვს...
ო, რამდენია!.. ზოგი მახსოვს, ბევრი არ მახსოვს.

ძნელია ჩემი ასწლოვანი ცხოვრების მოვლენათა თავმოყრა და დალაგება. მისი დიდი ნაწილი ოჯახურმა ტრაგედიებმა წაიღო. ერთად მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტებისა და ჩემი უდიდესი განცდების აღნუსხვა შევძელი, თანაც, ოთხმოცდაათ წელს მიღწეულმა დავიწყე წერა.

მალე დიდი უბედურება დამატყდა, — ორივე შვილი მიწას მივაბარე. აღარ მეგონა თუ კიდევ რაიმეს შევმატებდი წიგნს. ძალიან გამიჭირდა...

გავიდა დრო...

კალამს მაინც მოვკიდე ხელი.

მეტის გახსენება-გააზრება ვეღარ მომიხერხდა. შეიძლება მნიშვნელოვანი სათქმელი გამომრჩა კიდეც, მაგრამ ყველამ მომიტევოს დავიწყებულიც, შესაძლო უზუსტობაცა და რაიმე სუბიექტური ნააზრევიც.

წიგნს ჩემი შვილების — ნანულისა და მერაბის ნათელ ხსოვნას ვუძღვნი, რომლებმაც პატარაობიდანვე და მთელი სიცოცხლის მანძილზე, საოცარი მეგობრობა, დიდი სულიერი და ფიზიკური თანადგომა გამიწიეს.

გაფშვიობის სანეტარო წლები

ჩემ თავთან მარტოდ დარჩენილს მოგონებები მეძალება, სანთელს ვანთებ და იმის მკრთალ შუქზე იწყება წარსულში მოგზაურობა...

ო, ეს ფერები, იმერეთის ლაღი ფერები!
ბონდი გავლიე, მივდევ აღმართს შეუსვენებლივ.
იქ, ზემოთ, სერზე გადმომდგარა ჩემი ბეჭია,
ჩემი პაპარა მეგობრებიც მელოდებიან.
მიმელის ეზო, სახლი ფართოაივნიანი,
აივნის სვეტთან პანანინა ზარი წკრიალებს...
ხმოს რომ შევხსენით, დებო, გახსოვთ? ეს ის ზარია
ჰაუ, მოვდივარ, დამელოდეთ, მომიხარია!
დავკრიფოთ მარწყვი, ყვავილები თვალმოხატული,
დავწნათ გვირგვინი, ვთქვათ ზღაპრები ტკბილი ქართულით...
და შემდეგ, გვიან, ცაშ-ფანდურით და სიმღერებით
მოვიხმოთ მთვარე და ვაკვნაოთ ცრუნათელები...

(„სოფლად")

— მარიკელა, მარიკელა!

— აქა ვარ, ბებია, აქ! — ვყვირი, მაგრამ სალომე ბებიას ყურთ აკლია და აღარ ვიცი, როგორ გავაგონო. იგი სადღაც, ხევს გაღმიდან მეძახის. გავიქცეოდი, მოვძებნიდი, მაგრამ საღამოვდება, ეზოში მარტოდ ვარ, ჩემი „მონაფეები" სახლებში წავიდ-წამოვიდნენ და ხევთან მარტო მისვლის მეშინია, ამბობენ, მის სიღრმეში, სადაც წყალმა მხოლოდ გაზაფხულობით იცის ადიდება, ჭინკები სახლობენო.

მადლობა ღმერთს, ბებიაც გამოჩნდა — ავადმყოფ მეზობელთან შეგვიანებია. სალომე სოფლის ცნობილი მკურნალია, საკუთარი „აფთიაქიც" აქვს. რა წამალი გინდათ, არ ჰქონდეს ამ სამსართულიან, ოვალური მოყვანილობის, ერთმა-



ბარათაშვილების ოჯახი. პატარა მარიკა მშობლებთან და ძმასთან ერთად. 1912 წ.

ნეთში ჩადგმულ, მცირე უჯრედებად დაყოფილ ყუთებში. თიხის საგანგებო ტუჩიან ჯამზე წყალს დაასხამს, შიგ ღარიან ირმის რქას დგამს და ჯამში ამა თუ იმ დაავადების სარგო წამალს აყენებს.

წყარო, ჭალას რომ ეძახიან, ქვემოთ არის, ხევში, კარგა შორიდან მოედინება და ბებიაჩემი ზოგჯერ ავადმყოფის პატრონს ჭალიდან იმ წყლის ამოტანას სთხოვს. წესისამებრ, საფასურს არავის ართმევს, მხოლოდ ავადმყოფის განკურნების შემდეგ მოდიან მასთან მადლიერი პაციენტები და ბავშვებს გვიხარია ორღობეში მათი გამოჩენა ერთ ხელში დოქი რომ უჭირავთ, ბეჭზე გადაკიდებული ხურჯინის ერთი თვალიდან მამლის მოფრიალე ბოლო მოჩანს, მეორეში კი ხაჭაპურები და სხვადასხვა ნუგბარია.

— რატომ არ გამეცი, შვილო, ხმა?

— როგორ არა, მაგრამ ვერ გაგაგონე!

— რა ქენი, კარგად ჩაატარე „გაკვეთილები?“ ღიმილით მეკითხება ბებიაჩემი.

— სამწყემსურიდან პირდაპირ ჩემთან მოვიდნენ.

— რასაცა გასცემ შენიაო, — ვინ თქვა, თუ გახსოვს?

— რუსთაველმა.

— ყოჩაღ!

მე უკვე მეორე განყოფილების მოსწავლე ვარ. ჩემი მშობლები ჭიათურაში ცხოვრობენ, ბებია კი აქ, ექვსი კილომეტრის მოშორებით, სოფელ ნავარძეთში. ის ზამთრობით ჩვენთანაა, მაგრამ როგორც გაზაფხულდება, სოფლისაკენ მიუწევს გული.

მამაჩემი ღვთისმეტყველების, ქართული და რუსული ენების მასწავლებელია. ხან სკოლის დირექტორია, ხან — სასწავლო ნაწილის გამგე. დედაც, ვიდრე დაავადდებოდა, მასწავლებელი იყო. საზაფხულო არდადეგების დროს, სანამ სასკოლო საქმეებს მორჩებოდა და ოჯახი სააგარაკოდ გაემზადებოდა, მამას სალომე ბებიასთან მივყავარ. თან მიმაქვს წიგნები და სკოლაში მიღებულ „ცოდნას“ ჩემს მეგობარ ბავშვებს ვუზიარებ. ჩვენი ეზო რომ სკოლას დამსგავსებოდა, კისრიდან ზარი ჩამოვხსენით ხბოს და აივნის ბოძზე ჩამოვკიდეთ.

ჭიშკრის გადაღმა ორი დიდი მუხაა. მუხების ქვეშ თეთრი სავარძლები — ბრტყელი ლოდები დევს. ქვემოთ, გორაკის ძირას „ჭალა“ მოჩუხჩუხებს, უფრო ქვემოთ კი, ღრმა ხეობაში, ყვირილა მოედინება. მდინარეზე ბონდით გადავდივართ. იქ, თირის რკინიგზის ბაქანზე, წუთით ჩერდებიან შორაპან-საჩხერისაკენ თუ საჩხერე-შორაპნისაკენ მიმავალი პატარა მატარებლები — მომღერალ მატარებლებს რომ ეძახიან. მათი ღია ვაგონებიდან ხეობას მომხიბლავი მელოდიები ეფინება, განსაკუთრებით — მათრობელ მთვარიან ღამეებში.

ჩვენი მუხების გადასახედიდან მოჩანს ეს წარმტაცი ხეობა და მატარებლის თავგანწირული კივილიც აღწევს ჩვენამდე. ამ მუხების ქვეშ იყრიან თავს მეზობლები შუადღის სიცხისაგან თავდასაცავად თუ მთვარიან ღამეებში თავ-

თავიანთი ჭირისა და ლხინის გასაზიარებლად. მეც ვცდილობ მათ გართობას, ვცდილობ, ვუჩვენო ჩემი ხელოვნება. მაგალითად, თბილისიდან ჭიათურაში საგასტროლოდ ჩამოსული ოპერეტის თეატრის წარმოდგენა „არშინ-მა-ლა-ლანი“ (დედაჩემის მამიდაშვილის კოლა ჩაგუნავას მონაწილეობით) თითქმის ზეპირად შევისწავლე და ახლა, ნავარძეთში დავაფრიალებდი ბებიაჩემის მოსასხამს და წამიერი გარდასახვით „ვასრულებდი“ თითქმის ყველა პარტიას, რითაც მსმენელთა დიდ მოწონებას ვიმსახურებდი.

...სოფელზე ბინდი დაეშვა. მე და ბებიაჩემი ეზოში, კოინდარზე, დაბალ სუფრას ვუსხედვართ. ვვახშმობთ. აგერ, მთვარეც ამოიწვერა და ნელ-ნელა მოცურავს ჩვენსკენ. სიო სიმინდის ყანებში დაფაჩუნობს, ყორეებში ჭრიჭინობელებმა უმატეს ჭრიჭინს. ვახშმობის დროა და, აქა-იქ, ახლომდებარე სახლების საკვამურებიდან ამოსული ბოლი ცისკენ მიემართება.

— ეჰ, შვილო, — ამბობს ბებიაჩემი, — მე რომ აღარ ვიქნები, ჩვენი ბუხრიდან კვამლი აღარ ამოვა და ეზოს უჯანგარი გადაუელის.

— ღმერთმა ნუ მომასწროს, ბებია, შენს სიკვდილს!

— ნუ სულელობ, გოგო! — პირჯვარს იწერს სალომე — ღმერთო, კეთილი ყურით გაუგონე!

— აბა, გეფიცები, სანამ ვიცოცხლებ, ჩვენი ბუხრიდანაც კვამლი ამოვა და ვერც უჯანგარი იხარებს ჩვენს ეზოში.

— ო, ო, ო, აგრე, ბებია შემოგევლოს!

კოინდარზე წამოწოლილ ბებიას კალთაში ვუდებ თავს და ვთხოვ, გაიხსენოს რაიმე მისი მდიდარი „რეპერტუარიდან“, ხალხური ლექსები იქნება თუ პოემები...

„ან“ — ავად გავხდი სამშაბათ დღესა,
„ბან“ — ბედმა ჩემმა ჩამაგდო ბნელსა,
„გან“ — გულმოკლული წაველ სოფელსა,
„ვინ“ — ვერ ვეღირსე ცოლ-შვილის ბედსა...

ეს აკროსტიხზე გაწყობილი რომანია — რომანი უიღბლო სიყვარულზე. სიბრალულით მევსება გული. საერთოდ, ყველა მებრალება. მებრალებიან იმ ღარიბულ ქოხებში მცხოვრები ადამიანები — ქვემოდან, ჭალის წყაროდან, მხარზე შემოდგმული ჩაფებით რომ ეზიდებიან წყალს ერთსა თუ ერთნახევარ კილომეტრზე; მებრალებიან გვიან ღამით, მაღაროებიდან ჭრაქებით ხელში დაბრუნებული მუშები, დამრეცი ბილიკებით რომ მოუყვებიან ციცაბო ბილიკებს თირის პლატფორმიდან თავიანთი ქოხებისაკენ; მებრალებიან ბავშვები, რომლებსაც არც სკოლა უნახავთ და არც ისეთი კეთილი ელენე მასწავლებელი, მე რომ მყავს.

მე ჯერ კიდევ ზღაპრების სამეფოში ვცხოვრობ და ვნატრობ, ვიყო ზღაპრული მზეთუნახავი. ეს ნატვრა რომ ამიხდებოდეს, ქალებს მხრებიდან ჩაფებს ჩამოვხსნიდი და წყალს შიგ შუა ეზოებში ამოვუყვანდი, ბნელ სოფელს გავაშუ-

ქებდი, ოღროჩოღრო გზებს გავასწორებდი, ბავშვებს სკოლას ავუშენებდი, სოფელში ექიმს ჩამოვიყვანდი, სიყვარულსაც, — ბებიაჩემის ზღაპრებსა და ლექსებში რომ მოგზაურობს, კეთილი გზა და დასასრული ექნებოდა.

ეჰ, მე რომ ზღაპრული მზეთუნახავი ვიყო...

ვის ვემსგავსებოდი? ალბათ, დედაჩემს აი, ისეთს, პირველად რომ ვნახე თეთრ კაბაში გამოწყობილი. მაშინ ორი წლისა ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ კიდევ აკვანში ვწოლილვარ. აკვანი სალომე ბებიასთან, ხის სახლის დიდ დარბაზში მდგარა. ღამით შუქმა და ხმაურმა გამომაღვიძა. ჩემმა გამზრდელმა კატუამ პირბადე გადამხადა. თავზე თეთრ კაბაში გამოწყობილი ქალი დამღიმოდა, მიალერსებდა. გული სიხარულით ამევსო... ის სახე სამუდამოდ ჩამრჩა მესხიერებაში. შეიძლება რომ ორი წლის ბავშვს რაიმე დამახსოვრებოდა? ალბათ შეიძლება. ბებიაჩემიც მიდასტურებს, რომ ეს მართლაც ასე იყო და რომ დედაჩემი იმ ღამეს დაბრუნებულა აბასთუმნიდან. ჰო, კიდევ ვის მინდა ვგავდე? — ჩემს ლამაზ ელენე დეიდას. ჩემი ზეიმი მაშინ იწყება, დეიდაჩემი თბილისიდან რომ ჩამოდის ხოლმე. საქმით? საქმით ვიღას დავმსგავსებოდე? ალბათ სალომე ბებიას. რომ განახათ, როგორ ეხმარება და მზრუნველობს ავადმყოფებსა და უმწეოებს, როგორ უბრწყინდება თვალები მადლიერი პაციენტის დანახვისას, ან როგორ გაებადრება სახე, როდესაც გაიგებს, სოფელში რომელიღაც ოჯახს პატარა რომ შემატებია.

ნეტავი, ჩვენსასაც შეემატებოდეს! დედას და მამას მინდა ვთხოვო, ერთი პატარა დაიკო ან ძმიკო მეც მიყიდონ, თორემ ჩემი ძმა ვახტანგი ჩემზე ხუთი წლით დიდია და არ მეთამაშება. როდესაც ჩემი გაბრაზება უნდა, „საფუარა, საბუდარა, თოჯინა და დუგეჯას" მეძახის. მე ვტირი. „სიყვარულით გეძახის, შვილო, მართლაც კულულებიან, ლამაზ თოჯინას გავხარ", — მამშვიდებს ბებიაჩემი და შუბლზე პირჯვარს მსახავს, ღმერთმა ავი თვალისაგან დაგიფაროსო.

ბებიაჩემმა ყველაფერი იცის, მხოლოდ ის არ იცის, ტანსაცმლის კარადის დიდი უჯრიდან როგორ ვპარავთ ჩურჩხელებს. ბებიას ჩემთვისა და ვახტანგისათვის კი არ ენანება, მაგრამ იმდენი სადაა, ჩვენ რომ



მშობლები — გერასი ბარათაშვილი და ვერა კასრაძე-ბარათაშვილი. 1902 წ.

მოგვპიროს, ჰოდა, ხანდახან სადმე წასულს რომ დავიგულებთ, ვახტანგი მეთვალყურედ მაყენებს კართან და... თვალს გვჭრის უჯრაში მწყობრად ჩაწყობილი ჩურჩხელების სილამაზე. გიყვარდეთ, კარგად მოვულხენთ ხოლმე. „საოცარია, როგორ ილევა ეს ჩურჩხელები!“ — ვითომდა თავისთვის ჩაილაპარაკებს სალომე — ღაშხის ქალი და ჩუმად ეღიმება.

ამას წინათ მე და ვახტანგი ალფეზისეულ ეზოში ავედით, შავი ბალი დავკრიფეთ, „ლიმონათი“ გავაკეთეთ, შემდეგ კი იმ ლიმონათით ვახტანგმა სახეზე ჯვრები დამახატა და შებინდებულს, ბებიას რომ გამოვეცხადე, პირჯვრის წერა დაიწყო... არა, ასე აღარასოდეს შევაშინებ ბებიაჩემს.

ეჰ, მე რომ ზღაპრული მზეთუნახავი ვიყო!...

...ოცნებიდან ბებიას ალერსიან ხმას გამოვყავარ:

— წამოდი, შვილო, დავიძინოთ!

შინ შევდივართ. კედელთან, ტახტზე გაშლილ ლოგინში ვწვები. თავზე ხატები გადმომცქერიან. დასაწოლად გამზადებული ბებიაჩემის ჩურჩული ჩამესმის: „დავწვები, დამეძინება, პირჯვარი დამეწერება, ცხრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დამესვენება, ჯვარი მწყალობს, ჯვარცმული, ვერას მავნებს მაცდური!..“

უეცრად ღამის სიჩუმე ქალების კივილმა, მამაკაცების ღრიალმა და ბავშვების წიოკობამ შეძრა.

— ვაი, უბედური, — შეიცხადა ბებიაჩემმა — რომელია, ნეტავ, რომლის ოჯახი დაიქცა!

მეც ვიცნობ იმ ოჯახებს, ბებია ხელს ჩამკიდებს ხოლმე და მათთან მივყავარ. თითქმის ყველა იმ ქოხში ექვსი, შვიდი, რვა და ზოგში ათზე მეტი ბავშვიცაა. ახლა, ეტყობა, რომელიღაც ოჯახის მამა და მარჩენალი მაღაროში დაიღუპა. ვინ იცის, რამდენი ასეთი შეინირა მანგანუმის საბადოებმა... არადა, რა ქნას ზემო იმერეთის ფხეკოებზე მცხოვრებმა გაჭირვებულმა გლეხმა, რით არჩინოს ცოლ-შვილი! წუხს მათ ბედზე სალომე — ღაშხის ქალი და მეც მასწავლის ადამიანის სიყვარულის, მისი სიბრალულისა და მასზე ზრუნვის ანა-ბანას. ჩემი მეორე ასეთი სკოლა კი ჭიათურაშია.

ახლა იმ შორეულს
ნისლის ბადე ჰხურავს,
ბინდში ჩაძირულან
შავი მთა-გორები...
სადღაც კონტურები
ძველი ჭიათურის.
სადღაც ბავშვობაში
ბორგავს მოგონება...

(„ჩემი ჭიათურა“)

ამ შავი კლდეების სამფლობელოში, მის მწვანე სახლშია სწორედ ჩემი „მეორე სკოლა“ გერვასი ბარათაშვილისა და ვერა კასრაძე-ბარათაშვილის ოჯახში. ჩემს მშობლებს გორის სასულიერო სასწავლებელდამთავრებულ ქიათურელ გერვასი ბარათაშვილსა და თბილისის ქალთა ეპარქიულ-სასწავლებელ დამთავრებულ ვერა კასრაძეს, გორის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლებად განწესებულებს გაუცვნიათ ერთმანეთი. გორშივე დაოჯახებულან, ვაჟიც შესძენიათ და პატარა ვახტანგი სამი წლისა ყოფილა, როდესაც ოჯახი ჭიათურას მშობლიურ კერას დაბრუნებია.

სოფლებში მაშინ სკოლები არ იყო და სოფლად განათლების შეტანის სურვილით გატაცებულ მამაჩემს დახმარებისათვის ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოსთვისა და წერეთელ-აბაშიძეების შეძლებული ოჯახებისთვის მიუ-



გაგუის სვიმონ კასრაძის ოჯახი სხედან: სერგო (შვილი), გაგუა სვიმონი, გერვასი (სიძე), ვერა, გაგო (შვილები) დგანან მაშო (სერგოს მეუღლე), ლეონი, ელენე, ვანცა (შვილები), გავშვები: ვახტანგი (შვილიშვილი), ირაკლი (შვილი), შალვა რაგუნავა (დისშვილი), შალვა (შვილი). სოფ. ჩოჩეთი. 1908 წ.

მართავს. იმ სახსრებით სოფელ მერევში მცხოვრებ ასანიძის სახლში სკოლა გაუხსნიათ და ახლომახლო სოფლების ბავშვებიც მიუზიდავთ.

1908 წელს, გადმოცემით 1907 წლის 7 აპრილს, მეორე შვილი — მეც შევმატებივარ ოჯახს. 9 თვისა ვყოფილვარ, როდესაც სკოლაში ხანძარი გაჩენილა. მამა შინ არ ყოფილა, ჭიათურაში შემორჩენია დიდთოვლობას. დედა, რომელიც ამ დროს თურმე გაკვეთილს ატარებდა, სახლის სახურავზე აჭრილა ხანძრის ჩასაქრობად, თან მშველელთა მოსახმობად. ხალხი შეკრებილა, ხანძარი ჩაუქრიათ, მაგრამ დედა გაციებულა და ფილტვების ანთება დამართნია. სოფლად ექიმი არ იყო და ავადმყოფი ურმით ჩაუყვანიათ ჭიათურის საავადმყოფოში. ის ხანძარი საბედისწერო აღმოჩნდა ვერა კასრაძისათვის — ავადმყოფობა გართულებია და ტუბერკულოზით დაავადებული, სამუდამოდ გამოეთხოვა თავის საყვარელ საქმეს. ამის შემდეგ, ოჯახი ჭიათურაში ჩამოსახლებულა და მამას ქალაქის სკოლებში საღვთო სჯულის, ქართული და რუსული ენების მასწავლებლად დაუწყია მუშაობა. ჩემი აკვანი კი ხან იქვე მეზობლად მამიდაჩემის — ანას (ანუშკას) სახლში, ხანაც სალომე ბებიასთან მდგარა ნავარძეთში.

ასე გადიოდა დრო...

...ურემი ჭიათურას უახლოვდება. გული სიხარულით მევსება ხოლმე, როდესაც ხან ურმით, ხან ცხენით, დედაჩემთან ან მამაჩემთან ერთად ჭიათურას ვუახლოვდები. ახლაც მე და დედა სოფლიდან ვბრუნდებით. ურემი ნართვლევით — ნაირნაირი სურსათით, ხილით, ჩირით, ჩურჩხელებითაა სავსე. მამას თავისი ვენახის ღვინო გემოთიც არ გაუსინჯავს — ღვინისადმი „იდიოსინკრეზია" აქვსო, — დედაჩემმა, არც ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, მაგამ იმას კი რა დამავიწყებს, როდესაც მამამ ვიღაცის ხათრით, თურმე, სათითურისოდენა სირჩით ღვინო დალია, ისე ცუდად გამხდარა, ანდერძს იბარებდაო. მაგრამ უნდა გენახათ, მეგობრებთან როგორ მოილხენდა ხოლმე, — მათ შორის ყველაზე უფრო ნასვამი ის გეგონებოდათ. თავისი წილი ღვინის ნაცვლად კი სახლის სხვენი სავსე ჰქონდა აკიდოებითა თუ საფენებზე დალაგებული ყურძნით. ...ახლაც ბლომად მოგვაქვს ყურძენი.

ჭიათურის გადასახედს მივაღწიეთ.

ბინდდება. ქალაქში ლამპებს ანთებენ. იმათ მკრთალ შუქზე შავი კლდეებით შემოჯარული ჭიათურა საიდუმლო სამოსში გახვეულივით მეჩვენება. დღისით სახლები შავი ქვის მტვრითაა შეღებილი. ქუჩებში მარგანეცის გორაკებია. მადნით დატვირთულ იმერულ ჩოჩიალა ურმებს შავად გამურული მეურმეები მიუძღვიან — მადანს შორაპნისაკენ ეზიდებიან. ყვირილაც კი, ქალაქის შუაგულზე რომ მოედინება, შავია. ქუჩაში, განსაკუთრებით ქარიან დღეს, თეთრი, ან საერთოდ, ღია ფერის ტანსაცმლით ვერ გახვალ.

და მაინც, ლამაზია ჩემი ჭიათურა, ჩვენი ორტერასიანი ეზო, მწვანედ შეღებილი სახლი. ზედა ტერასაზე ყვავილნარია, ეზოს კუთხეში, კომშისა და ალუბლის ხეებქვშ, ხის მრგვალი მაგიდა და სკამძელია. ამ კუთხიდან კარგად

მოჩანს ყვირილას გაღმა-გამოღმა გორაკებზე შეფენილი ქალაქი. ეზოს ქვემო ტერასიდან ქალაქის ცენტრში ქვის კიბით ჩავდივართ.

ტრადიციული ხუთშაბათი საღამოა. სასადილო ოთახის მაგიდას ჩემი მშობლების მეგობრები შემოსხდომიან. ხუთშაბათობებისათვის ოჯახში საგანგებოდ არ ემზადებიან. მაგიდაზე სამოვარი დგას, ზოგჯერ ხაჭაპური ანდა რაიმე სხვა ნამცხვარი, ან რაღაც კერძია სტუმრების პატივსაცემად გამოტანილი. უფროსებს ბავშვებიც მოჰყავთ თან. ჩვენ ცალკე ოთახში გვიმასპინძლდებიან. მე მხიარულად ვარ, მაგრამ მაინც ვერ ვისვენებ, მაინტერესებს, რა ხდება იქ. მამაჩემთან შევდივარ, ვცდილობ, მისი ყურადღება მივიქციო.



გეგია — სონია (სოფიო) ქუჩუკაშვილი, გაგუა სვიმონ კასრაძე, მათი შვილები — ვერა (დგას), შალვა, ირაკლი. 1897 წ.

— როგორ ფიქრობთ, ვათქმევინოთ ლექსი მარიკელას? — სიცილით ეკითხება მამაჩემი სტუმრებს.

— აუცილებლად, აუცილებლად!

— „მე პატარა ქართველი ვარ, კავკასიის მთების შვილი, და განცხრომით სხვაგან ყოფნას, მირჩევნია აქ სიკვდილი“...

— ყოჩაღ, ყოჩაღ! აბა, კიდევ, კიდევ!

ვიცი შიო პაპას ლექსებიც: „მერცხალი“, „ობოლი“, „ცელქები“, „თამროს დედოფალი“ — ამ ლექსებს დედაჩემი მიკითხავს ხოლმე. ზეპირად შემიძლია თქმაც, მაგრამ...


— ჰო, შიოს საიუბილეო დღეებიც ახლოვდება, ნამდვილი ზეიმი უნდა მოვუწყოთ! — ამბობს მამაჩემი. გახარებული გავრბივარ გვერდითა ოთახში, რათა ბავშვებს ვახარო, ძია შიოს, როგორც ისინი ეძახიან, მოსალოდნელი ჩამოსვლის ამბავი. შიო მღვიმელი დედაჩემის ბიძაა, დიდედაჩემის, სონია ქუჩუკაშვილის უმცროსი ძმა.



სხედან ივანე გომელაური, სვიმონ ჯაფარიძე, გიორგი ზდანოვიჩი, გერვასი ბარათაშვილი, ნესტორ კიკალეიშვილი. ჭიათურა 1914 წ

სასადილო ოთახიდან ისევ ისმის: „საქართველო“, „ილია“, „აკაკი“, „ერეკლე მეფე“ მხოლოდ მოგვიანებით გავიგე, რომ ეს ძიები, ჩვენი სტუმრები: გიორგი ხოშტარია, ივანე გომელაური, ნესტორ კიკალეიშვილი — მასწავლებლები არიან, გრიგოლ მუხაძე, სვიმონ ჯაფარიძე, სიმონ კაციტაძე — ექიმები. მოგვიანებით შემომატებულებს: იპოლიტე ვართაგავას, ილეფთერ ღვალაძეს, სანდრო კავსაძესა და სხვებს, უკვე მათი საქმიანობით აღვიქვამ, ისევე, როგორც ჩემი მშობლების სხვა მეგობარ-ნათესავებს: კიტა აბაშიძეს, გიორგი ზდანოვიჩს, თავად ლეონიძეს (კაცხელს), დავით ჟღენტს (კრიტიკოს ბესო ჟღენტის მამას), აჭარელ ჰაიდარ აბაშიძეს, აკაკი მარგიანს (პოეტ რეზო მარგიანის მამას), ალექსანდრე გამრეკელს (ბორის, სიმონ და გამოჩენილი მომღერლის დავით გამრეკელების მამას), შიო მღვიმელს, იროდიონ ევდოშვილს, ალექსანდრე აბაშელსა და მათ ოჯახებს.

მამაჩემისა და იროდიონ ევდოშვილის მეგობრობა კარგად ჩანს ჩემს არქივში შემორჩენილი წერილიდან:



ძმაო გერვასი! *4/II-14 წ.*

სალამი თქვენ და თქვენს მოწაფე ბიჭუნებს, რომლებმაც ძლიერ მასიამოვნეს მით, რომ მომიგონეს. ტყვილათ იხდით ბოდიშს ფულის სიმცირის გამო, განა მაგათ პატარა გულის წმინდა სიყვარულს რა აღემატება! ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სამშობლოს მაგისთანა ბიჭიკოები ეზრდებიან. მიმავლებს მხოლოდ მომავლებიღა გვაიმედებენ. გადაეცი მერცხლებს ჩემი გულმხურვალე მოკითხვა.

ჩემი ავადმყოფობის მდგომარეობა ასეთია: ბევრად უკეთ ვარ, ვიდრე ცემში ვიყავ, თუმცა, როგორც რენტგენის სხივებით გადაღებულმა ფილტვების სურათმა გვაჩვენა, მარცხენა ფილტვი მთლად გამხდარია და მარჯვენასაც ცოტათ შეჰპარებული აქვს ავადმყოფობა. ვაპირებდით ესრეთ წოდებული მედიცინაში „პნევმატორაქსი" გაეკეთებინათ, ე.ი. მარცხენა ფილტვში აზოტი ჩაეშვათ, მაგრამ იანვრის 19-ში შესდგა კონსილიუმი ოთხი აქიმისაგან და მათ გადაწყვიტეს: რადგანაც გამომთელების საქმე კარგად მიდის და შეიძლება ორგანიზმი თავად მოერიოს ავადმყოფობას, ამიტომ „პნევმატორაქსს" ჯერჯერობით ნუ გავაკეთებთო. ვსწამლობ ჰაერით და ჭამა-სმით. ზაფხულში ცემში ვაპირებ, შევხვდებით ერთმანეთს. მანამდე კი გთხოვ ვანო გომელაურს გადასცე სალამი და ჰკითხე ჩემს მაგიერ, რა ქნეს იმ მოთხრობების გამოცემისა, რომლებიც ჩემიდამ შეიძინეს მანდაურ წ.კ. საზოგადოებისათვის. რატომ აქამდე არ გამოსცემენ, თუ გადაიფიქრეს მე ვაპირებ ამ გაზაფხულზე საბავშვო წიგნაკების გამოცემას და იმ მოთხრობებსაც კრებულში მოვათავსებ. რას გეტყვის თუ თვითონ იქიზიყელა და არ მომწერა გთხოვ შემატყობინოთ თქვენ.

ნახვამდის, გისურვებ ყოველივე კარგს.

თქვენი ირ. ევდოშვილი.

ახლობლები. კონსტანტინე გამსახურდიას შემოსვლა ვაშაძეების ოჯახში

ჩემი მშობლები, მეგობრებთან წერილობითი შეთანხმებით, ზაფხულის დღეებსაც აგარაკზე, ერთად ატარებენ ხოლმე. აბასთუმანში, ცემში, წაღვერსა თუ მზეთამზეში ერთმანეთის გვერდით ქირაობენ ბინებს. მართალია, იმ აგარაკებს ჩემი ნავარძეთი მირჩევნია. ბებიაჩემიც ბუზღუნებს, სად მიგყავთ ეს ბავშვი, რად უნდა თქვენი აგარაკები, კატლეტები და ბულიონები, იქიდან გამხდარი და გაშავებული ჩამოგყავთო, — მაგრამ დედას აგარაკი სჭირდება და, რა თქმა უნდა, მე და ვახტანგიც მშობლებთან უნდა ვიყოთ. იქ კი ბედს მალე ვურიგდებით, ბავშვებთან ვერთობით. მთელ დღეებს ტყეში ვატარებთ. იბმება ჰამაკები, საქანელები, იქვე მზადდება სადილი. დედაჩემის მამიდაშვილის, ევგენია (ჩაგუნავა) დეიდას ქორწილიც კი ტყეში გაიმართა — გვიან ღამემდე ენთო ჩირაღდნები, იყო დიდი ლხინი, ცეკვა, სიმღერა. ბავშვებიც ვაწყობთ ხოლმე ტყეში ლხინს, სათამაშო ქვაბებში ვამზადებთ სადილს, ვხარშავთ მურაბებს.

განსაკუთრებით აბასთუმანი მიყვარს. მშობლები ხანდახან ეტლით რომ გაისეირნებენ, ჩემთვისაც ქირაობენ პატარა ეტლს, რომელშიც ფერადი ბაფთებითა და ეკუნებით დამშვენებული ვირია შებმული. ვახტანგი მშობლებთან ჯდება, მე კი „ჩემს“ ეტლში — ჩემს დედოფალებთან ერთად და ჟღარუნ-ჟღარუნით მივყვები დიდ ეტლს. იმ წლებიდან საოცარი ხილვებიც შემორჩა მეხსიერებას: ჭიათურიდან ბორჯომ-ბაკურიანისაკენ მიმავალი გზის პატარა მონაკვეთზე წიფის გვირაბია. დედაჩემს საუცხოო სილამაზისა და მორთულობის იაპონელი ქალებით მოხატული სპილოსძვლისფერი მარაო აქვს, რომელიც უზომოდ მომწონს და საოცნებოდ განმაწყობს. და აი, როგორც კი მატარებელი გვირაბში შედის, ვაგონში ჩამობნელდება და მის გარეთ კი ზარები იწყებენ წკრიალს, ის გასაოცარი ქალები ცოცხლდებიან, მარაოდან გადმოსულები ვაგონში ნარნარით მიმოდიან და ჩემს ირგვლივ იწყებენ ტრიალს.



კონსტანტინე გამსახურდია და რეზეკა ვაშაძე

...აგარაკიდან დაბრუნებული ჩვენი ოჯახი რთველის მომთავრებამდე ნავარძეთში იმყოფება. ხანდახან, უქმე დღეებში, მამაჩემი და მისი მგობრები ცხენებით გადმოდიან ჭიათურიდან და ჩვენი ხის სახლის ფართო აივანზე მოილხენენ ხოლმე. ეს სტუმრობა განსაკუთრებით სასიამოვნოა, როდესაც თბილისიდან ჩამოსული, ჩემი ელენე დეიდა თავისი გიტარითა და სასიამოვნო სიმღერებით ამშვენებს სუფრას. სტუმრები მუხლზე მისვამენ, ჯიბეში კამ-

ფეტებს მიყრიან და მთხოვენ „ბიძია" დავუძახო მათ. მახსოვს, ერთი მათგანი ისე დაითრო, ცხენი აივანზე ამოაჭენა, ხის საფეხურები ჩატეხა, თავად ცხენიდან გადმოვარდა და მწოლიარემ რამდენიმე დღე ჩვენს დიდ დარბაზში გაატარა.

1914 წელს შემოვიდა ჩვენს ოჯახში მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაც. მახსოვს, დედამ ძალიან ლამაზი ჩაის სერვიზი შეფუთა, ეს რებეკას თავზე უნდა გადავაგდოო, კოხტად მომრთო და გვერდით გამიყოლა, რებეკას ქორწილში წამიყვანა. რებეკა ჩემი მამიდაშვილია. მამიდაჩემის ანუშკას სახლი ჭიათურაში, ჩვენგან 200 მეტრით თუ იქნება დაშორებული. თითქმის ერთ ოჯახად ვცხოვრობთ — ერთი ჭირით, ერთი ლხინით, ერთი ინტერესებით. ბიძაჩემს, მღვდელ ისაია ვაშაძესა და ანუშკა მამიდას ლამაზი, კეთილმოწყობილი სახლ-კარი აქვთ. ორსართულიანი სახლის წინ დიდებული ყვავილნარია, უკან ბაღ-ვენახი.

მე აღარ მახსოვს, ძალზე პატარა ვყოფილვარ, როდესაც მღვდელმა ისაია



ისაია ვაშაძე, ანა ბარათაშვილი (მარიკას მამიდა) და მათი შვილები რებეკა (დგას), მარგარიტა, სიმონი და დავითი. ჭიათურა. 10-იანი წლები.

ვაშაძემ თავისი სახლის ზედა სართული რამდენიმე წლით უსასყიდლოდ დაუთმო სკოლას, რომლის ასევე უანგარო მასწავლებლები, მისი ქალიშვილები მარგარიტა და რებეკა იყვნენ. იმ სკოლაში ასწავლიდნენ მამაჩემი, მარგარიტას მეგობარი — ჩემი ნათლია მარუსია ჩხეიძე და ცნობილი პედაგოგები: გიორგი ჭუმბურიძე (შემდგომში მეცნიერი, რუსული ენის სპეციალისტი) და ივანე გომელაური. ხატვას ასწავლიდა და იმავე სახლში ცხოვრობდა ვინმე პუშკინი, თავისი გოგონა ნინათი, რომელიც ჩემი საყვარელი ამხანაგი იყო.

ძალიან მიყვარს მამიდაჩემის ეს სახლ-კარი, ხეხილის ბაღსა თუ გორაკებზე კორჩოტასა და იის კრეფა. ბაღშიც ყვავის ია, მაგრამ ისეთი მშვენიერია, მოსაწყვეტად მენანება. მხოლოდ ირგვლივ ვუვლი მესერით შემოღობილ ყვავილნარს და ისე ვიხიბლები, რომ დედაჩემის დავალება მავიწყდება.

– ალბათ, დედაშენმა მწვანილისათვის გამოგგზავნა, არა? — მომაგონებს მამიდაჩემი — წაუღე შვილო, მერე ამოდი და რომლებიც გინდა, ის ყვავილები დაკრიფე.

კონსტანტინესა და რებეკას ქორწილმა მხიარულად ჩაიარა. მეც კარგად მომილხენია. შემდგომ წლებში კონსტანტინე მახსენებდა: როგორ იყო, ჩემს მუხლებზე რომ იჯექი და „მე პაწია მერცხალი ვარ“ მღეროდიო? მე კი განსაკუთრებით ის მახსოვს, როგორ ველოდი, როდის გადააგდებდა დედაჩემი შეფუთულ სერვიზს რებეკას თავზე, რა ძგრიალით დაიმსხვრეოდა ჭურჭელი და, იმავე დროს, დასამსხვრევად მენანებოდა.

მამიდაჩემს ოთხი შვილი ჰყავს: მარგარიტა, რებეკა, სიმონი და დავითი. დათიკო და სიმონიკა ვახტანგზე ოდნავ უფროსები არიან, მარგარიტა და რებეკა — ჩვენზე ბევრად დიდები. ისაია ვაშაძის გვერდით, მისი ძმა ვანო სახლობს. მისი ერთ-ერთი ქალიშვილი, ზესტაფონში გათხოვილი, უშანგი ჩხეიძის დედაა. როცა უშანგი, უფროსკლასელი მოსწავლე, ზესტაფონიდან ამოდის, ისაია ბიძიას სარდაფში წარმოდგენებს მართავს. მსახიობები: სიმონი, დათიკო, ვახტანგი და მე სიხარულით ველოდებით უშანგის გამოჩენას. წარმოვადგენთ „მდგმურს“, „პეტრიკა მოიწამლას“... ახლაც თვალწინ მიდგას მამიდაჩემის ქართულ კაბაში გამოწყობილი, ჩიხტიკოპითა და ლეჩაქით თავდამშვენებული სიმონიკა. მე, როგორც ყველაზე პატარა, მუნჯ როლებს ვასრულებ — თუ ვინმეა მისატყეპი, კუთხეში დასაყენებელი ან ლოგინში ჩასაწვენი, — მე ვარ. და მაინც, იმდენად მეამაყება ჩემი „მსახიობობა“, იმდენად გამიტაცა სათეატრო ხელოვნებამ, რომ ჭიათურიდან უშანგის წასვლის შემდეგ, გადავწყვიტე თავად გამემართა წარმოდგენა. მეზობლის ბავშვები ჩვენი სახლის სარდაფის წინ, დერეფანში მოვიწვიე, თავად კი, ჩემს თოჯინებთან ერთად, დერეფნის ბოლოში მდგარი საქათმის თავზე ავბრძანდი. როლში რომ შევედი, ყავარი ჩამიტყდა, საქათმეში ჩავვარდი და საბუდარზე დამჯდარ კრუხს დავეცი. დაფეთებულმა კრუხმა ორიოდ ჩამინისკარტა და კრიახით აიკლო იქაურობა, მე კი კაბამოხეული, ამოსვრილი და აღრიალებული საქათმიდან ძლივს გამომათრიეს. ეს ამბავი კვირა დღეს, მშობლების დასვენებისას, ნასადილევს მოხდა და, რათქმა უნდა, „დაუჯილდოებლად“ აღარც მათ დაუტოვებივარ. ასე დამთავრდა ჩემი პირველი ცდა სარეჟისორო ხელოვნებაში.

შიო მღვიმელმა ლექსისადმი ინტერესი გამიღვივა

1915 წელს ჭიათურაში შიო მღვიმელის იუბილე გაიმართა. შიო მეუღლითურთ ჩვენთან დაბინავდა. ჩვენი სახლიდან თეატრამდე პოეტს ყვავილებს უფენდნენ.

თეატრში დიდებული შეხვედრა მოუწყვეს. მეც ავანსცენაზე „ცოცხალ ყვავილებში“ ვიყავი, ოღონდ არ მახსოვს, რომელ „ყვავილს“ ვთამაშობდი.

შიო და ანეტა დიდედა რამდენიმე დღეს დარჩნენ ჩვენთან. დედაჩემისგან ნაბრძანები მქონდა, შიოს საწოლი ოთახის კარი არ შემეღო, ხელი არ შეუშალო, ლექსებსა წერსო. არადა, ძალზე მაინტერესებს, როგორ წერს ლექსებს შიო პაპა. კართან მივიპარე, ჭუჭრუტანიდან შევიხედე და ჩემს გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა შიო ისევე იჯდა მაგიდასთან და წერდა, როგორც მამაჩემი რვეულების გასწორების დროს. მაგრამ აი, შიო ოთახიდან გამოდის, ხელში რვეული უჭირავს და კითხულობს:



ბაბუა სვიმონ ყასრაძე, ბებიის ძმები შიო მღვიმელი (დგას) და სანდრო ქუჩუაშვილი. 1900-იანი წლები


ჩემს პატარა ნინუკელას.
რომ უყვარს ტკბილად ყველას.
ყველას. ყოველას.
შარათაშვილ მარიკელას!

ლექსმა ფრთა შემასხა და გადავწყვიტე, როდესაც გავიზრდები, მეც შიო პაპასავით ლექსებს დავუწერ-მეთქი ბავშვებს.

შემდეგ შიო მზეთამზეშიც გვეწვია აგარაკზე და ძალიან გაგვახარა, როდესაც დაწერა ლექსი „მზეთამზეს“ კი არ დავდიოდი, სიხარულით დავფრინავდი.

მალე მარიამობაც ლექსით მომილოცა:





აკაკის ჩხენდართან. I მსოფლიო ომი

1915 წელს ვნახე აკაკი წერეთელიც, ოღონდ მიცვალებული, საჩხერიდან თბილისისკენ რომ მიასვენებდნენ. ყვავილებში ჩაფლული კუბო, ჭიათურის რკინიგზის ბაქანზე იყო დასვენებული, იქაურობა ხალხითაა გაჭედილი — თვალცრემლიანი ადამიანები, შავი ფერის სიჭარბე. დამწუხრებულმა მამაჩემმა კუბოსთან მიმიყვანა და ჩამჩურჩულა: „დააკვირდი, დაიმახსოვრე, ძალიან დიდ კაცს — აკაკის ასაფლავებენ!" ხალხი ტიროდა. მინდვრის ყვავილების თაიგულით ხელში მივუახლოვდი ცხედარს და მეც ავტირდი — დამენანა ლექსებისა და „ჩემი თავგადასავალის" დამწერი, რომელთაც დედაჩემი მიკითხავდა ხოლმე.

❀ ❀ ❀

ბავშვობის წლებიდან განსაკუთრებით მკვეთრად დამამახსოვრდა ზაფხულის ერთი დილა: სადარბაზო ოთახის კარზე ზარი ირეკება. კართან მივირბინე. შემოსასვლელში ნიურა გამოჩნდა, ჩემი საყვარელი ნიურა, ფუნთუშეულის გამყიდველი, კალათით ხელში. მაგრამ ჩვეულებრივად არ მომეალერსა. „ვერა სემიონოვნა, ვეროჩკა სემიონოვნა!" — უძახოდა დედაჩემს. დედაჩემმა ოთახიდან გამოირბინა. „ვეროჩკა სემიონოვნა, ვოინა ნაჩალას!" — ამცნო მოსულმა. დედაჩემმა თავზე ხელი შემოირტყა და გაფითრებული მიეყრდნო კედელს. ასე შემოვიდა ჩემს ცნობიერებაში შემზარავი სიტყვა „ვოინა".

მამას ხშირად აკითხავდნენ თანასოფლელები. იმ დღიდან კი ძალზე იმატა დახმარებისათვის მოსულთა რიცხვმა. მოდიოდნენ წევეამდელთა მშობლები და მამაჩემიც აკვალიანებდა, ეხმარებოდა მათ, უწერდა განცხადებებს და განიცდიდა მათ გაჭირვებას. საერთოდ, ჩვენს ოჯახში, მუდამ იზრდება ვინმე ობოლი თუ გაჭირვებული, განსაკუთრებით, სწავლას მოწყურებული ბავშვი, ომის წლებში კი მამამ ბორჯომის რკინიგზის სადგურში ნაპოვნი სომეხი გოგობიჭი (იმ ცნობილი, სომხების გენოციდის დროს დარბეული ოჯახების შვილები) მანანა მკრტიჩიანი და ოვანეს ზადიკიანიც ჩამოიყვანა და ჩვენც, იმ დროისათვის არც თუ დალხინებული ოჯახი, ლუკმა-პურს ვუყოფდით.

ომმა ჩვენს ოჯახებს სხვა ღელვაც მოუტანა. რებეკა და კონსტანტინე დაქორწინების შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად გერმანიაში გაემგზავრნენ. ახლა გერმანიასა და რუსეთს შორის სასტიკი ომია. ნეტავი როგორ არიან? „ღმერთო, მშვიდობით გადაგვირჩინე, ღმერთო, დაიფარე ჩვენი შვილები!“ — ხელაპყრობით შესთხოვდნენ ხატებს უფროსები.

ღმერთმა შეისმინა ვედრება და დიდგაჭირვებაგამოვლილი რებეკა ჩამოიყვანა. მისი მონათხრობიდან გავიგეთ, ქუჩაში როგორ ესხმოდნენ თავს გერმანელები (უთუოდ ებრაელად მიაჩნდათ), როგორ შველოდათ პოლიცია და როდესაც უკვე შეუძლებელი შეიქნა იქ ცხოვრება, როგორ გამოაპარეს რებეკა სამშობლოსაკენ, როგორც გემის მოსამსახურე ქალი. კონსტანტინე კი ტრაუნშტაინის ტყვეთა ბანაკში აღმოჩნდა. მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა მარგარიტამაც მოაშურა ოჯახს და როცა ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლეები: სიმონი, დათიკო და ვახტანგიც დაბრუნდნენ, ჩვენს ოჯახებში შედარებით სიმშვიდემ დაისადგურა, — შედარებით, რადგან რუსეთ-გერმანიის ფრონტებზე დატრიალებული ტრაგედიის ამბები ჭიათურასაც სწვდებოდა — ქვრივ-ობლებს უმრავლებდა.



მარგარიტა ვაშაძე და მარუსია ჩხეიძე (მარიკას ნათლია). 1907 წ.

ამასობაში, მეც პატარაობას დავაღწიე თავი და დიდი ხვეწნისა და ტირილის შემდეგ, ვადაზე ადრე, ჭიათურის ქალთა სასწავლებლის პირველი განყოფილების მოსწავლე გავხდი. მშობლებს იმედი ჰქონდათ, რომ მალე მოვიწყენდი ამ „თამაშს“,

მაგრამ არა, გული არ ამცრუებია, შეიძლება იმიტომაც, რომ ჩემი პირველი მასწავლებელი იყო ელენე გამყრელიძე. ის იმდენად საყვარელი გახლდათ, რომ როდესაც ჩვენთან, ნავარძეთში სკოლობანას ვთამაშობდი, ვცდილობდი მას დავმსგავსებოდი. შემდეგ კლასებშიც მყავდა საყვარელი მასწავლებლები, მათ შორის, ჩემიანებიც. გარდა მამაჩემისა, ჩემი მამიდაშვილები — რებეკა და მარგარიტა, ბიძაშვილი — ბაბო ბარათაშვილი. ამხანაგები შემომნატროდნენ, მაგრამ ღმერთმანი, არაფერი მქონდა შესაშური — კლასში რომ ვინმე რამეს დააშავებდა, პასუხს პირველ რიგში მე მთხოვდნენ. არ დამავიწყდება: მეორე განყოფილებაში ვიყავი, როდესაც მშობლებმა ქუთაისში წასაყვანად საგანგებოდ გამომაწყვეს. ასე მოკაზმული მივფრინავდი სკოლისაკენ: ახალი პალტო, კაბა, ქუდი, ჩანთა, ფეხსაცმელი, ხელთათმანიც კი. მაგრამ პალტო ცოტა გრძელი მქონდა, რის გამოც დავაგვიანე. რებეკა მასწავლებელი უკვე კლასში იყო. კარი რომ შევაღე და რომ მეგონა ჩემი ჩაცმულობით ყურადღებას მივიქცევდი, ნურას უკაცრავად! რებეკამ ამხედ-დამხედა, ეს ვინ მოსულაო, თქვა და დაგვიანებისათვის კუთხეში დამაყენა. ზოგი ამხანაგი თანაგრძნობით მიყურებდა, ზოგი კი სიცილით იგუდებოდა. ვცდილობდი არაფრად ჩამეგდო ეს ყოველი და, როგორც კი მასწავლებელი პირს იბრუნებდა, რაღაცას ვჯამბაზობდი, თუმცა სულაც არ მეცინებოდა.



მარიკა (მარჯვნივ) სკოლის მეგობარ თამარ მჭეიძესთან ერთად. 1926 წ

ჩვენი ქალთა სკოლა ვაჟთა სკოლის ზემოთ იყო, გორაკზე. ჩვენთან ასასვლელად იმ სკოლის ეზოზე უნდა გაგევლოთ. ბიჭებიც უყურადღებოდ არ გვტოვებდნენ, გარდა თოვლის გუნდებისა, სატრფიალო ბარათებსაც გვიგზავნიდნენ. ჩემს მერხშიც ვიპოვე ბარათი: „დაჰკარ ხელი, გახდი ჩემი, მოუთმენლად პასუხს ველი“ წერილმა ცოტა არ იყოს შემაშფოთა. დედაჩემმა ძლივს დამამშვიდა, რომ მოტაცებას არავინ მიპირებდა. მეორე ბარათი უფრო უვნებელი იყო: „ბარილუს, ბარილუს, თავი გიგავს მაიმუნს“. შეიძლება ეს მეორე ბარათი ჩემი ქუთაისური საგანგებო ჩაცმულობითაც დავიმსახურე.

ძალიან მიყვარდა ჩემი სკოლა, ჩემი მასწავლებლები: დირექტორი იულია მებუკე, პედაგოგები — მინადორა და მაშიკო წერეთლები, თამარ და ვოლდემარ ქაჯაიები... სასწავლო წლის დაწყების დღეები და შეხვედრა სკოლის ამხანაგებთან, გამოზაფხულზე კი, დიდი შესვენების დროს, სკოლის მახლობელ გორაკზე იისა და კორჩიოტას კრეფა.

ოთხი განყოფილების შემდეგ, პირველ კლასში გადავედი. ამასობაში ახალი ამხანაგიც შემოგვემატა — ჭიათურის აფთიაქის გამგის გიორგი მხეიძის ძმისშ-

ვილი, დედ-მამით ობოლი, თამარ მხეიძე. უზომოდ კეთილი, წრფელი გოგონა ჩვენმა ოჯახმაც შეიყვარა, იგი ერთხანს ჭიათურაში სწავლობდა, შემდეგ — ქუთაისში. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კვლავ ჭიათურას დაუბრუნდა, ბოლო სამი ათეული წელი წყალტუბოში აფთიაქის გამგედ მუშაობდა, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყო, იმ პირველი შეხვედრიდან — მისი სიცოცხლის ბოლო დღეებამდე, ერთმანეთს უახლოეს დებად და მეგობრებად შემოვრჩით. მარტო წყალტუბოში რამდენი დღე გამიტარებია მის ჭერქვეშ!

...სახლში თბილა. გულში თბილა. გარეთ თოვს.
მოგონება ზის და ფრთხილად ბადებს ქსოვს
გაქრა წლებიც? ვისთან უნდა ვიჩივლოთ!
მოვყვეთ ისევ ჩვენს ინილო-ბინილოს...
ხან სიცილით, ხანაც ცრემლის ნაკურით,
მოვიგონოთ წლები ახალგაზრდული.
ვინახულოთ ყველა. ვინც გვყვარებია...
(მოგონებას. ო, რა დიდი ფრთები აქვს!)
ოთახია სავსე შენი სითბოთი...
ვიგონებთ და ნეტავ სათქმელს ვინ მოთვლის?!
ზოგი გვახსოვს. ზოგი კიდევ არ გვახსოვს...
გარეთ თოვლი გულმოდგინედ საბანს ქსოვს.

(„თოვს და თოვს" თამარ მხეიძეს)

დიდი ბედნიერებაა თამარისთანა მეგობრის ყოლა! ერთხელ წყალტუბოს რაიონული გაზეთი გამომიგზავნა, სადაც სურათი და თამარის წერილი იყო დაბეჭდილი ჩვენს მეგობრობაზე. ის გაზეთი, თამარის წერილები და ჩემი ლექსები — ლირიკულიც და იუმორისტულიც, შემორჩა ჩემს არქივს.

...მაგრამ მივუბრუნდეთ წინა წლებს.

საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი

ჩემი სწავლა ქალთა სკოლის ბოლო, მეოთხე განყოფილებაში, 1917 წლის თებერვლის რევოლუციასა და პირველი მსოფლიო ომის დამთავრებას დაემთხვა. ნიკოლოზ მეფის ტახტიდან ჩამოგდებას, ჩვენც უფროსებთან ერთად ვზეიმობდით: მიტინგი ჭიათურის ცენტრალურ მოედანზე შედგა, რომელზეც მწკრივად დარაზმული ბავშვებიც მიგვიყვანეს. ტრიბუნა, დროშები, მოედანი ხალხითაა სავსე. ორატორი ორატორს ცვლის, აღტაცების გუგუნი ცას სწვდება. საშინლად ცხელა. სუნთქვა ჭირდა... გონს რომ მოვედი, ჩემს ლოგინში ვიწექი...

ოქტომბრის რევოლუციის დროს უკვე პირველი კლასის მოსწავლე ვარ და ჩემი მშობლების, მათი მეგობრების საუბრებიც სხვა, ახალ აზრს იძენს. რუსე-

თის დიდი იმპერიის ნგრევა, ახალი სამომავლო გზის ძიება, ოცნება საქართველოს დამოუკიდებლობაზე. პარტიები, პარტიები... ისმის: „ბოლშევიკები“, „მენშევიკები“, „ეროვნულ-დემოკრატები“, „სოციალისტ-ფედერალისტები“... მათი პლაკატებით აჭრელებულია ქალაქი. ყველას თავთავისებურად წარმოუდგენია ახალი ცხოვრება, ყველა რაღაცაში არწმუნებს სხვას. მე უკვე ვიცი, რომ მამაჩემი, ვახტანგი, ჩემი მამიდაშვილები სიმონი და დათიკო ფედერალისტები არიან და, მეც, რა თქმა უნდა, — ფედერალისტი, მარგარიტა კი, რატომღაც მენშევიკია. მეც მახარებს მიტინგები, დემონსტრაციები, რევოლუციური სიმღერები, დროშების ფრიალი... ქალაქი ღელავს, რაღაც დიდსა და ახალს ელოდება...

და აი, 1918 წლის 26 მაისი. ევროპის ქვეყნებმა და რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარეს.

გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ საქართველოს! ქუჩებში ნაცნობ-უცნობნი ერთმანეთს ეხვევიან, ულოცავენ. გაისმის ახალი ჰიმნები — თავისუფალი საქართველოს საგალობლები: „სამშობლოვ, სამშობლოვ, ჩემო ლამაზო...“, „დიდება ზეცით კურთხეულს, დიდება ქვეყნად სამოთხეს, ტურფა ივერსა...“

ახალი საქართველოს მაჯისცემა, მისი ახლებური სუნთქვა, ქვეყნის ახალი სავალი გზების ძიებისათვის ღელვა ბავშვებსაც გადაგვედო — სკოლაც ახმაურდა და ჩვენებურად ვერთვებით მიმდინარე პროცესებში ჩვენამდეც აღწევს დამფუძნებელი კრების წევრთა, — სხვადასხვა პარტიის წარმომადგენელთა, შეხლა-შემოხლის ამბები. ამბობენ, ბენია ჩხიკვიშვილი და შალვა ნუცუბიძე ერთმანეთს შეკამათებიან და ბენიას შალვასთვის სამოვარი უსვრიაო. ვიცი, რომ შალვა ფედერალისტია და სკოლის ეზოში გამართულ საპროტესტო დემონსტრაციას, ჩემს ამხანაგებთან ერთად, წინ მივუძღვი.

ქვეყანა გასაჭირშია — არაა საპონი, ასანთი, ძაფი. თეთრეულს რომ თავი დავანებოთ, — ცხვება ვითომდა მჭადი — ამბობენ, ცოცხის თესლისგანააო. ადამიანები ეხმარებიან გაჭირვებაში მყოფ საქართველოს. იქმნება წრეები, საქველმოქმედო ფონდები, იმართება ფასიანი საღამოები, ეწყობა აუქციონები, ლატარიები... გაზეთები ივსება შემოწირულობების განცხადებებით: „ვწირავ დახმარების ფონდს — ოთხ კოჭის ძაფს, ხუთ ცალ ასანთის ყუთს, ორ პირსახოცს, ორ ცალ საპონს, ორ ხელ მამაკაცის საცვლებს“... საპნის მაგივრად ხმარებაში შემოდის თეთრი თავსაბანი მიწა, სარეცხისათვის — ნაცარწმენდილი, თეთრეული ნარმისაგან იკერება, მოდაშია ქუთაისური შალის ქსოვილი. უკვე წამოვიზარდე. სანდრო კავსაძის გუნდში ვმღერი. დედაჩემი ქალთა წრეში ეწევა საქმიანობას და მეც თან გამიყოლებს ხოლმე. უჭირს ქვეყანას, მაგრამ ხალხი მაინც ბედნიერია — იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს. შემაშფოთებელი და აღმაშფოთებელი მხოლოდ ის არის, რომ ვერა და ვერ დამყარდა მშვიდობა შიგნით. მოსახლეობა შეწუხებულია ტყეში გახიზნული ეგრეთ წოდებული „ბოლშევიკების“ ყაჩაღური თარეშით. სამაჩაბლოს ოსებმა ხომ აჯანყებაც მოაწყვეს...

ამ არეულობების სიმწარე ჩვენმა ოჯახმაც იწვნია — ტყეში გახიზნულმა



ძმები გიორგი და გერასიმ ბარათაშვილები

ბოლშევიკმა, 15 წლით გადასახლების შემდეგ, ერთი წლის წინ ვერხნეუდინსკიდან დაბრუნებული ბიძა, მამაჩემის ძმა გიორგი ბარათაშვილი მოგვიკლა. მოკლეს 1919 წლის მარიამობა დღეს, ჩვენი სოფლის ბოლოს, შარაგზაზე, ჭიათურისაკენ ცხენით მიმავალი. „ნეტავი ისევ გადასახლებაში დავრჩენილიყავით“ — მოთქვამს ბიცოლაჩემი. „მე შევუჩნდი მამაჩემს, დღე და ღამე ვოცნებობდი სამშობლოში დაბრუნებაზე“ — ტირის მისი ერთადერთი ქალიშვილი, 18 წლის ბაბო ბარათაშვილი. ამაზე იტყვიან, კაცი ზღვას გადაურჩა და ცვარმა დააღრჩოო, — წუხან ნაცნობ-ნათესავები. თავზარდაცემულია ჩვენი ოჯახი...

ამრიგად, არის ყაჩაღობაც, მსხვერპლიც, გლოვაც, მაგრამ დიდი ეროვნული აღტყინებაც — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის რეალური შეგრძნება, ქვეყნის ახალი ცხოვრებისათვის გამოცოცხლება, ხვალინდელი დღის რწმენა, იმედი და უცხოეთის დიდი დაინტერესება საქართველოს ბედით, რაც განსაკუთრებით იგრძნობა ჭიათურაში — მარგანეცის მრეწველობას კონცესიონერები მოეძალნენ, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ეს მდგომარეობა — ქვეყანა შეძრა რუსეთის ბოლშევიკების მოსალოდნელი თავდასხმის ამბავმა, რომ რუსეთის ჯარის დიდი ტალღები, სხვადასხვა მხრიდან მოედინებიან საქართველოსაკენ, რომ ბოლშევიკები საშინელი სისასტიკით ექცევიან თავადაზნაურობას, განსაკუთრებით სამღვდელობას (კრეჭენ და საშინლად შეურაცხყოფენ), ვრცელდება ჭორები, რომ უზარმაზარ საბნებქვეშ ერთად უნდა იწვნენო დიდი და პატარა, ქალი და კაცი...

უკვე წამოჩიტულ 12-13 წლის გოგონებს ჩვენი ნაცნობი თუ უცნობი თაყვანისმცემლები გვითვლიან, ჯარის შემოსვლისთანავე, მყისვე დავიმალოთ ჩვენივე სახლების სხვენში და გვპირდებიან, რომ სიცოცხლეს არ დაიშურებენ ჩვენს დასაცავად. ხალხი აღშფოთებულია ბოლშევიკური რუსეთის ვერაგობით. უჭირს დაჯერება, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულება ფიქცია აღმოჩნდა. 1921 წლის თებერვლის სუსხიან დღეებში, თოვლის საფარქვეშ, შიშით შეძრულ-მონუსხული საქართველო უკანასკნელ ძალებს იკრებს წითელ ჭირთან შესაბმელად.

1921 წლის 25 თებერვალი, დღე — გლოვისფერი.

...იმ გზით, სად წინათ ელავდნენ ხმლები,
სად სამას გმირთა დაიფშვნა ძვლები,
სად ქართლის დედის ცრემლით ნანამი,
მძიმედ დაეშვა ჩვენი ალაში.
სად გმირთა სისხლით ნაპოხიერი,
თოვლს დაეფარა კრწანისის ველი,
ნითელი დროშით, მოღერილ ყელით,
თეთრ ცხენზე მჯდომი, ნაბიჯით ნელით
შემოდიოდა სიკვდილი ცელით.
თოვდა და თბილისს ეხურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.

(„25 თებერვალი. 1921 წელი")

ასე ეხმიანება მოგვიანებით იმ ავადსახსენებელ დღეს პოეტი კოლაუ ნადირაძე.

რუსეთის მე-11 არმია საქართველოზე გამარჯვებას ზეიმობს. სერგო ორჯონიკიძე ზარ-ზეიმით ამცნობს კრემლს, რომ თბილისში, მთავრობის სასახლის თაგზე წითელი, ბოლშევიკური დროშა ფრიალებს. დროშის ეს აფრიალება მძიმე მსხვერპლის ფასად დაუჯდა საქართველოს — საუკეთესო ვაჟკაცები დაეცნენ თბილისის მისადგომებთან. ბრძოლებში გამობრძმედილი რუსი ჯარისკაცები გამეტებით უშენდნენ ტყვიებს კოჯრის გორაკებიდან, ალმართებზე ფორთხვით ამავალ, მამულისათვის თაეგანწირულ ქართველ მეომრებს. მარტო 20 ახალგაზრდა იუნკერი, და მათთან ერთად პოეტ კოტე მაყაშვილის ქალიშვილი მარო, მაშინ ჩაწვნენ ერთ-ერთ საძმო საფლავში. ქართული ჯარი უკან, დასავლეთისაკენ იხევდა. სიცივით, შიმშილითა და დამარცხების სიმწარით გათანგული ჯარისკაცები გზადაგზა, რკინიგზის ლიანდაგებში ყრიდნენ იარაღს.

გლოვობს დამოუკიდებელი საქართველო, ნოე ჟორდანიას მთავრობამ სამშობლო მიატოვა და დასავლეთის გზებით ბედის საძიებლად გაემგზავრა, იმ იმედით, რომ დიდხანს არ გასტანდა განუკითხაობა და არაერთი მოძალადისაგან არაერთხელ განადგურებული, მაგრამ კვლავ და კვლავ მკვდრეთით აღმდგარი საქართველო, არც ახლა მოიშთობოდა — თავისუფლებისმოყვარე ცივილიზებული დასავლეთი არ გაწირავდა მას.

აქ კი... ქვეყანაში გამეფებული განუკითხაობით, ხალხი დაზაფრული იყო. განსაკუთრებით თავად-აზნაურობისა და სასულიერო პირთა ხოცვა-ჟლეტის ამბებით. ქართველი თუ ქართველად შენიღბული, ან თუნდაც შეუნიღბავი — „ჩეკას გმირები" და მათი დამქაშები თავს არ ზოგავენ ბოლშევიკური მთავრობის ნდობის მოსაპოვებლად. ხალხს არც საქართველოს ავტონომიებად დანაწევრების ნებართვას დაეკითხა ვინმე, შემდეგ კი საქართველო 15 რესპუბლიკის გაერთიანებული ოჯახის — სსრკ-ს წევრიც გახდა.

ჩვენს ოჯახში „ხუთშაბათობები“ აღარ იმართება. სახიფათოა, რაიმე ეჭვის ხმამაღლა გამოთქმა, აზრის გაზიარება, საქართველოს სხვა, ბედნიერ მომავალზე ფიქრიც კი. თუ ასეთი რამ ხდება ოჯახებში, საჭიროა იცოდნენ, სადაც ჯერ არს. ბავშვებსაც კი ევალებათ მეზობლების დაბეზღება. მეფობს პროლეტარიატის დიქტატურა პარტია ბოლშევიკებისა. სხვა ყველა ან ბედს ემორჩილება, ან იატაკქვეშ განაგრძობს არსებობას. ყოველივე ეს უდიდეს რისკთან, სიცოცხლის საფრთხესთანაა დაკავშირებული, მაგრამ მამულისათვის თავგანწირული ადამიანები, აქა-იქ, მაინც რისკზე მიდიან...

...1922 წელი. ჭიათურის კლუბში საღამოა. დარბაზი ხალხითაა გაჭედილი. დამთავრდა სპექტაკლი-კომედია „მასესხეთ 25 მანეთი“ მისი მთავარი მოქმედი გმირი, ერთი მშვენიერი ყმაწვილით გატაცებული მე გახლდით. ველოდებოდი, ველოდებოდი მის გამოჩენას; იგი შემოვიდა, აღელვებული მუხლზე ჩემს წინ დაეცა და შემომღაღადა:



მარიკა 1922 წ.

„გთხოვთ, გთხოვთ...“

მე: „ადექით, ადექით, ეგრე როგორ შეიძლება!“ ვეუბნები დაბნეული, აღელვებული.

ის: „გთხოვთ, გთხოვთ, მასესხოთ 25 მანეთი“

„მეგონა სიყვარულს მეფიცებოდა, ეს კი ფულს მესესხება!“ ვამბობ სასოწარკვეთილი.

დარბაზი გამხიარულდა. წარმოდგენის შემდეგ კონცერტი გაიმართა. მღერის სანდრო კავსაძის გუნდი. მდიდარია ჩვენი რეპერტუარი.

უეცრად, დარბაზის მეორე რიგიდან, ჩემი მამიდაშვილი დათიკო ვაშაძე წამოიჭრა და მთლად გაფითრებულმა კატეგორიულად მოითხოვა: „დიდება, დიდება!“ დარბაზი გაირინდა. სანდრო კავსაძე წამით შეცბა, მაგრამ მალე გონს მოეგო, მოგვიბრუნდა, ხელი ასწია და „დიდება ზეცით კურთხეულს, დიდება ქვეყნად სამოთხეს, ტურფა ივერსა!“ დააგუგუნეს. დარბაზს მქუხარე ტაშმა გადაუარა... ადრე დამოუკიდებელი საქართველოს ეს ჰიმნი ჩვენს გუნდს არაერთხელ შეუს-

რულებია, მაგრამ 1921 წლიდან „დიდებაც“ ტაბუდადებულად იქცა. ამიტომ, იმ საღამოს სულ სხვა ჟღერადობა შეიძინა — განსაკუთრებული გულმხურვალებით, თითქმის თავგანწირვით ვმღეროდით. მომდევნო დღეებში შიშით ველოდით, რითი დამთავრდებოდა ეს ამბავი, პირველ რიგში დათიკოსა და სანდრო კავსაძისათვის. მაგრამ, საბედნიეროდ, ცუდი არაფერი მომხდარა. ცოტა ხნის შემდეგ კი დავითი და მისი ძმა სიმონი ვიზით გაემგზავრნენ გერმანიაში სწავლის გასაგრძელებლად.

...ამ დროისათვის, ქალთა 8-წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ, ჰუმანიტარულ ტექნიკუმში განვაგრძნობ სწავლას. ეს უკვე ქალ-ვაჟთა შერეული სასწავლებელია და ახალი მეგობრებიც შევიძინე. შესანიშნავი პედაგოგებიც გვყავს, მათ შორის, ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იპოლიტე ვართაგავა ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლის. მარგარიტა ვაშაძე, შესანიშნავი საზოგადო მოღვაწე და ბრწყინვალე ორატორი — რუსულ ენასა და ლიტერატურას. მას უნდა ვუმადლოდე ჩემს სამოღვაწეო არენაზე დაფრთიანებას. ის მინერგავს რწმენას ჩემს შესაძლებლობებში, მაგულიანებს და ნელ-ნელა ვბედავ საჯაროდ გამოსვლას — საღამოებში, ლიტერატურულ გასამართლებებში მონაწილეობას. ერთ-ერთ გასამართლებაში ალ. ყაზბეგის ელეონორა გახლდით. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ კი, აღარ მახსოვს, სასამართლოს მდივანი თუ მარგო. ამ გასამართლებაში ვახტანგიც მონაწილეობს და სპეციალურად ჩამოსული პოეტი სიმონ წეველიც.

დიდ სიამოვნებას გვანიჭებს ვახტანგ კოტეტიშვილის ჩამოსვლა, მისი საჯარო ლექციები. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია საუბარი თამარ მეფეზე, ალექსანდრე ყაზბეგზე.

...ჩვენი ეზოდან, მდინარე ყვირილას მეორე მხარეს, მოჩანს აღმართზე მდებარე ორსართულიანი, წითელი აგურის სახლი. აყვავებული ალუბლის ქვეშ, სკამძელზე გარინდული გავცქერი იმ სახლს.

რარიგ მიყვარდა მე იმ სახლის მუნჯი კრამიტიც...

და ოცნებები, ოცნებები მთვარიან ღამით...
როდესაც გული მღერის, როგორც არ უმღერია,
როდესაც თავი მიგაჩნია ზღაპრულ ფერიად,
როცა ყვავილობს მხოლოდ შენთვის ირგვლივ ყოველი,
ხან სევდიანობ, ხან ხარ ისევ დაუდგრომელი...


(„რა დამჯვინყემს“)

მან არ იცის და ჩემ თავსაც არ მინდა გავუმხილო, კნუტ ჰამსუნის ვიქტორიას გავლენით, წარმოუდგენლად და თავის დამცირებად მიმაჩნია გრძნობის გამხელა. ალბათ, ამიტომ ჩაუვლი ხოლმე გვერდით წარბშეკრული. ის ბიჭი კი ამხანაგებს შესჩივის თურმე, რას მიწყრება, რა დავუშავეო?!

იმ სევდიანობასა და ოცნებებს მოჰყვა ჩემი პირველი ნაწარმოები-ჩანახატი და ისიც რუსულ ენაზე „ზოვ ჟიზნი“, რომელიც ჩემს უსაყვარლეს მუსიკის

მასწავლებელს სოფიო მელიკსეტიანს მივუძღვენი. ის და მისი მეუღლე, ორთავე დიდად განათლებულები, იმხანად ახალი ჩამოსულები იყვნენ პარიზიდან, სადაც რამდენიმე წელი გაეტარებინათ. გაკვეთილზე მისული, საათობით ვუსმენ სოფიოს მუზიცირებას, საათობით ვცხოვრობ მუსიკის სამეფოში, რომელიც ასე ეხმიანება ჩემ სულიერ განწყობილებას.

იმ პერიოდში ვიწყებ ლექსების წერასაც, მაქვს რამდენიმე საბავშვო და რამდენიმე სევდიანი, ლირიკული ხასიათის ლექსი. ჩემი ეს სევდა, პირადულზე მეტად, ჩვენი ოჯახებისა და ერთობლივ საქართველოს ბედითაა გაპირობებული. მადლობა ღმერთს, სიმონი და დავითი გერმანიაში არიან, კონსტანტინეც უკანვე გაბრუნდა გერმანიაში სწავლის დასამთავრებლად, საიდანაც თავის მეუღლეს უამრავ ბარათს უგზავნის, თითქმის ყველა წერილში გერვასი ბარათაშვილის ოჯახის ამბავს კითხულობს.



ბერლინი, 1919 წ. მარტის 22-სა დღეს
ძვირფასო რებეკა!

უპირველესად ათას გაკოცებ ჩემო კარგო გოგონა.

რამდენი ხანია შენთვის წერილი არ მომიწერია. შენგან ერთის მეტი არა მომხვდა რა. ისიც ოქტომბერში გამოგზავნილი შობა დღეს მივიღე. მე ყოველთვის გწერდი როგორც კი ვინმე გაიჭაჭანებდა ჩვენსკენ, ახლაც მოდის კურიერი და იმას ვატან. ალბათ თქვენ დაშინებული ხართ, მე ძლიერ კარგადა ვარ. მხოლოდ ესაა შეწუხებული ვარ უამბობით. მატერიალურადაც არა მიშავს რა. სესხად ვლებულობ აქაურ საელჩოში ცოტაოდენს. აქ დიდი სიძვირეა. რაც ჩემ მუშაობას შეეხება ორი თხზულება დავამთავრე ესესაა გერმანულ ენაზე საქართველოს ისტორიის შესახებ. უკანასკნელ შრომას ჰქვია „საქართველოს მეფე ერეკლე მეორე". ამ ისტორიულ მონოგრაფიის წარდგენას ვაპირებ ფაკულტეტში. რაც ზეპირ ეგზამენს შეეხება, არ ვიცი კარგად, როდის დამიდგება განკითხვის დღე. შეიძლება ივნისში, ან უფრო ადრეც. ვნახოთ როგორ წავა მეცადინეობის საქმე. აგვისტოდან არ ვიცი მოსვენება რაა. დღე და ღამე უკირკიტებ მტვერიან წიგნებსა და ხელნაწერებს. კერძო წერილების წერას ისიც ქართულად სავსებით გადავეჩვიე. ასე რომ მე „კარტული არ ვიცი". ისტორიამ ძალიან გამიტაცა. ჩემი სპეც. საგნებია საეგზამენოდ: ფილოსოფიის ისტორია და მე-19 საუკუნის, საშუალო საუკუნის ისტორია 3-15 საუკ., რუსეთის ისტორია 17-19 საუკ., ლოღიკა, ფსიხოლოგია. ჩვენში რო იციან „გადავარდნილაო", ისე „გადავარდი" ისტორიაში. ასე გამწარებული ვმუშაობ ხომ და ჩემ სამუშაოს პენელოპას პერანგივით დასასრული არ უჩანს; ნუ დაგავიწყდება, რომ ბერლინის უნივერსიტეტი უძნელესი უნივერსიტეტია მთელს გერმანიაში. ვისაც ვეტყვი ბერლინში ვაპირებ-მეთქი ყველა სიშლეგეში მართმევს. შეიძლება ჩავიჭრა, მაგრამ რა უყოთ მერე. სხვა პატარა უნივერსიტეტშიც რომ ვსინჯო არა უშავს, მაგრამ ეს სულ რომ გაჭირდეს იმ შემთხვევაში. დიდი ბრძოლა მომელის.

ილოცეთ ჩემი სულისათვის ყველამ ზაფხული რომ მოახლოვდება. ღერვასი „ღვთის მოყვარული" კაცია და სთხოვე ჩემ მაგივრად ერთი შემაეედროს უფალს. ჭ. სადგურში რომ „რუსული კოლონიის" ეკლესიაა იქ, რათა გამიადვილოს ღმერთმა ეგზამენი. მარგოსაც შეეხვეწე ერთი ჩემი ტოლა სანთელი დაუნთოს... რათა იმანაც მიშველოს. აგრეთვე ბებიაშენი (თუ კიდე ამქვეყანადაა დააფაცურე). მამასაც უთხარ შენი ჯორის სული ნუ წაგინწყდება ერთი ჭინჭილა ღვინო გადააქციე პურს, რათა უფალმა შემინდოს, რაც ცოდვები ჩამიდენია სიჭაბუკის დროს „გოგოების წინაშე"...

როგორაა ჩემი გოგონა. მარგომ არ გამიბრიყვოს ან არ გამითხოვოს გოგო სანამ უნივერსიტეტს გავათავებდე.

სხვა რებო! შენ იცი და შენმა ქალობამ დედას და ნათელას უვნებლად და

ჯანმრთელად თუ დამახვედრებ. შენებურად გაუძელ გასაჭირს ქალო! მელანქოლია შორს... და გაამხნევე დედა, ნათელა კარგად გამიზარდე. ვაჟი რომ იყოს დარიგებას მივცემდი და ქალი როგორც გინდა ისე გაზარდე... ამით მე ნათელას როდი ვამცირებ — წინააღმდეგ.

აქ ჩემ მეგობარ მეკელაინს ვაჟი ეყოლა. ნათლია მე ვარ. ბაეშვს ვარქმევ ვოლფგანგ კონსტანტინს — გოეთესა და ჩემს სახელს. დე ერთხელ მაინც ერთად ახსენონ გოეთესა და ჩემი სახელი. თუმცა ვინ იცის, ეგებ მეც გენიოსი გამოვიდე, სიჭაბუკეში რომ მეგონა. თუმცა შენ იმედი არ დაკარგო, მე გავიზრდები კიდევ — გაიცინე ჩემო გოგონა. მე კარგა ხანია გულიანად არ გამიცინია...

❦ ❦ ❦

ჩემი ძმა ვახტანგი თბილისის უნივერსიტეტში სწავლობს, მაგრამ ისევე, როგორც თავადაზნაურობის, სასულიერო წოდებისა და მრეწველთა დიდი ნაწილი, ჩვენებიც წელში არიან გატეხილები. მამაჩემს მის სემინარიელობასა და სოციალისტ-ფედერალისტობას არ უვიწყებენ, ისევე, როგორც მარგარიტას და მის მეუღლე ანტონ ტუსკიას ყოფილ მენშევიკობას, ისაია ბიძიას — მღვდლობას. რა თქმა უნდა, სიმონის, დათიკოს, კონსტანტინესა და ვახტანგის სოციალისტ-ფედერალისტობაც არ არის დავიწყებული. სალომე ბებიას საქმიანობაც კი კანონსაწინააღმდეგოდ ითვლება. ამრიგად, მრავალ სხვათა მსგავსად, ჩვენი ოჯახებიც ვულკანზე ცხოვრობდნენ.



ვახტანგ ბარათაშვილი (მარიკას ძმა) 1924 წ აპრილი.

ყველაფერი ეს, დედაჩემის ჯანმრთელობის მკვეთრ გაუარესებასთან ერთად, ძალზე მთრგუნავს, როგორღაც ადრე დავსერიოზულდი და ჩემი ტოლების გართობებში თითქმის აღარ ვმონაწილეობ.

საქართველოში იატაკქვეშა მუშაობის მიმდინარეობის პროცესებზე — იმის თაობაზე, რომ ადამიანები ვერ ეგუებიან ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვას, მის ავტონომიებად დანაწილებას, თავისუფალი აზრის დევნას, — ხმები კანტიკუნტად ჩვენამდეც აღწევს...

დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხების შემდგომი მძიმე ჟამი

1924 წლის აგვისტოს მიწურული. საღამო ხანი იდგა. ჩვენი სახლის შუშაბანდს სროლის ხმა, შეძახილები და ხალხის გუგუნი მოაწყდა. ქალაქს თავზე თვითმფრინავი დასტრიალებს. ამბობენ, რომ ეს უცხოეთის თვითმფრინავია, რომ უცხოეთიდან მოეშურებიან ჩვენს საშველად. შეიარაღებულ ადამიანთა ტალღა ვაშას ძახილით აწყდება დაწესებულებებს. ისმის სროლის ხმები. ხელისუფლება ხელიდან ხელში გადადის...

მხოლოდ გვიან ღამით შეწყდა საბრძოლო ხმაური. აჯანყებულები დამარცხდნენ...

დაიწყო სასტიკი ანგარიშსწორება... მესამე თუ მეოთხე დღეს შეგვზარა გამაოგნებელმა ცნობამ: ჭიათურა-საჩხერის რჩეული ადამიანებით — წერეთლებით, აბაშიძეებით, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებით სავსე ჭიათურა-შორაპნის მატარებლის სამი თუ ოთხი ვაგონი, რომელნიც თბილისის ციხეებში უნდა გადაეყვანათ, შორაპანში დაუცხრილავთო. ერთმანეთში არეულ-ალესილი ყოფილა ადამიანთა სხეულების, მათი ლოგინების ნაფლეთებისა და ვაგონების ფიცრების ნამტვრევები. ლიანდაგებში კი სისხლი ნაკადულებად მიედინებოდაო. ისიც ითქვა, რომ ჭიათურას, მოვლენებისათვის ერთი დღით დაუსწრია — რომ საყოველთაო აჯანყება 29 აგვისტოსთვის ყოფილა დაგეგმილი. ქალაქი ხმაგაკმენდილია. თავზარდაცემული ადამიანები ლანდებივით დადიან, ჩურჩულით ლაპარაკობენ.

რამდენიმე დღის შემდეგ, თბილისიდანაც შემზარავი ამბავი მოგვდის: 28 აგვისტოს, ღამით, გუნიბის ქუჩაზე, კორნელი კეკელიძის ბინაში შეკრებილი ყოფილა ახალგაზრდების ჯგუფი. მათ შორის კორნელის უფროსი ვაჟი ალექსი (ლუსიკა) და ჩემი ძმა — ახალგაზრდა სოციალისტ-ფედერალისტთა კომიტეტის მდივანი. იმ ღამით კორნელი და მისი მეუღლე მინადორა კასრაძე, რომელიც დედაჩემის ბიძაშვილი იყო და თანაკლასელი ეპარქიული სასწავლებლიდან, აგარაკზე ყოფილან. სრულიად მოულოდნელად, უთუოდ ვიღაცის დაბეზღებით, ბინას ჩეკისტები დასხმიან თავს. ახალგაზრდებს ერთ-ერთი თავდამსხმელი მეორე სართულიდან გადაუგდიათ და გაქცეულანო. ვახტანგი სახურავზე აჭრილა და იქიდან, რაღაც გზებით, ვარდისუბნის ქუჩამდე მიუღწევია, რომ ამხანაგის ბინაში თავი შეეფარებინა. იმ დილაადრიან, ეზოს ჭიშკართან თურმე მენახშირე საქმიანობდა. ვახტანგს დადეენებული ჩეკისტების შეკითხვაზე, ამ ეზოში, ახლა, ხომ არავის შემოურბენიაო, მენახშირეს უარით უპასუხნია და მათაც გაუგრძელებიათ გზა. ასე გადაურჩენია ჩემი ძმა უცნობ მენახშირეს. იმ ჯგუფიდან რამდენიმეს დაუღწევია თავი და გადარჩენილან. მხოლოდ ალექსი კეკელიძე და არ ვიცი კიდევ ვინ, ჩეკისტებს შეუპყრიათ და დაუხვრეტიათ.

ჩემი ძმა იმალება. ამასობაში, უცხოეთში გაპარვის მსურველთა 50-კაციანი ჯგუფი შედგა. იმ ჯგუფს ვახტანგი ქობულეთში ელოდება, მაგრამ, ეტყობა, ამ ჯგუფშიაც აღმოჩნდა გამცემი, იგი ქობულეთში დააპატიმრეს და თბილისის ციხეში გადააგზავნეს. უმკაცრეს ზამთარში, ცემა-გვემაში, ციხის საპირფარეშოში გატარებული 17-დღიანი შიმშილობის შემდეგ, ვახტანგი ნეკნებჩამტვრეული, თითქმის უგონოდ, შეუთრევიათ ციხის ერთ-ერთ საკანში, სადაც მის ბედად, პოლიტპატიმარი ექიმი ლავრენტი სარალიძე იმყოფებოდა.

1925 წლის აგვისტოში, ჩემს ძმას სანახავად მისული მამისათვის უცნობებია, რომ მას მეორე დღეს ათავისუფლებდნენ და ლოგინი და თბილი ტანსაცმელი შინ გამოუტანებია. ამაოდ ველოდით. კარგა ხნის სირბილის შემდეგ მამამ გაიგო, რომ მისი შვილი, თეთრი ტანსაცმლის ამარა დარჩენილი, ჩრდილოეთში გადაუსახლებიათ. საჭირო იყო სასწრაფო დახმარება. მამამ სოფელში სახლი გაყიდა და გადასახლებულს დაედევნა. იგი, მოსკოვისაკენ მიმავალი, რკინიგზის ყოველ სადგურზე კითხულობდა „ეტაპით" გაგზავნილი ტუსაღების ამბავს, მაგრამ ვერაფერი შეიტყო. ასევე კარგა ხანს აწყდებოდა მოსკოვის ციხეებსაც და ბოლოს გაიგო, რომ მისი ვაჟი ბუტირის (ე.წ. ბუტირკა) საპყრობილედან — თეთრ ზღვაზე, სოლოვკის კუნძულზე გადაუსახლებიათ.

მამამ ისიც შეიტყო, რომ ვახტანგი ბუტირის ციხის საკანში ქურდებთან ერთად იმყოფებოდა, რომ ცემენტის იატაკზე თეთრი, საზაფხულო ტანსაცმლით წოლის გამო, თირკმლების ანთება დამართნია. ცხადია, მარილიანი ქაშაყის ნახარში მომაკვდინებელი იყო და ვიღაცას მისთვის ერთი ცალი შავი პური და მასთან „ბუშლატი" შეუგზავნია. ერთ-ერთ პატიმარს ჩემი ძმა გაუფრთხილებია, რომ ქურდები ქურთუკისა და პურის მოპარვას უპირებდნენ. ამიტომ იგი ქურთუკში გახვეულა და პური თავქვეშ ამოუდვია. ქურდებს იმ ამხანაგზე ეჭვი აუღიათ და იქვე, ვახტანგის თვალწინ მოუკლავთ.

შვილის სოლოვკაში გადასახლებით გამწარებულ მამაჩემს დახმარებისთვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნისათვის, აბელ ენუქიძისთვის მიუმართავს, რომ მისთვის საშუალება მიეცათ სოლოვკაში ჩასვლისა და პატიმრისათვის თბილი ტანსაცმლის მიწოდებისა. აბელ ენუქიძეს გულთან ახლო მიუტანია ჭიათურელი მასწავლებლის თხოვნა, ოღონდ მკაცრად გაუფრთხილებიათ, სამ დღეში უკანვე გამობრუნებულიყო, რადგან ნავიგაციის დაკეტვის დრო ახლოვდებოდა. გერვასი ბარათაშვილი პოლიტპატიმართა მიერ გამოცხადებული შიმშილობის მეცხრამეტე დღეს ჩავიდა სოლოვკაში. ბანაკის ხელმძღვანელობას უთქვამს ვახტანგისათვის: მამაშენი ჩამოვიდა საქართველოდან და თუ შიმშილობას შეეშვები, გიჩვენებთო. მამა კი არა, დედაც რომ ჩამოვიდეს, შიმშილობას არ შეეშვები, სანამ თქვენ არ მოგვიხსნით ბანდიტების იარლიყს! ჩვენ პოლიტიკური პატიმრები ვართ და არა ბანდიტები და არა გაქვთ უფლება, მათთან ერთად, ამ ყინვებში, ტყის ჩეხვაზე გვიყენებდეთო.

„სამართლიანმა ხელისუფალმა
ჩვენი ქვეყანა „გაასუფთავა"
და გადადგნა შორს „ბანდიტები
ზურგზე მიკრული იარლიყებით.
და რომ შეარქვეს „მკვლელი. მზაკვარი
(ამ ფოტოზეა ბევრი მათგანი).
იყვნენ სამშობლოს გედით დამწვარნი.
მისი ტკივილით ნაავადარნი.
...გადავინყება რა სათქმელია!
გულო. შორეულო ხსოვნას შეები...
ახლა კედლიდან გადმომყურებიან
ჩვენი ქართველი „სოლოვკელები

(„კედლის ფოტოსთან")



სოლოვეცკის საკონცენტრაციო ბანაკი 1. ადეიშვილი ამბერკი, 2. თოდუა გიორგი, 3. კეჟახმაძე ვასო, 4. თელია სოლომონ, 5. გოთუა ლევან, 6. ქვირია კალისტრატე, 7. დავითაშვილი ვასო, 8. ჟვანია იოსები, 9. ხუბულავა კანდო, 10. აბესაძე შოთა, დგებუაძე მეტია, 12. კაკელიძე სერაფიონ, 13. ბარათაშვილი ვახტანგი, 14. შონია მიშა, 15. კარანაკოზაშვილი ბიქტორ; 16. ხელაძე ვანო, 17. ვაშაკიძე ბესო, 18. მეკეხია სიმონი; 19. დავითაშვილი ვანო; 20. აროშიძე სევერიანე, 21. ჯაყელი დომენტი, 22. ლამბაშიძე პარმენი, 23. ახახგერი სანდრო, 24. ჟენია ცილვა, 25. წულაძე აფტონი, 26. კურცხალია პეტრე 1926 წ

ამრიგად, მამას უშედეგოდ, შვილის უნახავად უნევდა უკან გამობრუნება, მაგრამ ერთ მცველს შებრალებია იგი და მამა-შვილი ერთმანეთისათვის შეუხვედრებია. ასე გაიგო მამამ სოლოვკელი პოლიტპატიმრების შიმშილობის ამბავი და მოსკოვში დაბრუნებულმა, დაპირებისამებრ, დაწერა მოხსენებითი ბარათი აბელ ენუქიძის სახელზე.

რამდენიმე დღის შემდეგ იგი სსრკ გენერალურ პროკურორს გამოუძახებია.

— ეს თქვენი დაწერილია? უჩვენებია წითელი მელნით ხაზგასმული მოხსენებითი ბარათი.

— დიახ!

— მერედა, გესმით, რა მოგელით ასეთი ცილისწამებისათვის?

— რაც მანდ წერია, სრული სიმართლეა!

— ჩვენ სასტიკად გაფრთხილებული გვყავს ბანაკების ხელმძღვანელები და არც ერთ ბანაკში არ შეიძლება იყვნენ მოშიმშილეები!

— ვიმეორებ, ჩემი დაწერილის გამო პასუხს ვაგებ! ის ერთი ბიჭი მყავს და თუ დამეღუპა, აღარც მე მინდა სიცოცხლე! შეამოწმეთ!

შემოწმებამ დაადასტურა ინფორმაციის სიმართლე და როგორც გავიგეთ, ამას ბანაკის ხელმძღვანელობის შეცვლა მოჰყოლია. ხოლო მალე სოლოვკის პოლიტპატიმრებისათვის და, მათ შორის, ჩემი ძმისთვის, იქ ყოფნის ვადა სამი წლით შეუმცირებიათ. დარჩენილი დრო ჯერ მოსკოვში — რამდენიმე თვე, შემდეგ სარატოვში, ჩუვაშეთსა და ბოლოს ურალზე, ეგრეთ წოდებულ თავისუფალ გადასახლებაში გაატარა.

დედამ და მამამ ვახტანგი მოსკოვში ინახულეს, მე და მამაჩემმა — სარატოვში და ბოლოს, მე და ჩემმა მეუღლემ — ჩუვაშეთში.

❦ ❦ ❦

მივუბრუნდეთ 1924 წელს. დედამ ჩემი კორბოულელი ამხანაგების, თანაკლასელების, თამარ და ნინო ხარშილაძეების, ანიკო ტაბატაძის თხოვნა შეასრულა და ორი კვირით მათთან გამიშვა. თამარის მშობლები შინ არ იყვნენ, ნათესავებთან იყვნენ წასულები, ასე რომ, გოგოებს დაგვრჩა ბურთი და მოედანი. ერთ საღამოს, პირველად ჩვენს სიცოცხლეში, დავლიეთ კიდეც და ისე მოვილხინეთ, მეზობლებს უთქვამთ: ისეთი ზრიალი ისმოდა ლავრენტის სახლიდან, გვეგონა, რაღაც უბედურება მოხდაო. კორბოულიდან დაბრუნების რამდენიმე დღის შემდეგ, ერთ-ერთი ჩვენი ნათესავის ორსართულიანი სახლის ხის კიბეზე ფეხი დამისხლტა და რახრახით წამოვედი, ყოველ საფეხურზე კისრის მალებით ვეხეთქებოდი და ბოლომდე რომ ჩამოვაღწიე, თითქმის ერთი საათით დავკარგე მეტყველების უნარი. მაგრამ დედაჩემისათვის ეს ამბავი არ გამიმხელია. რამდენიმე დღეში დატეხილმა უბედურებამ — აგვისტოს გამოსვლებმა და მომდევნო რეპრესიებმა თავიც დამავიწყა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ,

ჩვენი ოჯახის უდიდესი გაჭირვების ჟამს, როდესაც ვახტანგი თბილისის ციხეში იყო, დედაჩემი საავადმყოფოში იწვა, მამა კი ციხესა და საავადმყოფოს შორის მიმორბოდა, ჭიათურაში, მამიდაჩემთან დატოვებული, მძიმედ ავად შევიქენი — ერთი წლის წინანდელმა დაუეჭვილობამ, შეშუპებამ, სასტიკი ტკივილებით თავი იჩინა და სიცხემ ამინია.

სიახლოვე აჭარასთან. 20-იანი წლების ჩემი ჭიათურა

ჭიათურის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგემ, ბრწყინვალე დასტაქარმა სერგო ხუნდაძემ, კისრის მალებიდან ჩირქი ამომიღო. ამ გარემოებამ ქირურგი შეაშფოთა და თუმცა ჩვენი ოჯახიდან დავალებული არასოდეს ყოფილა, ეტყობა, იცოდა ჩვენი მდგომარეობა და იმდენად შეევებრალე, რომ თავად წამიყვანა თბილისში, ცნობილ რენტგენოლოგ გიორგი ნაზარიშვილთან. რა დამავიწყებს სერგო ხუნდაძის ცრემლმორეულ, გაბრწყინებულ სახეს: „მიხარია, გილოცავ ჩემო გოგონი, გილოცავ, რომ ჩემი ეჭვი არ დადასტურდა! ოღონდ აუცილებლად უნდა წახვიდე ქობულეთში და ცხელი ქვიშით იმკურნალო — ყოველდღიურად 15-20 წუთით, წელს ზემოთ, ცხელ ქვიშაში ჩაწვები. იცოდე, არ გადადო, ოქტომბერშივე წახვალ ქობულეთში“.

თბილისს შემოვრჩი. დედაც საავადმყოფოდან გამოეწერა და მის ძმასთან ვართ. ერთ დღეს, ციხიდან წინა დღით გათავისუფლებული ვახტანგის ამხანაგი, შემდგომში ცნობილი საზოგადო მოღვაწე, იურისტი იუსუფ ცივაძე გვეწვია, ვახტანგის ამბები მოგვიტანა და როდესაც ჩემი ამბავი შეიტყო, ქობულეთში, მის მშობლებთან გაჩერება შემოგვთავაზა. მე და დეიდაჩემი მართლაც ასე მოვიქეცით, თითქმის ერთი თვე ცივაძეების ოჯახში გავატარეთ და ის ერთი თვე აჭარასთან ჩემი დამეგობრების მტკიცე საძირკვლად იქცა. აჭარასთან პირველი ნაცნობობა კი ორი წლით ადრე მოხდა.

მამაჩემმა ბათუმში ჩამიყვანა. მის ცნობილ ბულვარში ძელსკამზე ვზივარ, ირგვლივ აუწერელი სილამაზეა — ზღვა, პალმები, ყვავილები. სამი ჩადრიანი ქალი მომიჯდა გვერდით. პირველად ვხედავ ჩადრიან ქალებს. სახეზე ნეტავი როგორები არიან? ცნობისმოყვარეობა მომეძალა. ვთხოვე, ერთი წუთით გადაეწიათ პირბადე. — არა, აქ ვერა! პაწიას რომ დავისვენებთ, იქით ქუჩაზე გადავიდეთ და სახლს მივეფაროთო. ორმა მათგანმა მოლოდინი ვერ გამიმართლა, სამაგიეროდ, მესამე იყო ახალგაზრდა, თანაც — მშვენიერი. რამდენი ასეთია, ალბათ, ჩადრს მიღმა დამარხული... რატომ, რა დააშავეს? ეფიქრობ...

ბაღმაც, ბათუმმაც მომხიბელელობა დაკარგა ჩემს თვალში. იმ ყმაწვილი ქალის მიმართ სიბრალული ტკივილად მექცა და, აჭარელი ქალის ბედით დაინტერესება, მათი ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლის წყურვილსა და, ბოლოს, მრავალ აჭარელ ქალთან მეგობრობაში გადაიზარდა.

1925 წელს, სასწავლებლის დამთავრებისთანავე დავიწყე მუშაობა ჯერ ქალაქის აღმასკომის საფინანსო განყოფილებაში, შემდეგ კი სახელმწიფო ბანკის ჭიათურის ფილიალში. დიდი სურვილის მიუხედავად, უნივერსიტეტში სწავლა ვერ განვაგრძე შვილის გადასახლებით ტრავმირებული ავადმყოფი დედა და სანახევროდ უმუშევარი მამა ვერ მივატოვე. თანაც, მართალია დედა-ჩემის ძმებიც, შიო პაპაც, ოჯახებით თბილისში ცხოვრობდნენ, მაგრამ რომელს მივდგომოდი კარს? ჩემს ძმასაც ხომ დახმარება სჭირდებოდა, რათა გადა-გვერჩინა კაპიკს კაპიკზე ვადებდი მის დასახმარებლად, ცოტ-ცოტა ფულსაც ვაგროვებდი, გადასახლებაში მის მოსანახულებლად.

გადის დრო... ჩვენი ოჯახი ვახტანგის ამბებისა და წერილების მოლოდინით ცხოვრობს. ამ მოლოდინის შესამსუბუქებლად დედაჩემთან მისი მეგობრები მოდიან: საოცრად თბილი, დარბაისელი, მუდამ შავებში გამოწყობილი, მაღა-



შორაპნის სამაზრო ფინანსების თანამშრომლები, ჯერ რიგში ვიქტორ ქიფიანი, მიშა გურული, შალვა სახვაძე, პაველ ჩანტლაძე, მარიკა ბარათაშვილი, ანდრო გაჩეჩილაძე, მეორე რიგში , მარუსია ქლენტი-წაქაძე, ევსევია ვაშაძე, იროდიონ გურჯანაძე, ბიძენტი აბესაძე, რეზეკა ვაშაძე, ტიხონ ჭიჭილეიძე, მესამე რიგში ლაღუნდარიძე, ლიმონ აბულაძე, იასონრე გოგოლაშვილი, ვლადიმერ გაჩეჩილაძე, ნინი მეგუქე, უკან დგანან იგორ, ნერეთელი, გესარიონ დევიძე, წინ ზის მეტრონიძის ვაჟი ქ ჭიათურა 1926 წ 29 აპრილი

ლი, სასიამოვნო გარეგნობის ბიცოლა ნინუცა გიგინეიშვილი, დიდად ღვთისმოსავი ივლიტა ვაშაძე, სამონაზვნოდ გამზადებული მღვიმევის მონასტრიდან რომ მოუტაცნია მონასტრის დარაჯს, შემდგომში შავი ქვის მრეწველს ისაია გაფრინდაშვილს და ჩემი ანუშკა მამიდა. ქალები ჩვენს შუშაბანდში სხდებიან და საუბრობენ ქვეყნისა და ადამიანების ავ-კარგზე, მათ ჭირსა თუ ლხინზე...

— ა, ნახავთ, ქალბატონო ვერა, რატომღაც ერთმანეთს ქალბატონობით ელაპარაკებიან, ნახავთ, ამ დღეებში თუ წერილი არ მიიღოთ! ისეთი სიზმარი ვნახე, რომ წერილი ნამდვილად გზაშია.

მართლა, ნინუცა ბიცოლა?! — ვეღარ ვითმენ, რომ საუბარში არ ჩავერთო, — მეც მინდა მჯეროდეს, რომ ჩემი ძმა კარგადაა.

— აბა რაია, ნენა! — მამშვიდებს ნინუცა გიგინეიშვილი, მას კარგა ხანია ქმარი გარდაეცვალა, არც შვილი ჰყავს, არც ვინმე ნათესავი და მთელი გულით ჩვენზეა მოკედლებული, ჩვენი ოჯახების ცხოვრებით ცხოვრობს, — სიმონისა და დათიკოსგან რა ამბებია? — ეკითხება მამიდაჩემს.

— არაფერი. ვერც ვკითხულობთ, ვისაც ვინმე გვყავს უცხოეთში, აქ მგლებივით გვიყურებენ.

— სამაგალითო! მერედა თავად არ გაუშვეს სასწავლებლად? — ვთქვათ ვახტანგმა დააშავა... თუმცა რა დანაშაულია, ბიჭს სწავლა უნდოდეს და თუ არ გაუშვეს, გაპარვა გადაწყვიტოს?!

— ჩემი ძმისშვილი ჩავარდა, თორემ, განა ერთმა და ორმა მოახერხა გაპარვა? ესეც ჩვენი ოჯახების ბედია! — ამბობს მამიდაჩემი.

— იმათ წერილებსაც მიიღებთ, ა, ნახავთ თუ არა! ღმერთია მოწყალე, ჩემო ანუშკა! — პირჯვრის წერით ამბობს ივლიტა — აგერ, ხომ მოგვივიდა ჩემი მიშას წერილი პარიზიდან.

— ჩემები ხომ გერმანიაში არიან?

— სადაც გაუშვეს, იქ არიან! მერე და ამით რა დაშავდა, ჯარს მოუძღვიან აქეთ თუ რა! — ესარჩლება დედაჩემი მულისშვილებს. — ჰოდა, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული! სწავლას დაამთავრებენ და ჩვენი ინჟინერი ბიჭები ბედნიერად დაგვიბრუნდებიან გერმანიიდან. ვარწიოთ მერე შვილიშვილების აკვნები და... ჰო, რაო, შენი მიშა, რას იწერება?

— წნევის წამალს ვთხოვდით, გაეკითხ-გამოეკითხა და იცით, რას იწერება? თქვენ რომ ნიორი და ნიგოზი გაქვთ, წნევისათვის იმაზე უკეთესი არ არსებობსო. ღვთის წინაშე, აქაც მირჩია ერთმა ნაცნობმა, მაგრამ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო. ჰო, მამა ისაიას საქმე როგორაა? — კითხულობს ივლიტა.

— დადის თავის ეკლესიაში, მაგრამ ვაი, იმ სიარულს! ზოგიერთი არაკაცი ცოფდება მღვდლის დანახვაზე. ბავშვებიც კი ისე გააფუჭეს, რომ როგორც კი ისაია მისი ჯორით ქუჩაში გამოჩნდება, — მღვდელო, კუდი აუწიეო — მისძახიან. თან გვანერვენ და გვაწერენ გადასახადებს, სახლის გაყიდვით გვემუქრებიან. თავი დავანებოთ ასეთ ამბებს! ჯობია, ამ გოგოს ვკითხოთ, როგორ შეეგუა სამსახურს.

არა უშავს, მამიდა! უცებ გონს მოვეგე, ვიცი, როგორ განიცდის დედაჩემი უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება რომ ვერ შევძელი, კარგად, ძალიან კარგად, კმაყოფილი ვარ! და მეტი რომ არაფერი შემეკითხონ, ეზოში გავრბივარ და ჩემს საყვარელ კუთხეში, ჩის მაგიდასთან ვჯდები.

შებინდებულზე ეზოში, სურნელოვანი, თეთრი, წვრილი ყვავილები თვალს ახელენ და ზღაპრულ სანახაობას ქმნიან. ყვავილების თეთრ ზღვაში, ხეების მწვანე ქოლგის ქვეშ შეყუჟული გავცქერი ქალაქს. ჩემი ოცნება მაღლა-მაღლა იწევს და საშევარდნოს მთას სცილდება... დიდი ხანი არ არის, რაც შინ დავბრუნდი. ჭიათურიდან მაზრა ზესტაფონში გადაიტანეს და მეც აღმასკომის სხვა თანამშრომლებთან ერთად წამიყვანეს, მაგრამ რამდენიმე თვეში მივატოვე ზესტაფონი და ახლა სახელმწიფო ბანკის ჭიათურის ფილიალში ვმუშაობ მოანგარიშედ. თავისუფალი დრო საკმაოდ მრჩება და სამუშაო მაგიდის უჯრაში გადაშლილ წიგნს მალულად ვკითხულობ.

ჭიათურაში ახლა ამერიკელთა მოძალებაა და ქალაქიც განსაკუთრებით გამოცოცხლებულია. ძველი თეატრის შენობაში შესანიშნავი სპექტაკლები იმართება — გასტროლიორებს გასტროლიორები ცვლიან: მესხიშვილი, იმედაშვილი, დადიანი... რამდენიმე სეზონი გაატარეს აქ ნინო ჩხეიძემ და მიხეილ ქორელმა, ვანო და ვერა ბარველებმა, პავლე ფრანგიშვილმა, თამარ აბაშიძემ, ალაზნისპირელმა... თეატრს ადგილობრივი დასიც ჰყავს: გიორგი ნუცუბიძე, ნატალია ბერძენიშვილი, ანა სიხარულიძე, ბიტოლია ლუჟავა, იანგო აფტალიდი... და იდგმება მშვენიერი სპექტაკლები: „რღვევა", „დღენი ჩვენი ცხოვრებ-



ნათესავები: მალვა ჩაფიჩაძე, ელენე კარიაძე, მარიკა ბარათაშვილი, გაბო თავარქილაძე 1927 წ

ისა", „№21 ჯვრით", „გუშინდელნი", „ბერდო ზმანია"... მარტო ნინო ჩხეიძის ნახვა „უბედურ ნაბიჯში" რად ღირს!

როდესაც თბილისში ელენე დეიდასთან ჩავდივარ, ოპერისა და რუსთაველის თეატრების ხშირი სტუმრები ვართ. „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „კარმენი", „ტრავიატა", „ლამარა", „ანზორი", „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ", „ჰამლეტი", „ყაჩაღები"... შემდეგში, ჭიათურაშიც იმ სპექტაკლების მოგონებით ვცხოვრობ... ისიც საოცრად მეამაყება, რომ ჭიათურაში, მამიდაჩემის სარდაფში დადგმული სპექტაკლების რეჟისორი უშანგი ჩხეიძე ახლა რუსთაველის სახელობის თეატრის უნიჭიერეს მსახიობად ითვლება, მაგრამ მისმა დამ და ჩემმა მეგობარმა გოგოლიამ მითხრა: უშანგი ისე განიცდის თავის როლებს, რომ მაგალითად, ჰამლეტის თამაშის შემდეგ, შინ დაბრუნებისას, ტემპერატურა 39-40 გრადუსამდე უწევს ხოლმეო. ამ ამბავმა ძალზე შემაშფოთა.

...ერთმა მეგობარმა ქართველ ემიგრანტთა ლევილის სასაფლაოს ქვაზე ლექსად ნარწერილი კოკი დადიანის ანდერძი გადმომცა:

მითხარ შენდობა... და ჩემს მხარესა.
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა.
სთქვი. რომ ნარნერა იხილე ლოდზე:
„ძვლებიც კი ჰფიქრობს საქართველოზე"

ეს სტრიქონები ისევე ამეკვიატა, როგორც მეორე ემიგრანტის, ასევე ლოდზე წარწერილი: „ვარ საქართველოს უნუგეშო ჭირისუფალი" და მოსვენებას არ მაძლევს... ვინ იცის, სამშობლოსგან ლტოლვილის კიდევ რამდენი საფლავი გაითხრება უცხო მხარეში! ვინ იცის, საქართველოს ნოსტალგიით დაავადებული რამდენი ატარებს უსასოო დღეებს უცხოეთის ცის ქვეშ! ერთი მათგანის, ბელგიაში დაღუპულის ამბავიც შემორჩა ჩემი ლექსების კრებულს:

ქრება სიოსხლე შორეულ ჯის ქვეშ,
ზემო-იმერელ ნერეთლის ქალის...
ო. შემახედეთ ქართული ჯისთვის.
შემომასხურეთ ყვირილას წყალი!
რაო. მკურნალმა – სენს რა ჰქვიაო?
ძალა ნამერთვა. ვეღარ ვერევი...
– უბრალოდ... მხოლოდ... ნოსტალგიაო...
– მოურჩენელი. მოურჩენელი...
საფ აფრენილი. ფრთას საით ვკეცავ.
ჰეი. საფ ვკვდები ნერეთლის ქალი!
ნამით მაჩვენეთ ქართული ზეცა!..
შემომასხურეთ ყვირილას წყალი!..

(„ნერეთლის ქალი")

რა ბედი ეწევათ, ნეტავ ჩემს ამხანაგებს. თუნდაც მარტო ჩემი კლასიდან: ბუჭუტა (ლევან) ფალავას (შემდგომში ნოე ჟორდანიას სიძე), ირაკლი ოთხმეზურს, არისტოტელე გველესიანსა და მათთან ერთად: მიშა გაფრინდაშვილს (ივლიტას ვაჟი), პავლე ვაშაძესა და ჯაბა ხაბულიანს... ნეტავი, როგორ არიან, როდის დაგვიბრუნდებიან, ან საერთოდ, დაბრუნდებიან? მაინც ისეთი ამბებია საქართველოში, განსაკუთრებით აჯანყების შემდეგ, რომ... და ჩემი დარდიანი ფიქრები ხან ვახტანგს დასტრიალებს თავს, ხან დათიკოს, სიმონსა თუ ჩემს ამხანაგებს, ან საერთოდ, სასწავლებლად წასულებსა თუ გადახვეწილებს.

ბოლო ხანს მარტოობის გრძნობა მეუფლება. შევნატრი იმ მეგობრებს, რომელთაც უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება მოუხერხდათ, ჩემი მდგომარეობიდან გამოსავალს ვერ ვხედავ და სევდა უფრო მიპყრობს ბოლოს კი — მეტისმეტადაც.

...სიმები დანყდა არფას სულისას...
რიღათი შევთხზავ ოჯნების ზღაპრებს,
ან მელოდიას გაზაფხულისას?
და მიპყრობს სევდა. ფიქრები – მწვავე.
მზის სიკისკასე არ მიხარია.
ცრუ სამარეში კოშკი დავმარხე.
სულშიაც ცრუ ქარიშხალია...



მარიკა. 1928 წ.

(1927 წ.)

— ოჯახისშვილებო, შინა ხართ? — ოცნებიდან მაფხიზლებს ელენე დეიდას ხმა, თბილისის მატარებელს ჩამოჰყოლია და მამასთან ერთად შემოალო ჭიშკარი. ამაზე მეტად რა გამახარებდა!

— აჰა, ხომ მოგიყვანე შენი ელენე დეიდა, გაიხარე! — მეუბნება მამაჩემი.

ჩვენი შუშაბანდიც ახმაურდა.

— ვერიჩკა! ვახტანგის წერილი ჩამოგიტანე, გუშინ მივიღე.

— ჩვენ კი, წერილმა რომ დააგვიანა, დარდით აღარ ვიყავით!

— დაც ასეთი უნდა! — ამბობს მამიდაჩემი.

— ა, ბატონო, ხომ ახდა ჩემი სიზმარი! — სახე ებადრება ნინუცა ბიცოლას.

— მართლაც, მართლაც! დიდება შენდა, უფალო! — პირჯვარს იწერს ივლიტა — ღვთისნიერი რომ ხარ, ვერა, ღმერთიც გწყალობს და მშვიდობით დაგვიბრუნებს ჩვენს ვახტანგს.



На добрую память
тете - Елене
от Вахтанга

1926г. 20 фев.
станов. Соловки =

ს სტამბოვი.

ძვირფასო Ლალო!

ნინოს ხარ? ვისი შვილები ხომ ბოროტი ნუბიელი ანა ბედს მაცდურ ისარაშვილება ჯერ თითიანი ზარეულობა-ზე ბის ზაგრეზ ეი ფსიქიატრებ ჩვენს გაბიღები ვიღინალია კანკუ მასაკუთა. ზაღებლივათ იბისა ხომ ბევრი ანეკ. მაინც ვეს ბასწავლ ყველასწყვისო. ანას გამრა შეზეულობა მეჭვს თვა წვისა და ესპიდ ხოლა ხასაითხეულ ანა ვინ, სულ კარეკა ვაეზიანენ ხალი ზილია ვინა სპეციო- ლეკნ ნინე ვანდა და ყველა ალაგ თელდეწყვისო ია- ნინებან. ბაგაც ჯ ნო გაგაიწყოთ გათვი. ეი ტეკი ყოლ ეიხოპოლ ყოველ ზაგათები ლაღიან ბილ ი, ისეთსასაცხა ,ბეკეყოლ და სილ ყველილ ინწყებს ჩვენ ვე ყიზნის ღლეები. ჩვენ ეკაი ანაკინ ვინის გელთახალეკლი ეანთველები და ეთე ანი, ხოეთ ვინეკი. ან სანკლოვენ ყნიველსოეკ ჩვენი ხაგლინიგ ეანთველი ეხეა გაყლინისბა ბაღეყვა და ყველა სანრისველოსაენ ეგბეგსკისა - ზეიღილდ ეკ ვინეკი ან ეხეი ჩენი ხლბიგსი ხილიღლი თილისში და ლა- ვიველე ან ნენიღის შენთვის გაკლეოსენ ეიიტ- .ბის ყველაზე ხიეხი ენი ვაბს ხნენიღილი ღილეე სარეყლოვე. ანები ეკანკვილია

ანა გამოპასუხები და ჩემი ან ყოფილხის ამბები ან ანტონოსკას ია ვ. ეპა ყოველ- ყველასგვის ვიხილი.

ხალა ია ხიმბილი ღმილა. ზიანვეს ეკიელი კანკი. და ენ ანაკვსკვეზ.

ზიანიანიანი ყველა ჩვენები

ბაში-სპიში ლიკანინეს - ვანეს ეპინე - ილილია

ანეკიანინეკი - ენა კალს ყველა

ან ზიიანიანენ. ეხიი სიყვით ყველა

ჰვიჰაი ხია ყველილ ხით

იყვი ანანგაი

ანი ვანკლი

ქ. სარატოვი. 8/VI-1928

ძვირფასო დეიდა!

როგორა ხარ? ვიცი მემდური, წერილს ხშირად რომ არ გწერ, მაგრამ არა უშავს რა. შენ თვითონ ზარმაცობ — მე მის შემდეგ კი მეპატიება. ჩემი მაგიდის უჯრაში 30 წერილია პასუხგასაცემი, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვწერ, მაინც ვერ ვასწრებ ყველას ვუპასუხო. ამას გარდა შეზღუდული გვაქვს თემა წერისა და, ხშირად, როცა ხასიათზედაც არა ვარ, სულაც უპასუხობას ვამჯობინებ ხოლმე. ბიცოლა მაშო, სერგო, ლევანი, ნინა, ვანცა და ყველანი ალბათ, გულდაწყვეტილი იქნებიან, მაგრამ ნუ გამამტყუნებთ მაინც. მე ძველებურად ვცხოვრობ. შაბათობით დავდივარ ხოლმე რეგისტრაციაზე „გეპეუში“ და სულ უფერულად იწურება ჩემი აქ ყოფნის დღეები. ჩემს მეტი აქ არავინ არის გადმოსახლებული ქართველი და ხომ იცი, როგორ ვიქნები. აქ, უნივერსიტეტში სწავლობს რამდენიმე ქართველი. ეხლა მეცადინეობა გათავდა და ყველა საქართველოსაკენ გაემგზავრება — მხოლოდ მე ვრჩები აქ. ერთი ჩემი მეგობარი მოდიოდა თბილისში და დავავალე ამ წერილის შენთვის გადმოცემა თითქმის ყველაზე უფრო მეტად მაგას ვხვდებოდი ხოლმე სარატოვში. კარგი ყმაწვილია. დარწმუნებული ვარ, გამოესაუბრები და ჩემი აქ ცხოვრების ამბები თუ გაინტერესებს და ჯანზე ყოფნა, ყველაფერს გეტყვის.

სხვა რა მოგწერო დეიდა. მომწერე ვრცელი ამბები და მეც გიპასუხებ. მომიკითხე ყველა ჩვენები. მაშო-სერგო, ლევანი-ნინა-ვანცა-ნინა, დეიდა განსაკუთრებით — ნინა, ელო, პატარა მაყვალა და შიოანთელები. ერთი სიტყვით, ყველა. ჯერჯერობით მშვიდობით. იყავით კარგად

შენი ვახტანგი.

...გვიანობამდე ველარ ვიძინებთ. თავზე ვარსკვლავებით მოჭედილი ცა გადმოგვცქერის. რამდენი რამ გვაქვს სათქმელი ერთმანეთისათვის!..

— ილიკოს წერილი მივიღე პარიზიდან. არ გახსოვს, ჩვენთან, ჩოჩეთში, მთვარიანი ღამე და იგი, ჩემთან დასამშვიდობებლად მოსული? — მეუბნება დეიდა.

— ქაქუცა ჩოლოყაშვილის ამხანაგი?

— ჰო, ილიკო ქარუმიძეც ხომ საზღვარგარეთაა.

ერთმა კვირამ სიზმარივით გაირბინა. დეიდას წასვლას ყოველთვის დიდი წუხილით განვიცდი. დამპირდა, რომ მალე ჩამოვა და შვებულების დღეებს აქ გაატარებს. დარდი ახალმა საზრუნავმა შემიმსუბუქა: ჭიათურაში დიდი საღამო ეწყობა, რომლის შემოსავალიც თეატრის ახალი შენობის აგებას უნდა მოხმარდეს. საღამოს დიასახლისი ბანკის მმართველის, დიმიტრი თარხნიშვილის მეუღლე, თამარ აბაშიძე იქნება. საღამო-სეირნობა თეატრის ეზოში გაიმართება. მოვისმენთ საუკეთესო კონცერტს. იმუშავებს ბუფეტი, მოეწყობა აუქციონი, ლატარია, იმუშავებს ფოსტა, გაიყიდება ყვავილები...



მარიკა ელენე დეიდასთან ერთად.
1928 წ

და აი, ის სანუკვარი საღამოც! თეატრი და მისი ეზო ხალხით გაივსო. გვეწვივნენ ამერიკელი კონცესიონერებიც. თეთრი კაბა მაცვია, თავზე ყვავილების გვირგვინი მადგას, მხარზე ყვავილების კალათა მაქვს გადაკიდებული. კონცერტის დამთავრების შემდეგ სცენაზე გამოვედი და ამ საღამოსათვის დაწერილი ლექსი წავიკითხე:

როს მზეჯაბუკი გაპკოწნის ველებს,
ყვავილთა ცრფობას გულში გაივლებს.
დაჯრეფ კუკურებს – გასაკვირველებს.
ყვავილებს ვყიდი. ვყიდი ყვავილებს!..

ავანსცენიდან პარტერში ჩამოვირბინე და ყვავილების გაყიდვა დავიწყე. ყვავილებს ვაბნევ მკერდზე ადამიანებს და ცვივა და ცვივა ფული ჩემს ყულაბაში... განსაკუთრებული გულუხვობით ამერიკელები გამოირჩევიან.

...ნავარძეთში გადავედი. ძალიან მომენატრა ბებიაჩემი. დღე-დღეზე ელენე დეიდას ველოდები, ქობულეთში უნდა წავიდეთ და სალომე ლაშხის ქალს კარგა ხანს ველარ ვნახავ.

ბებიას თვალები გაუბრწყინდა, მაგრამ ბევრი საალერსო სიტყვის თქმა არ უყვარს.

— მაშ, მიდიხარ გასაშავებლად?

— რომ იცოდე, ბებიაჩემო, სიშავე მოდაშია.

— რაც ჩემს ბავშვობაში ფერ-უმარილი იხარჯებოდა... მაგრამ ყველა დროს თავისი მოდა აქვს. შენ მითხარი, ვახტანგისა რა ისმის?

კარგად ვარო.

— ერთი მის ნახვას მოვესწრებოდე და...

— გამარჯობა, სალომე ექიმო!

რომელი ხარ? — შუბლი ხელით მოიჩრდილა ბებიამ. ჭიშკარი შუახნის კაცმა შემოაღო.

— ვერ მიცანი, ჩემი ოჯახის გადამრჩენელო? სპირიდონა ვარ, კაცხელი, შენ რომ ბიჭი გადამირჩინე.

— ჰოო, ახლა როგორაა?

— კარგად, იხაროს შენმა მარჯვენამ, მაგრამ ახლა მეორე გამიხდა ავად.
— კი, მაგრამ მე რომ წამლებს აღარ ვაკეთებ.
— აჰ, ეგ არ მითხრა!
— რაც მთავრობამ მიბრძანა...
— გაჭირვებულს არ უშველოო?
— ხალხის მატყუარები ხართ, ნურბელებიო...
— ნეტავი სხვა არავინ გვატყუებდეს და სისხლს არა გვწოვდეს...
— სსსუ! — ბებიამ მიიხედ-მოიხედა — მოდი აქ! — შინ შემოიყვანა. — არ გაგიგონია, ახლა კედლებსაც ყურები აქვთო? — ჩემი შვილი გაუფრთხილებიათ, დედაშენმა თუ ექიმბაშობას თავი არ დაანება...
— იმ შვილსა და შენს გადასახლებულ შვილიშვილს გაფიცებ, უარს ნუ მეტყვი, ვიღუპები, სალომე ექიმო!
— რა ვქნა? — აწრიალდა ბებიაჩემი — კარგი, კარგი! ეგერ, ვენახის ჭიშკარი გააღე და იქ იყავი, ჭურის თავზე, სანამ არ დაგიძახებ.

ბებიამ ფანჯარას ფარდა ჩამოაფარა, კარი დაკეტა, თაროდან „აფთიაქი" გადმოიღო. თიხის ტუჩიან ჯამზე წყალი დაასხა, მის გვერდით იატაკზე დაგდებულ ფიცარზე ფეხი მოიკეცა, „აფთიაქს" თავი ახადა, ირმის რქა ყუთიდან ამოიღო და წამლის დამზადებას შეუდგა. საქმეს რომ მორჩა თიხის ჯამს ხელი მოჰკიდა, მაგრამ წამოდგომა გაუჭირდა — ჯამი გახვრეტილიყო და მთელი წამალი ბებიაჩემის სამ, ერთმანეთზე გადაცმულ ნაოჭებიან ქვედა კაბას შეესრუტა. სალომე შეწუხდა, ფარდა გადასწია, ტანსაცმელი გამოიცვალა, სხვა ჯამი მოძებნა, მაგრამ ჩაფში აღარ აღმოჩნდა საკმაო წყალი. ამასობაში, სპირიდონასაც ჩასძინებოდა.

— სპირიდონ!
— ბატონო!
— სსსუ! შენ ახლა ჭალაში უნდა ჩაირბინო და წყალი ამოიტანო!

სპირიდონმა წყალი ამოიტანა, ბებიამ წამალი გაუმზადა და გაატანა.

— საქმეა ახლა, ეს? ჩემი თუ სჯერა ადამიანს, თუ შემიძლია გაჭირვებულს დავეხმარო, ამისთვის უნდა დამახრჩო, მთავრობა რომ ხარ? მე უნდა მერქვას წურბელა? რას იზამ, ძალა აღმართს ხნავსო... და კაბების ბოლოებს წყალში ავლებს და წურავს ბებიაჩემი — ათიდან ორისთვის რომ მეშველა, ბედნიერი ვიყავი, ახლა რაღა აზრი აქვს ჩემ სიცოცხლეს? ვუიმე! — შეიცხადა უეცრად — ახლა გერვასის რომ მოესწრო, რა პასუხს გავცემდი? თავისი ცეცხლი არ ეყოფა, მეც რომ არ დავუმატო?

დაბინდებამდე ჯერ კიდევ დროა და ვენახისაკენ გავრბივარ. კაკლის ცვენის დროა და მეც, როგორც ყოველთვის, ხან რას ჩავუთქვამ, ხან — რას. ვთქვათ, ვუყვარვარ თუ არ ვუყვარვარ? — დავდივარ და ვეძებ ჩამოცვენილებს...



გადასახლებული ძმის სანახავად წასვლა სარატოვს

1928 წელი. ქობულეთში წასვლა ოქტომბრისათვის დაიგეგმა, მანამდე კი მე და მამაჩემი სარატოვში, ვახტანგთან ვაპირებთ წასვლას.

...მოსკოვის მატარებლით როსტოვამდე ვიმგზავრეთ. ეს ღამე სადგურში უნდა გავათიოთ. ცხელა, ძალზე ცხელა. მოსაცდელი დარბაზის იატაკი მგზავრებითაა მოფენილი. ბუზები მწარედ იკბინებიან, მაგრამ თითქმის არ ვგრძნობ მათ შემოსევას, არც სიცხეს, არც დახუთულ ჰაერს, როგორც იქნა მოაწია დილამ და მატარებლის გასვლის დრომაც. გზა არა და არ თავდება.

ერთ-ერთი სადგურის ბაქანი ნიყვით სავსე კალათებითაა გადაყვითლებული. ეს სოკო ზემო იმერეთის გარდა თუ სადმე ხარობდა, არ მეგონა. მატარებელი თითქმის დაიცალა, სოკოს მიესია ყველა და გაივსო ვაგონი, ნიყვით კი არა, მოხარშული კიბოებით, მე რომ სოკო მეგონა. რომლებსაც დიდი მოწონებით ახრამუნებენ მგზავრები, მე კი მათი შეხედვაც არ შემიძლია, მისი სუნი ხომ მზარავს.

სარატოვის სადგურში ვახტანგი დაგვხვდა. სიზმარს უფრო ჰგავს მასთან გატარებული სამი დღე... ჩემი ძმა თავისუფალ გადასახლებაშია და განსაზღვრულ დღეებში ცხადდება სადაც ჯერ არს. მუშაობს, მაგრამ ძალზე ცოტა ხელფასს

იღებს და მიხარია, რომ მისთვის მცირეოდენ მსხვერპლს მაინც ვიღებ ეგებ, როგორმე გადაგვირჩეს და დაგვიბრუნდეს! მე და დედაჩემმა არც ვიცოდით, მისი ნეფრიტით დაავადების ამბავი, მამამაც შემთხვევით გაიგო და, საერთოდ, ცოტა რამ ვიცით მისი ციხეებისა თუ გადასახლების წლების ცხოვრებიდან, რადგანაც ვახტანგს უზომოდ ებრალება თავისი ავადმყოფი დედა, თითქმის დევნილი მამა და და, რომელსაც უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება ვერ მოუხერხდა.

ღამით შუქმა გამომაღვიძა. თავზე ვახტანგი დამცქერის. თვალზე ცრემლი ადგას. სწრაფად მოიწმინდა. გაღიმება სცადა — როგორ გაზრდილხარ! პატარა გოგო დაგტოვე და ქალიშვილად მომეელინეო!

სახლის პატრონებმა — გადამდგარი გენერლის ოჯახმა საღამოს ჩაიზე მიგვიწვია. ნამცხვრებთან ერთად სუფრაზე დარჩეული ნიგოზი გამოიტანეს. როგორც საუკეთესო, გამორჩეულ დესერტს, ნიგოზს გვთავაზობენ და ძალზე გაუკვირდათ, როდესაც გაიგეს, რომ ამ ჩინებული ნუგბარით საქართველოში კერძებს კმაზავენ. ჩვენ გამო მასპინძლებმა სტუმრებიც მოიწვიეს — ვახტანგის საამებლად, რომელმაც, ეტყობა, მათი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. გადაჭარბებით მაქებდნენ, რაც ვახტანგს იმდენად არ მოწონებია, რომ ჩვენი იქ ყოფნის სამი დღის განმავლობაში ქუჩაში არ მიშვებდა. — რა ვიცით, ათასი ლოთი და ოხერი დაეხეტება და რაიმე უსიამოვნებას არ გადაეყაროო. ღამღამობით, მართლაც შეეიქენით იმისი მოწმე, ქვაფენილიდან როგორ კრეფდნენ და „დროჟკებზე" ყრიდნენ უგონო მდგომარეობაში მყოფ მთვრალებს.

იმ საშმა დღემ სწრაფად გაირბინა. გვიჭირს ერთმანეთთან დამშვიდობება. მატარებელში ჩასხდომისთანავე იწყება ოცნება მომავალ შეხვედრაზე. ნეტავი სად მოგვიწევს შეხვედრა ერთი წლის შემდეგ?

...სარატოვიდან დავბრუნდი და ელენე დეიდასთან ერთად ქობულეთში გავემგზავრე. ისევ ჰუსეინ ცივაძის სახლში ვართ. ძალზე შეგვიყვარდა ეს ოჯახი. ოქტომბერი წვიმიანი გამოდგა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ ღამით წვიმს, დღისით კი მზიანია. გვიყვარს ჰუსეინთან და მარიამთან ერთად ცეცხლის პირას ჯდომა, სიმინდის რჩევა, ძველი აჭარის ცხოვრების ამბების მოსმენა... დილაობით ოჯახის უფროსს ლანგრით ცვრიანი იზაბელა შემოაქვს, ხან კი დიასახლისი წითელი ბრინჯის უგემრიელესი ფლავით გვიმასპინძლდება. მადლობა ღმერთს, ჩადრიან ქალებს იშვიათადღა ვხვდები.

...შვებულების მეორე ნახევარს თბილისში, ელენე დეიდასთან ვატარებ. ელენე დეიდა მთაწმინდაზე, ჭავჭავაძის ქუჩის თავში, თხინვალის შესახვევში ცხოვრობს და თითქმის ყოველ საღამოს რუსთაველისა და ოპერის თეატრებში ვართ. ერთ საღამოსაც ვსხედვართ და დეიდაჩემი ილიკოს წერილებს მიკითხავს. ბლომად დაგროვებია წერილები. თვითონაც ეპასუხება და, საერთოდ, მათი ცხოვრება წერილების მოლოდინად ქცეულა. ეღირსებათ კი ოდესმე შეხვედრა? ეს არის ახლა ჩვენი საფიქრალი...

ეჰ, მართლაც რად არ ვარ ზღაპრული მზეთუნახავი...

კარზე დააკაკუნეს. კარი გავაღე და საოცრად დავიბენი... კარს მიღმა „ის“ დგას — ჩემი პირველი და გაუმხელელი გატაცება.

— ეს წერილი მამათქვენმა გამომატანა ჭიათურიდან. რა სასიამოვნო ხმა ჰქონია! — ვფიქრობ.

დაბნეულობიდან დეიდაჩემმა გამომიყვანა: — მობრძანდით, შინ შემობრძანდით!

დავსხედით, მაგრამ არ ვიცით რაზე ვილაპარაკოთ, დეიდაჩემი წამომეშველა:

— აქ სწავლობთ, არა?

— დიახ.

— როდის ჩამოხვედით?

— ამ დილით.

შეკითხვებიც ამოიწურა. გამოსავლის ძებნაში მივიხედ-მოვიხედე. ბედზე ბანქოს მოკარი თვალი.

— „დურაჩკა“ ხომ არ გვეთამაშა?

— სიამოვნებით.

სამი ხელი მოვუგე. სტუმარი წამოდგა.

— ახლა წავალ. ხვალ ოპერაში ხომ არ წავსულიყავით?

— დეიდაჩემი თუ წამოვა...

წავიდა. შემდეგ აღარც გამოჩენილა. ვიღაცისთვის უთქვამს: დეიდაჩემი თუ წამოვაო... დეიდა და ბებია კი არა, მარტო მინდოდა მასთან ყოფნა, ლაპარაკიო. ახლა მხოლოდ შორიდან მესმის მისი ამბები: ცოლი შეურთავს, თბილისში ცხოვრობს, სადღაც მუშაობს.

ქორწინება და ფოთში დასახლება, შემდეგ კი — ვლისპირზე

...ჭიათურაში ცხოვრების ჩვეულ რიტმს დავუბრუნდი.

აქაური ახალი ამბავი არ გაინტერესებს? — მეუბნება ჩვენი მეზობელი, ქალაქის საავადმყოფოს ექთანი კატო დეიდა, — ჩვენი ქირურგიული განყოფილების გამგე, სერგო ხუნდაძე ერთი წლით ლენინგრადში მიავლინეს და მის ადგილას ახალგაზრდა ქირურგი, მშვენიერი, უცოლო ვაჟკაცი კვიროს ყურაშვილი ჩამოვიდა. ერთი სიტყვით, ჭიათურის ქალიშვილებში დიდი გამოცოცხლებაა. მართლაც კარგი ბიჭი კია! — „ბაგაჟი“ თუ ჩამოყვა რამე, „ბაგაჟი“! — ხუმრობით შუბლზე ხელი მივირტყი.

გავიდა რამდენიმე დღე. მე და ჩემი მამიდაშვილი მარგარიტა კინოში ერთად წასვლაზე შევთანხმდით. მეგობართან აპირებდა მისვლას და იქ უნდა გამევლო.



კვიროსი და მარიკა 1929 წ

ზარი დავრეკე. კარი დიასახლისმა გამიღო და შინ შემიპატიჟა. შუშაბანდში სტუმრები გაშლილ სუფრას უსხდნენ. უცნობი ახალგაზრდა კაცი სუფრიდან ადგა და ჩემკენ წამოვიდა.

— თქვენ ბრძანდებით ის ქალიშვილი, ჩემი „ბაგაჟი“ რომ გაინტერესებთ? — ორი „კარზინკა“ და ერთი ჩემოდანი, შენ გენაცვალე!

ჩემმა ხუმრობით ნათქვამმა უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა, სტუმრები კი დიდად გაამხიარულა. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა.

ჭიათურის ერთ-ერთი და თითქმის ერთადერთი სასეირნო-გასართობი, ნაცნობ-მეგობრების შეხვედრის ადგილი რკინიგზის სადგურია. აქ ხვდებიან და აცილებენ თბილისიდან თუ თბილისისაკენ მიმავალ მატარებლებს. ხანდახან მე და დეიდაჩემიც გამოვდივართ სასეირნოდ.

და აი, ერთხელ, როდესაც ხალხით სავსე ბაქანზე ვსეირნობთ, კვიროსი თავის მეგობრებთან ერთად შემოგვიერთდა. ჩვეულებრივი მიკითხვ-მოკითხვა...

თითზე ზურმუხტისთვლიანი ბეჭედი მიკეთია.

— ლამაზი ბეჭედია. რა თვალია, შეიძლება ვნახო? — მეუბნება კვიროსი. ბეჭედი მივაწოდე. შეათვალიერა. უეცრად ხელზე ხელი წამავლო, ზემოთ ასწია, თითზე ბეჭედი ჩამომაცვა და ხმამაღლა განაცხადა:



კვიროს ყურაშვილი (ცენტრში) ჭიათურის საავადმყოფოს თანამშრომლებთან ერთად 1928 წ

— ახლაც არ გჯერათ? ჩემია, ჩემი!

ეს გახუმრება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ მეორე დღიდან ქალაქში ხმა გავრცელებულიყო და ნაცნობ-მეგობრები მილოცავდნენ, გავიგეთ, თხოვდებიო.

ნაცნობობამ სერიოზული ხასიათი მიიღო. კვიროსი მშვენიერი ვაჟკაცია, წესიერი, კეთილშობილი, პროფესორ გრიგოლ მუხაძის საყვარელი მოწაფე ერთ-ერთი პერსპექტიული სპეციალისტი. ამიტომაც გამოუგზავნიათ ჭიათურაში, ტრავმებით სავსე რთულ ობიექტზე, ამბობენ, შესანიშნავი ხელი აქვსო. პაციენტები ემადლიერებიან. კოლექტივს თავი შეაყვარა. ხელგაშლილია და მხიარული. ეს ბოლო თვისება მაინც განსაკუთრებით მხიბლავს, რადგან მხიარულება ჩვენი ოჯახისათვის უცხო ხილია.

სერგო ხუნდაძის დაბრუნების შემდეგ, კვიროსი ხარაგაულში მიავლინეს ქირურგიული განყოფილების მოსაწყობად, შემდეგ — ფოთში; იქაც სამეცნიერო მივლინებაში მყოფი ქირურგის, შოთა ჭეიშვილის შემცვლელად. ყოველ კვირაში ჩამოდის ჩემ მოსანახულებლად. ერთ-ერთი ასეთი ჩამოსვლისას, საღამო ხანს, შინ გვეწვია. მარტო ვიყავი. ჩემს საყვარელ ძელსკამაზე ვისხედით, თავზე კომშით დახუნძლული ხე დაგვცქეროდა. კომშის მოსაწყვეტად ხელი

ავწიე. უეცრად ხელი მომხვია და მაკოცა. უმალვე მოვიშორე მისი ხელი და განზე გავწიე. მალე დამემშვიდობა და წავიდა.

ჩემს ოთახს მივაშურე. საოცრად აფორიაქებული, გაფითრებული, მუხლებზე ხელშემოჭდობილი ვზივარ საწოლზე. ასე მომისწრო შინ დაბრუნებულმა დედამ.

— რა გჭირს, რა მოგივიდა? — მეკითხება შეშინებული.

— კვიროსი იყო აქ.

— მერე?

— მაკოცა, მაკოცა და რომ მიმატოვოს, აღარ ჩამოვიდეს?!

— სულელო! — მეფერება დედაჩემი — ეგ რამ გაფიქრებინა?

1929 წლის 12 მაისს დავქორწინდით და იმავე საღამოს გავემგზავრეთ ფოთში.

მშვენიერი ქალაქია ნიკო ნიკოლაძის მიერ გაშენებული ფოთი. ვცხოვრობთ გურიის ქუჩაზე. ჩამოსვლის დღესვე ქორწილი გაიმართა. ზეიმმა შემდეგ ახალ სენაკში, კვიროსის დის, ვერას ოჯახში გადაინაცვლა, შემდეგ ნოსირში დედაჩემის ძმის, ციტრუსების მეურნეობის დირექტორის, ირაკლი კასრაძისა და, ბოლოს, ბანძის მახლობლად მდებარე სოფელ ჯოლევში, კვიროსის მშობლების ოჯახში, ასე რომ ხუთი ქორწილი, ხუთი დალოცვა, მაგრამ...

...კვიროსი ორგან მუშაობს — საავადმყოფოსა და პორტის ამბულატორიაში! საღამოს ექვსი საათისათვის სამსახურში ვაკითხავ და შინ ერთად ვბრუნდებით. ხანდახან გზად ექიმ კონსტანტინე მიქაბერიძის ოჯახში გამოვივლით. ტრადიციული ოჯახია, ძალზე სიმპათიური, ხნიერი ცოლ-ქმარია. გემოვნებით აქვთ მოწყობილი ბინა და ეზო, სასიამოვნოა მათთან სტუმრობა, ძალზე უხარიათ ჩვენი მისვლა.

ჩვენს ქუჩაზეც ცხოვრობს ასევე ხანდაზმული მეგობრების, ექიმ ტერნიგაკოსოვის ძალზე კულტურული, საპატივცემულო ოჯახი, სადაც ასევე არაერთი სასიამოვნო საღამო გაგვიტარებია. საერთოდ კი, კვიროსის კარგი მეგობრების წრემ სიყვარულით მიმიღო. ქალაქში გვყავს ახლო ნათესავებიც, ჩემი დედამთილის ძმის ოჯახები საოცრად კეთილი, კარგი ადამიანები — ხახუბიები და პაჭკორიები.

თითქოს მართლაც ბედმა გაგვიღიმა, ერთ შემთხვევას რომ არა... უკვე ხუთი თვეა, აქ ვცხოვრობთ. ოქტომბრის მზიანი დღეა. კვიროსი ამხანაგებთან ერთად პალიასტომის ტბაზე სანადიროდ წავიდა. ტბა ნავით უნდა გადაეცურათ. ნავში ჩაჯდომისას ჩემ მეუღლეს ნავი გასხლტია და ტბაში ჩავარდნილა. ამ მდგომარეობაში ქალაქში ფეხით გამოვლა რომ ეუხერხულა, ტანსაცმელი გაუხდია, გაუწურავს და ტანზე შეშრობია...

ის შემთხვევა ექცა საბედისწეროდ — მეორე დღესვე თირკმელების ანთება დაემართა მაღალი სიცხით. შეშინებულმა თბილისს მიაშურა.

— დიდი, დიდი ხუთი წელი ვიცოცხლო! — მეუბნება თბილისიდან დაბრუნებული.

თავზარი დამეცა.


ნეფრიტით დაავადებულთათვის ფოთის ნესტიანი ჰავა მავნებელია. საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, კახეთია მისთვის სასურველი საცხოვრებელი.

1930 წელს ველისციხეს მივაშურეთ, აქაც ქირურგიული განყოფილების მოწყობა დაევალა. საავადმყოფოს გეერდით ვცხოვრობთ.

ახალი ძვირფასი მეგობრებით გავმდიდრდით: ექიმ ოგანოვების ოჯახი, აქაური თეატრის წამყვანი მსახიობი, ნიჭიერი და მშვენიერი, მაგრამ ტრაგიკული ბედის ქალი მარო მესხი და ჩვენ რომ ჩავედით, თითქმის იმ დროს ჩამოსული ახალგაზრდა ექიმი ვალერიან ცინციბაძე მეუღლით — ნინოთი, რომლებთანაც სამუდამოდ დავმეგობრდით.

მე და ნინო ვესწრებოდით სპექტაკლებს, საღამოებს... განსაკუთრებით საინტერესოდ ჩატარდა თეატრის ახალი შენობის მშენებლობის სახსრების შესაკოწიწებლად გამართული საღამო, რომელშიც მე და ნინოც ვმონაწილეობდით. იმ საღამოს დადგმულ სპექტაკლ „რღვევას“, მარო მესხის მონაწილეობით, შეეწირა ჩემი ახალთახალი ძვირფასი კაბა (მარომ ხარაჩოს გამოსდო). სხვა მხრივ, ყველაფერი კარგად ჩატარდა.

აქ მეზობლებიც კარგი მყავს, ყურადღებიანი. განსაკუთრებით, კარის მეზობელი, სქელი, ღაჟღაჟა ბალია, მისი ბოხი ხმის გამო ვირბალიას რომ ეძახიან.



კვირას ყურაშვილი (II რიგში მარჯვნიდან მეორე) სენაკის სამაზრო საავადმყოფოს თანამშრომლებთან ერთად, ცენტრში ექიმი იულიანე ხოფერია. 1927 წ. 25 დეკემბერი

ამ დილითაც შემოვიდა. ნავთქურაზე მჭადს ვაცხობ. შეიცხადა: „უი, დამიდგეს თვალები, მოგიკვდეს ბალია, მჭადსა სჭამ ექიმის ცოლო? ეგრე რა გაგჭირვებია, შემოგეთვალა და სულ ცხელ-ცხელ თონის პურებს მოგართმევდი. მერმე კიდევა, ჩემგან რა გესწავლება, მაგრამ ეგეთი ნეყნი და უფერული რომა ხარ, ზაკუსკაზე ერთი ბოთლი წითელი ღვინო მიირთვი, სადილად და ვახშმადაც თითო ბოთლი და ნახე, რა ჭიაფერი ლოყები გაგიხდება. მარტო თუ დაგეზაროს დალევაი, აქვე არა ვარ? მოგიკვდეს ბალიაი, თუ იმავ წუთში შენთან არ გავჩნდე!“ — მაგრამ ვეღარ მოვასწარი ამ რჩევის გაზიარება.

ახალი დავალება, ახალი სამუშაო ადგილი, ახალი ნაცნობ-მეგობრები. ამჯერად — ლაგოდეხი. იქიდან განსაკუთრებით ექიმი ვანო სულხანიშვილი, მისი მეუღლე ელენე და მათთან მეგობრობა შემორჩება მეხსიერებას. მაგრამ მანამდე?

...1930 წლის აგვისტო. კვიროსი ავჭალის სამხედრო ბანაკში იხდის სავალდებულო სამსახურს. ვცხოვრობთ სოფელ გლდანში, ბანაკიდან სამი კილომეტრის მოშორებით. იმავე სახლში, ჩვენს გვერდითა ოთახში, ასევე სავალდებულო სამსახურს იხდის ექიმი, თავისი ცოლით. ისინიც ახალდაქორწინებულები არიან.

ჩვენი მეუღლეები სამუშაოზე ერთად მიდიან. ჩვენც საღამო ხნისათვის, ვაკითხავთ ბანაკში და იქიდან ერთად ებრუნდებით. ერთ კვირა დღესაც, წასასვლელად რომ გაემზადნენ, დაგვიბარეს: დღეს წვევამდელების ახალი შევსება უნდა მივიღოთ. შესაძლოა, ნასვამებიც იყვნენ და თქვენ უმჯობესია შინ იყოთო. მით უმეტეს, არამც და არამც არ გაბედოთ ბანაკში მოსვლაო.

ცხელა. საშინლად ცხელა. საღამოვდება. ამ სიცხეში შინ რა გაგვაჩერებს! ზემოთ კი, ბანაკისკენ მიმავალ ბილიკზე, მუდამ ნიავი ქრის — მეუბნება მეზობელი.

— იმათ ხომ გვთხოვეს, შინიდან ფეხი არ გავადგათ.

— გვთხოვეს! მაგრამ რა მოხდება, მაღაზიამდე რომ მაინც ავიდეთ და იქ დაველოდოთ? აბა, დავიხოცოთ ამ სიცხეში? მაშინ, მარტო წავალ! — და ჭიშკრისაკენ მიდის.

ვერა, მარტო ვერ გავუშვებ! გზაზე მაღაზიასთან ავედით. აქედან, მწვანედ მოღაღანე მინდორზე იწყება სამკილომეტრიანი ბილიკი.

მოსაღამოვდა. საამო სიომ დაპქროლა, გადავწყვიტეთ, პირობა დავარღვიოთ და, რადგან აქამდე ამოვედით, ვფიქრობთ, ცოტა კიდევ გავიაროთ. ასიოდე მეტრის გავლით ქვეყანა არ დაიქცევა. ბილიკის იქით-აქეთ მინდორი ლამაზი ყვავილებითაა დაქარგული. თაიგულებს ვკრავთ და საუბრით წინ მივიწევთ. შეეჩერდით. მივიხედ-მოვიხედეთ, მაღაზიას კარგა მანძილით დავშორებივართ, ბანაკამდე ბევრიც აღარ დაგვრჩენია. ახლა უკან გაბრუნებას აზრიც აღარა აქვს, სადაცაა ჩვენებიც გამოჩნდებიან.

ხევს მიღმა, სამხედრო ბანაკში შუქი აენთო და მის ფონზე, უკან, მინდორი ბინდმა მოიცვა. ეტყობა, ჩვენები საქმეს შემორჩნენ. პირობის დამრღვევები კარგად ვერ გამოვიყურებით, მაგრამ რას ვიზამთ? რაც მოგვივიდა, მოგვივი-

და, ალბათ გვაპატიებენ. ხევში ჩავედით, ავიეკით და ამბულატორიას მივაშურეთ.

ჩვენები იქ აღარ აღმოჩდნენ. შემცველმა ექიმმა გვითხრა, კარგა ხანია წამოვიდნენ — ალბათ სამანქანე გზითო.

აქედან, მინდორს რომ გავხედეთ, კიდევ უფრო ჩაბნელებული გვეჩვენა. ექიმი შეწუხდა: — ეს ერთი სანიტარი მყავს, წვევამდელები კი მოდიან და მოდიან, ასე რომ, გამყოლიც არა მყავს, მხოლოდ ხევზე თუ გადაგაცილებთო და...

— არა უშავს, ჩვენ თვითონაც წავალთ.

სანიტარმა ხევზე გადაგვიყვანა და მინდვრის ბილიკს დავადექით. მთვარე არსად ჩანს და ხელჩაკიდებულები მივიკვლევთ ბილიკს. გაგვიგია, შარშან ამ მინდორზე მგელს ძროხა შეუჭამია, მაგრამ ერთმანეთისათვის ამის ხმამაღლა გამხელა გვიჭირს. სამასიოდე მეტრი გვექნება გამოვლილი, რომ მოპირდაპირე მხრიდან მოახლოვებული ადამიანების სიმღერა შემოგვესმა. არეულად მღერიან. ეტყობა, ნასვამები არიან და რომ არ შევეჩეხოთ, ბილიკიდან გადავუხვიეთ, ბუჩქნარს მივაშურეთ და ეკალბარდებში ამოვყავით თავი. მთვრალებმა ჩაიარეს და ეკლებიდან თავის დაღწევას და ბილიკის მოძებნას ვცდილობთ, მაგრამ არც ერთია ადვილი და არც — მეორე.

ვაი, ჩემო ახალო ლამაზო კაბავ და წითელო ქალამნებო! ნაკაწრებს ვინღა ჩივის! ამასობაში ნასვამების ახალი ტალღა ჟრიამულით გვიახლოვდება. იძულებული ვართ ისევ მივიმალოთ. ხმები კიდევ უფრო შორიდანაც ისმის და აღარ გვგონია, თუ ოდესმე მიწყნარდება ეს ღრიანცელი. ამასობაში აცივდა კიდეც. სიცივისა და შიშის კანკალმა აგვიტანა. ეკლიან ბუჩქებში ჩამსხდრები ერთმანეთს ვეკვრით.

— ეს რა სისულელე მოგვივიდა! ვინ რას გვერჩოდა, მივდიოდით ჩვენთვის, ჩვენი გზით...

— არ გესმოდა, რა ღრიალით მოდიოდნენ? ჭკუა არ ეკითხებოდათ.

— ხმასაც არ გაგვცემდნენ!

— რომ გაეცათ?

— გაეცათ და გაეცათ! მაშ მგელმა შეგვჭამოს?

— მაინც რა მოგვივიდა! ხომ გვთხოვეს, შინ დავლოდებოდით.

— კი გვთხოვეს, მაგრამ, რა მოხდა, სიცხემ შეგვაწუხა, მოგვეწყინა, ბოლოს და ბოლოს, მათ შესახვედრად არ წამოვედით?

— წარმოგიდგენია, რა დღეში არიან?

აგერ ახლა, კვიროსმა ისეთი მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა... მისთვის ღელვა არ შეიძლება... ჩვენ-ჩვენ ფიქრებში ჩართულები კიდევ მეტად ვეკვრით ერთმანეთს. როგორ გვეწვის ეს განაკაწრებიც... ერთი გაბრძოლება ვცადეთ, ბუჩქებს როგორღაც თავი დავაღწიეთ, მაგრამ ორიენტაცია დავკარგეთ. მინდორი ისეა ჩაბნელებული, რომ... ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა, ალბათ გაწვიმებას აპირებს. არა, ბილიკის პოვნაზე ფიქრიც ზედმეტია!

ნეტავ, რა დროა? ალბათ შუაღამეს გადაცილებულია. ...შორიდან მოღწეულმა ძახილმა გამოგვარკვია. ეს ჩვენი მეუღლეების ხმაა. ჩვენ გვეძახიან, ჩვენ! გადავრჩით! სიხარულით ვეხვევით ერთმანეთს და მთელი ხმით ვყვირით:

— აქა ვართ, აქ!

წუთი საუკუნედ გვეჩვენება და აჰა! მინდვრის ბილიკზე ფარნის მკრთალმა შუქმა გამოაღნია და ჩვენი მეუღლეებიც გამოჩდნენ.

ქალი გაექანა და ქმარს კისერზე ჩამოეკიდა. იმანაც აიტაცა ხელში. მე და ჩემი მეუღლე კი დამდურებულებივით შორიშორს ვდგავართ. ისე მივაღწიეთ შინამდე, ერთმანეთისათვის ხმა არ გაგვიცია.

ჩუვაშეთში, ვახტანგთან გამგზავრება

1931 წლის ზაფხულს მე და კვიროსი ჩუვაშეთში, ქ. ჩებოქსარში გავემგზავრეთ. ეს ჩვენი დაგვიანებული საქორწინო მოგზაურობაცაა. ჩვენი გემი მდინარე ვოლგას მიუყვება. მისი სახელწოდებაა „კრასნოარმეეცი“. ვახტანგს დეპეშა გავუგზავნეთ: „ედემ ნა „კრასნოარმეეცე“, ვსტრეჩაი“ (რამდენი ვიცინეთ ჩვენ და ვახტანგმა ამ დეპეშაზე).

გემზე შესანიშნავი პირობებია დასვენებისა და გართობისათვის. ულამაზესია მდინარე ვოლგის ნაპირები, თავიანთი პატარა, მყუდრო ნავსადგურებით, სადაც უხვადაა გამოტანილი სურსათი, განსაკუთრებით, მაღალი ხარისხის რძის პროდუქტები.



მგზავრები ვეცნობით და სამეგობროდ განვაწყობთ ერთმანეთს, ვიწერთ მისამართებს, თუმცა იშვიათად შემოგვრჩენია ასე სახელდახელოდ დაბადებული მეგობრობა. ახლა კი მხიარული დროსტარებაა: მუსიკა, ცეკვები, ანეკდოტები...

ჩებოქსარში გვიან ღამით ჩავდივართ.

— ვახტანგ! ვახტანგ! — ვყვირით მე და კვიროსი.

— აქა ვარ, აქ! — გვესმის პასუხად და მუხლი მეცელება, სიძე-ცოლისძმა პირველად ხვდებიან ერთმანეთს. ღმერთო, რა ბედნიერი ვარ!

მარიკა. 1929 წ..

ის დღე მიკითხვ-მოკითხვასა და საქართველოს ამბების თხრობაში გაილია.

ჩებოქსარში, ასევე თავისუფალ გადასახლებაში იმყოფება ორი თუ სამი ქართველი. მათ შორის გურული ბიჭი გრიშა, რომელიც ჩემმა ძმამ განსაკუთრებით დაიახლოვა. ფუნქციებიც განაწილებული აქვთ: ვახტანგი მუშაობს, რაღაც კაპიკებს იღებს, გრიშა მზარეულია, ესე იგი კარტოფილს წვავს ან ხარშავს, ხანდახან შემწვარ კარტოფილს კვერცხსაც გადაახლიან და დიდებული სადილი გამოდის.

ვახტანგის გარდერობს გავეცანით და რაღაცეების საყიდლად გავედით. პირველ რიგში, ფეხსაცმელი ვუყიდეთ, მაგრამ როგორც შინ მობრუნებისას გაირკვა — ორი ნომრით დიდი.

— უჰ, ეს როგორ მომივიდა! — ვითომდა შეიცხადა ჩემმა ძმამ — აბა, გრიშა, შენ მოისინჯე!

გრიშა უარზეა.

— მოისინჯე, მოისინჯე! ვიცი, კარგად გექნება და ფულს რომ გამოგიგზავნიან, მაშინ შენ მიყიდი. თუმცა იცის, რომ გრიშას ფულს ვერ გამოუგზავნიან, რადგან ძალზე გაჭირვებული ოჯახიდანაა.

ჩვენი აქ ყოფნის ვადა სამი დღითაა განსაზღვრული. ამ პირველმა დღემ სასიამოვნოდ ჩაიარა. სიძე-ცოლისძმა კარგად ეწყობიან ერთმანეთს. ჩემი ძმისთვის არც მითქვამს კვიროსის მძიმე დაავადების შესახებ. რად დავუტოვო სადარდებელი, თუმცა, თვითონაც იმავე სენით — ნეფრიტით ყოფილა დაავადებული, რასაც ასევე გვიმალავს.

დასაძინებლად გვიან დავწექით. გვენანება, რომ ერთი დღე უკვე გაილია...

განთიადისას ჩეკისტები დაგვესხნენ თავს. გაჩხრიკ-ააფორიაქეს იქაურობა და ვახტანგი თან წაიყვანეს. პარალიზებულივით ვარ ამ აოხრებულ ოთახში და კანკალს ვერ ვიცხრობ. გადაფითრებული კვიროსი ამაოდ ცდილობს ჩემს დამშვიდებას.

დილით „ჩეკაში“ მივედით. გამომძიებელს მივაკვლიეთ. მაწყნარებს: ნუ გეშინიათ, თქვენი ძმა კარგადაა. დღეს მის საქმეს გავეცნობი, საღამოს მობრძანდით და ყველაფერს გეტყვითო. მაშ, ქართველი ხართ? პირველად ვხედავ ცოცხალ ქართველ ქალს. ნატო ვაჩნაძესაც ხომ მხოლოდ კინოფილმის საშუალებით ვიცნობ! მაშ ასე, საღამოს გელოდებითო, მითხრა.

მაგრამ საღამოს „ჩეკაში“ აღარ მივსულვართ, ჩემმა ძმამ როგორღაც მოახერხა ეცნობებინა, რომ დაუყოვნებლივ გავცლოდით იქაურობას, რომ შეგვეძლო მშვიდად ყოფნა, რადგან მას უთუოდ საცხოვრებელ ადგილს უცვლიდნენ და ისიც დასძინა, რომ ახალი ადგილიდან უმალ მოგვანვდის თავის ამბავს.

იმ დღეს გრიშაც აღარ მოგვკარებია, საღამოს კი აფორიაქებულებმა დავტოვეთ ჩებოქსარი. ასეთ „სასიამოვნო ფაზაში“ შევიდა ჩვენი საქორწინო მოგზაურობა. გემით მოსკოვში უნდა ჩავსულიყავით. ოდნავ მაინც რომ შეემსუბ-

უქებინა ჩემთვის გუნება-განწყობა, კვიროსმა გეგმას არ გადაუხვია. მოსკოვში რამდენიმე დღე გავატარეთ: ტრეტიაკოვის გალერეა, მუზეუმები, თეატრები...

რუსეთის დედაქალაქის ღარიბულმა ცხოვრებამ გამაოცა, აქ ხომ ჩვენს „ბორჯომში“ „ვაჟინს“ ურევენ და ლიმონათს უწოდებენ. დიდ თეატრში პრემიერაზე მოვხვდით და თეატრშიც, როგორც ქუჩაში, ქალები უბრალო კოფთით, ქვედა კაბითა და ფეხზე რეზინის სპორტული ფეხსაცმლით მოსულან. ხალხით გაჭედილ დაბრაზში ერთადერთი ქალი იყო აგურისფერ, კრეპდეშინის კაბაში გამოწყობილი.

მოსკოვში ათი დღე დავყავით. შინ დაბრუნებულებმა მხოლოდ სასიამოვნო ამბებით გავახარეთ მშობლები, ჩებოქსარში გატარებული იმ შემზარავი ღამის შესახებ, მათ მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს, როდესაც შვილის გადასახლების ახალი ადგილიდან — ურალიდან მიიღეს წერილი.

...1932 წელს მოვამთავრეთ ჩვენი მომთაბარე ცხოვრება, თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩაზე (№130) ვიყიდეთ პატარა ბინა და თითქოს სამუდამოდ დავმკვიდრდით.

ქალაქში ბევრი ნათესავი და მეგობარი გვყავს: დედაჩემის ოთხი ძმისა და ბიძაშვილების, მათ შორის, მწერალ დავით კასრაძისა და აკადემიკოს კორნელი კეკელიძის, მისი მეუღლის მინადორას დების — მანია, ნინო და ტასო კასრაძეების, აგრეთვე დედაჩემის მამიდის მაკა კასრაძე-ჩაგუნავასა და შიო მღვიმელის ოჯახები.

დედაქალაქში არიან კვიროსის ნათესავები, მათგან კი განსაკუთრებით საყვარელი და ახლობელი ადამიანები — პორფილე და ანიჩკა ყურაშვილები; დედაჩემის მეგობრები ქალთა ეპარქიული სასწავლებლიდან და, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ელენე დეიდა.

ახალ-ახალი მეგობრებით მდიდრდება ჩვენი წრე. თუმცა ეს ნათესაობა და მეგობრობა ახალ დარდსაც გვმატებს: ოჯახიდან ოჯახში გადადის ხმები რომელიმეს დატუსაღების, გადასახლებისა თუ დაღუპვის შესახებ, რაც 1937 წლიდან კულმინაციას აღწევს. ვლაპარაკობთ ჩურჩულით, ვშიშობთ, რომ კედლებსაც ყურები აქვთ.

ჭიათურის ამბები, მშობლებისა და მამიდაჩემის ოჯახების დარდიც არ მასვენებს. კიდევ კარგი, ერთმანეთის ახლო ცხოვრობენ, მაგრამ ან ერთს, ან მეორეს, მეტწილად კი ორთავე ოჯახს, უამრავი საწუხარი აქვს. საერთოს, პოლიტიკურს, ზედ დაერთო პირადულიც. კონსტანტინე გამსახურდიას გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ის და რებეკა გაშორდნენ. რებეკა ბავშვთან, ნათელასთან ერთად მშობლებთან დარჩა. ისაია ბიძიას შევიწროება გრძელდება, ცხადია, ვერც მამაჩემია ნორმალურ პირობებში.

ნანულისა და მერაბის დაბადება



ნანული და მერაბი

ჩვენს ოჯახში სიხარულმაც შემოაშუქა — 1933 წლის 23 მარტს, გოგონას დედა გავხდი. სამეგრელოდან დედამთილი ჩამოვიდა. კვიროსი უზომოდ ბედნიერია. შიში, ქორწინების მეხუთე თვიდან რომ აგვაფორიაქა, გაფერმკრთალდა. ვცდილობთ, სულ მივაჩუმოთ. რაც ექიმებმა ჩემს მეუღლეს განაჩენი გამოუტანეს, ოთხი წელი გავიდა. აგერ უკვე თბილისში ჩამოვსახლდით, პატარა ნანულიც შემოგვემატა... არა, ყოვლად წარმოუდგენელია, ასე მკაცრად მოგვექცეს ბედი — ასეთი რა დაგვიშავებია! მაგრამ ისევ დარტყმა... სამი კვირაც არ გასულა, რომ დედამთილი მოულოდნელად გარდაიცვალა. სულ მალე მამამთილიც მძიმედ დაავადდა და მისი მარტოდ ცხოვრება არ შეიძლება.

კვიროსმა სოფელში სახლი გაყიდა, ის თანხა ჩვენი ბინის თანხას დაუმატა და ორჯონიკიძის ქუჩაზე (№136) სამოთახიან ბინაში გადმოვედით. მალე მამამთილიც ჩვენთან ჩამოვიყვანეთ. ახალ ბინაში გადმოსახლების მეორე დღესვე, ჩემთან შემოდის კარის მეზობელი — ამ სახლისა და მიმდებარე შენობების ყოფილი მეპატრონე, ახლა გამათხოვრებული, — ერთადერთი ოთახის მფლობელი მოხუცი გრაფი, როგორც თავის თავს უწოდებს, პეტრე პეტრეს ძე თუმანოვი. მას ძველი, ალბათ, ბევრის მომსწრე შავი ფრაკი აცვია, პერანგის გულისპირს ქინძისთავებით მიმაგრებული შავი „ბაფთა-ბაბოჩკა" უმშვენებს. პეტრე პეტროვიჩი ხელზე მკოცნის და მიკნავებული ხმით, ალბათ დედამისის ხმის წაბაძვით, მეუბნება: წუხელ დედაჩემი მესიზმრა და მითხრა, პეტია, ნუღა გეშინია, დღეიდან მე შენთან ვარო! უზომოდ შემებრალა ადამიანი, რომელსაც იმ დიდი ოჯახიდან, ფუფუნებიდან, ჩინებული ნათესავ-მეგობართა წრიდან ერთი, ცალთვალა კატაღა შემორჩენია და მარტოსულისა და ღატაკის გაუხარელი ცხოვრებით ცხოვრობს...

პატარა ნანუკა სიხარულით გვავსებს.

ზაფხულს კვიროსის სოფლის — ჯოლევის მახლობლად, ბანძაში, აფთიაქის გამგის, მაქსიმე ანთელავას სახლში ვატარებთ. აქვე სახლობს ჩვენი ნათესავი, შესანიშნავი ექიმი და ადამიანი გრიშა კეკელია, თავის პედაგოგ მეუღლესთან ნადიასა და ხუთ შვილთან ერთად. მთელ რაიონში ცნობილსა და პატივცემულ ამ ოჯახთან, მის განაყოფებთან, დიდი ნათესაურ-მეგობრული ურთიერთობა

გვაკავშირებს. კვიროსს, როგორც კარგ დასტაქარს, აქ კარგად იცნობენ და მასთან მოდიან სამკურნალოდ.

ჯოლევში, ჩვენს ყოფილ სახლ-კარში მისვლა გვიჭირს. ახლა ჩვენი კარის მეზობელი, კვიროსის ბიძაშვილი ეპიფანე ყურაშვილი მეუღლე მაშო გაბუნიასა და ხუთ მშვენიერ, უნიჭიერეს ვაჟკაცთან, შემდგომში ცნობილ ადამიანებთან, ძმებ: ფილიმონ, ბორის, მელენტი (ჯუბა), ალიოშა, ვიტალისთან ერთად თბილისში გადმოსახლდა. ასევე, გაუყიდია სახლ-კარი და დედაქალაქში წამოსულა ჩვენი ეზო-კარის მეორე მომიჯნავე — კონდრატე ყურაშვილის ოჯახი და სხვებიც, რომელთაც სოფლიდან ქალაქისაკენ მიგრაციის სენი შეპყრიათ.

კვიროსის მშობლებს, ამბაკოსა და ანასტასია ხახუბიას, ხუთი შვილი ჰყოლიათ — ორი ვაჟი და სამი ქალი. ლუბა მენინგიტს უმსხვერპლია; კალისტრატე, ყოფილი ოფიცერი, ჰალსტუხის ტარების გამო დაუპატიმრებიათ და ციხეში პარტახტიანი ტიფით გარდაცვლილა, რომელსაც ერთი შვილი ვახტანგი დარჩა.



მარიკა (ცენტრში) მულთან ვერასთან (ზის მარჯვნივ) და მეუღლის ნათესაებთან ერთად აივანზე კვიროსის მშობლები ანასტასია ხახუბია და ამბაკო ყურაშვილი. სოფ. ჯოლევი, ყურაშვილების მებარული ოდა 1930 წ.

ნადია ქმართან ერთად, ასევე სახადის მსხვერპლი გამხდარა, მათი ორი ვაჟი, შალვა და ბიძინა სიჭინავები და ნაშვილები მარიაც ამბაკოსა და ანასტასიას საპატრონოდ და აღსაზრდელად დარჩენილან. ბიძინა არ მინახავს, შალვა და მარია კი ჩვენთან არიან. შალვა სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაცევტული ფაკულტეტის სტუდენტია. მარია სასკოლო ასაკს კარგა ხანია რაც გადასცდა...


კვიროსის კიდევ ერთი და — ვერა და მისი მეუღლე გიორგი შალამბერიძე ახალსენაკის მახლობლად, შხეფში ცხოვრობენ. ჰყავთ ქალიშვილი ჟუჟუნა. ვერა საოცრად კეთილშობილი, საყვარელი ქალია. ალბათ, მასზე მეტად დაც არ მეყვარებოდა, ასევე ღირსეული, სიკეთით სავსე ჰყავს ქმარიც. საერთოდ, ძალზე მონათესავე და საყვარელი ხალხია მეგრელები. მეც გულით შევიყვარე და შევეთვისე მათ. უთუოდ სწორი იყო დიდი ილია, როდესაც სამეგრელოში ჩასულმა განაცხადა: მე აქ ნამდვილი საქართველო ვნახეო.

როგორ ვუყვარდი ჩემს დედამთილს — მაქებდა, პატარასავით მანებივრებდა! ალბათ, ამ მშობლიურმა ატმოსფერომაც განაპირობა, რომ მე მალე, თითქმის სრულყოფილად შევისწავლე მეგრული ენა.

1935 წლის 21 ოქტომბერს მეორე ბავშვი, პატარა მერაბი შეგვეძინა, რაც დიდი ძეობით აღვნიშნეთ.

ვახტანგის დაბრუნება გადასახლებიდან. პირველი ნაბიჯები ჯოჯოხეთში

1933 წელს, როდესაც რებეკა ორი დღის ნაოპერაციები, ჭიათურის საავადმყოფოში იწვა, ერთ-ერთმა ექთანმა მოულოდნელად მიახარა ძმის — სიმონის უცხოეთიდან დაბრუნების ამბავი. ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობითა და 1924 წლის მოვლენების შემდგომი, განსაკუთრებით გამძაფრებული პოლიტიკური ვითარების გამო, ყველას გვაღელვებდა, გვაშინებდა ბიჭების დაბრუნების მოსალოდნელი ბედნიერება. მით უმეტეს, რომ „ჩეკას“ ისინი არ ავიწყდებოდა და არაიშვიათად იბარებდნენ ხოლმე მათი ოჯახის წევრებს, აინტერესებდათ, რა კონტაქტები ჰქონდათ სიმონ და დავით ვაშაძეებთან.



რებეკა ვაშაძე

სიმონმა ჭიათურის ერთ-ერთ სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა, მაგრამ ჩვენმა ოჯახებმა მისი დაბრუნებით გახარებაც ვერ მოასწრეს, რომ რებეკას დაღუპვა მეხივით დაგვატყდა თავს.

რებეკას ქალიშვილზე, ნათელა გამსახურდიაზე თავისი ქალიშვილის ნუნუს დარად და, შეიძლება მეტადაც, ზრუნავს მისი მარგარიტა დეიდა.

გათხოვებამდე მე დიდ მონაწილეობას ვიღებდი ბავშვების — ნათელასა და ნუნუს გართობაში. დამალობანა-დახუჭობანათი აკლებული გვქონდა მამიდაჩემის შუშაბანდი. ერთხელ, თვალახვეული რომ დავდევდი გოგონებს, შეუმჩნევლად კარი გაღებულა და ჩემთვის უცნობი ყმაწვილი, მეზობლად მცხოვრებ მრეწველ ვანო თევზაძის ძმა დავითი (შემდგომში ყელ-ყურის წამყვანი სპეციალისტი), უცხოეთში სწავლის გასაგრძელებლად გამგზავრების წინ, დასამშვიდობებლად მოსულა. მე კი ამ დროს თვალახვეული დავდევ ბავშვებს. ბოლოს, ერთ მათგანს ხელი წავატანე — შეძახილით „ხომ დაგიჭირე"-მეთქი, თანაც, მკლავებში მოვიმწყვდიე. დიდად რომ მომეჩვენა, თვალის სახვევი ჩამოვიწიე და შევცბი... ჩემ წინ უცხო ყმაწვილი იდგა! ბოდიშის მოხდაც ვერ მოვახერხე. იმპროვიზებულ შარვალში გამოწყობილი, დაბნეული ვდგავარ, ის კი გულიანად იცინის...

1935 წლის ზამთარს, დედაჩემის ავადმყოფობის გამო ჩამოვედი ჭიათურაში. ელენე დეიდაც აქაა. მოულოდნელად მოგვდის დეპეშა: ვახტანგი ბრუნდება გადასახლებიდან.

მამა, ელენე დეიდა და სიმონი მის დასახვედრად შორაპანში წავიდნენ, თანაც, გზაში უნდა უთხრან დედის ავადმყოფობის ამბავი. მართლაც, ძნელია, ათი წელი ოცნებობდე გადასახლებიდან ოჯახში დაბრუნებაზე და დედა დაგხვდეს მძიმე ავადმყოფი.

ალბათ, ყველა წამალზე მეტად, შვილის დაბრუნებამ უშველა დედას.

ჩემმა პატარა ლექსებმა, რომლებსაც ჯერჯერობით მხოლოდ ჩემთვის ვწერ, ვახტანგი ძალზე გაახარა. მეც ვცდილობ, ღამით ახალი ლექსი დავწერო, რომ დილით ჩემ ძმას წავუკითხო.

გადასახლების წლებს ისიც მიწამლავდა, რომ შენ გზა გადაგიკეტე, უმაღლესში სწავლის საშუალება წაგართვი. მადლობა ღმერთს, შენს ნიჭს გზა უპოვნია! — მეუბნება თვალცრემლიანი ვახტანგი.

გაზაფხულის ბოლოს, ჭიათურის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, სერგო ხუნდაძე, თბილისში გადმოჰყავთ და მის ადგილს კვიროსს სთავაზობენ. ახალგაზრდა დასტაქრისათვის მუშაობა საავადმყოფოში, სადაც ურთულეს ტრავმატულ დაავადებებთან გაქვს საქმე, ძალზე საპასუხისმგებლოცაა და პრესტიჟულიც. გარდა ამისა, ჩემს მშობლებსაც მივხედავთ და გავახარებთ.

ვახტანგიც ჩვენთანაა. თბილისის ბინაში ჩასაწერად, საჭიროა ნინო გვახარიას ნახვა — საბინაო დავთარი მასთანაა. გვახარია ჩვენი ეზოს კუთხის შენობაში ცხოვრობს. იქ გაიცნო ჩემმა ძმამ თავისი მომავალი საცოლე, ნინოს დისშვილი და გადასახლებული ექიმის, თედო ცინცაძის ქალიშვილი, სამხატვრო აკადემიის სტუდენტი ბაბულია ცინცაძე.

გადაწყდა: 1935 წლის ზაფხულში, ჩვენი ოჯახი დროებით საცხოვრებლად ჭიათურაში მიემგზავრება. თან მიგვყავს ავადმყოფი მამამთილი მომვლელთან, მის ნათლულ ფედოსიასთან ერთად და ჩვენი ოჯახის შვილობილი მარია — პატარა ნანულის გამზრდელი. თბილისში რჩებიან ჩემი ვახტანგი და შალვა სიჭინავა.

ამ დროისათვის მე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი ვარ, მაგრამ იძულებული ვხდები, სწავლას თავი დავანებო.

ჭიათურაში, საავადმყოფოს მახლობლად მდგარ, ექიმებისათვის განკუთვნილ ორსართულიან სახლის მეორე სართულზე ვცხოვრობთ. კვიროსი შესვენებაზე შინ მოდის. როდესაც მძიმე ავადმყოფი ჰყავს, შინიდან მისთვის რაიმე მაწიერი კერძი მიმაქვს. მუშაობს თავისებურად გულმხურვალედ, ამბობენ, კარგი ხელი აქვსო.

ჭიათურაში დაბრუნებამ ჩემზე ერთგვარი დადებითი გავლენაც მოახდინა. ჩემს შეწყვეტილ საქმიანობას — ლექსების წერას დავუბრუნდი. რამდენიმე ლექსი „ჭიათურის მაღაროელში“ გამოვაქვეყნე. პირველი — 1936 წელს, იმავე წელს — „დედასამშობლოს“ და ჩემს გაოცებას საზღვარი არა აქვს: გაზეთი „კომუნისტი“ გავშალე და ჩემი ეს ლექსი ვნახე გადმობეჭდილი. ამას მოჰყვა რამდენიმე საბავშვო და სადიდო ლექსი, გაზეთმა ჩემი მეორე ლექსიც „ჰიმნი რუსთაველს“ გადაბეჭდა.

დეიდაჩემს მივწერე და ვთხოვე, გაეგო როგორ მოხვდა „კომუნისტში“ ჩემი ლექსები. დეიდა მისულა რედაქტორთან (თუ მოადგილესთან) ვასილ ეგნატაშვილთან, მას შევუქივარ და იმ ქებამ დიდად გამახალისა.

„ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციასთან ლიტერატურული წრეა. წრის შეკრებაზე დავდივარ, მეგობრებს ვიძენ. ალბათ, როგორც ჩემი, ისე მომდევნო თაობების არცერთი ჭიათურელი მწერალი არ დარჩენილა საქმიანობის გარეშე ამ წრეში. აქ დავუმეგობრდი ნიკოლოზ (ნიკუშა) წერეთელს, მას მანამდეც ვიცნობდი, როგორც ერთ-ერთი დიდებული ქართული ოჯახის შვილს, სახელოვანი მეცნიერის ალექსანდრე წერეთლის ძმას, ჩემი სკოლის მეგობრის თამარ აბაშიძის (ერთ მერზე ვისხედით) მეუღლეს. მე და მამაჩემი მათ ქორწილშიც ვიყავით.

ახლა კი ნიკუშას სულ სხვა გარემოში შევხვდი — ეს იყო საქმიანი, შემოქმედებითი შეხვედრა ლიტერატურული წრის ხელმძღვანელთან, სერგო მეტრეველისა და ბენო თათარაშვილის რედაქტორობის წლებში. ამ წრეში აიდგეს ფეხი გრიგოლ აბაშიძემ, რევაზ მარგიანმა, ბორის ჩხეიძემ, გიორგი წერეთელმა...

ამავე წლებში, გაზეთ „მუშასა“ და ჟურნალ „რემედასში“ იბეჭდება ჩემი ლექსები, ასე ავიდგი ფეხი მწერლობაში. განსაკუთრებით აღსანიშნავია საბავშვო პოემა „ნანული“, მიძღვნილი ჩემი ნანულისადმი. ეს პოემა ცალკე წიგნად გამოვიდა 1939 წელს და იმდენად იღბლიანი გამოდგა, რომ რუსულ, უკრაინულსა და თურქმენულ ენებზე ითარგმნა, დიაფილმიც გადაიღეს, რამაც სტიმული მომცა შემდგომი მუშაობისათვის.

...ასე გადის თვეები. სალომე ბებია, ზამთარში რომ ჩამოიყვანეს სოფლიდან, უკან ვეღარ გაბრუნდა. იგი ახლა, თუ დავუჯერებთ, უკვე 103 წლისაა, მაგრამ იმდენი ხნის განმავლობაში გაიძახოდა 75-ისა ვარო, რომ ვეღარც შევნიშნეთ, როდის გახდა ამდენი ხნისა.

ზაფხულის ერთ დღეს მაცნობეს, ბებია შეუძლოდაა და განატრობსო. სასწრაფოდ გავეშურე მასთან. კედლისაკენ პირმიბრუნებული წევს.

— ბებია, ბებია!

გადმობრუნდა. ეტყობა, გაუხარდა. „ტორგსინში“ ნაყიდი, ლამაზად მოხატული იაპონური ქსოვილის კაბა მაცვია. სალომეს მეტყველება წართმეული აქვს, მაგრამ ხელი გადმოწია, თითებით ქსოვილის ხარისხი შეამოწმა, მოწონების ნიშნად ცერი ასწია, თვალი ჩამიკრა და სამუდამოდ დახუჭა. მისი დაკრძალვისას მამაჩემი არავის მორიდებია ხმით დასტიროდა დედას, რომელიც ცამეტი წლისა მუთაქაზე დაუსვამთ, რომ ასაკით ცოტა დიდი მოჩვენებოდა მის გადასანახულებლად მოსულ მომავალ მღვდელ ელეფთერ ბარათაშვილს. და იმ დღიდან მოყოლებული, ოჯახის, სოფლის ერთგულებასა და სამსახურში გალია სიცოცხლე ექვსი შვილის — ანას, ვალენტინას, ბიქტორის, პილასის, გერვასისა და გიორგის შშობელმა და აღმზრდელმა ქალმა.



მარიკას ბებია სალომე ლაშხი

შემდეგ მოდის დაისი
და შორეულს მოზიდავს.
დაჩოქილხარ ხატის წინ
გულმხურვალე ლოცვითა.
გვიმრავლეო ოჯახი.
გვაშორეო ურჩხული...
კვლავ გაისმის ოდაში
შენი ფიქრის ჩურჩული.

(„გასაუბრება სალომე ლაშხთან“)

ბებიის გარდაცვალებამდე ჭიათურაში ქორწილები გაიმართა. ვახტანგმა ბაბულია ცინცაძეზე იქორწინა, სიმონმა — ქეთევან გელაშვილზე. ეს ქორწილები რამდენიმე დღის განსხვავებით მოხდა. გაიხარეს სიხარულს მონატრებულმა ჩვენმა ოჯახებმა.

1937 წელი...

ვახტანგი თბილისში ჩაეწერა, ჩაწერაშიც და სამსახურის შოვნაშიც მისი ყოფილი გამომძიებელი, ახლა „საქქარხმშენის“ უფროსი მიქაძე დაეხმარა, თავის უწყებაში მოაწყო ეკონომისტად გორისა და ხაშურის ობიექტებზე. ახალგაზრდა ოჯახში მალე ვაჟიშვილიც გაჩნდა — 1937 წლის 20 ოქტომბერს გურამი შეეძინათ, მაგრამ მთელი გულით ვერ გავიხარეთ, რადგან ის წელი შემზარავი განუკითხაობით დაატყდა ქვეყანას. განსაკუთრებით მძიმე იყო 1937 წელი მათთვის, ვინც ერთხელ მაინც განიცადა პოლიტპატიმრობისა და საკონცენტრაციო ბანაკებში გატარებული დღეების სიმწარე.

ვახტანგი და ბაბულია თედო ცინცაძის ბინის ერთ ოთახში ცხოვრობენ, გადასახლებიდან დაბრუნებული თედო ცინცაძე მალე გარდაიცვალა. ორი ვაჟიშვილით მარტოდ დარჩენილ ბაბულიას დედინაცვალს უჭირს ცხოვრება. ერთი მათგანი, სულხანი — მომავალში გამოჩენილი კომპოზიტორი, მუსიკითაა გატაცებული და დღე და ღამე ჩელოზე ვარჯიშობს. მის ნიჭს პატრონობა და სწორი გზით წარმართვა ესაჭიროება.

ვახტანგი მეტწილად მივლინებებშია. გორშიცა და ხაშურშიც გვყავს ნათესავები, მაგრამ რაც რეპრესიები გამძაფრდა, მათთან არ ჩერდება და ღამეებს დაწესებულებებში, მაგიდებზე ათევს. მას არა აქვს რეპრესიებიდან თავდახსნის იმედი და არ შეუძლია, რომ ვისიმე ოჯახს უსიამოვნება მიაყენოს.

ზამთარი ყოველმხრივ მკაცრი გამოდგა, ასვე მომდევნო თვეები და წლებიც... ოჯახების რბევა-აწიოკება, ადამიანების წამება, ხოცვა, გადასახლება, რეპრესირებულთა ოჯახების ბინებიდან გამოსახლება... ნათესავ-მეზობლებმა იციან, ვის დარჩა სარდაფებში ჩაყრილი მათი ქონება, ვინ ხმარობს კარადებში დარჩენილ მათ ტანსაცმელს... ვიცით, რომ რეპრესირებულთა ნაწილი დაიღუპა ან იღუპება შესაშური ნიჭიერების, თანამდებობის, ლამაზი ცოლის, კარგი ბინისა თუ სხვა სიკეთის გამო. საპატიმროებიდან ხმები გამოდის, რაც ათეული წლის შემდეგ გამართულ სასამართლო პროცესებზედ დადასტურდება, პოლიტპატიმართა ისეთი ხერხებით წამების შესახებ, თვით შუა საუკუნეების ინკვიზიტორებსაც რომ გააოცებდათ. იმ ხერხების „გამომგონებელთა“ გვარები, მეტწილად „ოვ“-ით მთავრდება, თუმცა ქართული გვარებიც არანაკლებია.

ვიცით, მაგრამ ჩურჩულით ვლაპარაკობთ, რადგან „კედლებსაც ყური აქვთ“, „მიხეილ ჯავახიშვილი“, „პაოლო იაშვილი“, „ტიციან ტაბიძე“, „ევგენი მიქელაძე“, „ირაკლი გამრეკელი“... და ქალაქად თუ სოფლად დატრიალებული უბედურების ჩამოთვლას ბოლო არა აქვს... გულის კანკალით ვცდილობთ დავეხმაროთ დაობლებულ თუ უპატრონოდ დარჩენილ ბავშვებსა თუ უმწეო მოხუცებს, მაგრამ ამას ყველა როდი ბედავს...

ჩემი მამიდაშვილი სიმონ ვაშაძეც წაიყვანეს, ხმა გამოვიდა, დახვრიტესო. მას არ აპატიეს უცხოეთში გატარებული წლები, თუმცა იგი ოფიციალურად, მთავრობის

ნებართვით იყო სასწავლებლად წასული. დაქვრივდა ქეთო გელაშვილი, დაობლდა ორი თვის თიურა... ახლა დათიკოსაც დაუმთავრებია ინსტიტუტი და უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გაუგია ძმის დაღუპვის ამბავი... ჩემი ერთ-ერთი ამხანაგი გათხოვდა. ქმარმა მალე მიატოვა. ქალს ბავშვი გაუჩნდა და მარტოხელა ზრდიდა პატარას. მამას ბავშვი არ უნახავს და საერთოდ, მიტოვებული ცოლ-შვილის ბედით არც დაინტერესებულა. მაგრამ აი, კაცი დაატუსაღეს, დახვრიტეს თუ გადაასახლეს და ცოლსაც მისწვდა დამსჯელი ხელი. ათი წელი ჩრდილოეთის რომელიღაც საკონცენტრაციო ბანაკში გაატარებინეს.

ჩემი თანაკლასელი, გამორჩეული გარეგნობის გოგონა, მეუღლესთან ერთად თბილისში გადმოსახლდა. ორი შვილი შეეძინა. ითქვა, რომ ლ.ბ-ს თვალში მოხვედრია და მის „წყალობას“ ვეღარ ასცდაო. მალე ქმარი გადაუსახლეს, მცირე ხნის შემდეგ კი თვითონაც იგივე ბედს ეწია. კარგა ხნის შემდეგ, გაჭაღარავებული და დაკოჭლებული დაბრუნდა საქართველოში. უბინაოდ და უქმროდ დარჩენილი ორი შვილის დედა, რომლებიც დედინაცვალმა გაუზარდა, მისი დამღუპველისადმი საყვედურებისაგან თავს ვერ იკავებდა. ნათქვამმა „ბრალდებულის“ ყურამდე მიაღწია და თუმცა, ჭიათურაში მას ბინაც მისცეს და სამსახურიც, მაგრამ მალე მაღაროელთა სასადილოში მოიწამლა (მის მეტი იმ კერძით არავინ მოწამლულა) და გარდაიცვალა.

ნაცნობი ქალიშვილი გათხოვდა. მშვენიერი გარეგნობისა და კეთილშობილი ბუნების ინჟინერზე. საქორწინო მოგზაურობა, ბათუმი... სასტუმრო... ქუჩაში გამოსულ ნეფეს ამხანაგები შეეგებნენ. მან სადილად მიიწვია ისინი. ცოტა რომ შექეიფდნენ, რაღაც უვნებელი ანეკდოტი გაიხსენეს და... მხოლოდ თხუთმეტი წლის შემდეგ, უსინათლო და გაუბედურებული დაუბრუნდა ოჯახს — ცოლსა და თოთხმეტი წლის შვილს. შემდეგში დილაობით ვხედავდი, უსინათლოთა რომელიღაც წარმოებაში, ხელჩაკიდებული როგორ მიჰყავდა ხოლმე მეუღლეს სამუშაოზე. მსგავსი და უარესი მაგალითიც უამრავია.

1937 წლის ოქტომბერი. ცხოვრება თითქოს ჩვეული გზით მიდის.

მწერალთა კავშირის კლუბში ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის საიუბილეო საღამოა. პირველად ვდგავარ ამ ტრიბუნაზე და ლექსით „შეხვედრა“, ბოდიშს ვუხდი დიდებულ პოეტს, რომ ვბედავ და მისი გვარით გამოვდივარ პოეზიის საოცარ გზაზე. კლუბი ხალხითაა სავსე. საღამო დამთავრდა. შავებში ჩაცმული, შუახნის სიმპათიური ქალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის ოჯახის შთამომავალი, ხელგაშლილი, ღიმილით მიახლოვდება:

— როგორ გამახარეთ, გეთაყვა, რომ ჩვენი...

— მე იმერელი ბარათაშვილი ვარ.

— არა, გეთაყვა, ეგ არა სთქვათ! იცით, როგორ ჰგავხართ ჩვენს ბარათაანთ ქალებსა? — და სიყვარულით მეხვევა.

...შარშან კვიროსი ერთი წლით ლენინგრადში მიავლინეს. იქიდან ამ ზაფხულის ბოლოს დაბრუნდება. იმ დროისათვის მე და ნანულიმ უნდა ჩავაკითხოთ.



კვირკოსი შვილებთან — ნანულისთან და მერაბთან 1937 წ

ჩემმა მეუღლემ ყველაფერი გააკეთა, რომ ის დღეები კარგად დაგვმახსოვრებოდა. ერმიტაჟი, სასახლეები, ბაღები, ატრაქციონები... ერთი სიტყვით, ძალზე გვანებივრებდა. ზაფხულის მიწურულს დავბრუნდით ლენინგრადიდან. რამდენიმე დღით თბილისში შეგვაგვიანდა. ჭიათურაში გასამგზავრებლად მატარებლის ბილეთები აღებულია, ბარგი — ჩალაგებული.

უეცრად, კვიროსს მწვავე სტენოკარდიული შეტევა დაემართა. სასწრაფოდ გამოვიძახეთ ექიმები. ტკივილები ძლივს დაუცხრეს. აუცილებელია წოლითი რეჟიმი და განსაკუთრებული მოვლა. გამგზავრება ჩაიშალა.

ჭიათურიდან კი არასასიამოვნო ხმები მოგვდის: რეპრესირებულია პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი გიორგი კალმახელიძე. მან წლინახევრის წინ ფეხი მოიტეხა, საავადმყოფოში დაწოლა არ ისურვა და კვიროსი შინ მკურნალობდა. ახლა, საავადმყოფოს კოლექტივის საერთო კრებაზე, დასტაქარ ყურაშვილისათვის „ხალხის მტრის" მკურნალობა, ესე იგი, მასთან მეგობრობა ბრალდებად წაუყენებიათ. ეს არ აკმარეს და ერთ-ერთ ექიმს, რომელიც თურმე ჩვენს ქვემოთა სართულზე ცხოვრებით უკმაყოფილო ყოფილა, კრებაზე განუცხადებია, რომ ექიმი ყურაშვილი განგებ აგდებდა სტერილურ მასალას იატაკზე და ფეხსაც გაპკრავდა ხოლმე, რომ ნაოპერაციები პაციენტის ჭრილობაში ინფექ-

ცია შეჭრილიყო. საბედნიეროდ, ეს ყოვლად წარმოუდგენელი, დამღუპველი ბრალდება იქვე უარყვეს დაკითხულმა ექიმებმა — კვიროსის ასისტენტებმა ლეუავამ და ფხალაძემ. და მაინც, რადგან ვიღაცამ ეჭვქვეშ დააყენა ქირურგიული განყოფილების გამგის, როგორც „ხალხის მტრის“ მეგობრის საკითხი, გარდუვალად მიიჩნიეს მისი — ამ მწოლიარე ავადმყოფის დაპატიმრება. ანიოკების მოლოდინში ციებ-ცხელებით ვცხოვრობთ. საუბედუროდ, ჩვენი ბინა პურის საცხობი ქარხნის გვერდითაა, აქ განუწყვეტლივ მიდი-მოდის ფქვილითა თუ პურით დატვირთული მანქანები და რკინის ჭიშკარს რომ მიადგებიან, ისეთი შეგრძნება გიჩნდებათ, რომ ჩვენს სადარბაზო კარზე აბრახუნებენ.

...ღამის 3 საათია, კარზე ვიღაც დაჟინებით აკაკუნებს.

— ეე, მოვიდნენ, მაგრამ არ შეგეშინდეთ! კიდევაც რომ წამიყვანონ, დღესვე დამაბრუნებენ, ჩემოდანი ხომ მზადაა.

— ყველაფერი აუცილებელი ჩალაგებულია.

— ეს ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

კარზე კაკუნი არ წყდება. აკანკალებული მივდივართ კართან.

— ვინ არის?

არავინ გვპასუხობს.

— მაინც ვინა ხარ, ვინ! — გაბრაზებას ვეღარ მალავს კვიროსი.

— ა-ტა-ტა-ტა-ტააა! — გაისმა ბოლოს პასუხად.

მღელვარებისგან მუხლმოკვეთილები ვაღებთ კარს. შემოსასვლელში დედაჩემის ყრუ-მუნჯი ძმა დგას. კასპიდან ღამის 2 საათის მატარებელს ჩამოჰყოლია. ასე არასოდეს გაგვხარებია მისი ჩამოსვლა. თან ებრაზობთ, რომ აგვაფორიაქა, თან ვეხვევით. გაოცებული მოგეჩერებია. სასაცილოცაა და სატირალიც...

მეორე დღესვე, კვიროსს წერილი გაუგზავნია „ჩეკაში“: „თუ მიჭერთ, დამიჭირეთ, თორემ მეტი ლოდინი აღარ შემიძლია, დამაწყდა ნერვები...“ როგორც გავიგეთ, ამ წერილს ძალზე გაუმხიარულებია ადრესატები: ჩვენი არსებობის მანძილზე მსგავსი წერილი არ მიგვიღიაო.

ჩემი ნაწამები ძმის გარდაცვალება

ჭიათურიდან სიძეების — მარგარიტა ვაშაძის მეუღლის — ანტონ ტუსკიასა და ბაბო ბარათაშვილის მეუღლის — ნესტორ ქელბაქიანის დატუსაღებისა და გადასახლების ამბავი გვაცნობეს. ცივ შენობებში, მაგიდებზე გათენებულმა ღამეებმა და უზომოდ დაძაბულმა ნერვიულმა მდგომარობამ, მოსალოდნელი დაპატიმრების შიშმა, ჩემი ძმის ჯანმრთელობის მდგომარეობა ძალზე გააუარესა. ბუტირის ციხეში დამართულმა ნეფრიტმა ახალი, გამანადგურებლი ძალით შემოუტია და საავადმყოფოში გვიწევს. ეს დაავადება ჩვენი ოჯახის ბედისწერაა — ჩვენთვის უძვირფასესი ორი ადამიანის სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია...

ვახტანგი საავადმყოფოდან გამოწერეს და ჭიათურაში, მშობლებთან წასვლა ამჯობინა, ავადმყოფი ქმრის, მამამთილისა და პატარების მომვლელი ჩემს მეტი არავინაა და ამიტომ ძმას ვერ გავყევი.

მაისია. ჭიათურიდან დეპეშა მივიღე. მიბარებენ. ავადმყოფებისა და ბავშვების მოვლა-პატრონობას ანიჩკა და პორფილე ყურაშვილები დამპირდნენ. ჭიათურისაკენ მივემგზავრები. ღამეა. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო: ნუთუ ისე გამწირა ღმერთმა, რომ ჩემი ერთადერთი სალოცავი ძმა დამეღუპა? არა, ამას ვერ გადავიტან! — მირჩევნია გავიდე, მატარებელს ბორბლებქვეშ ჩავუვარდე... მაგრამ ამისი უფლებაც რომ არა მაქვს?! როგორც იქნა, დილაადრიან მივაღწიე ჭიათურამდე. შინისაკენ გავრბივარ. ქუჩაში შემხვედრ ნაცნობებს ვაკვირდები. რაიმე რომ მომხდარიყო, ეცოდინებათ. ხიდი უკან მოვიტოვე, ქვის კიბეებზე სირბილით ავდივარ. კარი გამიღეს. გამამხნევებლად გამიღიმეს. ცოცხალია!

ჩემი ძმა ბალიშებზე მიყრდნობილი, საწოლის ბოლოში გამობმულ თასმაზე ხელჩაკიდებული, თავჩაღუნული ზის ლოგინში. გვერდით ელენე დეიდა უზის. 1925 წლის ცივ ზამთარში, ვახტანგის ციხის კარებთან საათობით დგომისას, ელენეს წაყინული და ახლა საშინლად შეშუპებული ფეხები მეორე სკამზე დაუწყვია და დისწულს წუთითაც არ შორდებოდა. ჩემი ძმა მძიმედ სუნთქავს. ამომხედა. გაღიმება სცადა. გვერდითა ოთახში გაფითრებული მამაჩემი გადიგამოდის, დედა კი აკანკალებული ხელით რძალს თოხლო კვერცხს აძალებს: „შეჭამე, შვილო, მოგაღონიერებს!" მაოცებს დედაჩემის თავშეკავების უნარი — ალბათ, უკანასკნელ ძალას იკრებს...

— როგორ მოგეჩვენა, აა? — მეკითხება მამაჩემი და თვალებში შემომცქერის, თითქოს განაჩენს ელოდება.

— დეპეშა რომ მივიღე, გული გამისკდა, საგანგაშო კი არაფერი ყოფილა! კვიროსიც რამდენჯერ იყო ამ მდგომარეობაში, მაგრამ...

— ახლა როგორ დატოვე?

— არა უშავს, ფეხზეა, სამსახურშიც დადის, — ვცრუობ და თვალი რომ ავარიდო, პატარა გურამთან მივდივარ — როგორ გაზრდილა!

— მამამისსა ჰგავს, არა? — მეკითხება რძალი.

— უკვე დიდი კაცია, მეშვიდე თვეშია, — დასძენს დედაჩემი, — ნუ გეშინიათ, მამა მაგის ქორწილსაც მოესწრება და შვილიშვილებისასაც, — და ნაძალადევად იღიმება.

მუხლები ამიკანკალდა. მეც ნაძალადევად გავუღიმე. ყველანი სასოწარკვეთილები ვართ, მაგრამ ვმსახიობობთ ავადმყოფის საწოლთან, ვმსახიობობთ ერთმანეთთან და მგონი საკუთარ თავთანაც. ორი შვილის დამკარგავი მამიდაჩემიც ჭრელ ხალათს იცვამს და ისე შედის ვახტანგთან. მარგარიტა, ბაბო, ნათესავები, მეგობრები, მეზობლები აქვე ტრიალებენ, მაგრამ...

ელენეს ეხვეწებიან წამოწექი, დაისვენეო, მაგრამ ის წუთითაც არ თმობს თავის „საგუშაგოს". დეიდაჩემი მხოლოდ ერთხელ წამოდგა, გურამი ეზოში



მეგობრები — ალიოშა გოცერია და ვახტანგ გარათაშვილი. 1930 წ.

გაიყვანა, ყვავილი მოწყვიტა, ბავშვს ხელში მისცა და ავადმყოფ მამიკოსთან მიატანინა. ვახტანგი შვილს დააცქერდა, თითქოს უნდოდა, სამუდამოდ გულში ჩაებეჭდა მისი სახე, მაგრამ მოალერსების თავი არა აქვს და პირი მიიბრუნა... საღამოსთვის მდგომარეობა დამძიმდა, გვიან ღამით კი, აგონიაში გადაიზარდა... და მხოლოდ ახლა უნებლიედ ამოთქვა, რა წამებაც გადაეტანა: „დამარტყით, კიდევ დამარტყით ეგ კონდახი... კიდევ დამრჩა ნეკნები... დამარტყით, მანამეთ... სულერთია, ვერაფერს მათქმევინებთ... ჯალათებო... არაკაცებო...“ ვიღაცას ებრძვის, ეკამათება, სანთელივით გაყვითლებულს, სახე ოფლითა აქვს დაცვარული. ხანდახან სარკმელს გახედავს: „აღარ თენდება? მზე მინდა, მზე... ვითომ მომისწრებს?“ — ბორგავს, სადღაც მიიბრძვის: „მზესთან, მზესთან... მზე მინდა, მზე... მოვესწრები?..“

მზემ ველარ მოუსწრო... 1938 წლის 28 მაისს, განთიადისას, 35 წლისამ დაამთავრა თავისი გაუხარელი სიცოცხლე... უკანასკნელად გავატარეთ ვახტანგი ჭიათურის ქუჩებში და შევუდექით აღმართს სასაფლაოსაკენ. მზიანი დღეა.

უკანასკნელი მოხვევა ქუჩის.
უკანასკნელად თმაზე განვიმდა...
უკანასკნელად ჰყვაოდა ნუში...
მზე პირის ნაბანს საყურში სწრიდა.
ვიღაც ყელზე მიჯერდა თასმებს..
და უსაშველოდ სუნთქვა გაჭირდა...
ვხედავდი, როგორ განვიმდა თმაზე...
მზე პირის ნაბანს სწრიდა და სწრიდა...
ვემდური კანონს მკაცრს, დაუძლეველს,
გზას, რომ მთავრდება სანუთროს კართან...
მზეს კი ვერაფრით ვერ მივუტევებ,
რომ იწინოდა... მზე პირს იბანდა...

(„მზე პირს იბანდა..“ ძმის ხსოვნას)

წავიდა. დარჩა ორი წლის შერთული მეუღლე და 7 თვის პატარა გურამი. წავიდა ისე, რომ მისი საუკეთესო ახალგაზრდული წლების ამბები, მხოლოდ კანტი-კუნტად, ყურმოკრულად შემოგვრჩა იმ ადამიანების მონათხრობიდან, ვისთანაც, 1922 წლიდან 1938 წლამდე, საერთო გასაჭირი, საერთო საქმე თუ კეთილი ნაცნობ-მეგობრობა აკავშირებდა. მათი აზრით, იგი იყო საოცრად მტკიცე ნებისყოფის, სპეტაკი და კეთილშობილი ადამიანი. კონსტანტინე გამსახურდიას, რომელიც ვახტანგის პატიმრობისას სოლოვკაში იმყოფებოდა, არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: „თუ ცოცხალი დავბრუნდი გადასახლებიდან, ვახტანგსაც დიდად უნდა ვუმადლოდე! მშველოდა, მამხნევებდა, საოცრად მტკიცე ნებისყოფის, ძალზე კეთილშობილი ბუნების ახალგაზრდა იყო".



ვახტანგის ვაჟიშვილი გურამი 1948 წ
(კადრი ფილმიდან „პაპაკის პაპანი")

„ვახტანგმა გვაჯობა, ჩემო ლევან, ჩვენზე ვაჟკაცურად მოიქცა", — ჩემი თანდასწრებით უთხრა ერთხელ ნასვამმა ბესარიონ ჟღენტმა ლევან ასათიანს... „აბა, შენ იცი, ვახტანგ, როგორ მტკიცედ იქნები, არ გატყდები!" უთვლიდნენ 1924 წელს თბილისის ციხის საკანში მყოფ ჩემს ძმას მისი პარტიის ლიდერები.

მართლაც, სიკვდილის მეტმა ვერაფერმა გატეხა... და განისვენებს ახლა იგი ჭიათურის სასაფლაოზე, თავისი უზომოდ განაწამები, გაუხარელი მშობლების გვერდით.

...თალხი ერთ კვირასაც არ მცმია. ცისფერი კაბა მაცვია. არც ცრემლებს ვაჩვენებ კვიროსს, ისიც ხომ ჩემი ძმასავით განწირულია და არ მინდა, ყოველ წუთს მოვაგონო ამის შესახებ.

მისი ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდება, მაგრამ ჯერჯერობით უჯიუტდება ავადმყოფობას და სამსახურშიც კი დადის. მეორე საავადმყოფო — პროფესორ ეფრემ ზაქარაიას კლინიკა, კამოს ქუჩაზეა, ჩვენგან არცთუ ისე შორსაა და მართალია, ცდილობს, შინ მხიარულად შემოვიდეს, მაგრამ ხომ ვხედავ, რა ძალდატანებით ახერხებს ამას.

ჩვენი ბინის იმ ოთახის ფანჯრები, სადაც კვიროსი წევს, ქუჩის მოპირდაპირე მხარესაა და სასურსათო მაღაზიას გადასცქერის.

— ჩემი ოთახის ფანჯრები დასამსხვრევადაა განწირული, — მეუბნება კვიროსი — ჩვენი ფედოსია მეტს არაფერს აკეთებს, იმ ფანჯრებსაა მიმდგარი,

წმენდს და აპრიალებს, ნახე, ერთი, რა უსაშველო ჭირს მინებს!

ერთ დღეს სადარბაზოზე ზარი ირეკება. კართან იმ მაღაზიის გამგე იოსები დგას.

— შეიძლება?

— მობრძანდით!

შინ შემოვიდა, უხერხულად იშმუშნება.

— იცით, მე თქვენ ისე გადარევით მომწონხართ, რომ...

შევშფოთდი, კვიროსის ოთახის კარი ღიაა, მართალია იოსები დაბალი ხმით ლაპარაკობს, მაგრამ ხომ შეიძლება ავადმყოფმა ყური მოჰკრას, ანდა როგორ მიბედავს, რომ... რას ბოდავს ეს თავხედი!

— რა ბრძანეთ?

— ისე მომწონხართ-მეთქი, ისე მიყვარხართ, რომ გადავწყვიტე, თქვენი ფედოსია შევირთო ცოლად, თქვენი გაზრდილი ქალი ცუდი არ იქნება.

ახლა ერთი გულიანად გაცინება რად მიღირს!

— კი, მაგრამ თავად ფედოსია...

— თქვენ თუ თანახმა ბრძანდებით...

ასე გაიხსნა საიდუმლო. სასიძო ისეთი ალმოდებული გამოდგა, რომ ზაფხულში ჯერ ბორჯომში გვაკითხავს, შემდეგ ნავარძეთში. თირის რკინიგზის ბაქნიდან — ნავარძეთის აღმართს რომ ამოუყვება, ჭალაში წისქვილთან შეისვენებს, კედელს მიეყრდნობა და რუსულ გაზეთს გაშლის, მთელ სოფელს ხიბლავს თავისი „განსწავლულობით“

მალე დაქორწინდნენ. მარიაც ჭიათურაში გაგვითხოვდა... ჩემს ავადმყოფებთან და პატარებთან მარტო დავრჩი. მართალია, მამამთილი ფეხზე მოსიარულე ავადმყოფია, მაგრამ განსაკუთრებული მოვლა ესაჭიროება და ჩვენს ოჯახში სამუშაოდ არავინ მოდის. ელენე დეიდაც ჭიათურას ვერ ტოვებს. ვახტანგის სიკვდილის შემდეგ. მამაჩემი ახალციხეში წავიდა სამუშაოდ. იქ, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ და მხართმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად მუშაობს.

კვიროსს ყოველდღიურად ურთულდება მდგომარეობა და მაინც ნანულის დაბადების 5 წელი დიდი ამბით გადავიხადეთ — ეგებ მეტს ვეღარც მოვესწროო — უთქვამს მეგობრებისთვის. მოპატიჟებულზე ორჯერ მეტი სტუმარი გვეწვია. ოთხმოცამდე ადამიანს ჩვენი ბინა ძლივს იტევს. მასპინძლებს მოძრაობის საშუალება არა გვაქვს. სურსათი კი იკმარებს, მაგრამ ღვინო? გასასვლელ კარებთან მისვლა რომ ვერ მოახერხა, კვიროსი მეორე სართულის აივნიდან ჩახტა ქუჩაში და ღამის ორ საათზე, ღვინის რომელიღაც სარდაფს მიაგნო. დღეობამ მხიარულად ჩაიარა.

ეს იყო 1938 წლის 23 მარტი. ვახტანგიც ჯერ კიდევ ფეხზე იდგა... და ეს იყო ჩემი ძმისთვის ბოლო, დასამახსოვრებელი სიხარული. ორი თვის შემდეგ კი იგი გარდაიცვალა. კვიროსიც მეტწილად წევს, ასე რომ, ცოლისძმის დაკრძალვასაც ვერ დაესწრო... და მაინც, თავს ძალას ატანს, რომ სამსახურში იაროს, იქიდან

წამოსული კი თურმე სადარბაზოებში შედის, ისვენებს და გადაფითრებული ბრუნდება შინ. ერთ დღეს კი, შინისაკენ მომავალმა იგრძნო, რომ მხედველობას კარგავს, მაგრამ მაღაზიაში მაინც გამოიარა და ნანულის უკანასკნელი საჩუქარი — დედოფალა უყიდა. უკვე თავს ვეღარა სძლევს. თვალთ უფრო და უფრო აკლდება. ფილტვების შეშუპების გამო ლოგინში ვერ წვება, მჯდომარე თვლემს. ჩაუქრობლად მინთია ნავთქურები, ირგვლივ ცხელი წყლით სავსე ბოთლებს ვუწყობ, რომ სისხლის მიმოქცევა გაუადვილდეს. მამამთილიც საბოლოოდ ჩანვა.

შალვამ ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა სამხედრო სავალდებულო სამსახურშია. ჩვენი ერთადერთი მომხედავი პორფილე ყურაშვილი და მისი მეუღლე ანაა. დიდ გულისხმიერებას იჩენენ კვიროსის მეგობრები ექიმი მიშა ტყავაძე და მისი მეუღლე მარგარიტა. გავიგე, რომ ბაქოში მცხოვრები ექიმი ასათიანი ასთმას მკურნალობს, ბავშვები და ავადმყოფები პორფილეს დავუტოვეთ და მე და ანიჩკა ბაქოში გავემგზავრეთ. წამალმა ოდნავაც ვერ შეუმსუბუქა კვიროსს მდგომარეობა. ახლა, ნოლა რომ უჭირს, მეტწილად მაგიდასთან ზის და ხელებში თავჩარგული თვლემს. ჩემს გასაჭირს არავის ვაგებინებ, სჯობს, არ იცოდნენ. ყველას დამამშვიდებელ ცნობებს ვაწვდი, მე კი... განთიადისას კვიროსი ცუდად გახდა. პლეხანოვის პროსპექტზე, საავადმყოფოსკენ გავრბივარ. ფეხზე უზომოდ შემცივდა, ამ თოვლში შინიდან ოთახის ფაჩუჩებით გამოვქცეულვარ.

ღამის 3 საათია. მამამთილი მეძახის, საწოლიდან გადმოვარდნილა და შველას მთხოვს. გაჭირვებით ვახერხებ საწოლზე ავადმყოფის აჩოჩებას. რამდენიმე დღეა, წელი მტკივა. და მაინც ბალიშქვეშ რვეული და ფანქარი მიდევს, ისეც ფხიზლად უნდა ვიყო, რომ ბოთლებში წყალი არ გამინელდეს. შუქს ვერ ვანთებ, რომ ავადმყოფები არ გავაღვიძო და ამ სიბნელეში ვწერ ლქსებს. დილით ძალზე მიჭირს მათი გარჩევა. ბევრი სტრიქონის გადარჩენა ვერც ხერხდება და მაინც ვუმადლი მათ. ასე მგონია, იმ ლექსებმა გადამარჩინა. რაც გადამირჩა, იბეჭდება, მაგრამ არავინ იცის, რომ მათი უმეტესობა ბნელშია დაწერილი.

მოულოდნელად შემოგასევს
სტრიქონთა ნყებას.
უნდა უშველო... ვერ მოასწრე?—
მირაჟი ქრება...
ზოგჯერ გჯირდება ერთადერთი
სიტყვა — თავნება,
მაგრამ ვერ აგნებ და ინყება
შენი ნამება...
ინათებს და თუ ზეცა ბედზე
ღიმილს მოგმადლის,
მოვა, დადგება ასაფრენზე
შენი ხომალდიც...

(„ლექსი“)

მეუღლის, კვიროს ყურამვილის გარდაცვალება



კვიროსს ისე შეუშუპდა კიდურები, რომ დამოუკიდებლად ოდნავი მოძრაობაც აღარ შეუძლია.

ორთავე ბავშვი წითელათი გამიჩდა ავად. მაღალი ტემპერატურა აქვთ. ჩვენს მოსანახულებლად სოფლიდან ჩემი მამამთილის ნათლული, ლუბა ჩამოდის. გამეხარდა, ოდნავ მაინც შემეშველება-მეთქი, მაგრამ ისიც მალე შეუძლოდ შეიქნა. დილით ჩემ ბედზე, არიჩკამ მომაკითხა და ლუბა ეკლესიაში წაიყვანა, შემდეგ კი მისიანებს აცნობა და ჩამოაკითხეს. მეზობლები, მეგობრები, ნათესავები ცდილობენ დამხმარე ქალი მიშოვონ, მაგრამ ამაოდ! განსაკუთრებით ჩემი მამამთილის მოვლაა ძნელი და მეც გაუთავებლად ვრეცხავ, ვასუფთავებ... რამდენს მლოცავს დეკანოზი ამბაკო, როგორ ვებრალები, ვუყვარვარ და წუხს თავის მდგომარეობაზე, ასე დაავადებულ შვილზე, მაგრამ რა ქნას!

ხანდახან ვახერხებ მწერალთა კავშირში ან რომელიმე რედაქციაში მისვლას, ლექსების დაბეჭდვას. გასული 1940 წლის ზაფხულშიც, თბილისიდან — ბანძაში გამგზავრების წინ მწერალთა კავშირში შევიარე, კავშირის მდივანი, ირაკლი აბაშიძე ძალზე თბილად შემხვდა და მითხრა მაშინვე დამეწერა და დამეტოვებინა განცხადება მწერალთა კავშირის წევრად მიღების შესახებ. ძალიან გავიხარე, როდესაც ორი თუ სამი კვირის შემდეგ, გაზეთი გავშალე და მწერალთა კავშირში მიღებულთა სიაში ჩემი გვარი ამოვიკითხე: საერთოდ, მიყვარს მწერალთა კავშირში მისვლა, სადაც ყველა დიდ სითბოსა და სიყვარულს მაგრძნობინებს — ეს არის ჩემთვის გულით საყვარელი, მეორე მშობლიური ოჯახი.

აქ მუდამ ხალხმრავლობაა — შეკრებები, თათბირები, დისკუსიები, საღამოები. დერეფნებში, ბიბლიოთეკაში ჯგუფ-ჯგუფად დგანან მწერლები: გამსახურდია, ქიაჩელი, ქიქოძე, გრიშაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი... ახალგაზრდა მწერლები... ანდა ბაღში, სკამზე ჩამომსხდარნი საუბრობენ, კამათობენ.

მიხეილ ჯავახიშვილს, პაოლოს, ტიციანს ვეღარ მოვესწარი...

...გასული წლის ზაფხულის შემდეგ აქ აღარ მოვსულვარ — ავადმყოფებს ვერ ვტოვებ. არც პატარების მიმხედავი მყავს ვინმე. ნანული ჯერ შვიდი

წლისაა, მერაბი — ხუთის. ამათ კაცი როგორ უღალატებს!— ამბობს კვიროსი — არც ვუღალატებ! ხუთი წლის სიცოცხლე რომ მომიზომეს? — მე კი, აგერ, ხუთზე ორჯერ მეტია ვცოცხლობ! შენც ხომ გჯერა, მარიკუნა, რომ ვიცოცხლებ, რომ არ გჯეროდეს, ორ შვილს გაიჩენდი? იცოდე, მეც ეგ შენი რწმენა მამაგრებს და მაიმედებს, არ შეშინდე, მარტო არ დაგტოვებ! ასე ებრძვის თავის თავს, მაგრამ როდესაც ღონე და იმედი ღალატობს, — მარიკუნა, მოდი აქ, ჩამოჯექი! — და ვითომ სასხვათაშორისოდ, მეუბნება: — იცი, რა გითხრა, ახალგაზრდა ქალი რომ დაქვრივდება, უნდა გათხოვდეს, თორემ თავზე კასრი რომ გადმოიხუროს და შიგ იცხოვროს, ხალხის ჭორს ვერ აცდება.

ყელში ბურთი მომაწვა... ხომ ვიცი, რა შინაგანი ბრძოლისა და ტკივილის ფასად უღირს ეს სიტყვები. ეტყობა, პროცესი დასასრულს უახლოვდება, საშველი არ ჩანს...

დეპეშით ვაცნობე და ვერა და გიორგი სასწრაფოდ ჩამოვიდნენ სენაკიდან.

1941 წლის 3 მარტს, განთიადისას, კვიროსი გარდაიცვალა. დავიღუპეთ?! — საცოდავად ამოიბღავლა მამამისმა და გრძნობა დაკარგა. მას უკვე აღარაფერი ესმის და მადლობა ღმერთს, არ ესმის! კიდევ კარგი, რომ შევძელი, მხოლოდ თანაგრძნობა და სიყვარული გამეტანებინა მისთვის საგზლად, ასე დაჩაგრული საბრალო მოხუცისათვის. ერთადერთი „კრიტიკა" მომაგონდება მისგან, როგორ შეიცხადა, როდესაც ქობულეთიდან სოფელში ჩავედი: „ღმერთო მომკალი, რას დამგვანებიხარ, შვილო! ქალები ფერუმარილს ხმარობენ, ეგება ცოტა გაგვათეთროსო და შენ კი ძალით გაიშავე თავი?"

...ვზივარ ახლა კვიროსის კუბოსთან და მოგონებაში ცოცხლდება ჩვენი, თითქმის თორმეტი წლის ერთად ცხოვრების ტკბილ-მწარე დღეები... ფიქრიც არ მინ-



I რიგი: ლიზიკო ყურაშვილი (კვიროსის ბიძაშვილი) და მარიკა, II რიგი: გერასი, ვერა, ნანული, კვიროსი, მერაბი, ლუბა დიხამინჯია (კვიროსის ნათესავი) და ნათელა გამსახურდია ბორჯომის პარკი 1939 წ.

და იმაზე, რა იქნება ხვალ, როგორ გავიკვლევ ამ მკაცრი ცხოვრების გზას, ჩემი პატარებით მარტოდ დარჩენილი...

რა თბილი ხალხია მეგრელები! ახლაც, ჩემს ნათესავებთან ერთად, თავს დამტრიალებენ. ვგრძნობ, რარიგ ვუყვარვარ, როგორ ცდილობენ ჩემი ტკივილების შემსუბუქებას. რა მეშველება ახლა, ვერა და გიორგი რომ არ მედგნენ გვერდით! უსაყვარლესი ძმის დამკარგავი, ჩემი მული ჩემს უბედურებასაც ტირის, საწყალი, ახალგაზრდა ქალი როგორ დაგეჩაგრაო...

ვიცი, რა მწარეა ძმის დაკარგვა, ოღონდ არ ვიცი, როგორ შევუმსუბუქო მწუხარება, არც ის ვიცი, თავადაც ერთადერთი ძმის დამკარგავმა, როგორ ვუშველო ტკივილებით განაწამებ ჩემ თავს! სიმწრით მაგონდება 1938 წლის 28 მაისი — ჩემი ვახტანგის გარდაცვალების დღე, მიკვირდა, როგორ ჩვეულებრივ გამოანათა მზემ, ჩვეულებრივ ცხოვრობდა ქალაქი, ქუჩებში დადიოდნენ ადამიანები...

...დედა ავადაა. დაკრძალვაზეც ვერ ჩამოვიდა. მამაჩემი ბავშვივით მეფერება, ელენე გულში მიკრავს, მამხნევებს... მომსვლელები მართლაც გულით იზიარებენ ჩემს მწუხარებას, მაგრამ რამდენიც უნდა გაიზიარონ, იმდენი მრჩება, რომ თუ არ ვაჯობე ჩემს დარდს... ბაშვები კარის მეზობელმა, გოჰარიკამ გაიყვანა. წუხელის მასთან იყვნენ. ახლა, ტირილის ხმა რომ ესმით, დამფრთხალი ბელურებივით ფანჯარასთან ჩამომსხდარან, ეკვრიან ერთმანეთს. მერაბმა არ იცის, რას ჰქვია სიკვდილი. ნანულიმ იცის ეს არის უმამოდ დარჩენა. ახსოვს, მამიკო რომ ეტყოდა ხოლმე — მე რომ მოვკვდები, ბაბაჩია, ხომ მომიტან ხოლმე და დააწყობ ყვავილებს ჩემს საფლავზე!..

ჩვენი სახლის საერთო აივანზე, გოჰარიკას ფანჯრის წინ გავიარე.

— რატომ ტირის დედიკო?— შეჰკითხვია მერაბი დაიკოს.

— მამა აღარ გვეყოლება.

— აბა, სად წავა?

— სხვაგან, ფუფალასთან.

— მერე, ჩვენ?

— მარტო დედიკომ უნდა გაგვზარდოს. ფულიც დედამ უნდა იშოვოს. მერაბმა აივანზე გამოირბინა, წინ გადამიდგა, პატარა მუჭაში სამკაპიკიანი ჩაუბღუჯავს.

— აა, ეს შენ, დედიკო! როცა დიდი გავიზრდები, ბევრ ფულს მოგცემ! გეხვეწები, ნუ ტირი, ნუ!

...6 მარტს კვიროსი დავკრძალეთ. შინ მობრუნებულს მამამისი დაგეხდა გარდაცვლილი. ერთ კვირაში ორი კუბო გავიდა ჩვენი ბინიდან... ახლა ისინი ერთმანეთის გვერდით ვაკის სასაფლაოზე განისვენებენ.

უყურადღებოდ არც ვერა და გიორგი გეტოვებენ. არც სხვა ახლობელ-ნათესავები, მაგრამ სულიერად, ფიზიკურად, მატერიალურად განადგურებულს, არ ვიცი, რა მეშველება! მხოლოდ ის ვიცი, როგორღაც უნდა ავანყო ცხოვრება, დავზარდო და აღვზარდო შვილები და ჩემი, მამით ობოლი ძმისშვილიც.

ვის იმედად დავრჩი? — მშობლების? მაგრამ შვილის დაკარგვით განადგურებულებს რომ სიძეც დაეღუპათ, როგორ გაუძლონ ამდენ საწუხარს? რით დაეხმარონ უმამოდ დარჩენილ ოჯახს, სამ ობოლ შვილიშვილს? ისე ვარ გამხდარი, გაფითრებული, ძალაგამოლეული, რომ ტრანსპორტში ასვლა-ჩამოსვლისას თვალთ მიბნელდება და მუხლები მიკანკალებს.

ბოლოს მოხერხდა პენსიის დანიშვნა ბავშვებისთვის. ავადმყოფების მოვლამ და მიცვალებულთა დაკრძალვამ ყველა საარსებო საშუალება ამოწურა. არც სადმე ვმუშაობ, ვარ მხოლოდ ახალფეხადგმული მწერალი, რომელსაც მუშაობის ნორმალური საშუალება არასოდეს ჰქონია. და აი, ერთ დღეს, პენსიამაც დაიგვიანა და ძალზე შევწუხდი. დარდიანს ძლივს ჩამეძინა. „— რა მოგვიდა, მარიკუნა? — მეკითხება კვიროსი — შეშინდი? ალბათ, აღარც გახსოვს, რომ ჩემი საწერი მაგიდის ბოლო უჯრის უკანა კუთხეში, პატარა დასტად შეკრული ობლიგაციებია. აიღე ზემოთა ორი ობლიგაცია და გადაახურდავე. შემდეგ კი პენსიაც მოგისწრებს“. გამეღვიძა. აქამდე არც გამხსენებია მეუღლის შენახული ობლიგაციების არსებობა. უჯრა გამოვაღე, სულ უკან, კუთხეში, მართლაც ძევს პატარა შეკვრა. ისე, როგორც კვიროსმა მითხრა, ვიღებ ზემოთა ორ ცალ ობლიგაციას, მიმაქვს შემნახველ სალაროში და მეუბნებიან, რომ ერთ მათგანს 2000 მანეთი მოუგია, მეორეს — 200. ეს საკმაოდ დიდი თანხაა, რომელიც კარგა ხანს გვეყოფა.

ვდგავარ დაბნეული, ეტყობა გაფითრებული. — ქალბატონო, ცუდად ხომ არ ბრძანდებით? — არა... არა... არაფერია...

რა არის ეს? სასწაული? — ალბათ! ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ... ამ ფაქტმა ძალა შემმატა. რწმენა ჩამინერგა, რომ მარტო არა ვარ, რომ ახლობელი მიცვალებულებიც გრძნობენ ჩვენს გასაჭირს და უხილავად გვეხმარებიან.

უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ახალციხე

სასკოლო არდადეგების დაწყებისთანავე, მამაჩემმა ახალციხეში წასაყვანად ჩამოგვაკითხა. ამ საღამოს მივემგზავრებით. მანამდე უნივერსიტეტში უნდა მივიდე, განცხადება დავტოვო და პედაგოგიური სექტორის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩავირიცხო. ფაკულტეტის დეკანია პროფესორი ანდრო ჭილაია. 12 საათისათვის დამიბარა.

მანამდე რაღაც აუცილებელი უნდა ვიყიდო მალაკნის ბაზარზე. ბაზარში დავდივარ. უეცრად ჩემ გონებაში ერთი მინიატურული ლექსი იბადება. შემდეგ მეორე, მესამე, მეოთხე... ჩანთაში განცხადება და კალამი მიდევს, მეტი ქაღალდი არ გამაჩნია. შინ მიბრუნებას ვეღარ მოვასწრებ. საყიდელს სასწრაფოდ ვყიდულობ. რკინიგზის სადგურისკენ გავრბივარ. ტრამვაიში ვჯდები. მეშინია, ლექსები არ დამავიწყდეს და გულში ვიმეორებ. თავჩაღუნული ვზივარ და ღმერთს

ვეუედრები, ნაცნობი არავინ შემხვდეს, აზრი არ გამაწყვეტინოს. 12-ს 15 წუთი აკლია, როდესაც უნივერსიტეტს მივაღწიე, სამდივნოში სარკმელთან მივდივარ და მდივან ქალს ერთ ფურცელ ქაღალდს ვთხოვ.

— განცხადების დასაწერად გნებავთ?

— დიახ! ქაღალდს ვართმევ, კუთხეში მაგიდასთან მივდივარ და ქაღალდზე იბადება მინიატურები: „ბილიკი", „სტუდენტს", „პეპელა", „ცისარტყელა" მოვასწარი და, სამდივნოში უცნობი კაციც შემოვიდა. მდივანს რაღაც შეეკითხა.

— დიახ, ბატონო, ანდრო! — როგორი ყოფილა ანდრო ჭილაია! და ისე გამინათდა სახე, რომ ბატონმა ანდრომ გაოცებით შემომხედა შავებით შემოსილ ქალს და ვინ იცის, რა გაიფიქრა, მე კი ის მიხარია, რომ მის მოსვლამდე ჩემი ლექსების ქაღალდზე გადატანა მოვასწარი.

გამესაუბრა. გახარებული დავბრუნდი შინ. შემოდგომიდან ოცნება მისრულდება — სტუდენტი ვხდები. ამ საღამოთი კი ახალციხისკენ მივემგზავრებით.



მარიკა (მარჯანიე) თანაკურსელ თინა ჯინორიძესთან ერთად. 1942 წ

1941 წლის 3 ივნისს ახალციხეში ვართ, აქ მამაჩემს დიდ პატივს სცემენ. მეც სიყვარულით შემხვდნენ. მიწვევენ სკოლებში, აწყობენ შეხვედრებს, საღამოებს, ექსკურსიებს, მეპატიჟებიან ოჯახებში. განსაკუთრებული სიამოვნება პოეტ ელენე დიდიმამიშვილის ოჯახში სტუმრობამ მომანიჭა — ტრადიციული, დიდად განათლებული ოჯახია.

ვიყავით სოფელ უდეში, აქ ბარათაშვილების 60 კომლი სახლობს. ჩვენი მისვლა გაუხარდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ოჯახში — ასეა სხვა ოჯახებშიც, ქართული არავინ იცის. ჩვენ მხოლოდ ვუღიმით ერთმანეთს და თარჯიმნის დახმარებით ვსაუბრობთ. და ეს ხდება მესხეთში, საქართველოს ძირძველ კუთხეში, ბარათაშვილი ბარათაშვილს თარჯიმნის საშუალებით ელაპარაკება!

უდედან გულდამძიმებული წამოვედი. როგორც აქაური მხართმცოდნეობის მუზეუმისა და საერთოდ, მესხეთის ისტორიითა და ამა თუ იმ ძირძველი გვარის ეტიმოლოგიით დაინტერესებული მოღვაწეები ირწმუნებიან, იმერელი ბარათაშვილების წინაპრები, XVII სუკუნეში, გათათრების შიშით აქედან იმერეთში გადახვეწილან. მამამ გულისტკივილით მიამბო, რომ აქ ჩამოსვლისთანავე

დაინტერესებულა ახლომახლო სოფლებიდან მოსული მოსწავლეების გვარსახელების გაშიფვრით. მოსწავლეებს სცოდნიათ თავიანთ ქართული გვარები და მამასაც ასე შეუდგენია საკლასო ჟურნალი. მეც მწერდა: მაჰმადიან ქართველ ბავშვებს თავიანთ ქართულ გვარებს ვუბრუნებო, მაგრამ ორი-სამი კვირის შემდეგ, მოსწავლეებს უთხოვიათ, ისევ თურქული გვარები დაგვიტოვეთ, თორემ სოფელში აღარ მიგვესვლებაო. ეს ტკივილები და, საერთოდ, მესხეთ-ჯავახეთში მიღებული შთაბეჭდილებები დამაწერინებს შემდგომში არაერთ ლექსს:

ამ ქვამ მომითხრო, უძველესი ჯიხის ნანგრევმა –
რაბათმა, მტკვარმა, გარდასულის მრავლის მნახველმა,
ქართველი ხალხის, ჩემი ხალხის ბევრი დარბევა,
ჩემი მთა-ველის მუდმივ ნვა და გაპარტახება.
ქვა რომ ქვა არის, იქნებ მასაც ცრემლი ედინა,
მტკვარიც ადიდდა იქნებ ცრდვით ნელში გახრილი...
რა არ მომითხრო ამ მდუმარე გზაჯვარედინმა!..
ბევრი უხილავს მას ქართველი ბორკილგაყრილი.

(„ახალციხეში“)

...მესხეთ-ჯავახეთთან ნაცნობობის ის დღეები დიდხანს არ გაგრძელებულა, დაახლოებით სამი კვირის ჩასულები ვიყავით, როდესაც 1941 წლის 22 ივნისს, ფაშისტური გერმანიის თავდასხმის თავზარდამცემი ამბავი გაცხადდა.

ნათესავები. მეგობრობა რუს მწერლებთან

მამაჩემმა სასწრაფოდ გამოგვამგზავრა ახალციხიდან. გაჭირვებით ჩამოვაღწიეთ ჭიათურამდე. ახლა ნავარძეთში ვართ. პატარა გურამიც ჩვენთანაა, ელენე დეიდაც და, დედას უხარია, რომ ამ მძიმე დღეებში, ყველანი თავისთან ვეგულებით. აქ ბოსტნეული და ხილი მაინც გვაქვს, დანარჩენი ქალაქიდან მოგვაქვს. სექტემბერსაც აქ ვატარებთ. ნანული სოფლის სკოლაში დადის, რომ სწავლას არ ჩამორჩეს.

ჩვენი ოჯახის შვილობილები მანანა მკრტიჩიანი და ვანო ზადიკიანიც ჭიათურაში აღარ არიან, ორი წელია, რაც მშობლებმა ჩამოაკითხეს, ახალქალაქის რაიონს დაუბრუნდნენ. როგორც გავიგეთ, მანანა გათხოვილა, ვანოსთვის კი მამას საღამოს სკოლა დაუმთავრებინებია, ახლა ჯარში გაუწვევიათ.

ოქტომბრის პირველ რიცხვებში დავბრუნდით ნავარძეთიდან. ნანულიმ თავის სკოლას მიაკითხა, მერაბი — საბავშვო ბაღშია. მე უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტის პედაგოგიურ სექტორზე ვსწავლობ.

ვერა და გიორგი დედაქალაქში გადმოსახლდნენ, ყურადღებას არ გვაკლებენ. ხშირად, უქმე დღეებში, ბავშვები თავისთან მიჰყავთ. მეც მიყვარს მათ თბილ ჭერქვეშ ყოფნა. მიყვარს კვიროსის ბიძაშვილების ეპიფანე ყურაშვილ-

ისა და გალაქტიონ ხახუბიას ოჯახები. ყოველთვის დიდი სითბოთი და სიყვარულით გვხვდებიან, მაგრამ ამასთან ერთად, მაწუხებს, რომ სიბრალულით გვიყურებენ და თავს ვალდებულად გრძნობენ, დაგვეხმარონ. განსაკუთრებით, უმწეოდ ვგრძნობ თავს შუქშენიღბვისას. ჩემს პატარებს გვერდით ვიწვენ და ხელს ვხვევ, თითქოს ამით შემეძლოს დაფარვა იმ საშინელებისაგან, რომლის მოლოდინშიც ქალაქი ბნელში გარინდულა... დილით კი, განსაკუთრებით უქმე დღეებში, ბავშვებს წიგნს ვუკითხავ ან მათ საყვარელ გმირებზე ვსაუბრობთ.

გუშინ ოპერის თეატრში „ქეთო და კოტეზე" ვიყავით. სპექტაკლის ჩვენებისას, როდესაც მსახიობები ცეკვა „ქართულს" ასრულებდნენ, მერაბი მუხლებიდან ჩამომისხლტა, „ასას" ძახილით ხელი გაშალა და პარტერის შუაგულ გასასვლელში ცეკვით გადი-გამოდიოდა, რამაც მაყურებლებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ხალხი არანაკლებ გამხიარულდა, როდესაც სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ჩემს პატარებს შინ წამოსვლა აღარ უნდოდათ, წარმოდგენის გაგრძელებას მოითხოვდნენ. მაყურებელთა დახმარებით, შინ წამოსვლაზე ძლივს დავიყოლიე, დავპირდი, რომ კვლავაც გაიმართება „ქეთო და კოტე" და აუცილებლად მოვიყვან თეატრში. დამიჯერეს, რადგან არასდროს მომიტყუებია ისინი, არც ფიზიკური და არც სიტყვიერი შეურაცხყოფა მოაგონდებათ ჩემგან. ჩემი შვილები პატარაობიდანვე ჩემი მეგობრები არიან.

ბედნიერებაა, რომ მეზობლებთან საერთო აივანი გვაკავშირებს და ყველა შემთხვევასა თუ ბავშვების მეთვალყურეობაშიც ერთმანეთს ვეხმარებით. ეზოს მოსახლეობა მრავალეროვანია. ბავშვებმა იციან, რომ ეროვნების მიხედვით არ უნდა ანსხვავებდნენ ერთმანეთს. რომ მაბეზღარობა და ენატანიობა საძაგლობაა. რომ მოხუცსა და გაჭირვებულს დახმარება სჭირდება, ამიტომაც უყვართ პიოტრ პეტროვიჩიც, ერთი ცალთვალა კატის პატრონი.

ამ ორი წლის წინ, ბორჯომში წინა დღის ჩასულებმა, პეტრეს დეპეშა მივიღეთ, თქვენს ბინაში ჩემი კატა დარჩენილა და მომეშველეთო. სასწრაფოდ ჩამოვედი მისაშველებლად. შარშან ზაფხულს კი ის კატა დაეღუპა — აივნიდან გადაუვარდა. ამის შესახებაც დეპეშით გვაცნობა, მაგრამ ჩამოსვლა ვერ მომიხერხდა. მოხუცს ეზოს ბავშვები მიხმარებიან და კატა ეზოშივე დაუკრძალავთ. ახლა ვცდილობთ მარტოობა არ ვაგრძნობინოთ. თავად მეხვეწება, კარი გავჭრათ და მისი ბინა შემოვიერთოთ, მაგრამ ეს არაადამიანურად მიმაჩნია, მით უფრო, რომ, ჩვენს მოპირდაპირედ, ერთ პატარა ოთახში, ოთხსულიანი ოჯახი იხუთება.

მარგარიტამ ჭიათურის სახლი გაყიდა და თბილისში გადმოსახლდა. ნუნუ სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, ნათელა — უნივერსიტეტის. კონსტანტინე გამსახურდიას მეორე ცოლი, მირანდა, თითქმის ნათელას ტოლია — მშვენიერი გარეგნობისა და კეთილი ბუნების ქალია. გულით შეიყვარა ნათელა და ცდილობს დედის მაგიერობა გაუწიოს.

...შალვა სავალდებულო სამსახურიდან მოქმედ არმიაში გადაურიცხავთ, კვიროსის სიკვდილი რომ გაუგია, წერილი მომწერა. მეფერება, მაიმედებს, მპირდ-

ება, რომ მალე დაბრუნდება, გვერდში ამომიდგება და ბავშვებს ობლობას არ აგრძნობინებს, მაგრამ დაიწყო ომი და... ახლა მისი აღარაფერი ვიცი. ელენესაც პარიზიდან აღარ მოსდის წერილები. 1924 წლიდან, მისი მეგობარი ილია ქარუმიძე ემიგრაციაშია. თითქმის ოცი წელი წერილობითი ურთიერთობა ჰქონდათ. ახლა კი... იქნებ, ილიკო ცოცხალიც აღარაა! რამდენჯერ მიეცა დეიდაჩემს ოჯახის შექმნის საშუალება, საკუთარი შვილებიც ეყოლებოდა — ძმისა და დის შვილებს რომ არ შემოვლებოდა თავს, მაგრამ გზისკენ ყურებასა და ჩვენი დაუსრულებელი გაჭირვების თანამოზიარობაში გაილია მისი ახალგაზრდობის წლები.

როცა სურვილი ერთ ბილიკზე არ დაეტია,
სხვადასხვა მხარეს გამიტაცეს გზებმა სავალმა.
ლექსებს უნდოდათ, მხოლოდ მათთვის ღამე მეთია,
მაგრამ უფალმა დედის ტკივილი მეც დამავალა.
შემდეგ, რამდენჯერ შევბარბაცდი გზაჯვარედინთან,
თხრობა რად გინდა, მონმე იყავ ხშირად თვითონაც.
რამდენი ნვეთი ნმინდა ცრემლი გულს დაედინა,
ნეტავ, იმდენი ქვეყნიერიყო ნათელ სტრიქონად!
რამდენი ნვეთი ნმინდა სისხლი გულს დაედინა,
ნეტავ, იმდენი ჩავაქსოვო სტრიქონს მარჯნები.
დავეცემოდი, ალბათ, სადმე გზაჯვარედინთან,
მაგრამ შენ ყოველ განსაცდელში მეყავარჯნები.

(ეს სტრიქონები ელენე კასრაძეს)

...1942 წლის ზამთარში, მწერალთა კავშირმა მთხოვა დროებითი თავშესაფარი მივცე ხარკოვიდან ევაკუირებულ მწერალსა და მის მეუღლეს. შევისახლე. ჩვენი საწოლი ოთახი დავუთმე, რომელსაც დერეფნიდან ცალკე შესასვლელი კარი აქვს. მდგმურები ძალზე სიმპათიურები აღმოჩნდნენ, რამდენიმე დღეში ისე შევეთვისე მათ, რომ როდესაც სამი კვირის შემდეგ დამემშვიდობნენ, გამიძნელდა მათთან განშორება.

ჩემი სტუმრების წასვლიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, საღამო ხანს, სადარბაზო კარზე ზარი დაირეკა. კართან უცნობი კაცი და ქალი დგანან.

— მწერალთა კავშირიდან თქვენთან გამოგვგზავნეს და გთხოვეს...

დავიბენი, შინაც ვერ შემოვიპატიჟე, ხარკოველების წასვლით გამოწვეული სევდა ჯერაც არ გამნელებოდა და გადავწყვიტე, აღარავინ მიმეღო.

— მწერალი ვარ, ბიოგრაფიული რომანების ავტორი, გრიგორი რევზინი, ჩემი მეუღლე მარია ლეოპოლდის ასული, მხატვარია. რომ იცოდეთ, როგორი განაწამები მოვედით თქვენთან! მოსკოვიდან წამოსულებმა სამი კვირა გზაში გავატარეთ... თქვენს იქით გზა არა გვაქვს და ნუ გვეტყვით უარს, თუკი ადრინდელმა სტუმრებმა რამე გაწყენინეს...



მერაბი, მარიკა, ნანული 1942 წ

— პირიქით! ძალიან მიჩვევა ვიცი, ძალზე განვიცადე მათი წასვლა და გადავწყვიტე... სიტყვა შემანყვეტინეს, თავისი წიგნი „რიეგო“ გამომინოდა და ფეხზე ძლივს ვდგავარო — შემომჩივლა. ასე შემოვიდნენ ჩვენს ჭერქვეშ გრიგორი და მარია, დიდი კულტურითა და იშვიათი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებულნი, ბევრის მნახველი და განმცდელი, სამაგალითო ცოლ-ქმარი. რამდენიმე წელი უცხოეთში უცხოვრიათ, დიდი ხანი არ ყოფილა, რაც იქიდან დაბრუნებულან, მოსკოვში თავიანთი სახლი დაბომბილი დახვედრიათ და აღარაფერი შერჩენიათ.

ბავშვები უმალვე შეეჩვივნენ. სულ რამდენიმე დღეა ერთად ვართ, ჩემთვის რაღაცას ვსაქმიანობ. შუშაბანდის ქვემოთ, ქუჩაში, ვიღაც გულისწამღებად გაჰკივის ბაიათს. როგორც იქნა სიმღერა შეწყდა.

— ეს თქვენ მღეროდით, მარიკა? — მეძახის მარია.

— არა!

— მადლობა ღმერთს! — იცინის — მე და გრიშა ერთმანეთს შევჩიოდით, ასე თუ ამღერდა ხოლმე მარიკა, რაღა ვქნათო? აქ აღარ დაგვედგომება, დავიღუპეთ და ესაო...

შუადღეს, თეთრი ძაფით დაბლანდული შავი კაბა მაცვია. მარია ლეოპოლდის ასული მის გადაკეთებაში მეხმარება, თან თმას ვივარცხნი. დილით მამა ჩამომივიდა და ახლა ბაზარშია წასული. ხვალ ჭიათურაში მივემგზავრებით.

კარზე ზარი ირეკება, მამა მგონია და კარის გასაღებად გავრბივარ. კართან უცნობი მამაკაცი დგას. დავიბენი.

— შეიძლება? მე მხოლოდ ერთი წუთით შეგაწუხებთ.

— მობრძანდით! უკაცრავად რომ ასე... — კაბას ვისწორებ, თმას ვიწნავ.

უცნობი ოთახში შემოდის. მარია ოთახიდან გადის.

— ეგებ, ერთი შეხედვით უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ... მე, გვარს და სახელს ასახელებს, დოცენტი გახლავართ, ვენეროლოგი...

რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემთან ვენეროლოგს? — ვფიქრობ ჩემთვის.

— გისმენთ!

— ერთმა ჩვენმა საერთო ნაცნობმა მირჩია და... ერთი სიტყვით, ომის წინ შემნახველ სალაროში 25000 მანეთი შევიტანე... მისი გამოტანა მხოლოდ დაქორწინების შემთხვევაში შემიძლია. არადა, ფული მეკარგება.

— კი, მაგრამ, მე რა შუაში ვარ? მე...

სიტყვას მაწყვეტინებს:

— ვიცი, რომ მარტო ხართ, მარტო ზრდით ორ ბავშვს, ეკონომიურად ასეთ მძიმე ვითარებაში, რაც ადვილი არ არის. ჰოდა, ორივესთვის კარგი იქნებოდა... ერთი სიტყვით, ფიქტიურ ქორწინებას გთავაზობთ. ის თანხა შუაზე გავიყოთ, შემდეგ კი, რაღაც დრო რომ გავა, შეგიძლიათ დაარღვიოთ ქორწინება და თავისუფალი იქნებით!

გაოგნებული ვარ.

— მისამართი შეგეშალათ. გთხოვთ, მიბრძანდეთ!

— კი, მაგრამ...

— არაფრის მოსმენა არ მსურს. როგორ მაკადრეთ, როგორ გამიბედეთ, რომ...

— ვფიცავ, რომ...

— მიბრძანდით!

სტუმარი მიდის. უმწეოდ ვტირი, მარია ოთახში შემოდის.

— ვინ იყო ის კაცი, რაიმე უბედურება გამცნოთ?

— პირიქით, გაბედნიერება შემომთავაზა — და გაოცებულ მარიას ვუყვები რაც მოხდა.

— კარგი იუმორისტული მოთხრობის თემაა — გულიანად იცინის მარია.

❦ ❦ ❦

მერაბმა „წარმატებით“ დაამთავრა საბავშვო ბაღი და კოსტუმით დააჯილდოვეს. გურამი საბავშვო ბაღშია. ბაბულიას დის, თამარის ქმარი სანდრო ქიქოძე, ბრწყინვალე სპეციალისტი და ადამიანი, რეპრესიების მსხვერპლი გახდა. ბრალდება? — მხოლოდ ის, რომ უცხოეთში სწავლობდა (როგორც ჩვენი სიმონი და დავითი). მასაც სიმონის ბედი ეწია. ასე გაპარტახებული ოჯახი ცოტა როდია საქართველოში.


იის კონა



ლადო ასათიანი და პროკოფი რაჭიანი აბასთუმანი 1940 წ

1943 წლის ივლისი. ძალზე განვიცადე ლადო ასათიანის დაღუპვა. დიდხანს ებრძოდა ულმობელ სენს... ეგება ცხოვრების ნორმალურ პირობებში გადაგვერჩინა! მე მხოლოდ გარდაცვალებამდე, ცოტა ხნით ადრე ვინახულე. ერთი კონა იის მეტი ვერაფრით გავახარე და სამუდამო ტკივილად დამრჩა ამის მოგონება. შერე უკვე დამჭკნარი ჩემი იის კონა ლადოს საფლავზე მიმოაბნიეს.

მოგვიანებით, მემუარების წერის დროს, პოეტის ქალიშვილისგან, მანანა ასათიანისგან შევიტყვე, რომ ლადოს არქივში არის 1940 წელს, მწერალთა კლუბში დაწერილი პატარა ლექსი-ფუნაგორია ჩემზე და ჩემს ორ მეგობარ მწერალ ქალზე.



ძალიან გავიხარე, გულიანად ვიცინე და მომაგონდა ჩემი პირველი ნაბიჯები მწერალთა კავშირში.

„საპოვნელას“ დაბადება

ვმუშაობ შეძლებისდაგვარად. ქართულსა და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში ვაქვეყნებ ლექსებს, ნარკვევებს, წერილებს, ვმონაწილეობ რადიოგადაცემებში, საღამოებში. საბავშვო პოემა „ყაჩაღანა“ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა (1938 წ.). ამას მოჰყვა „პატარა ექიმი“, მისი გმირი ჩემი მერაბია. მახარებს ლექციებზე მისვლა, ვიძენ ახალ მეგობრებს, განსაკუთრებით მე და თინა ჯინორიძე ვმეგობრობთ, ერთად ვმეცადინეობთ, ერთად გავდივართ გამოცდებზე. ჩვენს სტუდენტურ ცხოვრებას იუმორისტული პოემაც მივუძღვენი.



მარიკა 1942 წ

...1943 წლის ზაფხულს ნავარძეთში ვატარებთ. მერაბი გამიხდა ავად. მაღალი სიცხე აქვს. ექიმებმა ჯირკვლების ანთება დაუდგინეს. საჭიროა განსაკუთრებული კვება... ანტიფაშისტური საღამოების ჩასატარებლად მწერალთა კავშირიდან საჩხერის რაიონში ვარ მივლინებული, ჩვენს ბედზე, საჩხერის რაიკომის მდივანი მამაჩემის ნამოწაფარი, ისტორიკოსი პროკოფი რატიანია. აქ ჩამოსვლისთანავე მამაჩემის ბედით დაინტერესებულა და ახალციხიდან საჩხერეში გადმოიყვანა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ. რატიანთან გამოვცხადდი. შედგა სამუშაო გრაფიკი: უახლოეს დღეებში რაიკომის თანამშრომელთან ერთად, რომელიმე სოფელში წავალთ საღამოს ჩასატარებლად. ამასთანავე, პროკოფმა გულთან ახლოს მიიტანა ჩემი გასაჭირი და დიდად მეხმარება ბავშვის ავადმყოფობის ამ მძიმე დროს.

საჩხერის რაიონში მოგზაურობისას, როდესაც სოფელ ბერეთისას კლუბისაკენ მივდიოდით, გზაში მცირე ხნით შევჩერდით. ველზე პაწაწინა, მარჯნისფერმა ყვავილებმა მომაჯადოვა. დავინტერესდი და მითხრეს, რომ ამ ყვავილს „საპონელა“ ჰქვია (იმერეთში „პოვნას“ კი არა „პონას“ იტყვიან). პატარა მწყემსებს ხბო ან რაიმე ნივთი თუ დაეკარგებათ, დაიჭერენ საპოვნელას ხელში, დადიან და გაიძახიან საპოვნელა მაპოვნინეო. ოქტომბრის იმ დღეს, ერთ-ერთ ოჯახში, სადაც სადილად შევრჩით, დაიბადა ჩემი „საპოვნელა“.

საჰოვნელა

ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ვყოფილა,
შეამჩნევდი შიმშილნაყრს მინდორ-ველად!
ჭაწყლიანი, ხარისთვალი ყვავილია,
იმიტომაც ეძახიან „საჰოვნელასა".

შევხედე და შიმშილია იმთავითვე,
თოფრიც ყვავი სასოებით ანდოს იმედს,
ჭედს დაეძებს, თუ რანაირს ნიშანს ნიშნავს,
ეუბნება: „საჰოვნელა, მაჰოვნინე!"

ბევრ სათაყვანო მივიპყარ ოცი ფიქრზე,
ჩემს გულშიაც მოვიჭირე მყუდრო ბინა,
ვნანობდი! სხვა საფიქრის ადგილ ვეძებ,
რადგან ჩემთა, მეზობელთა მაჰოვნინა.

მარიკა ბასილაშვილი

შემდეგ ყველა ამ ლექსის თანაავტორობას იჩემებდა: რაიკომის მდივანი, რომელმაც მომიწყო ბერეთისაში მოგზაურობა, რაიკომის ინსტრუქტორი, რომელიც თან მახლდა, მძღოლი და კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომლებიც დამეხმარნენ შემდგარიყო ჩემი და „საპოვნელას“ ნაცნობობა.

II მსოფლიო ომი

საინტერესოა ლექსის „მომიხვალ, მჯერას“ ისტორიაც. სამამულო ომს მარტოხელა შევხვდი და თუმცა ფრონტზე არც ძმა გამისტუმრებია, არც ცხოვრების მეგობარი, ჩემს ახლობელ მწერლებთან ერთად, მწვავედ განვიცდიდი ომის მძიმე ხვედრს. დავდიოდი სოფლიდან სოფლად, ჰოსპიტლებსა და ჯარის ნაწილებში, ვაცილებდი და ვხვდებოდი ეშელონებს.

მახსოვს, ახალციხე-ახალქალაქის საზღვარზე, ფრონტზე გასამგზავრებლად მზადმყოფი მეომრები მოვინახულე. მათ შორის იყო ჩემი ამხანაგი, ახალგაზრდა მწერალი ალექსი გომიაშვილი. მათ ოჯახში, მის მშვენიერ მეუღლე ეთერთან და ბავშვებთან რამდენიმე დღე დავრჩი და თბილი, სიყვარულითა და იმედით სავსე სიტყვები დავუტოვე. ვეთხოვებოდი ჯარიკაცებს, ვეთხოვებოდი ალექსის და ვფიქრობდი, — ვნახავ კი ცოცხალს, რომელიმე მათგანს? რომელი გადაურჩება იმ ქარცეცხლს, რომელი? მიდიან და მოდიან ფრონტებზე... და მართალია, არც ერთი მათგანისათვის არც ჩემი სურათი გამიტანებია, არც ჩემი პატარების თითების შემონახაზი, მაგრამ ყველა მათგანს თან მიაქვს ნაწილი ჩემი გულისა, მე კი მრჩება აუწერელი სევდა და მოლოდინი.

ახლა, იქ, სიკვდილის პირისპირ მეგულება ყველა, ვინც გამაჩნია და მათ დედებთან, დებთან, მეუღლეებთან ერთად ველოდები ფრონტულ, სამკუთხა ბარათებს, ვწუხვარ და ვღელავ... ასე იწერება ჩემი ლექსები, ბალადები. ასე დაიწერა „მომიხვალ, მჯერა“.

შემდეგში მომდიოდა ბარათები ნაცნობი თუ უცნობი მებრძოლებისაგან. ერთ-ერთი მათგანი, ოფიცერი ჭიჭინაძე შინაც მეწვია.

„— თქვენი „მომიხვალ, მჯერა!“ გულის ჯიბით დაგვაქვს. იგი იმედითა და შინ დაბრუნების რწმენით გვავსებს. ყველა ჩვენგანს ჰგონია, რომ „მომიხვალ, მჯერა!“ სწორედ მას ეკუთვნის. თავხედობად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ეგებ მეტყოდით, ვინაა ამ ლექსის ადრესატი?“

მებრძოლთა სამკუთხა ბარათებია უდიდესი ჯილდო, რომელიც ოდესმე მღირსებია.

მომბახენ, მჭვინა!

მომბახენ, მჭვინა! ჩამოდ ყი ვქიდიხე!
ფიდიდ, მზიდი, ოთ ლიმჭიდ-ჭიდიდიდ...
თიდიდ თიდიქიბომ ჩიქიჩიდით მითიხიდ:
"მჭვინა! ით სიდიბიდ! ჩიდ სიდიბიდით!"

მომბახენ, მჭვინა! თიდიდით – ქიბიდით,
ქიდ ქიდიქიდიდ ჩიდი თიდიდით...
იდით? ხიითიდ ქიდიბომ ჭიდიდით
ჭიდიხი, ჩიდი ჭიდიბიქიდ!

ჩიდიდ მიქიდ! ქიდიდით, ქიდიბომ
ჩიქიდ მიქიდიდი თიქიხიდ ქიდიდიდ!...
ქჭვინა ჩიქიდ! ქიდიდით ჩიქიდიდ
ჩიდი ქიქიდიდით ჭიდიდიდ-ჭიდიდ...

ჩიდიდ ქიქიდიდ ით ქიდით თიქიხიდ
ით ქიქიდიდით ხიითიდ ჩიქიდ...
ჭიქიხიდ ჩიდ! ქიდ, ჩიდიდ ქიდიდ
ხიდიდიდ ქიქიდიდ, ქიდიდ ჩიქიდით.

ჩიდიდით ით ქიდ ქიდით ქიდიდ!
ჩიდიქ ხიდიდით – ქიდ ქიდიდით!
ჩიდიდ ხიდიდით ით ქიდიდ ქიდიდ
ით ჩიდიდით – ქიდ ქიდიდით!

ჩიდიდ ხიდიდით ით ქიდიდ ქიდიდ
ით ჩიდიდით – ქიდ ქიდიდით!
ჩიდიქ

❦ ❦ ❦

რადიოკომიტეტისაგან დამეკალა აკაკის მშობლიური კუთხის მონახულება და ნარკვევის მომზადება ამ კუთხის ცხოვრებაზე. ასე მგონია, არასდროს მყვარებია ასე „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი“ იმერეთი. ეს ანტიფაშისტური საღამოებისაგან განსხვავებული მიელინებაა. თითქოს პირველად ვხედავდი ამ წარმტაც პეიზაჟებს, თითქოს პირველად ვთვრებოდე ამ ფერებით, ამ ჰანგებითა და პოეზიით, რომელიც უხვად ჩაქსოვილა გზის ყოველ მოსახვევში, მთელი ხმით ამღერებულ ნაკადულებში, დაცემულ ჭალებს, აქოჩრილ ტყეებსა თუ ხის ყოველ ფოთოლში. აქ ფეხს შემოდგამ და გგონია, ირგვლივ ყველასა და ყველაფერს უხარია შენი სტუმრობა. აგერ, კლდის წვერზე გადმომდგარი ბებერი ციხე „მოდი ნახეც“ კი, თითქოს იმერული ჩვეულებით ჩოხის კალთებს იკაპიწებს, წელში იხრება და თავაზიანი ღიმილით გეპატიჟება: აქეთ ბატონო, აქეთ მობრძანდით, გვიკადრეთ, მობრძანდით, ნახეთ ჩვენი ოჯახიო... გხიბლავს მრავალჭირგამოვლილი, მრავალომგადახდილი, ხანდაზმულობით ფერგაცრეცილი, მაგრამ სულით უდრეკი და მარად ხალისიანი ეს მასპინძელი, მეც, ხელი წავატანე მისი რუხი ჩოხის კალთებს.

„მოდი. ნახეო“ – შენს სტუმრობას ვინ იუარებს?
ვის არ მოხიბლავს. თვალწარმტაცი შენი მშვენება.
ხავსიან კედლებს მეც ფაქიზად შემოვუარე.
შემდეგ. მწვერვალებს მივეახლე შესასვენებლად...

(„მოდი. ნახე“)

ვათვალიერებ მის მრავალნატყვიარ, სისხლით განბანილ კალთებს, მის გვერდით, ხავსიან ტახტზე ვისვენებ და, სმენად გადაქცეული გადავცქერი ულამაზეს ხეობას. ციხის ფეხთით თავად საჩხერეა. აგერ რკინიგზის პატარა სადგური! ამბობენ, მალე საკვანძო სადგურად გადაიქცევაო.

მალე ეს მშვენიერი დაბაც, თავისი შესანიშნავი სამკურნალო კვერეთით, ახალი შენობებით დამშვენდება და კეთილმოწყობილ კურორტთა მწყობრში ჩადგება.

„სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო“... შემოჰკვნესოდა აკაკი თავის მშობლიურ მხარეს.

მალე, სულ მალე, ომის დამთავრების შემდეგ, ეს პატარა მატარებელი ქაქანით ამოირბენს შორაპანი-საჩხერის აღმართს და საჩხერეს ამოუყვანს ომგადახდილ შვილებს.

მანამდე კი, მანამდე, ბრძოლა დაძაბული, ბრძოლა ფრონტებსა და ზურგში... „გმირებს ეძახის, უყივის ჩემი დაფი და ნაღარა...“ და თითქოს დგას მოხუცი აკაკი აქ, თავისი სახლის აივანზე — ახლა რომ მერცხლების საცხოვრებლად ქცეულა, — შუბლი ხელით მოუჩრდილავს და გასცქერის გმირთა არმიას — სამშობლოსა და მგოსნის დაძახილზე რომ შეკრებილა.

ჩემი სალამო მწერალთა კავშირში. შეხვედრა ჭიათურაში

...1943 წლის 12 მარტს პირველად მოეწყო ჩემი ლექსების კითხვა-განხილვა მწერალთა კავშირის კლუბში. ამ საღამოს ძალიან გავიხარე. „მარიკავ, დღეიდან მე შენი ტრუბადური ვარ!“ აცხადებს სოსო გრიშაშვილი და შეკრებილებს ამხიარულებს.

შინ გაწყობილი სუფრა, აგიზგიზებული ბუხარი და ჩემი თანაკურსელები მელოდებიან. ბავშვებიც ისე გამხიარულდნენ, რომ აღარ იძინებენ.

...მეზობელმა ჩემ სახელზე მოსული დეპეშა შემომიტანა. ჭიათურიდან მამიდაჩემის, ჩემი მეორე დედის გარდაცვალების ამბავს მატყობინებენ. თავზარი დამეცა...



იოსებ გრიშაშვილი და მარიკა გარათაშვილი მწერალთა კავშირში 50-იანი წლები

❀ ❀ ❀

ამ გაზაფხულზე, აღდგომა დღეს, ჩემმა დეიდაშვილმა ელო გელაშვილმა გამომიარა. მისგან და მისი მეუღლის, რაჟდენ ნატროშვილისაგან ძალზე დავალებული ვარ. რაც შეუძლიათ, ყურადღებას არ გვაკლებენ. ელომ ახლომახლო მცხოვრები ნათესავების მონახულების იდეა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი, მით უმეტეს, რომ ბავშვები მამიდასთან არიან და ჩემს საფიქრალს ვეღარ ვერევი. პირველი სააღდგომო ვიზიტით დედაჩემის ბიძაშვილთან მანია კასრაძე-გულისაშვილთან მივედი. ის და მისი მეუღლე შალვა გულისაშვილი დიდი ხანი არაა, რაც ლენინგრადიდან თბილისში დაბრუნებულან და აქვე, ნინოშვილის ქუჩაზე ცხოვრობენ.

მანია დეიდას ჩვენი სტუმრობა ძალზე გაუხარდა, მაგრამ კიდევ ერთ-ორ ოჯახში ვაპირებდით მისვლას და მალე დავემშვიდობეთ. კიბის თავამდე მიგვაცილა. გამომშვიდობებისას კიბეზე ამომავალი კაცი დაინახა: „ოჰ, ბიძინა, რა კარგია, რომ ჩვენს სტუმრებს მოუსწარი! თუმცა, სტუმრები კი არა, ჩემი ახლო

ნათესავები არიან", — და სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი გაგვაცნო: „შალვას ძმაა, ბიძინა გულისაშვილი, ამ დღეებში დაბრუნდა ჯარიდან". ბიძინამ აუცილებლად მიიჩნია გავეცილებინეთ. ასე დაიწყო ჩვენი ნაცნობობა და დაახლოება. როგორც გავიგე, შალვას და მანიას ადრეც უნდოდათ მე და ბიძინა შევეხვედრებინეთ, მაგრამ ბედმა სხვაგვარად მოისურვა. ბიძინა, ლენინგრადის სატყეო აკადემიის დამთავრების შემდეგ, სამშობლოში რომ დაბრუნდა, ჭიათურაში საბაგირო-გზების გასაყვანად გამოგზავნეს, მე კი იმ დროისათვის უკვე გათხოვილი და ჭიათურიდან წამოსული ვიყავი. შემდეგ იგი დაქორწინდა, შვილიც შეეძინათ, მაგრამ მალე მეუღლე ტუბერკულოზით გარდაეცვალა, ბავშვი დიდედასათვის, საგარეჯოში დაუტოვებია, თვითონ კი ხარკოვში, ლენინგრადსა და მოსკოვში მუშაობდა. ლენინგრადში, დისერტაციის დაცვის შემდეგ, გერმანია-საბჭოთა კავშირის ომის წლებში, ბიძინა ჯარში გაიწვიეს და ახლა შინ დაბრუნებულა, აქ დასამკვიდრებლად.



შალვა გულისაშვილი და მანია კასრაძე

ბიძინას ბიჭი ნანულიზე ხუთი თვით უმცროსია. ერთ სკოლაში სწავლობენ. ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ. მაგონდება: ბუხარში კუნძი ხრჩოლავს. ნანულიმ ნაფოტები შემოიტანა და კუნძს მიაყარა. ცეცხლი აგიზგიზდა.

— დედა, ხედავ? მარტოობა კუნძსაც უჭირს! — მეუბნება ჩემი გოგონა.

მამაჩემს თბილისში ჩამოსვლისას გაეცნო ბიძინა და ჩანს, კიდეც მოსწონებია, მაგრამ ჯერ რაიმე გეგმაზე ლაპარაკიც არ არის.

1944 წლის შესახვედრი საღამოა. მერაბი ავად მყავს. შუქი არაა. არც შეშა მაქვს ღუმელში შესანთებად. ბინაში ცივა. ბავშვები გვერდით მყავს მოწვენილი და ვცდილობ, გავათბო ისინი. კარზე კაკუნია... ოთახში შალვა და ბიძინა შემოვიდნენ და შეშის კონები შემოიტანეს.

— აბა, აიკარით გუდა-ნაბადი და წამოდით! — მეუბნება შალვა.

— ბავშვს სიცხე აქვს...

მას კი არაფრის გაგონება არ სურს. მერაბს საბანში ხვევს და კიბეზე ჩაჰყავს.

თბილ, გაჩახჩახებულ ბინაში შევდივართ. საახალწლოდ მორთული ნაძვის ხე დგას, სუფრა გაწყობილია და მერაბიც უცებ მორჩა. სულხანი და ნანული გახარებულები არიან. რა დამავიწყებს ამ ახალი წლის ღამეს!

ახალ წლამდე კი, 1943 წლის ოქტომბერში, ჭიათურაში, გაზეთის რედაქციამ ლიტერატურული საღამო მომიწყო. კლუბი სავსეა ხალხით, ეს საღამო ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია, რადგან ერთადერთია, რომელსაც ჩემი გაუხარელი მშობლები ესწრებიან. მათ სიხარულის ცრემლი უდგათ თვალში.

— ვერიჩკა, ჩვენ არ მოვკვდებით! — ეჩურჩულება მამა დედაჩემს და გული ტკივილით მეწურება, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

მამას ის სიტყვები რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ამომიტივტივდება მეხსიერებაში, როდესაც ჩემს მშობლებს, პედაგოგებს, თბილისში, ჩახრუხაძის ქუჩაზე, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, ხსოვნის საღამოს გაუმართავენ. მაგრამ ამაზე — შემდგომ. გმადლობ, უფალო, რომ მომეცა საშუალება, ოდნავ მაინც შემემსუბუქებინა ტკივილები ჩემი განაწამები მშობლებისათვის.

შორეული სიახლოვე გალაკტიონთან

...მწუხარების ამ უსასრულო ჯაჭვში — ჩემი ქვეყნისა თუ ოჯახურ უბედურებებში, აქა-იქ შუქიც გამოკრთება ხოლმე.

გალაკტიონი ჩემი სალოცავი პოეტია. დიდი სითბოთი, სიყვარულითა და ერთმანეთის პატივისცემითაა სავსე ჩვენი შეხვედრები... უდიდესი სიამოვნებით ვმონაწილეობ გალაკტიონ ტაბიძის საიუბილეო საღამოებში, ვკითხულობ მისადმი მიძღვნილ ლექსებს თბილისის საოპერო თეატრში, მთაწმინდის პლატოზე თუ ფილარმონიის ბაღში.


ოპერის თეატრი ხალხითაა გაჭედილი. სცენაზე პოეზიის მეფეა. მას 50 წელი შეუსრულდა, საღამოს უძღვება აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. ქება-დიდების სიტყვები, მილოცვები, ყვავილები, საჩუქრები, პოეტისადმი მიძღვნილი ლექსების კითხვა. მეც მივეახლე, მივულოცე და ჩემი „გალაკტიონი" წავუკითხე.

არ დამავიწყდება მომდევნო საღამოც — პლეხანოვის გამზირზე მდებარე „გოფელექტის ბაღში" უამრავ თაყვანისმცემელს მოუყრია თავი. სცენა სავსეა საღამოს მონაწილე მწერლებით, მსახიობებით. ბოლოს პოეტს სთხოვეს მიკროფონთან. წამოდგა და დაიწყო „მთაწმინდის მთვარე". შუა კითხვაში ლექსი შეეშალა, დაიბნა. მართალია მსმენელებმა მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს, მაგრამ მან კითხვა შეწყვიტა და აღელვებული დაუბრუნდა თავის სავარძელს. „ეს რა მომივიდა, ქალბატონო, მარიკა, ეს რა მომივიდა" — გადმომილაპარაკა აფორიაქებულმა.

„ისეთი რა მოხდა? — ვეცადე დამემშვიდებინა, — ყოველი ამ დარბაზში მყოფი ხომ ბედნიერად ჩათვლიდა თავს „მთაწმინდის მთვარე" რომ დაეწერა,

თუგინდ ყოველი ნაკითხვისას შეშლოდა" მადლიერებით შემომხედა.

რა ბავშვივით გულსუფთა და გულუბრყვილოა! თავად უხდება ბრიყვთა და მოშურნეთაგან თავის დაცვა. ამიტომაა, რომ ხანდახან „იჩხვლიტება" ამბობენ, რომ თავს ვერ უვლის, რომ ლოთობს, რომ სიმთვრალეში დაკარგა ლენინის ორდენი... ჩემთვის კი, ისე, როგორც სხვა მრავალი კეთილმოსურნისათვის, გასაგებია, რომ იგი მხოლოდ სასმელით გაბრუებული ახერხებს მიიყუჩოს უძვირფასესი მეუღლის გადასახლებით მიყენებული ტკივილი, თვალი მოუხუჭოს იმ უბედურებას, რაც მის სამშობლოს, ხალხს, მის ნათესავ-მეგობრებს დაატყდა თავს და სულ სხვა სამყაროში გადასახლებული ჰქმნის პოეტურ შედევრებს. მკითხველის სიყვარულმა გადაარჩინაო, ამბობენ. ლექსი: „წყალტუბოდან ქუთაისში მიმავალო ქარო", წყალტუბოს ერთ სკვერში დაუწერია. შემდეგ ეტყობა, არ მოწონებია, დაუხევია და მიუტოვებია. ჩანს, ვიღაც უთვალთვალებდა, ლექსის ნაფლეთები შეუკოწიწებია. ასე მიენიჭა სიცოცხლე ერთ მშვენიერ, შემდეგში სიმღერად ატაცებულ ლექსს. სამწუხაროდ, ვერ მოვუარე დიდი პოეტის ლექსს, რომელიც მე დამიწერა...



გალაკტიონის ნარუჯარი ფოთო შოვი 1947 წ

...მაშინ ორჯონიკიძის ქუჩაზე ვცხოვრობდი. მეზობელმა მაცნობა, ჩვენს ტელეფონთან გიხმობენო. მეც მქონდა შინ ტელეფონი და გამიკვირდა, ვინ უნდა ყოფილიყო? „ქალბატონო მარიკა, გალაკტიონი ვარ, გალაკტიონი, წუხელ ლექსი დაგიწერეთ და არ ვიცი, როგორ მოგაწოდოთ!“ სიხარულით დავიბენი, მომერიდა. ვერც შინ მოვიწვიე და მასთან მისვლაც მეუხერხულა. დაბნეულმა და სიხარულისგან გაოგნებულმა მადლობა გადავუხადე და ვუთხარი, ჩემს ბავშვს გამოგიგზავნით-მეთქი.

იმ დღეს ბავშვის გაგზავნა ვერ მომიხერხდა, მეორე დილით კი ქალაქი შეაშფოთა ამბავმა, გალაკტიონი მტკვარში გადავარდნილაო. ერთხანს საავადმყოფოში იწვა.


თქვეს, მასთან მნახველებს არ უშვებენო. ნაავადმყოფარს, კარგა ხნის შემდეგ შევხვდი მაჩაბლის ქუჩაზე. გაფითრებული იყო, შინაგანად აფორიაქებული მომეჩვენა. რადგან თავად არაფერი მითხრა, მეც ჩვეულებრივ გავესაუბრე. ლექსის შესახებ რომ მოვაგონე, სიტყვა აირიდა, საუბარი სხვა საგანზე გადართო. გულმა მიიქცა, რომ ის ლექსი აღარც არსებობდა და სამუდამო სინანულად დამრჩა: ვინ იცის, რისი თქმა უნდოდა ჩემთვის? იქნებ რა სატკივარს მიზიარებდა? ნუთუ მე, ვინც ასე ვაღმერთებდი გალაკტიონს, უგულობაში ჩამომართვა უბრალო თავმოუბმელობა? ან იქნებ, მისი ბრალი სულაც არ იყო იმ ლექსის დაკარგვა?

პოეტის არქივს შემორჩა ჩემდამი მოძღვნილი, ერთსტროფიანი, პატარა ლექსი. ლექსის ისტორია ასეთია: მე და გალაკტიონი მწერალთა კავშირიდან ერთად გამოვედით. გალაკტიონი აღელვებული იყო. პლეხანოვამდე ფეხით ვიარეთ. გზაში ვამშვიდებდი და ვთხოვდი, უსიამოვნებას გულთან ახლოს ნუ მიიტანდა.

მარიკა ბარათაშვილს

მადლობელი ვარ
თქვენი. მარიკა.
როს ხანა მქონდა
ყოფნა–არყოფნის.
თქვენმა გულწრფელმა
ხმამ შემარიგა
აქ ბევრ რამესთან...
სიტყვა არ მყოფნის.

გალაკტიონ ცაბაძე
1931 წ. 17 იანვარი.



აკაკის ხსოვნის სუფრას შალვა დადიანი თამადობს

1944 წლის 24 თებერვალი. თბილისიდან სხვიტორში, აკაკის სამშობლოში ჩამოვედით ოცდაორი მწერალი: შალვა დადიანი, სიმონ ჩიქოვანი, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, ბესარიონ ჟღენტი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ლევან ასათიანი, ბორის ჩხეიძე, პლატონ კეშელავა, მთარგმნელი ფატი თვალთვაძე... ჩვენთანაა ნატო ვაჩნაძეც. აკაკის მოგონების ამ საზეიმო დღეებში საოცრად ლამაზია თოვლში ჩაფლული საჩხერე. საღამო კლუბში ჩავატარეთ. მეც წავიკითხე ლექსი „მერცხლები აკაკის აივანზე“. ღონისძიებამ კარგად ჩაიარა. სხვიტორში ავედით. აკაკის სახლის ვრცელ დარბაზში დიდი სუფრაა გაშლილი. ბუხარში ცეცხლი გიზგიზებს. აქ არიან ჭიათურა-საჩხერის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. სუფრას შალვა დადიანი უძღვება. მას შეუძლია რამდენიმე დღე იჯდეს სუფრის თავში, თამადობდეს და ენამზეობდეს -- 10-15 წუთი თუ წათვლემს და, კვლავ უბრუნდება თავის „მოვალეობას“.

თამადამ ორლიტრიანი ყანწით შესვა პირველი სადღეგრძელო — აკაკის ხსოვნის სადღეგრძელო, მიიხედ-მოიხედა და, იმოდენა თანამოსუფრეთაგან, მაინცდამაინც მე მოვხვდი თვალში. ჩემთან მოვიდა, ხელზე მეამბორა და ის ვერცხლით მოჭედილი და ვერცხლისავე ჯაჭვებით დამძიმებული უზარმაზარი ყანწი გადმომილოცა. იხტიბარი არ გავიტეხე, ყანწი ჩამოვართვი. „მე თვითონ შევავსებ, გმადლობთ!“ ვუთხარი თამადას და დავჯექი. ხალხი გაისუსა. გაოცებით მიცქერენ. ჩემს ბედზე, შუქი ჩაქრა და მაგიდაზე აქა-იქ ბუუტავს ლამპები. ყურადღება რომ მინელდა, ყანწში ცოტაოდენი ღვინო ჩავასხი, წამოვდექი, მძიმედ ავწიე, აკაკის ხსოვნის სადღეგრძელო ნელ-ნელა, სვენებ-სვენებით შევსვი და დიდი ფურორი მოვახდინე. სუფრას თვალი მოვავლე. რომელი გაეწირო?

ჩემგან მოშორებით ერთი წითური კაცი ზის. ფეხი ფეხზე გადაუდია და ეტყობა, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად. ავდექი, მასთან მივედი, ყანწი გადავულოცე, მეც შეგივსებ-მეთქი — ვუთხარი და ყანწში ორი ლიტრი ღვინო ჩავუპირქვავე. რას იზამდა? სადღეგრძელო შესვა, მაგრამ მალე გაიყვანეს და მანქანაში ჩაასვენეს. „ღმერთმა დამიფაროს, სუფრაზე, ბარათაშვილის ქალთან შეხვედრისგან“ — ბუტბუტებდა თურმე ჭიათურისაკენ გზად მიმავალი. ეს კაცი ქალაქის უშიშროების უფროსი ყოფილა. რამდენიმე თვის შემდეგ მისი გარდაცვალების ამბავი გავიგე.

მწერლები სხვიტორში თითქმის ერთ კვირას დარჩნენ, მე კი მესამე დღეს ჩამოვედი ჭიათურაში მშობლების მოსანახულებლად.

მამაჩემი მწოლიარე ავადმყოფი დამხვდა. უროლოგი საავადმყოფოში დაწოლას ურჩევს. მე მამშვიდებენ, რომ საშიში არაფერია. მშობლებმა გაიხარეს: „ახლა კი მშვიდად მოკვდები“ — ამბობს მამაჩემი — „იმის დარდი მაინც არ წამყვება, რომ მარტოდ გტოვებ. ბიძინა ნამდვილად მომეწონა, ჩვენი ოჯახის შესაფერი უნდა იყოს. რა წარბი შეიკარი გოგო, მართლა კი არ ვკვდები, რა მჭირს სასიკვდილო!“

მშობლების მიტოვება გამიჭირდა, გულდამძიმებული წამოვედი, მაგრამ რა მექნა, თბილისში ბავშვები მელოდებიან. ჩავალ, ერთი კვირით მაინც სკოლიდან გავათავისუფლებ და აქეთ წამოვიყვან მათ. ჭიათურას თითქმის ყოველდღე ვუკავშირდები. კარგი ამბები მოდის. მამაჩემმა იმკურნალა და საპირველმაისოდ შინ იქნება.

დღეს 29 აპრილია. ამ დღეებში წავალ და მშობლებს აქ, ჩემთან ჩამოვიყვან! და... უცებ მამას გარდაცვალება მაცნობეს. ამ ამბავმა ისე მომცელა, ლოგინიდან ვეღარ ვდგები. გრიშა და მარუსია წუთით არ მშორდებიან. ანიჩკა, პორფილე, პეტრ პეტროვიჩი, მეზობლები თავს დამტრიალებენ, ვერა და გიორგი ხომ ჩემთან ერთად წუხან.

როგორც იქნა, ძალა მოვიკრიბე, წამოვდექი, ბავშვები ვერასთან დავტოვე და მე და ელენე დეიდა ჭიათურაში გავემგზავრეთ.

მამის გარდაცვალებით გამოწვეული სევდიანი დღეები



გერვასი, ვერა, ვახტანგი

გერვასი ბარათაშვილმა თავისი შრომით, წვალებით, მწუხარებით განვლილი სიცოცხლე მოათავა. ალბათ კარგია, რომ მისი და ანუშკა ვეღარ მოესწრო უსაყვარლესი ძმის დაკარგვას. აღარც ჩემი ორი მამიდა და ორი ბიძაა ცოცხალი.

მოგვიანებით, მწერალი ბორის ჩხეიძე თავის ნარკვევში „ჩემი შავი ჭიათურა“ (ჟურნ. „დროშა“) წერს იმის შესახებ, თუ როგორ შეინარჩუნა მამაჩემმა ჭიათურის ქართული სკოლა, რომლის დახურვაც მთავრობას ჰქონდა გადაწყვეტილი — სკოლის შენობის ერთ-ერთ დიდ დარბაზში გახსნა ეკლესია, რომელშიც თავადვე ასრულებდა მღვდელთმსახურებას.

ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, იპოლიტე ვართაგავა, თავის მოგონებებში ახასიათებს გერვასი ბარათაშვილს, როგორც მცოდნე, ენერგიულ, სტუმართმოყვარე, მუდამ ხელ და გულგაშლილ ადამიანს. ახალციხის ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთი თარიღისადმი მიძღვნილ სარაიონო გაზეთში ვრცლად არის მოთხრობილი მუზეუმის დირექტორ გერვასი ბარათაშვილის დიდ პატრიოტულ საქმიანობაზე. ყოფილი მოსწავლეები აღნიშნავენ მის დამსახურებას, ყოველი მათგანის სამომავლო გზის გაკაფვაში. ზემოთ



მარიჯა მჭობლეებთან და მეულლესთან ერთად. 1929 წ. აგვისტო

მონათხრობი მაქვს მის დიდ წვლილზე სოლოვკელი პოლიტპატიმრების უკიდურესად გაჭირვებული მდგომარეობის შემსუბუქებაში. მაშინ გაიცნო მამამ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი, აბელ ენუქიძე, მომდევნო წლებში კი, მისივე დახმარებით შეძლო მანგანუმის წარმოების მუშებისა და მოსამსახურეების შვილების ორმოცი ჭიათურელი მოსწავლისა და მათი მასწავლებლების უსასყიდლოდ ჩაყვანა მოსკოვში. ამ მიზნით, მოსკოვ-თბილისის მატარებელში სპეციალურად გამოიყო ვაგონები, ხოლო მოსკოვში, ერთ-ერთი სკოლის შენობაში — ბინა. იმ ექსკურსიის მონაწილეებს არასოდეს დაავიწყდებათ მოსკოვში საინტერესოდ და სრულიად უსასყიდლოდ გატარებული ორი თუ სამი კვირა. „ვერასოდეს დავივიწყებთ იმ დღეებს და, საერთოდ, გერვასი ბარათაშვილის ამაგს“, — იტყვის მომდევნო წლებში მისი მოსწავლე, ცნობილი ისტორიკოსი, ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარი, პროკოფი რატიანი. მართლაც, მამამ შეაყვარა მას, იმ დროს დევნილი და აკრძალული, დიდი ილიას შემოქმედება, ჩვენს ოჯახში დაეწაფა გადამალულ წიგნებს.

...ვზივარ ახლა მამის კუბოსთან და მაგონდება, თავს როგორ დაგეკანკალებდა შვილებს. ღამით რამდენჯერ უნდა ამდგარიყო და ჩვენს ოთახებში გამოსულიყო, რომ ჩემთვისა და ვახტანგისთვის საბანი გაესწორებინა. დილით კი, საძინებელი ოთახიდან, ფეხაკრეფით გამოდიოდა, რომ დედაჩემი არ გაეღვიძებინა და თვითონვე იწყობდა საუზმეს. ასე ზრუნავდა ოჯახზე, მოხუც დედამამაზე, ავადმყოფ ცოლზე. მართალია, დედა არც მწოლიარე ავადმყოფი იყო, პროცესიც კარგა ხანია ჩაუქრა, მაგრამ ყოველ ზაფხულს ხომ ბორჯომ-ბაკურიანის აგარაკებზე ვისვენებდით. რამდენი გაჭირვება, ტკივილი ჩაიტანა საფლავ-

ში... დავკრძალეთ ვახტანგის გვერდით.

გულდახურული ვზივარ ჭირის სუფრასთან. ეტყობა, მარიას ქმარს შეეებრალე. ხელში სასმისს იღებს და ზეაწეული ტონით მეუბნება: „რას იზამ, ძნელია მშობლის დაკარგვა, მაგრამ პარტია და ხელისუფლება გვეუბნება, გავანადგუროთ მწუხარება, როგორც კლასი“. დიდი ხანი არ გასულა, პარტიამ და ხელისუფლებამ რომ გაანადგურა გაჭირვებული და ყოვლად უცოდველი მილიციელი მიშა კაპანაძე, „როგორც კლასი...“ დაატუსაღეს და გააქრეს, მაგრამ რატომ, არავინ იცის... დაატუსაღეს, როგორც პოლიტიკური დამნაშავე? სასაცილოა, სამწუხარო რომ არ იყოს...

საწოლთან სამი წიგნი მიდევს: გალაკტიონის, გრიშაშვილისა და გამსახურდიასი. გაღვიძებისთანავე, განწყობილების მიხედვით, ვიღებ რომელიმე მათგანს. ვკითხულობ ლექსებს ან პასაჟებს „მთვარის მოტაცებიდან“.

დღეს ცუდ ხასიათზე გამეღვიძა, გრიშაშვილის წიგნი გადავფურცლე და ჩემი ნაცნობი „ნარგიზი“ მომხვდა თვალში, მაგრამ ამ ლექსს არასოდეს გამოუწვევია ჩემში ასეთი პროტესტის გრძნობა. და აი, გაბრაზებულ გულზე ვწერ ლექსის პასუხს:

მე ვაკვერდები სტრიქონებს შენსას.
ვნების ქარ-ცეცხლში გამონრთობილებს ..
აქ არის ოხვრაც. ხალისიც. კვნესაც –
ო. ეს ლექსები გრძნობით მათრობენ.
მან მთელი ნიჟი მოიშველია
(მუზისთვის დიდი სამსახურია!)
შენი ლექსები ყოველ მშვენიერს
აღაღებს. ათრობს და კვლავ სწყურია.
სიყვარულისთვის დამდგარხარ ლოცვად
(ქალის მშვენებას დიდად აფასებ!),
კოცნა და ხვევნა, ხვევნა და კოცნა
შემოახვიე ირგვლივ ლამაზებს...
დღეს გაგიტაცებს მშვენება ქალის.
...მერე დატოვებ და ემდურები.
დასვედილი და ძილგანაბმრთალი
სტრიქონი ჩივის საყვედურებით:
რომ ქალს არა აქვს გრძნობა – ფაქიზი,
რომ ქალის გული მეტად ცრვია,
რომ ქალის მკერდზე ვერ ძლებს ნარგიზი
და კიდევ, კიდევ რას არ ჩივიან...
რისთვის ეძახი ქალს მაცდუნებელს,
ეგეთი ნუცვლა ან რა რიგია!

ვის დავაბრალოთ. ქალის ბუნება,
თუ მგოსანს კოცნით ვერ გაგიგია!
თუ მუდამ მხოლოდ სხეულით დამთვრალს
ქალისთვის მხოლოდ ნაშით გწყალია.
თუ ქალის სული ვერ იცან. მართლა.
ერთი მითხარი. ვისი ბრალია?...

(„ვისი ბრალია?")

და ჩემს საყვარელ პოეტს ლექსი ხელმოუწერლად გავუგზავნე.

ჩემი მეორე ქორწინება. შემოქმედებითი სიახლეები



მარიკა და ბიძინა მერაბთან და სულხანთან ერთად. მესტია. 1948 წ.

1944 წლის შემოდგომაზე ბიძინა და სულხანი ჩვენთან გადმოსახლდნენ. ბიძინას ვაჟს, სულხანს სიცხეს აძლევს. დედა ტუბერკულოზით დაეღუპა და მეშინია... საჭიროა სიფრთხილე და მეტი ყურადღება ბავშვებისადმი. ის და მერაბი პატარა ცემის სკოლა-სანატორიუმში მოვაწყვეთ, ერთად რომ არ მოეწყინათ. მე ხანდახან დავდივარ მათ მოსანახულებლად. შემდეგ კიკეთის ბავშვთა სანატორიუმშიც გავგზავნე, სადაც ექიმი გოცირიძე მკურნალობს. სულხანს მკურნალობა მოუხდა. დიდი ბედნიერებაა, რომ მთელი გულით მომენდო, რომ ბავშვებს ერთმანეთი უყვართ, რომ ჩვენი ორი დანგრეულ-დაობლებული ოჯახი უმტკივნეულოდ შეკავშირდა.

...კალამი არ ისვენებს „ნანულის", „ყაჩაღანას", „პატარა ექიმს" მიემატა პოემა „ბურთი", საბავშვო და ლირიკული ლექსები. ჩემი ბავშვები ერთმანეთს ეუბნებიან: ჭკუით ვიყოთ, თორემ დედაჩვე-

ნი ჩვენს ამბავს ქვეყანას გააგებინებსო.

1945 წელს გამოვიდა ჩემი ლირიკული ლექსების პირველი კრებულიც.

სამედიცინო ინსტიტუტში ნიკოლოზ ბარათაშვილის ხსოვნის საღამო უნდა გაიმართოს. მთხოვენ, მონაწილეობა მივიღო. საერთოდ, საღამოებზე, რომლებშიც მე ვმონაწილეობ, ბავშვები არ მიმყავს. ახლა კი ისე შემომიჩნდნენ, რომ უარი ვეღარ ვუთხარი, ოღონდ სიტყვა ჩამოვართვი, ერთად, წყნარად მსხდარიყვნენ, მაგრამ როდესაც ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს ვკითხულობდი, სულხანი ისე გაბრწყინებული მიყურებდა, რომ ერთ ხნიერ, ექიმ ქალს შეუნიშნავს და უკითხავს:

— ბიჭიკო, იცნობ მარიკა ბარათაშვილს?

— მაშ, რა! დედაა ჩემი.

— ეს გოგონა და ბიჭი?

— ჩემი და და ძმაა.

— უფროსი რომელია თქვენში?

— ჩემი და.

— რამდენი ხნით?

— ხუთი თვით.

— გეშლება ბიჭიკო, ალბათ ერთი წლით და ხუთი თვით.

— არა, დეიდა, გეფიცებით, ხუთი თვით.

ექიმი ქალი მიხვდა, რაშიც იყო საქმე და სიცილით გადასცემდა კოლეგებს ამ დიალოგს.

...ჩემი მდგმურებისა, და უკვე უახლოესი ადამიანების, ჩვენს ჭერქვეშ ცხოვრება დამთავრდა. მარუსია და გრიშა რევზინები მოსკოვს უბრუნდებიან. გვიჭირს, ძალზე გვიჭირს განშორება. რაც ეს გადაწყვეტილება გავიგე, ღამეებს თეთრად ვათენებ, მაგრამ რას ვიზამ?

დილაა. ცოლ-ქმარი მერაბის საწოლთან მიდის, — ჩვენ მივდივართ, — ეუბნება გრიგორი. — რა გინდა, მერაბ, რა ჩამოგიტანოთ? — მინდა, არ ნახვიდეთ, სულ ჩვენთან იყოთ! — რევზინებს ცრემლი ერევათ...

მოდის და მოდის ფრონტიდან ქართველ მებრძოლთა დაღუპვის ამბავი. ველოდებით სამკუთხა ბარათებს, სულგანაბული ვუსმენთ ლევიტანის რადიოინფორმაციებს. ქვეყანა ომის ციებ-ცხელებით ცხოვრობს. ომზე ლექსები იწერება. იმღერება სიმღერებიც. ქვეყანას მოედო კონსტანტინე სიმონოვის ლექსი „მელოდე". ჩემი „მომიხვალ, მჯერაც" ხომ მის საპასუხოდ დაიწერა. კომპოზიტორმა ლევან ფალიაშვილმა კი სიმღერაც შექმნა. ქვეყნდება გალაკტიონის, ლეონიძის, გრიგოლ და ირაკლი აბაშიძეების, ალიო მირცხულავას, კარლო კალაძის, სიმონ ჩიქოვანის, სანდრო შანშიაშვილის ლექსები. მეც გამოვაქვეყნე რამდენიმე ლექსი: „კავკასიური ბალადა", „სვირში ერთი ოდა არის", „მოდი ნახე", „შენ ოციოდე გაზაფხული იკმარე, მხოლოდ" (შოთა გამცემლიძეს).

მრავალი ძვირფასი ახლობელი ომმა შეიწირა, ბევრი — რეპრესიებმა, ზოგი

გადასახლებაში ენამა, ზოგს კი ტყვიისთვის აქვს მკერდი მიშვერილი... ჩემი მულიშვილის, დედ-მამით ობოლი, ჩემი შაღვა სიჭინავასიც არაფერი ისმის. ძალზე გვაწუხებს ჩვენს ოჯახში გაზრდილი სომეხი გოგო-ბიჭის ამბავიც, რომელთაც ომის წინ მოაკითხეს ნათესავებმა ახალქალაქის რაიონიდან. თავის სოფელს როცა დაუბრუნდა, ვანოს უკვე დამთავრებული ჰქონდა საღამოს სკოლა, ასე რომ, მამაჩემმა დააყენა ფეხზე და იმედი გვქონდა, რომ ცხოვრებას კარგად წარმართავდა. მანანა მკრტიჩიანიც მალე გათხოვილა. იმ წლებში იმდენი უბედურება დაგვატყდა თავს, რომ ვეღარ მივაკითხეთ. შემდეგ გავიგეთ, რომ ვანო ომში გაუწვევიათ და იქ დაღუპულა. მოგვიანებით, უკვე ჩემი რედაქტორობის პირველსავე წელს, ახალქალაქში მკითხველთა კონფერენცია ჩავატარეთ. იქ ჩასვლა იმიტომაც მიხაროდა, რომ იმედი მქონდა მანანას ვნახავდი. მის სოფელ ბურნაშეთში ჩავედი, მაგრამ იქ ვერ ვნახე და ვერც ის გავიგე, რომელ სოფელში იყო გათხოვილი. ასე დამეკარგა ჩვენს ოჯახში, ჩემთან ერთად გაზრდილი, ჩემი საყვარელი მანანა მკრტიჩიანი და ვანო ზადიკიანები... ომმა შეიწირა ჩემი ბიძაშვილი სოსიკო ბარათაშვილი და სიძე გაბო თავართქილაძე, რეპრესიებმა — სიმონი, ვახტანგი; სიძეები — ანტონ ტუსკია და ნესტორ ქელბაქიანი, გერმანიაში სამუდამოდ გადახვეწილი დარჩა დავით ვაშაძე. ამდენი მამაკაცი დავკარგეთ მარტო ჩვენი, ჭიათურის ოჯახებიდან! მსგავსი მდგომარეობაა საქართველოს სხვა ოჯახებშიც. ომმა 350000-ზე მეტი სიცოცხლე გაგვინადგურა. ბედნიერებად მიგვაჩნდა, ვინც დაინვალიდებული მაინც დაგვიბრუნდა... რეპრესიები? — ვინ მოთვლის, რამდენი ცნობილი ადამიანი, რამდენი ნათელი გონება, დიდებული ნიჭი... რამდენი დანგრეული და გაუბედურებული ოჯახი, გზააბნეული, დაობლებული ბავშვია იმ სასტიკი წლების მსხვერპლი!

1945 წლის 9 მაისია. ქვეყანა ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვებას. თავიანთ კერებს უბრუნდებიან ჯოჯოხეთურ ომს გადარჩენილი ადამიანები. რკინიგზის სადგურებში ხალხმრავლობაა. ერთმანეთშია არეული სიცილ-ტირილი, სიხარული და სასონარკვეთილება... სოფლად თუ ქალაქში, კედლებიდან, ჭიშკრებიდან, შავარშიაშემოვლებული ფოტოებიდან, ომის ქარცეცხლიან გზებზე დაკარგულ-ჩამარხული შინმოუსველელნი შემოგვცქერიან. ძალზე მოგვიმრავლდა უმარჩენალოდ დარჩენილი მოხუცები, დაქვრივებული მეუღლეები, დაობლებული ბავშვები, ომში დაღუპულთა ძეგლები და სტენდები... კახეთში, ახმეტის რაიონის ერთ-ერთი სოფლის უპატრონოდ დარჩენილ სახლში, ომში დაღუპულთა მუზეუმად რომ გადაუკეთებიათ, სტენდიდან სოფლის ოცდაშვიდი ვაჟკაცი შემოგვცქერის, მხოლოდ ერთი ჩარჩოა ფოტოს გარეშე — ამ ოჯახის ერთადერთი ბიჭი ისე დაიღუპა, ფოტოს გადაღებაც ვერ მოუსწრია, მისი სულის მომხსენიებელიც აღარავინაა, რადგან შვილის დამკარგავ დედას დიდხანს აღარ უცოცხლია და ახლა ამ ჩარჩოში ერთი მიხაკია ჩამაგრებული. იმ ბიჭის ხსოვნას მივუძღვენი ლექსი „ერთი მიხაკი“.

იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები

1945 წლის დეკემბრის საღამოა. მწერლებს პლეხანოვის სახელობის კლუბში შეხვედრა მოგვიწყეს. საღამომ კარგად ჩაიარა. სოსო გრიშაშვილმა და ბორის ჩხეიძემ მოისურვეს შინ მიმაცილონ. ცივი, მაგრამ მთვარიანი ღამეა და ასეთ ღამეში სასიამოვნოცაა ფეხით გასეირნება.

— გახსოვთ, ქალბატონო მარიკა რა მშვენიერი ლექსი მომიძღვნით ჩემს საიუბილეო საღამოზე? მეკითხება იოსებ გრიშაშვილი.

თანხმობის ნიშნად თავს ვუქნევ.

— მე სხვა ლექსიცა მაქვს მოძღვნილი თქვენდამი.

— სხვა ლექსიც? ეგ არ ვიცოდი!

— შინ გამოგიგზავნეთ.

— თქვენი ხელმოწერით?

— არა.

— საინტერესოა! არ გახსოვთ? წაიკითხეთ, რა, გთხოვთ!



გესარიონ ჟღენტი, , იოსებ გრიშაშვილი, მარიკა ბარათაშვილი მწერალთა კავშირი 1958 წ.

— რა ამბავია, სოსო, ქალბატონ მარიკას თქვენთვის ორი ლექსი მოუძღვნია? სხვებმა რა დავაშავეთ — ხუმრობს ბორის ჩხეიძე.

— ალბათ, დავიმსახურე, — იცინის სოსო.

— „მე ვაცქერდები სტრიქონებს შენსას...“ ვიწყებ „ვისი ბრალიას“ კითხვას.

— მაშ, ეს ინკოგნიტოდ გამოგზავნილი ლექსი თქვენია? ამას წინათ წყალტუბოში ერთ წვეულებაში გიტარაზე მომიმღერეს! — იცინის სოსო — შემდეგ, შემდეგ!

— ჰო, ჰო, მარიკა გეხვეწები! — აჰყვა ბორისიც.

ლექსის კითხვა დავამთავრე.

— ოჰ, ოჰ, — გულიანად იცინის ბორისი, — ეს რა დაუწერია, პირდაპირ გულში არ დაუმიზნებია შენი „ნარგიზისათვის“?

— ყოჩაღ, მარიკა, — მეტი რა მეთქმის? ამ ლექსს საგულდაგულოდ შევინახავ! — იცინის სოსო.

მხიარულად მიმაცილეს შინამდე.

„ლუდვიგის ანგინა“

დილით ყელის მწვავე ტკივილმა გამომაღვიძა.

— წუხელ თუ გაცივდი, — წუხს ბიძინა.

— არაფერია, გამიელის! — ვამშვიდებ.

ბიძინა სამსახურში მიდის, ბავშვები — სკოლაში. ტკივილი თანდათან მატულობს. მგონი სიცხეც მაქვს, ვაითუ ლოგინში ჩამაწვინა! დავტრიალდი, რომ ბინის დალაგება და სადილის გაკეთება მოვასწრო. თანდათან უარესად ვარ. ტემპერატურამ 40-ს მიაღწია. ყელი უკვე აუტანლად მტკივა, ჯირკვლები ჩამომისივდა. ბიძინას ექიმები მოჰყავს, ზოგი ანგინის დიაგნოზს მისვამს, ზოგი — ჯირკვლების ანთებისას. ახლა უკვე წამლების დალევაც არ შემიძლია, კრიჭა შემეკრა. ყბები მთლიანად შემიშუპდა, სუნთქვა მიჭირს. პორფილეს ქალიშვილი ლიზიკო ახალგაზრდა, ნიჭიერი ექიმია.

— ბიძინა ძია, ეს ამბავი არ მომწონს. ქვემოთ, ქსენიევის ქუჩაზე ყელ-ყურის კარგი სპეციალისტი ილია ჩხაიძე ცხოვრობს, სასწრაფოდ უნდა მოვიყვანოთ.

კვირა საღამოა. ჩხაიძეს სტუმრები ჰყოლია.

— წამოგყვებით, მაგრამ ცოტა ნასვამი ვარ, თანაც ქალაქში შუქი არ არის და ლამპის შუქზე წესიერად ვერაფერს დავინახავ. მაშ, ექიმებმა ანთებააო? ჯირკვლების ანთებაო? საშიში არაფერია, სტრეპტოციდი დაფხვენით და მიეცით. დილით, თუ საჭირო იქნება, მომაკითხეთ...

კოშმარული ღამე მქონდა. დილისთვის სახე მთლიანად შემიშუპდა. პირს ვერ ვაღებ, წამალს ვერ ვსვამ. ვერ ვწვები, უჰაერობით ვიხრჩობი. ჩხაიძემ დამხედა თუ არა, ეს ხომ „ლუდვიგის ანგინაა“ — შეშფოთდა და საავადმყოფოში გაიქცა. თხუთმეტ წუთში იქ უნდა იყოთ, საჭიროა სასწრაფო ოპერაციაო — დაიბარა. ბიძინასთვის უთქვამს, ამ ანგინას სასიკვდილოს ეძახიან, ათასებიდან ერთი თუ გადაურჩებაო. ოპერაცია აუცილებელი შეიქნა. ურთულესი მდგომარეობაა. მეორე დღეს სასულეს მიჭრიან, დამსწრე ექიმებსა და მათ შორის პროფესორ ასპიროვს არავითარი იმედი არა აქვთ ჩემი გადარჩენისა და არ უნდათ, მაგიდაზე შემოაკვდეთ ავადმყოფი. ჩხაიძეს კი ვერ მოუნელებია, რომ კვირა საღამოს ვერ შეძლო ჩემი მოშველება და ჯიუტად განაგრძობს ოპერაციას. გაჭრამ გონს მომიყვანა.

გადავრჩი. თუმცა, სახე კი ბალიშივითა მაქვს დასიებული, ცხვირიდან საყლაპავში რეზინის მილი მაქვს ჩაშვებული და ძაბრის მეშვეობით მასხამენ სითხეს — ბულიონს, კაკაოს კონიაკით. საწოლთან მიდგას მეორე საკვებიც — წვეთოვანის დანადგარი.

საავადმყოფოს კარი ღიაა მნახველთათვის. მეტყველების უნარი წართმეული მაქვს. შემზარავი სანახავი ვარ. ჩემ დანახვაზე მეგობარ მხატვარ ქალს გული შეუღონდა. ჩემ ბედზე საავადმყოფოში პენიცილინის მცირე რაოდენობა აღმოჩნდა და ჩემი ლუბა ბიცოლა, დედაჩემის ძმის ირაკლის მეუღლე ზედაა

გადაფოფრილი, რადგან ახლა მხოლოდ პენიცილინზეა ჩემი გადარჩენა დამოკიდებული.

მწერალთა კავშირში ღელავენ, წუხან... „მაშ იღუპება? ჩვენი მარიკა იღუპება? სამი-ოთხი დღის წინ ერთად ვიყავით, მშვენივრად იყო“, — წუხს გრიშაშვილი. ყველას თავზარი ეცემა ჩემ შეხედვაზე.

ჩემი საყვარელი მარიამ გარიყულიც მოვიდა.

— აგერ, ახლა დაგვეღუპა ქეთო ირემაძე და შენ რაღა გემართება? — თქვა და უცებვე მიხვდა, ცუდად რომ მოუვიდა. შულზე მიმაგრებულ ძაბრს, რეზინის მილსა და ხელოვნური კვების დანადგარს თვალი შეაელო.

— არა, შენ ამ აპარატების არ შეგეშინდეს, ჩემი და რამდენიმე წელიწადი ასე იკვებებოდა.

კინაღამ საწოლიდან გადმოვვარდი.

ელენე დეიდა და, დედაჩემი წუთით არ მშორდებიან.

ყოველი შეხვევა ოპერაციას უდრის. ამას ზედ დაერთო სასუნთქი გზების მოშლაც. ამაოდ ვცდილობ, ნახევარი ჩაის კოვზი წყალი მაინც ჩავყლაპო. ვიხრჩობი. მამაჩემი დამესიზმრა, გამწარებული მეუბნება: „რას შვრები, მღუპავ, შვილო?“

თვალი გავახილე და დეიდას ვანიშნე, კოვზით წყალი მოეწოდებინა, მთელი ძალა მოვიკრიბე, წამოვიწიე, სუნთქვა შევიკარი და რამდენიმე წვეთი წყალი როგორც იქნა, შევსვი. ყველა უზომოდ გახარებულია. მაგრამ ყველას უკვირს, რომ ჩემი ნაჭრილობევი ყელის ნახვას არ მოვითხოვ. და აი, თმის გადავარცხნა მომინდა და პატარა სარკეში რომ ჩავიხედე, დავინახე, ყელის ნახვევი ჩამოჩოჩებულია და სარკიდან რაღაც შავი ორმო შემომცქერის — აღარაფერი მინდა.

— ასეთ გადარჩენას სიკვდილი მერჩია — ძლივს, გაჭირვებით ამოვილაპარაკე.

— შე სულელო, სიკვდილს გადარჩი და... — მამშვიდებს ელენე.

— რატომ არ მოკვდი!

დერეფანში ჩხაიძის ხმა გაისმა. მოსვლისთანავე ჩემთან შემოდის ხოლმე. კედლისაკენ გადავბრუნდი, თავი მოვიმძინარე.

— ძინავს? — ხმადაბლა ეკითხება ჩხაიძე დეიდაჩემს.

— ჭრილობა ნახა და ხასიათზე ვერაა! — მინიშნებით პასუხობს ელენე.

ექიმი საწოლთან მოიჭრა, გადმომაბრუნა. თვალში ცრემლი უდგას.

— არ გრცხვენია? ნუ გეშინია. ყველაფერი შეხორცდება და კარგად იქნები! მოდით, გოგოებო, აქ! — დერეფნიდან ახალგაზრდა ექიმები და ექთნები შემოიყვანა:

— ა, შეხედე, ამათ ცალკეულ მათგანს კი არა, ერთად აღებულს ჯობიხარ, ყველას! ასე არაა, გოგოებო?

— აგრეა, აგრე!

პალატა გამხიარულდა.

1946 წლის დამდეგს, ახალწლის წინა დღეს გამოვეწერე საავადმყოფოდან, საშინლად დამახინჯებული: კრიჭა შეკრული მაქვს, სახის ნერვი დაზიანებული

და სახე მარცხნიდან-მარჯვნივ მიღრეცილი; ჭრილობის ადგილას მსხვილი კვანძია. ილია მარწმუნებს, რომ ყველაფერი გასწორდება, მაგრამ როდესაც სპეციალისტებს ცალ-ცალკე ვეჩვენე, საიმედო ვერაფერი მითხრეს. თანდათანობით, ყველას გასაოცრად, გამოვკეთდი. დარჩა მხოლოდ დიდი კვანძი. საჭირო იყო პლასტიკური ოპერაცია.

და აი, მოსკოვში წასვლის წინ, წყალტუბოში გამგზავნეს. ჩემი თამარ მხეიძე წყალტუბოში, სანატორიუმ „დრუჟბას“ აფთიაქის გამგედ მუშაობს და თავისთან მეპატიჟება. ჩემ დანახვაზე თავზარი დაეცა, მაგრამ ცდილობდა არ შეემჩნია. იმავ საღამოს აბაზანის მისაღებად წამიყვანა, მაგრამ ის იყო, აბაზანაში უნდა ჩავწოლილიყავი, რომ ფეხი ამისხლტა, დავეცი და მარჯვენა ხელი გამებზარა. ხელი თაბაშირში ჩამისვეს, ბიძინა კი სამოსკოეოდ ემზადება და ორ კვირაში უკვე საოპერაციოდ მოლონიერებულს მელოდება.

დათქმულ დღეს ჩემი მეგობარი — სოსო ჩიქოვანი ჩავიდა თბილისში და ჩემი ამბავი შეატყობინა. ბიძინა შეწუხებული მწერს: „რა მოგივიდა, ორი ნაბიჯი ვერ უნდა გადადგა უავარიოდ?“ მართლაც ხშირად ვეცემი ხოლმე, მაგრამ ამ დაცემით ისეც გამწარებულს, ბიძინას წერილმა მთლად ცეცხლი წამიკიდა და პასუხი მარცხენა ხელით დამაწერინა:

მწერ. „შეიბრალე ან შვილები, ანდა ქმარიო.
დავდივართ მუდამ შენი დარდით დაისრულები.
შენ შენი თავის სიბრალულიც არ გაქვს სრულებით –
ორიოდ ნაბიჯს ვერ გადადგამ უავარიოდ“
შენ მართალი ხარ. მეც უთუოდ მცნაჯავს ეს ხვედრი.
მეც აღარ ვიცი, ვინ დამწყევლა და შემამჩვენა!
ნეტავი ხელი შემრჩენოდა, მაინც მარჯვენა.
მწერე პასუხსაც ძლივს გიბრუნებ მარცხენა ხელით.
შენ მართალი ხარ. მეც უთუოდ მცნაჯავს ეს ხვედრი...
ავარიისთვის პატიებას ვითხოვ ამ ლექსით!
შენ მართალი ხარ. მაგრამ. იცი, ჩემთან შეხვედრით
თავად მოგსვლია ავარია უსაზარლესი.

(„პასუხი მეუღლეს“)

...1946 წლის მაისი. მოსკოვი. მარუსია და გრიგორი უზომოდ შეაწუხა ჩემმა დანახვამ. ცდილობენ, არ შეიმჩნიონ, მაგრამ არ გამოსდით. მიიკითხ-მოიკითხეს და პლასტიკური ოპერაციების ყველაზე სახელგანთქმულ სპეციალისტთან მიმიყვანეს. მან ეს ოპერაცია ძალზე იოლად დამისახა, სტაციონარში ჩემი დაწვენაც კი საჭიროდ არ მიიჩნია და ოპერაცია ამბულატორიულად, ადგილობრივი ანესთეზიით გამიკეთა.

ჩემ წამებას ბოლო არ უჩანს, საქმე არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც პროფე-

სორმა მიიჩნია. მაგრამ ხომ მაინც გადავრჩი ჩემი სიცოცხლე კი ჩემი შვილებისთვის, ჩემიანებისათვის, ყველაფერზე ძვირფასია. იმის გაფიქრებაც კი მზარავს, რომ სულ რამდენიმე თვის დაკორწინებულ ბიძინას, ერთის მაგივრად, სამი ობოლი რჩებოდა. დედაჩემი და დეიდაჩემიც ხომ, უთუოდ, ღმერთმა შეიბრალა...

❀ ❀ ❀

ჩვენი ოჯახი დღითიდღე მტკიცდება. მერაბი და ნანულიც მეხმარებიან. სულხანი საგარეჯოში, დიდედასთან იზრდებოდა, რომელსაც ორი ვაჟიშვილიდან ეს ერთადერთი ბავშვი ჰყავდა და, ისიც, დაღუპული დედის შვილი.

ჯერჯერობით სულხანი დეიდას მეძახის, ბიძინას კი ნანული და მერაბი ძიას.

1948 წლის ზაფხული სვანეთში, სოფელ იფარში გავატარეთ, პეტრე ჭკადუას ოჯახში. ერთ დღეს პეტრემ ყური მოჰკრა სულხანის მომართვას „მარიკა დეიდა!"

— ვეჟო, გაიკვირვა პეტრემ დედას დეიდას ეძახი?

იმ დღიდან სულხანი დედას მეძახის, ნანული და მერაბი კი ბიძინას მამას.

...ვახტანგის გურამიც აქვე, ჩვენს ეზოში მყავს. ბაბულიამ კინოსტუდიაში დაიწყო მიატვრად მუშაობა. ვწუხვარ მის ბედზეც. მისმა ძმამ, სულხან ცინცაძემ კონსერვატორია ნარმატებით დაამთავრა.



კორნელი კეკელიძე და მისი მეუღლე მინადორა კასრაძე 1951 წ

საგარეჯოდან ბიძინას დედა, ეკატერინე, ჩამოვიყვანეთ — მძიმედაა დაავადებული. ბიძინას დის, მანანას ქმარიც ივანე შარაშიძე, რეპრესიების მსხვერპლია. ჩემი მული მუშაობს და ზრდის ორ მშვენიერ ვაჟკაცს — ჯემალს და გაიოზს (შემდგომში ცნობილი ექიმი-ფსიქიატრი).

თბილისში დამკვიდრებიდან დედაჩემის ძმების, ბიძაშვილის — მწერალ დავით კასრაძის, შიო მღვიმელისა და კორნელი კეკელიძის ხშირი სტუმრები ვართ. ბიძია კორნელი და დეიდა მინადორა ომის წლებში განსაკუთრებულად გვპატრონობდნენ მე და ჩემს შვილებს, რაც არასოდეს დამავიწყდება.

„ჭრიჭინას“ იდეის დაბადება. დავით კასრაძე

მწერალთა კავშირის კლუბში დავით კასრაძის პიესის „თამარ მეფის“ კითხვა-განხილვა მოეწყო. ძალიან მიყვარს დავით ძიას ოჯახი, მისი მეუღლე ქრისტინე და შვილები: დიელო, ნაისი და ქართლოსი. დავითმა მწერალთა კავშირში მიმიწვია, პიესა მომეწონა და ვოცნებობ, როდის ვნახავ სცენაზე. შინ დაბრუნებულს სურვილი მებადება, შევწყვიტო მუშაობა პოემაზე „ქალის გაზაფხული“ და მის სიუჟეტს დრამატურგიული ფორმა მივცე. მომდევნო დღეებში კულტურის სამინისტრო თანამედროვეობის ამსახველ პიესაზე აცხადებს დახურულ კონკურსს. ხალისით ვიწყებ მუშაობას. ვამთავრებ და დევიზით ვაგზავნი კულტურის სამინისტროში. კონკურსში 300 პიესიდან ათმა, და მათ შორის, ჩემმა „მაღალმა ოცნებამ“ ყურადღება მიიქცია. დიმიტრი ბენაშვილის, ბესარიონ ჟღენტისა და დიმიტრი ჯანელიძის რეცენზიებში ხაზგასმულია, რომ „მაღალი ოცნების“ ავტორი დაჯილდოებულია იუმორისა და ზომიერების გრძნობით, აქვს ხასიათების ხატვის უნარი, დრამატურგიული ენა... მართალია, პიესამ კონკურსში ვერ გაიმარჯვა, მაგრამ სტიმული მომცა დრამატურგიაში მუშაობის. და აი, დაიბადა სიუჟეტი კომედიისათვის. სწორედ იმ დროს, „იზვესტიაში“ გავეცანი გამოქვეყნებულ ბრძანებულებას — ორი ქართველი მეჩაიის, ორი ემინე მევლუდის ასულ მესხიძის სოციალისტური შრომის გმირის წოდებით დაჯილდოების შესახებ. იმ ღამით აღარ დამეძინა. შემომიჩნდა ფიქრი: ვთქვათ, ორივე ემინეს ერთდროულად კი არ მიეღწევია გმირობისთვის, მაგრამ ერთის მიღწევა სადღაც მეორეს მიანერეს და... ასე შეიქმნა კომიკური სიტუაცია.

ზამთარია. ღუმელი ჩამქრალია და ოთახში ცივა, მაგრამ სიცივეს ვერა ვგრძნობ. ლამპას ვანთებ და გამალებით ვთხზავ სიუჟეტს.

— მარიამ, რა მოგივიდა, გაცივდები — მეუბნება ბიძინა.

— სსუ! არაფერია, არაფერი, ცოტა მაცადე!

ეს ცოტა დილამდე გრძელდება. დილით უკვე მზადაა პიესის ქარგა. პიესაზე ფიქრით ვცხოვრობ. იბადებიან გმირები, ჩნდება დრამატურგიული სიტუაციები. მეც ჩემი გმირებით ვცხოვრობ. თავად ვარ ჩემი „ჭრიჭინა — მარინეს“ პროტოტიპი. ეგება, სადღაც ჩემი ხასიათიც გამოყვა — დიდი გაჭირვების დროსაც კი, ხანდახან, სიმღერად გადავიქცეოდი ხოლმე, განსაკუთრებით ნავარძეთში, თუთის ხის კენწეროს რომ მივატანდი.

...ოჯნებას ერევა რული.
ზაფხულის შუადღეს ლანდავს:
იმ თუთებს ფრიალით უკლის
ყვავილით ნახატი კაბა...
ის მერეც იგემებს ტკივილს...
ჯერ, სანამ ზაფხული ათბობს,
აყვალეთ შამვებთან ლხინი,
დატკვეთ თუთებთან მარტოდ.

(„თუთის ხეები“)

დედა და ბებია მეხვეწებოდნენ: „პატარა ხნით მოგვასვენე, ყურთასმენა აღარაა, შვილო!"

ახლაც ფიქრით ჩემს გამოგონილ სოფელ ბჟოლეთში ვარ. ჭრიჭინას ოინებს აყოლილს, ზარის ხმა შემომესმა. კარს ვაღებ. არასოდეს გამხარებია ასე ბიძაჩემის, დავით კასრაძის მოსვლა. სადილად რომ დავსხედით, გამოვუტყდი, რომ პიესას ვწერ.

— არ გამაგონო! რა პიესა, რის პიესა! შენს ლექსებს მიხედო, ის გირჩევნია.

— მომისმინე, რა!

— გაგონებაც არ მინდა!

— მხოლოდ ხუთი წუთით, გეხვეწები!

— მაინც, რა პიესაა, არ იტყვი?

— ერთი ჭრიჭინა გოგონას, მარინე ფერაძის თავგადასავალი. მოკლედაა მოხაზული, მხოლოდ.

— ჭრიჭინა? ჰო, კარგი, კარგი, წაიკითხე!

წავიკითხე. დავითს ცრემლი მოერია მოდი, მართლაც ვიფიქროთ ჭრიჭინას ბედზე. იცი, რა? მარჯანიშვილის თეატრში არჩილ ჩხარტიშვილთან და პიერ კობახიძესთან მიდი განაცხადით, ვფიქრობ, დაინტერესდებიან.

რომ არ ვიცნობ?

— დავურეკავ, ვთხოვ, მოგისმინონ.



დავით კასრაძე

მივედი. მომისმინეს. დაინტერესდნენ და მთხოვეს, დავაჩქარო. გატაცებით ვმუშაობ. პიესის ხლართებში ისე ორგანულად ჩავერთე, ჩემი გმირების ცხოვრებაში ისე შევიჭერი, რომ ვწერ და ხმამაღლა ვიცინი. შინაურები კარს შემომიღებენ, ხომ არ გაგიჟდაო.

დროდადრო თეატრიდან მირეკავენ, აინტერესებთ, რა სტადიაშია ჩემი სამუშაო.

პიესა, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით დავამთავრე — სხვაგვარად არც ლექსზე, არც პიესაზე მუშაობა არ შემიძლია, თუ სხვა რამეზე გადავერთვები, მერე მუშაობის გაგრძელება მიჭირს. ახლა, საჭიროა პიესის დახვენა, გასუფთავება, ე.წ. საიუველირო სამუშაოს ჩატარება. ესეც მოთავდა და ჩემი „ჭრიჭინა" თეატრში მივაბრძანე. მოიწონეს. მოიწონეს, მაგრამ აქ არ წყდება პიესის ბედი. — რას იტყვის კულტურის სამინისტრო? სამინისტროში, კულტურის მინისტრის, ისიდორე დოლიძის კაბინეტშიც წავიკითხე პიესა. იგი აზრის გამოთქმას ერიდება, რადგან მთავარი არბიტრი პარტიის ცენტრალური კომიტეტია. საქმე ისაა, მოგვცემენ თუ არა ნებას, საქვეყნოდ გამოვიტანოთ ცეკვა-სიმღერას გადაყოლილი ჭრიჭინა-გოგოს ამბავი. ასეთ ტაშფანდურას აყოლილი და თავისი საქმისადმი უპასუხისმგებლო ახალგაზრდები თურმე ჩვენი საზოგადოებისთვის არაა დამახასიათებელი. და აი, თითქმის წელიწადია, რაც „ჭრიჭინას" სამინისტროსა და ცეკას ხლართებიდან თავი ვერ დაუღწევია. პიესას „ჭრიჭი-

ნას“ მაგივრად „მარინეც“ ვუწოდეთ, მაგრამ... ერთ დღეს, რუსთაველზე ვასილ ეგნატაშვილმა შემაჩერა: „ო, ო, ო, მარიკა, თქვენი ლექსები მოგვენატრა, ძალზე მოგვენატრა, კარგა ხანია თვალი აღარ მომიკრავს“.

— პიესაზე მუშაობამ გამიტაცა.

— ოჰ, ოჰ, — დავით ბიძიასავით შეიცხადა ბატონმა ვასილმა, — თქვენი მადლიანი ლექსების ავტორმა?.. ეს რა დრამატურგიის სენი მოედო მწერლობას.

— რა ვქნა, ასეა და...

— მაინც, რა პიესაა, რა ჰქვია?

— „ჭრიჭინა“,

— „ჭრიჭინა“? — ეს საინტერესოა. სად არის ის თქვენი „ჭრიჭინა“?

— „მარინე“ ვუწოდე.

— შუქშენიღბვაა? — გაეცინა.

— დიახ, მოგზაურობს და... თეატრს, კულტურის სამინისტროსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შორის.

— პიესის ერთ ეგზემპლარს ვერ მომაწვდი?

სასწრაფოდ მივაწოდე. მესამე დღისთვის დამიბარა. ტელეფონის ნომერი აკრიფა — „გოგი ხარ?“ ცკ-ის კულტურის განყოფილების გამგეს, ჯიბლაძეს დაურეკა. „ვასილი ვარ, ეგნატაშვილი. ჩვენს პოეტ ქალს, მარიკა ბარათაშვილს კარგი პიესა დაუწერია „მარინე“. არ იცნობ? გირჩევ, წაიკითხო“.

და გადაწყდა პიესის ბედი. როგორც ჩემს პოეზიაში, ისე დრამატურგიაში ვასილ ეგნატაშვილმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. პიესა 1950 წლის აპრილში, პარტიის ცკ-ს სამდივნოზე წაიკითხეს და საგზურიც მისცეს. პიესის ერთი ეგზემპლარი კინემატორგაფიის სამინისტროს გადავეცი, მოიწონეს, თქვეს, ამისგან კარგი ფილმი გამოვაო. მაგრამ მოვლენებს წინ გავუსწარი...

...1949 წლის ზაფხული. ბავშვები გაგრაში მიმყავს. რამდენიმე დღით ნავარძეთში, დედასთან შევიარე. პიესაზე ჩემი მუშაობის ამბით გაიხარა. მთხოვა, წამეკითხა. კითხვისას შევატყვე რამდენჯერმე ჩაეთვლიმა. შევფიქრიანდი — „არაფერია, შვილო, სუსტად კი არა ვარ, წუხელ არ მიძინია. პიესა კი ძალიან მომწონს, ნახე, რა ბედი ექნება! უეჭველად გასახელებს — ღმერთო, დიდებულო, წმინდაო ღვთისმშობელო, შენ გაუმარჯვე ჩემს გოგოს!“ ნავარძეთიდან წამოსვლისას დედამ კარგა მანძილზე გამოგვაცილა. დაგველოცა, დაგვემშვიდობა. რას წამოვიდგენდი, რომ...

აგვისტოა. გაგრაში ყოფნის დღეები იწურება, ერთ დილით, ჭიათურაში ჩვენი სახლის მენახევრე (ნახევარი მამაჩემმა სიკვდილის წინ გაყიდა) გაბო ყიფშიძე დაგვადგა თავს და დედაჩემის გარდაცვალების ამბავი შემატყობინა. მითხრა, რომ ავადმყოფობის დღეებში (ერთი კვირა უავადმყოფია) მიგზავნიდნენ დეპეშებს და გარდაცვალებაც მაცნობეს, მაგრამ არც ერთ დეპეშას ჩემამდე არ მოუღწევია. დედაჩემმაც და მამაჩემმაც ჩემ ნატვრაში დალიეს სული — ვერც ერთს თვალი ვერ დაუხუჭე!

თავზარდაცემული გავემგზავრე ჭიათურაში. მადლობელი ვარ ჩემი ნუნუსი

და ექიმ ალექსანდრე წერეთლისა, რომელთაც დედასთვის უპატრონიათ. ელენე დეიდაც, თითქოს გულმა უგრძნოო, გარდაცვალების წინა დღეებში ჩასულა. მეზობლებიც, განსაკუთრებით ოლღა და გერასიმე, თავს დატრიალებდნენ, მაგრამ მე? მე რომ უკანასკნელი წუთები ვერ შევუმსუბუქე? რას ვიზამ! ყველაფერი ისე გაკეთდა, როგორც ჩვეულებრივ კეთდება — დაიკრძალა თავისი ვახტანგისა და გერვასის გვერდით.

მიმწუხრზე მარტო რომ შემორჩი შენი ტკივილით.
ამ საფიქრალით გოლგოთაზე ბევრჯერ ავედი...
ვერ ჩამოგართვი მწირე ბოხჩაც იმ სიმძიმილის...
და ახლა დამაქვს სინანული ნაგვიანევი...

(„დედას")

გამოიკეტა ჩვენი ჭიათურა-ნავარძეთის კარი. ამისი ეშინოდა სალომე ბებიას. რას ვიზამ, შევასრულებ ჩემ დანაპირებს?

❀ ❀ ❀

1950 წლის შემოდგომაზე ჩემს მეგობარ მწერლებთან ერთად ვარძიაში ვიყავი. დაუვიწყარი დღეები გავატარეთ.



თამარ ჩხაიძე, გიორგი შატბერაშვილი, მარიჯანი, ლორთქიფანიძე (ნიკოს ვაჟი), მარიკა ბარათაშვილი, კლავდია დეკედარიანი, დავით გაჩეჩილაძე. ვარძია. 1950 წლის 17 სექტემბერი

„ჭრიჭინა“ მარჯანიშვილის თეატრში და საქართველოს გარეთ



მარინე — მედეა ჯაფარიძე. 1950 წ

...1950 წლის სექტემბერში მარჯანიშვილის თეატრში „მარინეს“ („ჭრიჭინა“) რეპეტიციები მიმდინარეობს. სპექტაკლს დგამენ რეჟისორები არჩილ ჩხარტიშვილი და ლეო შატბერაშვილი. მხატვარი — ელენე ახვლედიანი, კომპოზიტორი არჩილ კერესელიძე. არჩილი სპექტაკლის მუსიკალური ჩარჩოს ძიებაშია. მსახიობ მიხეილ სარაულს მოჰყავს ესტრადის ახალგაზრდა, ნიჭიერი მომღერალი ლილი გეგელია.

ღია ფანჯრებიდან მხიარული მუსიკისა და სიმღერის ხმები იღვრება. თეატრები და მაყურებელი ჯერაც ვერ გამოსულან სამამულო ომის დამთრგუნველი თემატიკიდან და უცებ „ჭრიჭინა“ ამღერდა, გარემო აამღერა და თავისი ოინებით გაამხიარულა.

მარინე მედეა ჯაფარიძეა. იგი ისე გაიტაცა ამ როლმა, რომ ღამის პირველ-ორ საათზე მირეკავს და დილამდე გრძელდება ჩვენი საუბრები. არადა, მედეა ორსულადაა. ნეტავ, როგორ შეუძლია რვა თვის ორსულმა ითამაშოს ეს როლი! მედეა კი ისე გატაცებით მუშაობს, ისე არბი-ჩამორბის კიბეებზე, ხარაჩოებზე, ახალისებს გარემოს, იკრებს დასს, პარტნიორებს გამარჯვების რწმენას უნერგავს... როცა ხარაჩოზეა, გული მისკდება, არ ჩამოვარდეს, არ გადაყვეს „ჭრიჭინას“ თაბუკაშვილების მომავალი მემკვიდრე.

და, აი, პრემიერის დღეც! ეს განსაკუთრებული დღეა ჩემს ცხოვრებაში — ჩემი ორი წლის ნაოცნებარის, ჩემი „მარინეს“ დაბადების დღეა, რომელიც ჩემი მერაბის დაბადების დღეს — 21 ოქტომბერს დაემთხვა. ხვალ კი დასი მომყავს შინ და ოჯახში დიდი სამზადისია — მით უმეტეს, რომ ჩვენი ოჯახის ჭერი ლხინითა და ზეიმით არ არის განებივრებული.

...თეატრი ხალხითაა გაჭედილი. პრემიერა ბრწყინვალედ მიდის. მედეა ჯაფარიძის „ჭრიჭინა“ ისე მიიღო დარბაზმა, რომ ვერც ამჩნევს მის განსაკუთრებულ მდგომარეობას. დღეს თუ ხვალ იგი დედა უნდა გახდეს.

სპექტაკლი ოვაციებით დამთავრდა. სცენაზე ავყავართ, მილოცავენ, მეხვევიან, მკოცნიან... წვეულებამაც კარად ჩაიარა. მთელი დასი ჩვენთანაა.

...დრო კი მიდის, „ჭრიჭინა-მარინე" თავის გზას განაგრძობს. საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიარა, ყველგან იდგმება. არჩილ კერესელიძის „საპოვნელამაც" უმალ მოიგო მსმენელის გული. მთარგმნელმა გიორგი შტაინმა პრემიერაზე პიესა მოიწონა, მომელაპარაკა, პწკარედი წაიღო და საბჭოთა არმიის თეატრისათვის გაუცვნია. რეჟისორი დავით ტუნკელი აპირებს პიესის დადგმას. შტაინმა უკვე მისი ერთი მოქმედება თარგმნა და გადმომიგზავნა შესამოწმებლად. ხელოვნური სიტუაციები, მაგალითად: „ჭრიჭინა" ფანჯრიდან შემოდის შინ, ანდა, „ჭრიჭინას" კაბის კერვისას, მის მაგივრად ბებია ეფროსინეს აზომებენ სამოსს და სხვა ამგვარები მაყურებლის გასაცინებლად ამ პიესას არ სჭირდება. ამიტომ, აუცილებლად მივიჩნიე თარგმნის პროცესში ჩარევა.

1951 წლის თებერვალში შევიამხანაგე კინორეჟისორი ლევან ხოტივარი და ერთად ვმუშაობთ კინოსცენარზე. კინოსტუდიაში სცენარის ლიბრეტო მოიწონეს და ხელშეკრულება გაგვიფორმეს. წვალებაა სცენარზე მუშაობა ათასი აზრის შეთანხმებაა საჭირო. აქ რომ მოიწონეს, ახლა მოსკოვის აზრია გადამწყვეტი. მოსკოვში მიმავლინეს. სცენარზე ვმუშაობ კინოდრამატურგ ევგენი პომეშჩიკოვთან, პიესის რუსულ თარგმანზე კი გიორგი შტაინთან.

მეტროსტროის ქუჩაზე, რევიზიების სადარბაზოში, ერთი ოთახი დავიქირავე. პიესა რუსულენოვანი მაყურებლისთვის გასაგები რომ ყოფილიყო, მცირეოდენი შესწორებები შევიტანე და საბოლოო სცენარი რედაქციისათვის ასე მივაწოდე



სცენა სპექტაკლიდან „მარინე"
„ჭრიჭინა" — მედეა ჯაფარიძე, მარინე მარინე თბილელი,
კოხტა კოტე დაუშვილი, შოთა ანდრო კობალაძე 1950 წ.

შტაინს. ის კი ცდილობს თავისებურად გადააკეთოს პიესა. მე არ ვანებებ, ვწვალობ, თან მრცხვენია შეცდომებისა, რომლებიც ალბათ, რუსულად დაწერილ ჩემს სცენებს გააჩნია. თუმცა, როდესაც რევზინებს ვუჩვენებ, მარწმუნებენ, რომ მთარგმნელი არ მჭირდება.

ეჰ, მეორე კომედია ჩემზე დაიწერება.

კარგა ხანს, თარგმანის დამთავრებამდე, მომიწია მოსკოვში ყოფნამ.

1952 წლის ივლისს თბილისში გამოვემგზავრე.

ოქტომბერში რეჟისორი დავით ტუნკელი გვეწვია. თქვა, რომ თეატრს არ შეშინებია, „მარინესათვის" „ჭრიჭინა" ეწოდებინა.

თბილისში დავითი „მარინეს" სპექტაკლზე წავიყვანეთ. ყოველნაირად ცდილობს ქართული ყოფის დეტალებს, აგრეთვე ქართულ მხატვრობას, მუსიკას ჩასწვდეს. სხვა თეატრების სპექტაკლებზეც შემითანხმა სამუშაო გეგმა. 1953 წლის იანვარში, მოსკოვში, „ჭრიჭინას" პრემიერაზე დასასწრებად, ჩემი მეგობარი ნინო ცინციბაძე ჩამოვიყვანე და, პუშკინის ქუჩაზე, ბიძინას მეგობარ ედუარდ და ნატალია არმშტაინებთან დავბინავდით. ისინი ნამყოფი იყვნენ ჩვენთან და ძალზე გაიხარეს ამ სტუმრობით.

დავდივარ თეატრში, რეპეტიციებზე და საბჭოთა არმიის თეატრის კოლექტივის — მთავარი რეჟისორის ალექსი პოპოვის, რეჟისორ დავით ტუნკელისა და სხვების ღელვა მეც გადამედო: როგორ მიიღებენ და გაიგებენ ამ კომედიას, ახლახან უმძიმეს ომგამოვლილი გენერლები, ადმირალები, რომელთაც ჯერაც არ მოშუშებიათ ომისგან მიყენებული სულიერი და ფიზიკური ტრავმები? ეგება, არც კი გაეღიმოთ.

და, აი, სპექტაკლს წინასწარ ამოწმებენ. 30 იანვარს კი პრემიერა გაიმართა. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პრემიერის შემდეგაც, მაყურებელის მოთხოვნით, რამდენიმე სპექტაკლის დამთავრებისას, გავყავართ სცენაზე. მაყურებელი თეატრს აწყდება. არ დარჩენილა გაზეთი და ჟურნალიც კი, „ჭრიჭინას" რომ არ გამოხმაურებოდა. ნ. პოგოდინის, მიხეილ ჭიაურელის, ფრანგი დრამატურგის პოლ სარტრის, ნათელა ლორთქიფანიძისა და სხვათა უამრავი სტატია დაიბეჭდა.

პრემიერის შემდეგ ასკაციანი ბანკეტი გაიმართა რესტორან „არაგვში", რომელსაც თბილისიდან ჩამოსული ბესო ჟღენტი თამადობდა. ბესოს ძალზე მოეწონა სპექტაკლი და თბილისში დაბრუნებისთანავე გამოაქვეყნა რეცენზია.

ერთი ამბავიც მაგონდება: „ჭრიჭინას" ოსტროვსკაია ასრულებს. შემდეგში დუბლიორად ჰყავს კასატკინა. კოხტას — ზელდინი, დანარჩენ როლებსაც თეატრის შესანიშნავი მსახიობები თამაშობენ. რუსული სპექტაკლისთვის შესანიშნავი მუსიკა დაწერა რევაზ გაბიჩვაძემ. მხატვრობა ახალგაზრდა მხატვრის მატვეევისაა. ერთი სიტყვით, სცენაზე საქართველოს მშვენიერებაა დეკორატიულად წარმოდგენილი.

თეატრი სავსეა. მაყურებელი კიბეებზე ზის. ჩემი ნინო ცინცაბაძე გენერლებს შუაა, პარტერის მეორე რიგში. ანტრაქტის შემდეგ, თავის ადგილას დაბრუნებულ ნინოს მარჯვენა სავარძელი ცარიელი დახვდა. „მეზობელს ეძებთ?" — სიცილით



მარიკა ბარათაშვილი „ჭრიჭინა" გ. ტაბრიკისა. პირველი შტაინი (მოსკოვი, 1956 წ.)

ეკითხება მარცხენა მხარეს მჯდომი. „სულელი! უცქირა, უცქირა დეკორაციებს რა სამოთხეში ცხოვრობს ის ხალხიო და სპექტაკლი მიატოვა"

ამ ამბავმა ცუდ გუნებაზე დამაყენა, თუ დეკორაციებითაც ასეთი შური აღეძრათ, მაშინ თვით საქართველოს ხილვა რა გრძნობებს აღუძრავთ! მაგრამ ნათელი გონების, საღად მოაზროვნე ადამიანიც ხომ მრავლადაა!

გოჭვიფრებია ყოვლის მაჯნე საუკუნენი.
გამბედაობით, ნიჯით, მკლავით, კეთილ ბუნებით.
ეჰ. ეგ მშვენება და სიმაღლე შენთა ერდოთა.
შენთვის. მამულო. ბედიც იყო და უბედობაც.

გოჭვიფრებია [1]

თბილისიდან მერაბი ჩამოვიდა. დავით ტუნკელმა სადილად მიგვიწვია. შემდეგ კი დავითის ქალიშვილი და მერაბი პარტერის კიბეზე ჩამომსხდარნი უყურებენ სპექტაკლს. მერაბი გახარებულია.

„ჭრიჭინამ" ფრთა გაშალა, როგორც ირკვევა, საბჭოთა კავშირის 170 თეატრს მოედო და უცხოეთის 22 თეატრში დაიდგა. პიესა მოსკოვში გამომცემლობა „ისკუსსტვომ" ცალკე წიგნად დაბეჭდა და დრამატურგთა კრებულშიც შეიტანეს. წიგნად დაიბეჭდა და იოსებ ნონეშვილის ხელით მივიღე ჩინურ ენაზე თარგმნილი. პეკინსა და შანხაიში დადგმული სპექტაკლისთვის ერთგვარი ქართული კოლორიტი რომ მიეცათ, იმჟამად ჩინეთში მომუშავე ორი ქართველი დაუხ-

მარებიათ. შემდეგ თბილისში ამბავი ჩამოიტანეს, სპექტაკლები დიდი წარმატებით სარგებლობსო. მწერალ გ. გოგიჩაიშვილის ცოლმა, ესპანელმა ქალმა კი ესპანურ ენაზე დაბეჭდილი „ჭრიჭინა" მაჩუქა. წიგნად გამოუცია იტალიელ დრამატურგ რობეკი ბრივიოსაც, მაგრამ დამხმარე არავინ მყავს, რომ იტალიდან გამოვათხოვინო.

ბულგარეთის ერთ-ერთი თეატრიდან (7 თეატრს დაუდგამს) მსახიობი ქალი მთხოვს დავეხმარო მაყვალას როლის გახსნაში.

ყველა თეატრი თავს იწონებს თავისი „ჭრიჭინათი" და ირწმუნება, რომ სხვა თეატრს არ შეიძლება ჰყავდეს ასეთი „ჭრიჭინა".

კორეიდან ჩამოვიდა სპექტაკლის დამდგმელი დასი: რეჟისორი, მხატვარი და მთავარი როლების შემსრულებლები (12 კაცი). უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობის საქართველოს საზოგადოებიდან („გოქსი") დამირეკეს, რომ სტუმრებს ჩემთან უნდათ მოსვლა. საამისო პირობები ორჯონიკიძის ქუჩაზე არა მაქვს, მაგრამ, მეტი რა გზაა! ბინა ყვავილებით ავავსე, შევალამაზ-შემოვალამაზე და ჩემს სტუმრებთან ერთად სასიამოვნო საღამო გამომივიდა. სპექტაკლის პრემიერაზე მეპატიჟებიან, მაგრამ...

კომპოზიტორი ალექსანდრე შავერზაშვილი ოპერა „მარინეზე" მუშაობს, კომპოზიტორმა რევაზ გაბიჩვაძემ (რუსულენოვანი სპექტაკლის საუცხოოდ გამფორმებელმა) მითხრა, რომ ამთავრებს მუშაობას ქართული მუსიკალური თეატრისათვის. იქნებ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს უკვე ზედმეტად მიმაჩნია, რაც შემდგომში სანანებლად გამიხდა.

და განაგრძობს „ჭრიჭინა" მოგზაურობას. ხარკოვის თეატრის ვერა კუმანჩენკოს „ჭრიჭინას" ამ როლის შესრულებისთვის სახალხო არტისტის წოდება ენიჭება.

1953 წლის აგვისტოა. კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრის რეჟისორი ირინა მოლოსტოვა თბილისში ჩამოდის. მას სურს, თვალი გადაავლოს იმერეთის სოფლის ცხოვრებას, ჩაწვდეს მისი მომავალი სპექტაკლის გმირებს.

ჭიათურაში ჩავდივართ, სოფლებში დავატარებ. ირინა ყველაფრით აღფრთოვანებულია: „ოჰ, ერთი ასეთი გაფხორილი ინდაური რომ მომცა სცენაზე"... „რა გასაგიჟებელია ეზოს ეს კუთხე! ეს ჭურისთავი და ორშიმო! რა პეიზაჟებია!"

შესანიშნავი ქალია. გულით დავმეგობრდით. სპექტაკლის დადგმა 1954 წლის იანვრის პირველი რიცხვებისათვის აქვს დაგეგმილი, 17 იანვრისათვის კი მოსკოვის საბჭოთა არმიის თეატრი მე-100 სპექტაკლზე მიწვევს. ამ სპექტაკლს ესწრებიან ალეკო შალუტაშვილი და პროკოფი რატიანი. ძალზე მოეწონათ. მაყურებელს კვლავ სცენაზე ავყავარ. სპექტაკლის დასი თეატრალური საზოგადოების რესტორანში მიმყავს. თეატრი ძალზე განიცდის, რომ საქართველოს კინოსტუდია ჩქარობს მხატვრული ფილმის გადაღებას.

— ეს ძალზე საწყენია, — ამბობს ალექსი პოპოვი, — ეს ხომ მოგვიკლავს სპექტაკლს. ასე მოუვიდა ჩვენს „ცეკვის მასწავლებელსაც", ანშლაგებით რომ მიდიოდა. აგერ, კიდევ 10 თეატრს შეუტანია „ჭრიჭინა" რეპერტუარში.

მ. მარათაშვილი

ნანული

სახელგამი
1941

ნოდარ

1949



Марика
Бараташвили
МАМИН
ПОМОЩНИК
М.БАРАТАШВИЛИ
НАНУЛИ



М. Бараташвили


СТРЕКОЗА

ИСКУССТВО
1953



ელენე ახვლედიანის ესკიზები ფილმისა და სპექტაკლისათვის „მარინე"













СМОТРИТЕ

спектакли Ленинградского драматического театра

СТРЕКОЗА



V. KINGISSEPA NIMELINE TALLINNA RIIKLIK

DRAAMATEATER



RITSIKAS



НАРОДЕН ТЕАТЪР

при ОПСАТ – гр. РАЗГРАД

Сезон 1953-1954 год.

Дата _____ ден _____

ден _____ вечер _____

ПРЕДСТАВЯ

Грузинската музикална комедия

от М. БАРАТАШВИЛИ

в 4 действия - 5 картини

Постановка:

ЛЮДМИЛА ПЕНЕВА

Артистичен ръководител

АНИЧКА КОВАЧЕВА

ЛУДЕТИНАТА

МАРИНЕ

Музика:

ГАБИЧВАДЗЕ

Изпълнители: П. ФУРТ

УЧ

И. Абашидзе, К. Па

Н. Нанеишвили, Ив. Сама

Мих. Пиранишвили

Д. Кво























1950-51 წ.წ.

სეზონი

მაისის

21

ივნისის

22

პარასკევს

პარასკევს

მარინე

მარინე ბარათაშვილი

ბალეტი ს. ბარამიძის

მუსიკა ა. ბალანჩივაძის

ბალეტმაისტერი ს. ბარამიძე

ДРАМА

მარინე

მარინე ბარათაშვილი

ბალეტი ს. ბარამიძის

მუსიკა ა. ბალანჩივაძის

ბალეტმაისტერი ს. ბარამიძე

ВЫДАНА ГРУДОВОГО КРАСНОГО ЗНАМЕНИ

РУССКИЙ ДРАМАТИЧЕСКИЙ ТЕАТР УССР

им. Леси Украинки


воскресенье 3, понедельник 4, вторник 5, пятница 8

(четверг (днем) 10, понедельник 11 января 1954 г.

НОВЫЙ СПЕКТАКЛЬ


М. Бараташвили

СТРЕКОЗА





Из кинофильма "Стрекоза"



Песня Марине

Для голоса
и фортепиано

Слова М. БАРАТАШВИЛИ
Перевод с грузинского Н. НАПИРАДЗЕ
Музыка С. ЦИНЦАДЗЕ

ბავშვის სახალხო თეატრი

ჩემი ყვავილები



თეატრი

ვ. ბარათაშვილი

ფრთხილად სასიკვდილოა!





21-23-24

ვ. ბარათაშვილი

რატომ?!

ქალთა სახელმწიფო თეატრი

12-13 ივნისი პრემიერა 12-13 ივნისი

საოთხულები

ხიჯნის სცენა მაისის



მარჯა ბარათაშვილი, ალექსანდრე დოვჟენკო (გამოჩენილი უკრაინელი რეჟისორი, კინოდრამატურგი), ლიდია კომაჯანეცი კინოსცენარისტთა სემინარზე 1952 წ

მაგრამ ერთი თუ დატრიალდა კინო-წარმოების მანქანა, უძლურები ვართ. არადა, ვიდრე დატრიალდებოდა... მივუბრუნდეთ მოვლენებს:

1952 წლის აპრილ-მაისში, მოსკოვის მახლობლად, ბოლშევოში ვართ, კინოდრამატურგთა სემინარზე. სემინარით ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩვენთანაა ცნობილი უკრაინელი კინოდრამატურგი და კინორეჟისორი ალექსანდრე დოვჟენკო. მოსკოვიდან ჩამოდიან კინორეჟისორები, კინოდრამატურგები, კრიტიკოსები და სცენარების კითხვა-განხილვა მიმდინარეობს. ევგენი პომეშჩიკოვის მიერ, ჩვენი სცენარის თარგმნა, დამთავრებულია და გამაქვს კინემატოგრაფიის სამინისტროს სამხატვრო საბჭოზე. სხდომას ესწრება ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სემიონოვი და მოულოდნელად მესხმის თავს: „რას ჰგავს ეს? ფილმის მთავარი გმირი ჭრიჭინა უწესო, უქნარა, ცეკვა-სიმღერას გადაყოლილი ქარაფშუტა გოგონაა? ისე, უქნარობა და უწესობა დამახასიათებელია ქართველი ახალგაზდებისათვის, მაგრამ საინტერესოა, ავტორის პოზიცია: იმის მაგივრად, რომ კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდეს, საქვეყნოდ როზგავდეს თავის „ჭრიჭინას", სიყვარულით უცქერის და ცდილობს, ჩვენც შეგვაყვაროს. არა, გეკითხებით, რას ჰგავს ეს? ასეთი მორალით ეზრდით ახალგაზრდობას? თქვენ გინდათ ეკრანიდან უჩვენოთ ფილმი, რომელიც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, ყოვლად უსარგებლოა და ამორალური?"

სემიონოვმა კიდევ ბევრი ეპითეტით შემამკო. მე, რაც შემეძლო, ვიცავდი ჩემს

„ჭრიჭინას“, მაგრამ... სხდომა დამთავრდა. ღამით ბოლშევოში ვბრუნდები. შეცდომით საწინააღმდეგო მიმართულების ელექტრომატარებელში ჩავმჯდარვარ. გვიან მოვედი გონს და ბოლშევოში რომ დავბრუნდი, ღამის მეორე საათი იყო. დირექტორი მელოდებოდა. „უჰ, მადლობა ღმერთს! იცით, სემიონოვმა დარეკა, შეფიქრიანდა, რატომ დაიგვიანაო და გთხოვათ მასთან წახვიდეთ. მანქანას გამოგიგზავნით და დილის 10 საათისათვის გელოდებათ“.



დილის 10 საათისათვის სემიონოვთან ვარ. სრული მეტამორფოზა! ძალზე თბილად მიმიღო, სცენარი შემიქო, ყოველნაირ ხელშეწყობას დამპირდა და თავისივე მანქანით გამომისტუმრა.

1953 წლის ბოლო დღეს კიევში მივემგზავრები, 1954 წლის 3 იანვრისათვის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრში დანიშნულია პრემიერა. უკრაინის დედაქალაქში დეპეშა გავგზავნე, ნეტავი თუ მიიღეს? არადა, კიევში პირველად ჩავდივარ.

„ხაი ჟივე, უკრაინა!“

მატარებელი გაჩერდა და იმავდროულად, გაისმა გიტარებისა და „ჭრიჭინას“ სიმღერის ხმები, აფეთქდა შამპანურის ბოთლები, მხვდებიან ყვავილებით, ხვევნა-კოცნით. ჩვენს ირგვლივ ცნობისმოყვარე მგზავრები და მათი დამხვდურები არიან.

ირინა მოლოსტოვა თავის საქმროს მაცნობს. სასტუმროში მაბინავებენ. ერთმანეთს რაღაცას ეჩურჩულებიან. გაირკვა, რომ ირინას საქმრო საახალწლოდ რესტორანში ეპატიჟება, ის კი ვერ მტოვებს. ისევ მე გადავჭერი პრობლემა და ახალ წელს მათთან ერთად, რესტორან „ნად დნეპროში“ ვხვდები. რახან წამოვყევი, მხარიც უნდა ავუბა და ძალზე მცირე კონიაკი მოვწრუპე (პირველად გავსინჯე), მაგრამ მტერს, სასტუმროში რაც იმ ღამით დღე დამადგა, ძლივს გავათენე. მარტოდ ვარ, თანაც ძალიან ცუდად; არადა, აქაური მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პეტრე ტრანკო და მისი მეუღლე ვერა, რომლებიც გასულ ზაფხულს სოჭის სანატორიუმში გავიცანი და დაუმეგობრდი, მირეკავენ და სადილად მეპატიჟებიან, შეხვედრა საღამოსთვის გადავდე და ცოტა ხნით

ჩაძინებაც მოვახერხე. თითქმის გამოვკეთდი. საღამოს ტრანკოებმა მომაკითხეს და ვახშმად კიევის აღმასკომის თავმჯდომარის ოჯახში მიმიყვანეს. უკრაინის მთელი მთავრობა თავიანთი მეუღლეებით აქაა. სუფრა უზომოდ მსუყე საჭმელებითაა დაზვინული. სიამოვნებით მიირთმევენ ბატის, ინდაურისა და ღორის ხორცს, შაშხს, ძეხვეულს...

თეატრი, ღელვა, რეპეტიციებია. 1954 წლის 3 იანვარს მერაბიც ჩამოვიდა. მაყურებლით გაჭედილია დარბაზი. პრემიერამ კარგად ჩაიარა. ეს ჭრიჭინა-ლიტვინენკოც კარგია და საერთოდ, ყველა კარგად ასრულებს თავის როლს. მაყურებელმა სპექტაკლი გულმხურვალედ მიიღო.

შემდეგ რესტორანში ბანკეტი გაიმართა. მერაბი ორ მარინეს შორის ზის. ჩემ ბიჭს ხან ერთი ეხვევა და ჰკოცნის, ხან — მეორე, მერაბ, შენ ჩემი ძმა ხარო, ეუბნებიან.

მესამე დღეს მერაბი თბილისში გაემგზავრა. მე — ესტონეთში, ლატვიასა და ლენინგრადში. ძალზე მომეწონა სპექტაკლები (ლენინგრადში ორი თეატრი დგამს).

ჩრდილოეთის დედაქალაქში, ბალტიისპირეთის გემის კაპიტანთან, ვახტანგ ბარათაშვილთან ერთად თეატრში წავედი. ვახტანგი აქ ცხოვრობს, აქაური ქართველებისათვის უცნობებია ჩემი ჩამოსვლის ამბავი და საღამოს ყველამ თეატრში მოიყარა თავი.


სტალინი ცოცხალი აღარაა და, რუსეთში მის სახელსა და მასთან ერთად, საქართველოსაც, უდიერად აბურთავებენ — ყველა ცოდვას (თუმცა ცოდვები არ აკლია) მხოლოდ მას და ბერიას ჰკიდებენ — არც რეპრესიების თავდაპირველი გამჩაღებელი ლენინი არსებულა (მეფის ოჯახის მოსპობასა და ათასობით უდანაშაულო ადამიანით — თეთრგვარდიელებით სავსე გემის ზღვაში ჩაძირვაზე რომ არაფერი ვთქვათ), არც ეჟოვისა და იაგოდას მიერ ჩადენილი უსასტიკესი დანაშაულობები ყოფილა თითქოს. ლენინგრადელი ქართველები მანუგეშებენ: „დარდი რომ შემოგვანვება და თავს საოცრად დამცირებულად ვგრძნობთ, აქ ვიკრიბებით და გულზე გვეფონება, მაყურებელი ტაშით რომ აჯილდოებს სცენაზე წარმოდგენილ საქართველოს ცხოვრებას"

გადასახლებიდან დაბრუნებულმა მწერალმა ლევან გოთუამ მითხრა: ერთ დღეს, ეტაპით რომ გადავყავდით ქალაქიდან ქალაქში და ზურგჩანთა აკიდებული ძლივს მივაბიჯებდი, ერთი სახლის კედელზე აფიშა დავინახე — „ჭრიჭინას" წარმოდგენაზე ეპატიჟებოდნენ მაყურებელს. ავტორი მარიკა ბარათაშვილიო. იმ აფიშამ გამახარა, ძალა შემმატა და მარჯვედ განვაგრძე გზაო. ასევე გაუხარდებოდა ჩრდილოეთის რომელიღაც ქალაქის თეატრის მსახიობ გოგონას — ოდიშელიძეს ჭრიჭინას როლის შესრულება. ვინ იცის, იქნებ, ის გოგონა რეპრესირებული ოჯახის შვილია და საქართველო, ალბათ, სიზმრად უნახავს მხოლოდ...

ასეთების გახარება თუ შევძელი, თუ რამდენიმე ადამიანის გულს მაინც მოვუფონე, თავს ვალმოხდილად მივიჩნევდი. როსტოვის თეატრმა თბილისში „ჭრიჭინა" ჩამოიტანა. თბილისელებმა კარგად მიიღეს. თეატრის დასი ოჯახში

მოვინვიე. დიდად ნასიამოვნები დარჩნენ. მართლაც მშვენიერი სპექტაკლი გვიჩვენეს.

1954 წელს გამოდის ფილმი „ჭრიჭინა". მისმა დამდგმელმა რეჟისორმა, სიკო დოლიძემ, მთავარი — მარინეს როლი ლეილა აბაშიძეს დააკისრა. ფილმი მსახიობთა არაჩვეულებრივი დასითაა წარმოდგენილი. „ჭრიჭინა" ეკრანიდანაც ამღერდა. სულხან ცინცაძემ შესანიშნავი მუსიკა შექმნა და ჩემმა „ქალიშვილმა" „აბა, დელი, დელი, დელას" სიმღერით (ასრულებდა მედეა ამირანაშვილი) მსოფლიოს შემოურბინა. ყველა აამღერა:



თბილისს იაპონელი მწერალი ქალები ეწვივნენ. მცხეთაში გავასეირნეთ. მანქანაში „აბა, დელი, დელი, დელა" წამოიწყეს, წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ იმის შესახებ, რომ მე რაღაც საერთო მაქვს ამ სიმღერასთან. „აბა, დელი, დელი, დელას" იაპონელებიც მღერიან. ამასვე მწერენ ბალტიისპირელი მეზღვაურები. მწერენ, რომ ამ სიმღერას მსოფლიოს ბევრ კუთხეში მღერიან, მეზღვაურები დეპეშით მილოცავენ პიესის წარდგენას სტალინურ პრემიერაზე, მაგრამ სტალინის გარდაცვალებისა და მასთან დაკავშირებით მომხდარი ამბების გამო, იმ წელიწადს პრემიების მინიჭება აღარ ყოფილა.

უფრო ადრე, 1953 წლის 21 დეკემბერს, მომღერალი პეტრე ამირანაშვილი, პოეტი ალიო მირცხულავა და მე ქ. ტალინში მიგვავლინეს ესტონელი პოეტის კრეისვალდის 150 წლისთავის იუბილეზე. საიუბილეო საღამოზე და რადიო ეთერითაც სიტყვით გამოვედი, 26 დეკემბერს კი დავესწარი „ჭრიჭინას" პრემიერას კინგისეპის სახ. თეატრში და მოვიხიბლე მსახიობ ლინდა რუმოს „ჭრიჭინათი" სპექტაკლი ძალიან კარგად, დიდი ოვაციებით მიიღო მაყურებელმა.

1954 წლის 13 იანვარს რიგაში ჩავედი. სადგურში დამხვდნენ თბილისში გაცნობილი მსახიობები: ერიკა ფერდა, მაია სპერა და სხვანი. რიგაში ორი დღე გავატარე. დაუვიწყარი იყო შეხვედრა თეატრის კოლექტივთან. სპექტაკლი მომეწონა, კარგად მიდის. ახლა რუსული თეატრიც აპირებს მის დადგმას.



მარიკა ბარათაშვილი და რიგის თეატრის ჭრიჭინა. 1954 წ.

გავხდი საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი

რიგიდან მოსკოვში დაბრუნებულმა მივიღე ირაკლი აბაშიძის დეპეშა. თურმე სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ვარ წარდგენილი. საჭიროა თბილისში ჩასვლა და ამომრჩევლებთან შეხვედრა. ჩემი ხალხისადმი მადლიერებით სავსე მივემგზავრები თბილისისაკენ.

დავდივარ ქარელის, ხაშურისა და ბორჯომის რაიონებში. ვხვდები ჩემს ამომრჩევლებს, ვეცნობი მათ ცხოვრებას — რა უჭირთ, რა ულხინთ, რით შემიძლია დავეხმარო. ღმერთო, მომეცი ძალა და საშუალება, გამაკეთებინე მრავალი კეთილი საქმე ჩემი საწყალი, გაჭირვებული ხალხისთვის! საქართველოდან წარგზავნილები, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა IV მოწვევის სესიაზე დასასწრებად კვლავ მოსკოვში ჩავდივართ და სასტუმრო „მოსკვაში“ ვბინავდებით. ეს პირველი სესიაა სტალინის გარდაცვალების შემდეგ და მეც მომიწია გამოსვლა.

ჩვენს დელეგაციას საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მეთაურობს. ჩვენთანაა მამაჩემის ყოფილი მოსწავლე, ამჟამად საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ჭიათურელი მიხეილ გიორგაძე.



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ჯგუფი. მოსკოვი 1954 წ.

ტრიბუნაზე ვდგავარ. წინ ოთხი მიკროფონია და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მთელი ხმით ვყვირი. ვსაუბრობ საქართველოს ცხოვრებასა და კულტურულ-ეკონომიკურ მშენებლობაზე. სიტყვის დამთავრებისთანავე, ქვემოთ, სარედაქციო დარბაზში ჩავდივარ. გადამოწმების შემდეგ სხდომათა დარბაზში ვბრუნდები, მაგრამ აქ უკვე აღარავინაა სხდომა დამთავრებულა. ღამეა, თოვლ-ჭყაპი. აფორიაქებული მივაბიჯებ. მეჩვენება, რომ ცუდად გამოვედი. ეს სჭირდებოდა ახლა საქართველოს? ხრუშჩოვი ისედაც თხრის ჩემს სამშობლოს სტალინის გამო. ნეტავი სასტუმროში არ მიმიყვანა, მაგრამ რას ვიზამ?

ჩემი ნომრის კარს ვაღებ. ოთახი ჩვენი დეპუტატებითაა სავსე.

— ყოჩაღ, მარიკა! ჩვენ უკვე თბილისში დავრეკეთ და შევატყობინეთ შენი გამოსვლის შესახებ — დეპუტატები მეხვევიან, მკოცნიან.

როგორც კი საქართველოდან ფეხს გამოვდგამ, მე უკვე მარტო მე არა ვარ. ჩემი გამარჯვება, საქართველოს გამარჯვებაა, ჩემი მარცხი — მისი მარცხი.

სესიაზე ცუდად გავხდი. გულმა შემაწუხა. ექიმებმა მირჩიეს, რაც შეიძლება მეტი დრო ზღვის პირას გავატარო.

თბილისში დაბრუნებულს თინა და პროკოფი რატიანები გვესტუმრნენ. ჩემი დაავადებისა და ექიმების რჩევის შესახებ რომ გაიგეს, სოხუმში, სადაც პროკოფის მშობლები ცხოვრობენ, მათსავე ეზოში, სახლის ასაშენებელი ადგილი შემოგვთავაზეს.

სოხუმის საქალაქო საბჭომ ის ადგილი მართლაც მოგვიზომა — ციტრუსებით, ხილით, ვენახით დამშვენებული, გელოვანის ქუჩის თავზე. მართალია, ზღვიდან შორსაა, მაგრამ აქედან ბრწყინვალე ხედი იშლება ქალაქისა.

კვიროსის დის, ვერას ქმარმა კი ერთი წლით მიატოვა თბილისი, რომ ჩვენთვის სოხუმში სახლი აეშენებინა. რა კეთილშობილებაა, რა დიდი სიყვარულის მაჩვენებელია. სახლიც მოთავდა. ზღვის სანაპიროდან მოჩანს გორაკის თავზე გადმომდგარი „ჭრიჭინას“ სახლი, როგორც სოხუმელებს უწოდებიათ.

მადლობა უფალს, იმის ძალა რომ მომცა, გაჭირვებულებს დავხმარებოდი. სწორედ ეს იყო ჩემი ბავშვობის ნაოცნებარი, ზღაპრულ მზეთუნახაობას რომ ვნატრობდი, მეზრუნა ჩემი ნავარძეთისათვის, სასმელი წყლისა და ელექტროენერგიის გაყვანაზე, საშუალო სკოლის გახსნაზე, მოგვიანებით — საექიმო პუნქტის დაარსებაზე. ასევე დამჭირდა ბრძოლა, რომ ჩვენი სოფლის ბოლოს, ყვირილას ღრმა ხეობაში, მარგანეცის უხარისხო მადნის გამოსანვავი (მის მაღალ ხარისხში გადასაყვანად) ქარხანა არ აგებულიყო. მის აშენებას რუსეთი დიდი მონდომებით მოითხოვს, ქალაქს კეთილმოსაწყობად სამოც მილიონს პპირდება, ხალხს — შრომის მაღალ ანაზღაურებას. პრესაც ზურგს უმაგრებს ამ იდეას — ირწმუნებიან, რომ მადნის გადამუშავების პროცესს (ზემო კალთებზე განფენილი სოფლებისათვის) რაიმე ზიანის მოტანა არ შეუძლია, რომ მილების საშუალებით მადნის გამონაბოლქვი ხეობის თავს დიდად აშორდება. ზესტაფონის ფერომ მომწამვლელი გავლენა მოახდინა ჰაერზე და მრავალი უბედურება მოუტანა ხალხს. შემდეგ ამ საქმის მესვეურები თავს იმართლებდნენ და ერთმანეთს აბრალებდნენ ყველა გაჭირვებას. ჭიათურაში დაგეგმილი ქარხანა კი, თავისი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, მოსახლეობისათვის ბევრად საშიშია ზესტაფონისაზე. კაცხის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ, მუხრან მოდებაძემ დაივალა და რამდენიმე სოფლის ექვსასამდე კაცს ხელი მოაწერინა საპროტესტო განცხადებაზე. განცხადება ბუნების დაცვის კომიტეტს, მინისტრთა საბჭოსა და პარტიის ცენტრალურ კომიტეტს გადავეცი. არ ვიცი, ამ განცხადებამ იხსნა ჭიათურის რაიონის მოსახლეობა მოსალოდნელი დაბინძურებისაგან თუ სხვა მოვლენებმა, რომელთა გამო რუსეთს ბევრი რამის მადა დაეკარგა.

ბებიაჩემის დანაბარებიც შევასრულე: წელიწადში ერთი დღით მაინც ვახერხებ ნავარძეთში ჩასვლას, რომ ბუხარში ცეცხლი დავანთო და ეზოში მოძალებული უჯანგარი ამოვძირკვო. ერთ-ერთი ასეთი „შებრძოლების“ დროს ცუდად გავხდი და ორი დღე ვიწექი.

...ჩემი შვილების მადლიერი ვარ. საშუალო სასწავლებელი სამაგალითოდ დაამთავრეს. გული მიკვდება, როდესაც მაგონდება როგორ შეპხაროდა კვიროსი სკოლაში მათი შესვლის დღეს. ამის გამო ნანული ცოტა ადრეც შევიყვანეთ, მერაბის მონაფეობას კი ვეღარ მოესწრო. მერაბმა ოქროს მედლით დაამთავრა სკოლა და წარჩინებით — პოლიტექტიკური ინსტიტუტი.

მაგონდება ასევე მე და კვიროსი რომ ვქორწინდებოდით, ჩემი მამიდაშვილის შვილები — ნათელა გამსახურდია და ნუნუ ტუსკია პატარები იყვნენ. უჩემოდ დარჩენა ვერ წარმოედგინათ და გადაეწყვიტათ, ჭიათურაში ჩემს წასაყვანად ჩამოსული კვიროსისათვის, ჩვენი სახლისაკენ, კიბეზე ამომავალს რომ დაინახავდნენ, დიდი ქვა დაეგორებინათ და ფეხი მოეტეხათ. განზრახული კი ვერ მოუხერხდათ, მაგრამ ბედნიერი მაინც არ გამოდგა ჩვენი ქორწინება. ხალხის გადმოცემით, მაისში ქორწინებას, ბედნიერება არ მოაქვს ოჯახისათვის.

ახლა ნუნუ და ნათელა ღირსეული ქალები არიან. ნუნუ ტუსკია ექიმია, ექიმ სოსო კიკნაძის მეუღლე, ნიჭიერი და განათლებული ნევროპათოლოგი, რომლის თბილისის კლინიკაში დატოვება უნდოდა პროფესორ პეტრე სარაჯიშვილს, მაგრამ ნუნუ ოჯახური პირობების გამო იძულებული შეიქნა უარი ეთქვა, მით უმეტეს, რომ იმ დროისათვის გადასახლებიდან დაბრუნდა მამამისი ანტონ ტუსკიაც და ოჯახმა ჭიათურაში, თავის სახლ-კარში დაბრუნება ამჯობინა. ნუნუ ქალაქის საავადმყოფოში მუშაობს და კარგი სახელიც დაიმკვიდრა. მარგარიტას ოჯახი მამის, ისაია ვაშაძის სახლში ცხოვრობს. მალე გადასახლებიდან დაბრუნებული ანტონ ტუსკია იღუპება, მარგარიტა კი ინსულტით ავადდება და რამდენიმე წელს მწოლიარე ატარებს.

დედის გარდაცვალების შემდეგ ნუნუც დაავადდა, სამსახურს თავი დაანება, მოწყდა თავის საქმიანობას. მაგრამ მაინც ყველას მოუხარია ამ ავადმყოფი ადამიანისკენ, რომელიც უანგაროდ ემსახურება გაჭირვებულებს.

ეს დიდი გულის ქალი განათლებული არა მარტო მედიცინის, ლიტერატურის, ხელოვნებისა თუ სხვა დარგებში, ქალაქისთვის მეტად ძვირფასია. როგორ მიყვარს მასთან ყოფნა!

ნათელა გამსახურდია ფილოლოგია. მისი ცხოვრება კარგად აეწყო. მოყვარული ქმარი შეხვდა — ამილო ახობაძე, კარგი შვილები — შორენა და დათო. კონსტანტინეს მეორე მეუღლემ, თამარისა და ზვიადის დედამ, მირანდამ, გულით მიიღო და შეიყვარა თითქმის თავისი თანატოლი გერი, ამიტომაც ძალიან განიცადა ნათელამ მირანდასა და თამარის მძიმე ავადმყოფობა. დიდხანს უვლიდა მათ, შემდეგ კი — მოხუც კონსტანტინეს. ამილო მის საგამომცემლო საქმეებს აგვარებს, რადგან ზვიადს ვერ მოუცლია — პატრიოტული იდეებით, საქართველოს თავისუ-

ფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლით მოუცლელს, საბჭოთა ხელისუფლება არ წყალობს: ან პატიმარია, ან ანტისაბჭოურ ლიტერატურას იატაკქვეშ ავრცელებს და, საერთოდ, დისიდენტურ მოძრაობაშია ჩართული.

ძნელია, ერთდროულად მიჰყვე და მეხსიერებით აღადგინო მახლობლებისა და ქვეყნის ცხოვრება.

სტალინის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი

50-იანი წლების მეორე ნახევარში ჩემებმა ინსტიტუტები დაამთავრეს. ახლა ნანული, მერაბი, სულხანი და ჩემი ძმისშვილი გურამიც უმაღლესდამთავრებული სპეციალისტები არიან.

მოსკოვის საბჭოთა არმიის თეატრმა საჩუქარი და ალბომი გამომიგზავნა — სპექტაკლის ფოტოებით. მივიღე აგრეთვე ალბომი კიევის ლესია უკრაინკას სახელობის თეატრიდან, მაქვს ჭიათურისა და სხვადასხვა თეატრების სპექტაკლის „ჭრიჭინას“ ფოტოები. მოსკოვის თეატრის მთელი სპექტაკლის ჩანაწერი, ჭრიჭინას სიმღერები კინოფილმიდან.

მაგრამ იმავე წლებიდან მომყვება დიდი გულისტკივილი, რომელიც სტალინის გარდაცვალებას მოჰყვა. სტალინს არასდროს გაუნებივრებია თავისი სამშობლო, პირიქით! ჯერ რეპრესიებმა საუკეთესო ქართველობა შეიწირა, შემდეგ სამამულო ომმა გაგვინადგურა ასი ათასობით ახალგაზრდა.

ერთი რუსი პოლკოვნიკი ცდილობდა ჩემთვის დაემტკიცებინა, თითქოს არც ომი, არც რეპრესიები, არც გადასახლებები საქართველოს არ შეხებია. აი, თურმე როგორ „გვანებივრებს“ იოსებ ბესარიონის ძე.

მახსოვს, სტალინის სიცოცხლის ბოლო დღეებში, წითელ მოედანზე, ყინულზე დაჩოქილი ხალხი როგორ ისტერიულად შეჰბღაოდა ღმერთს ბელადის გადარჩენას, ან რა სულგანაბული და შეშფოთებული უსმენდა რადიოს, რა განწირულობის გრძნობამ შეიპყრო, როდესაც შეწყდა მისი გულისცემა.

გალინა ნიკოლაევას რომანში „ბიტვა ვ პუტი“, მოთხრობილია: სტალინის დაკრძალვის დღეს იკარგება პატარა ბიჭი. მშობლების შეშფოთება სასოწარკვეთილებამდეა მისული. შეღამებულზე ბიჭი შინ ბრუნდება.

— სად იყავი? — ეკითხებიან.

— სტალინის დაკრძალვაზე.

— სტალინის დაკრძალვაზე რა გინდოდა?

— თქვენ არ შემაყვარეთ? სულ მისი ხსენება ისმოდა ამ სახლში, მის სახელს ჩამჩიჩინებდით.

აი, ამ სულისკვეთებით, სტალინის თაყვანისცემით იზრდებოდნენ ბავშვები შინ და გარეთ, ბაღსა თუ სკოლაში.

— დედა, მე რამდენი მამა მყავს? — მეკითხება საბავშვო ბაღიდან დაბრუნებული ნანული.

— რაო?

— ჰო, ჰო, მასწავლებელმა მითხრა, სტალინი შენი მამააო.

აუგად ხსენება კი არა, ბავშვური მიამიტობით ნათქვამი, რაიმე უწყინარი ხუმრობაც კი, თუ ყური მოჰკრა ვინმემ, შეიძლება საბედისწერო გამოდგეს. აი, პატარა გოგონა საბავშვო ბაღის ეზოში დახტის და მღერის: „ბერია, ბერია, ლობიოს გაუბერია“. მეორე დილიდან იგი დაობლებულია — უპატრონოდ დარჩენილი და ამ დროს ითხზვება და ქვეყანას ეფინება ბედნიერების საგალობლები...

ზეიმებზე გამოყვანილი პიონერთა სასახლისა თუ პიონერთა ორგანიზაციების წევრი ბავშვები საკუთარ ნააზრევად ასაღებენ აღმზრდელების მიერ დაწერილ ბელადის ქების ტექსტებს.

1956 წლის მარტის მღელვარე დღეებია. მე და პოეტი ვერა შუბლაძე ლენინის მოედანზე გავედით. მოედნისაკენ დემონსტრანტების ახალ-ახალი ტალღა მოედინება. თვალს არ დავუჯერე: დემონსტრანტების დიდ კოლონას ახალგაზრდა, გამხდარი, სანთელივით ჩამოყვითლებული ქალი მოუძღვის, ხელში დროშა უჭირავს, ძველ, გახუნებულ პალტოშია გამოწყობილი. ეს ქალი ჩვენი ნათესავია, ნაკაიძეების ახლობელი. ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, მაგრამ სრულიად ახალგაზრადას ქმარი გადაუსახლეს და დიდი გაჭირვებით ზრდიდა უმამოდ დარჩენილ შვილებს. ახლა კი, იგი, სტალინური რეპრესიების მსხვერპლი, მისი სახელის დასაცავად გამოსულა!

ლენინის მოედანი ხალხითაა სავსე. ტრიბუნაზე ორატორი ორატორს ცვლის. შეძახილები: „ლენინ! სტალინ!“ (ალბათ ლენინის სახელს იმიტომ ახსენებენ, რომ გულის ძახილი შენიღბონ, რადგან ყოველივე, რაც ხდება, სტალინზე მეტად ეროვნული ღირსების დაცვის აქციაა). მე და ვერა ტრიბუნაზე ავდივართ. მიკროფონთან შავგვრემანი ყმანვილი დგას. მთელი არზა გადაუშლია და მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტების მომართვას კითხულობს: „საქართველოს ახალგაზრდებო, ჩვენც თქვენთან გვიგულეთ, თქვენთან ერთად ვიცავთ ხალხთა ბელადის სახელს...“ ხალხის გუგუნი, შეძახილები, ოვაციები, უზომოდ აღგზნებული, აღელვებული ატმოსფერო... მიტინგის წამყვანს მივუბრუნდი და ხმადაბლა ვეკითხები:

— ვინ არის, თუ იცით, ეს ორატორი, ან რა დეპეშას კითხულობს, შემოწმებულია?

მიკროფონისკენ მივბრუნდი. ორატორი გამქრალა! ვინ იცის, რამდენი ასეთი პროვოკატორი აჩაღებდა იმ დღის ხანძარს ამდენი ახალგაზრდა რომ შეეწირა?... და საერთოდ, რამდენი გვყავს ამ ჭრელ ქვეყანაში „კეთილის მსურველი!“ ქვეყანა შეძრწუნებულია. ხაშურის რკნიგზის სადგურში, რუს ჯარისკაცს ავტომატის ჯერით, თორმეტი ქართველი მოუკლავს. თბილისში, კომუნარების ბაღში, სტალინის სანაპიროზე, პატრონები მტკვარში ეძებენ დაკარგულებს.

— მაინც, რა მოხდა საქართველოში? მეკითხება მოსკოვში ჩასულს მე-

გობარი მწერალი ქალი ლუბა ვორონკოვა ამბობენ, თბილის-მოსკოვის მატარებელი ფანჯრებჩალეწილი ჩამოვიდაო.

ბევრი მოსაგონარი მაქვს დეპუტატობის ამ წლებიდან (1954-1958). სპეციალურად ჩავდივარ მოსკოვში, რომ გზათა მინისტრს ბეშჩევს ვთხოვო სახლის აშენება ხაშურის გაჭირვებულ რკინიგზელთათვის. ანდა, გენერალურ პროკურორს მივმართო, რომელიმე მსჯავრდებულის საქმის გამო. დახმარებისათვის ზოგჯერ მოსკოველი, ურალელი, ჩრდილო კავკასიელი ამომრჩევლებიც კი მაკითხავენ. ეჰ, რასაც ვაკეთებ, წვეთია ზღვაში, მაგრამ ზღვაც ხომ წვეთებისგან შედგება?

მწერალთა ყრილობები და სხვადასხვა

1954 წლის ივნისში, მოსკოვში, პროფკავშირების მე-11 ყრილობაზე სიტყვით გამოვედი. თბილისში ჩემს არყოფნაში კი კინო-ეკრანებზე „ჭრიჭინა" გამოსულა ამბობენ, დიდი წარმატებითო. ივნისშივე, საქართველოს მწერალთა ყრილობა გაიმართა. ჩემს სიტყვაში კრიტიკოსებისაგან მეტი ყურადღება მოვითხოვე განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლების მიმართ, რომ საერთოდ, მწერლის არც ერთი წიგნი არ უნდა რჩებოდეს-მეთქი უყურადღებოდ, სათანადო რეაგირების გარეშე და რომ, როგორც არ უნდა უჭირდეს მწერალს, მისი გულშემატკივარი და დამცველი ჩვენს კავშირში არავინაა (ამ გამოსვლით თურმე დიდი გულისწყრომა დავიმსახურე). ყრილობაზე საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრად და სსრკ მწერალთა ყრილობის დელეგატად ამირჩიეს.



მარია 1954 წ

დეკემბერში, მოსკოვში მწერალთა საკავშირო II ყრილობა ჩატარდა. მრავალი საგულისხმო პრობლემა წამოიჭრა, ბევრი საინტერესო გამოსვლა იყო და მაინც, რეცეპტს ვერავინ გამოგიწერს, რა წერო და როგორ წერო

— ალბათ, ისე უნდა წერო, როგორც ხედავ და გრძნობ, მაგრამ ზოგჯერ ერთგვარი შენიღბვითაც. უნდა შეინიღბო ისე, რომ არც სინდისს უღალატო და ხალხამდეც მიიტანო შენი სათქმელი.

სასტუმრო „მოსკვას" რესტორანში ერთ მაგიდას ვუსხედვართ მე, მაყვალა მრევლიშვილი და კარლო კალაძე. გვერდით ჩაგვიარეს უკრაინელმა პოეტმა ნაგნიბედამ და მისმა მეუღლემ. ნაგნიბედამ კარლო შეამჩნია და ჩვენსკენ გამოემართა: „ო, კარლუშა, დროგოი!" კარლომ ჩვენი თავი გააცნო. ნაგნიბედა ხელზე გვეამბორა და გაგვშორდა, მაგრამ უმალვე მოირბინა, ხელი მაგრად ჩამომართვა, მეორე — შუბლზე მიირტყა და თქვა: „ტოლკო ჩტო დო მენია დოშლო", — ამის თქმა იყო და ისევ ხელზე მაკოცა და გაბრუნდა.

„ნეტავი რას მიხვდა, რა გაიგო?" — ვეკითხებით ერთმანეთს. „იცის, რომ დავქვრივდი და ეგებ იფიქრა, რომ ახლა შენზე ვიქორწინე" — დაასკვნა კარლომ. ეს გამოცანა სამი დღის შემდეგ ამოვხსენი: ლიფტთან ნაგნიბედას მეუღლე შემხვდა. „შეიძლება ერთი წუთი დამითმოთ?" „კი, ბატონო!" განზე გამიხმო და მეუბნება: „მე და ჩემი მეუღლე სამი დღეა ვდავობთ — არა, თქვენ რომ თამაშობთ „ჭრიჭინას", ამაში შეთანხმებულები ვართ, მაგრამ თქვენვე მღერით თუ სხვა ასრულებს ამ მშვენიერ სიმღერას?" — მეკითხება 46 წლის ქალს, რომელიც, ალბათ მხოლოდ ბებია ეფროსინეს როლისთვის თუ ვივარგებდი.

კიდევ ერთი შემთხვევა: მოსკოვში კონტეინერის დასაქირავებლად ერთ ადგილზე მივედი. დაწესებულება ცენტრიდან მოშორებული იყო. როდესაც ყველაფერი გავაფორმე, ერთი მუშა მოვიდა ჩემთან:

— მარიკა გერვასიევნა, შეიძლება წამოგყვეთ და კონტეინერის დატვირთვაში მოგეხმაროთ?!

— დიდად დამავალებთ.

მანქანაში ჩავსხედით. გზაში მეუბნება:

— იცით? თქვენ რომ ბუღალტერიაში შემოხვედით, ბუღალტერი თვლემდა. ვანჯღრევ და ვეჩურჩულები: „პავლუშა, პავლუშა, გაიღვიძე ჭრიჭინა მოვიდა!" „საიდან?.." — გაუკვირდა პავლუშას. იცით, გუშინ „ჭრიჭინას" მეასე სპექტაკლს დავესწარი და სცენაზე რომ აგიყვანეს, მეც ტაშს გიკრავდით.

ასე შემერქვა „ჭრიჭინა". სოხუმში ჩემი სახლიც ხომ „ჭრიჭინას სახლის" სახელით მონათლეს.

1954 წლის ოქტომბერში, რუსთაველის სახელობის თეატრში შალვა დადიანის 80 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო ჩატარდა. შალვა დადიანი შესანიშნავი მწერალი, დრამატურგი, მსახიობი, საზოგადო მოღვაწე, თავაზიანობითა და კეთილშობილებით გამორჩეული, ქართველი თავად-აზნაურობის უკანასკნელი მოჰიკანია. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო მის საღამოზე სიტყვით გამოსვლა.

ერთი წლის წინ კი, 1953 წლის ივნისში, გაიმართა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის თეატრალური საზოგადოებების გაერთიანებული სესია, მიძღვნილი თეატრისა და დრამატურგიის სადღეისო მნიშვნელოვანი პრობლემებისადმი.

შალვა დადიანის მეთაურობით სომხეთში გაემგზავრა დელეგაცია: თამარ ჭავჭავაძე, თამარ ციციშვილი და მე. „ბატონო, ისევ ჩვენ და ისევ ჩვენ: ციციშვილი, ბარათაშვილი, ჭავჭავაძე, დადიანი" — ოხუნჯობს შალვა. სომხეთიდან აზერბაიჯანში გადავედით. იქაც სესია, შეხვედრები, დამეგობრება... შემდეგ კი შემაჯამებელი სესია თბილისში გაიმართა.

ბაქოდან გამომგზავრებულებს საზარელი ცნობა დაგვატყდა თავს: სწორედ იმ დღეს, მოსკოვი-თბილისის თვითმფრინავის კატასტროფისას დაიღუპა ნატო ვაჩნაძე, იგი მხოლოდ ნაპოვნი ბეჭდიანი ხელითღა უცვნიათ. მშვენიერებით ცნობილ არაჩვეულებრივ ქალს, შესანიშნავ კინომსახიობს, სიკვდილიც არაჩვეულებრივი არგუნა ბედმა — ვარსკვლავივით ცაში დაიწვა. საქართველოში ხმა გავრცელებულა, რომ თვითმფრინავში მეც ვმგზავრობდი და ბიძაჩემი ვანო კასრაძე კახეთიდან გულგახეთქილი გამოქცეულა, ღამის სამ საათზე მოსულა ჩვენთან.

ძალზე განვიცადე მშვენიერი, კეთილშობილი, სათნო და ჭკვიანი ნატოს დაღუპვა. ჩვენ 1944 წლის თებერვალში, აკაკის იუბილეს დღეებში, საჩხერეში დავმეგობრდით.

1955 წლის თებერვალი. მოსკოვში, სესიაზე ყოფნისას, ქუჩაში დავეცი და მარცხენა ხელი მოვიტეხე. აქ თითქმის გადაუდებელი საქმე მაქვს, მაგრამ ვეღარ დავრჩები. და აი, 13 თებერვალს, №13 მატარებლით, ხელმოტეხილი ჩამოვბრძანდი თბილისში. ხელი მაწუხებს, მაგრამ „მაღალ ოცნებაზე" მუშაობას განვაგრძობ, რადგან თითქმის ყველა თეატრი, სადაც „ჭრიჭინა" დაიდგა, დაინტერესებულია ამ პიესით.

მაისში ისევ მოსკოვში ვარ, სასტუმროში. ვასუფთავებ „მაღალი ოცნების" პწკარედს. უზომოდ დავიღალე, თავი მტკივა, ალბათ, იმ ფიზიკური (მატარებელი მარყევდა) და გონებრივი ძალების დაძაბვამ დამღალა.

29 ივნისს, დრამატურგთა სემინარზე, „მაღალი ოცნების" განხილვისას, მომხსენებელმა, ერმოლოვას სახელობის თეატრის რეჟისორმა ვერა არკადის ასულმა და სემინარის მონაწილეებმა კარგი შეფასება მისცეს პიესას. გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში" სემინარზე მოწონებულ პიესებს შორის „მაღალი ოცნებაცაა". ივლისიც მოსკოვში გავატარე. პიესაზე მუშაობას განვაგრძობ.

ივლისის ბოლოს დავბრუნდი საქართველოში და სოხუმში ვისვენებ.

...ვმუშაობ ახალ პიესაზეც, რომელსაც „ჩემი ყვავილეთი" დავარქვი. ეს ყვავილეთი ჩემი საქართველოა, მოხუცების ამარა დარჩენილი სოფლები და ზოგჯერ სულაც მიტოვებული, გავერანებული სახლ-კარით, ჩამონგრეული ბუხრებით, აჭედილი კარ-ფანჯრებით, ანდა გასხვისებული კარ-მიდამოებით — გადამთიელები რომ ეპატრონებიან... ქართულ დრამატურგიაში ამ თემის პირველი დამამუშავებელი „ჩემი ყვავილეთია". შემდეგ, 70-იან წლებში, გამოჩნდა ოტია იოსელიანის „როცა ურემი გადაბრუნდება", კინოში კი — „ვარსკვლავთცვენა".

„ჩემი ყვავილეთი" ჩემთვის ძალზე საყვარელი და იმავ დროს, ძალზე მტკივნეულია. ჩემი ჭრიჭინა-მარინე ამ პიესაში დაბრძენებას იწყებს და „მანანას"

პირით, პოეტური ენით ალაპარაკდება... საერთოდ, ჩემი პიესების მთავარი გმირი სხვადასხვაგვარ ცხოვრებისეულ ვითარებაში კომიკურში, დრამატულსა თუ ტრაგიკულში დანახული ჭრიჭინაა. ჩემი მოუსვენარი, უკომპრომისო, წრფელი, გონიერი, კეთილშობილი, თავის ყვავილეთზე უზომოდ შეყვარებული და, საერთოდ, სიყვარულისთვის დაბადებული გოგონაა.

ამრიგად, ჩემი შვილებისა და შვილიშვილების კვალდაკვალ იბადებიან და ვაჟკაცდებიან, სცენიურდებიან ჩემი გმირები, ქვეყნდება და ითარგმნება ჩემი ლექსები, გამოდის კრებულები.

ვარ სსრკ ქალთა კომიტეტის წევრი და საქართველოს ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე (გარდა სხვადასხვა კომიტეტის, გამგეობის, პრეზიდიუმისა, თუ საზოგადოების წევრობისა). ყოველ წელს ეწყობა ქალთა საკავშირო პლენუმები, საერთაშორისო აქციები, სადაც ვმონაწილეობ. „სოვეტსკაია ჟენშჩინას“, „რაბოტნიცას“, „კრესტიანკას“, „ჟენშჩინი მირას“ იუბილეებმა მრავალი მეგობარი შემძინა.

❀ ❀ ❀

14 იანვარს, ნინოობაზე, ნინო ნაკაშიძესთან შეიკრიბეთ უფროსი და უმცროსი თაობის პოეტები, მწერლები, ახლობლები. დაუვიწყარი საღამო იყო.



სხედან: მარიჯანი, მარიამ გარიყული, ნინო ნაკაშიძე, ცქეციტი (ანა ხახუტაშვილი) დგანან თამარ ჩხაიძე, იოსებ გრიშაშვილი, თამარ ანდღულაძე, მარიკა გარათაშვილი, ნინო ჩიხლაძე, მაყვალა გრეველიშვილი, მარგო თოდაძე, ილია ციხარულიძე. 50-იანი წლების მეორე ნახევარი

1956 წლის 22 სექტემბერს, მწერალთა კავშირიდან აფხაზეთს ვეწვიეთ: ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი, აკაკი ბელიაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, გერონტი ქიქოძე, ოთარ ჭელიძე, არკადი პერვენცევი, ბენიკ სეირანიანი, ალექსანდრე გომიაშვილი, კარლო კალაძე, მამია ასათიანი, შალვა ფორჩხიძე...

ლიტერატურული შეხვედრები და მეგობრობის საღამოები აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში ჩატარდა. აგრეთვე სოხუმის პედინსტიტუტში, სოფელ დურიფშში, გაგრის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში, ბოლოს კი სოხუმის დრამატულ თეატრში.

ქალთა დელეგაცია ინდოეთში

1957 წლის მიწურულს მაცნობეს, რომ სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციაზე გასამგზავრებელ დელეგაციის შემადგენლობაში შემიყვანეს. დელეგაციაში რვა ქალია და ესაა საბჭოთა ქალების პირველი სტუმრობა ინდოეთში.

და აი, 1957 წლის 20 დეკემბერს, საღამოს 9 საათსა და 30 წუთზე, ჩვენი თვითმფრინავი დელის აეროდრომზე დაეშვა.

ისევ მხიბლავენ შენი კოშკები,
შენი ტაძრები – ასე მაღალი.
ისევ ავავსე ჩუში ოჯნებით
ქუთუბ-მინარი და ტაჯმაჰალი.
აქეთ შრიალებს შაქრის ლერწამი.
იქით. ღალანებს მდოგვის ყანები.
თეთრი ხარები კალოს ლენავენ...
მე მანგოს ჩრდილებს შევეფარები.
ო. ინდოეთო. შენს სიყვარულში
ვერ შემეწროს მგზავრი ვერავინ!
შენთან შეხვედრას ვნატრობდი გუშინ,
დღეს – მეგობრობის ვარ მომღერალი.

(„ინდოეთს")

მე იმ შორეულ, უცხო მხარეზე ოცნება ბავშვობიდან გადმომყვა. დედაჩემს ერთი მეგობარი ჰყავდა, დიდად განსწავლული, ტკბილმოუბარი. ყველა სტუმარზე მეტად მიყვარდა. მოვიდოდა თუ არა, გვერდით მივუჯდებოდი და ხარბად ვიჭერდი მის ყოველ სიტყვას. მას თირკმელები ჰქონდა დაავადებული, სითბო უყვარდა და ამოოხვრით იტყოდა ხოლმე — „აი, ინდოეთში რომ ვიყო, ვიცოცხლებდი" — შემდეგ გადმომხედავდა, გაღიმებით მეტყოდა „—შენ რომ გიყვარს ყვავილები, იცი, რამდენია ინდოეთში? ახლა თუთიყუშები..." და ჩემი ბავშური ფანტაზია ხატავდა ქვეყანას, სადაც ადამიანები დიდხანს ცოცხლობენ, მუდამ მზეა, უამრავი

ყვავილი... სადაც მაიმუნები და სპილოები ქუჩებში დასეირნობენ, ხალხს უცნაურად აცვია და, ფაყირები... მე ერთხელ ის სასწაულმოქმედი ფაყირიც ვნახე და ფანტაზია მთლად გამიცხოველდა...

ამ ბავშვურ ოცნებას 1957 წლის 17 დეკემბრის სუსხიან დილით შეესხა ფრთები, რომლებმაც მოსკოვის აეროდრომიდან ცაში ამიტაცეს და უცხო მხარისაკენ გამაქროლეს. თვითმფრინავში ერთი და იგივე მღელვარებით შეპყრობილი რვა ქალი — საბჭოთა ქალების კომიტეტის დელეგაციის წევრები ვსხედვართ. ხუთი მოსკოველი, ერთი ლენინგრადელი, ერთი ტაშკენტელი და ამ სტრიქონების ავტორი. ინდოეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიწვევით მივემგზავრებით. დელეგაციას რუსეთის კულტურის მინისტრი ტატიანა ზუევა მეთაურობს. უმეტესობა ამ მოგზაურობაში პირველად შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ მოვწყდით თუ არა სამშობლოს მიწას, მეგობრებად ვიქეცით.

სხვადასხვა ქვეყნის ცა, მთები, ზღვები, ველები, სხვადასხვა თვითმფრინავი, აეროდრომი, თანამგზავრები... პრაღა, ციურიხი, ჟენევა, ბეირუთი, ბომბეი — ზოგან მცირე ხნით, ზოგან მთელი დღით ვჩერდებით და 20 დეკემბრის საღამოს უკვე ინდოეთის დედაქალაქ დელიში ვართ!

უცხო სამყარო, უცხო ადამიანები, ყვავილწნულები, ფოტორეპორტიორები... ინდოეთი! — ამოუწურავი წყარო შეუცნობელისა და სრული კონტრასტების სამყარო; უზარმაზარი უცხო წიგნი, რომლის ყოველი მომდევნო გვერდი — არაფრით ჰგავს წინა წაკითხულს. იგი სავსეა ფანტასტიკური სახეებით, სიტუაციებით, განწყობილებებით. ყოვლად შეუძლებელია ამ წიგნის წაკითხვა და შეცნობა რამდენიმე დღის განმავლობაში. ამიტომაა, რომ მისი მნახველი, დიდი ხნით ექცევა უამრავ შთაბეჭდილებათა ტყვეობაში.

ხარბად დავეწაფეთ ამ წიგნს... და თვალწინ დაგვეხატა უზარმაზარი, ათასფერად აჭრელებული ქვეყანა, სხვადასხვა არქიტექტურისა და იერის მქონე ქალაქებითა და სოფლებით. მწვანეში, ყვავილებში ჩაფლული დელი — ქალაქი-ბაღი; თითქოს კოკისპირული წვიმებით დაშინებული და კრამიტის ოთხფა სახურავქვეშ შეყუჟული სახლები მადრასში; შვიდსართულიანი, მდიდრული, ამაყად ჩამწკრივებული შენობები ბომბეიში... მხოლოდ ღატაკთა უბნები ჰგავს ერთმანეთს, უსარკმლო, კარღია ქოხებით. ქალაქების ცენტრებში მდიდრულად მორთული ვიტრინები, მყუდრო მაღაზიებია. გარეუბნებში — აღმოსავლურად აჭრელებული და აზიმზიმებული ბაზრები: მზის სხივზე ელავს სპილენძი, თითბერი, ვერცხლი, რიქშების მზით დამწვარი, ოფლად გაღვარული სხეულები. პანაწინა, ერთმანეთზე მიყრილი დუქნები, სახელოსნოები, მოფუსფუსე ადამიანები... სადალაქოების წინ, ქუჩაში ფეხმორთხმული, პირგაპარსული კლიენტები, გრდემლების კაკუნი და რახრახი, ფერადი სათამაშოებით მოვაჭრე ბიჭების სირბილი და გადაძახება. მხოლოდ მკერავებს მოცარვიათ ხელი, რადგან ინდოელი ლამაზმანები ფერადი ქსოვილების ოსტატურად შემოხვევაში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

ინდოეთი კონტრასტების ქვეყანაა: მაღალი კულტურა და თან გაუნათლებლო-

ბა, დიდი სიმდიდრე და უკიდურესი სიღარიბე! რომელიმე ოჯახში გამართული მდიდრული დარბაზობიდან, სასტუმროსაკენ გვიან ღამით მიმავალნი, ვხედავთ ქუჩებში, ტროტუარზე მიყრილ ოჯახებს — მეტწილად მრავალშვილიანებს. ბევრი მათგანი ისე იბადება და კვდება, რომ საკუთარ ჭერს ვერ ეღირსება... მოხუცები მზეს მიფიცხებიან, ახლა ზამთარია, თერმომეტრი კი 30 გრადუსს უჩვენებს. ჩვენ მეტწილად გრილ შენობებში ვიბრუნებთ სულს, სადაც ჭერზე თვითმფრინავის ფრთებივით გაკრული ვენტილატორები ტრიალებს.

მზის ამოსვლა და ჩასვლა აქ, ჩვენი ზღვის სანაპიროს მაგონებს. განსაკუთრებით ლამაზია მოსაღამოებისას. ჩამავალი მზის სხივებით ნაირფერად შეღებილი ცის ფონზე პალმების მუქი სილუეტებია, მოჩანს შუბებივით ჩამწკრივებული კაქტუსის ღობეები... სურათები, რომლებიც ჩვენ ესოდენ გვხიბლავს ფერწერის ოსტატთა ტილოებიდან. ამ ზღაპრულ მხარეში ცხრამეტი დღე გავატარეთ. მოვიხიბლეთ მისი ბუნების მშვენიერებით, უძველესი კულტურის განსაცვიფრებელი ძეგლებით, მაგრამ ყველაზე მეტად თვითონ ინდოელმა ხალხმა მოგვხიბლა — ბავშვურად გულსუფთამ, კეთილშობილმა და სტუმართმოყვარემ.

პრეზიდენტი პრასადი, რადჰა კრიშნანი, ჯავაჰარლალ ნერუ

დელიში სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ქ-ნმა ლაქშმი მენონმა მიგვიღო. მასთან ერთად ინდოეთის განათლების სამინისტროც გვმასპინძლობდა. მასპინძლები ცდილობენ, რომ ჩვენი სტუმრობა იყოს შინაარსიანი და სასიამოვნო. მოგვამაგრეს გამყოლები, მანქანები და ორჯერ — სპეციალური თვითმფრინავიც. შტატებში სტუმართმოყვრულად გვხვდებიან გუბერნატორები, ქალაქის მერები, ქალთა ორგანიზაციები და გვთავაზობენ გეგმებს, რომელთა მიხედვით, ამ მცირე ხანში გვექნება ასორმოცდაათამდე საქმიანი ვიზიტი, დარბაზობა, ექსკურსია. ვმოგზაურობთ ქალაქებში: დელიში, ჰაიდარაბადში, მადრასში, ბომბეიში, აგრაში, აურაგაბადში, ნანგალში და აჯანტისა და ელორის მსოფლიოში სახელგანთქმულ გამოქვაბულებში. გავეცანით ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, საქველმოქმედო დაწესებულებების, მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და ფაბრიკა-ქარხნების მუშაობასა და მშენებლობებს. საშუალება მოგვეცა, ცოტად თუ ბევრად, დაგვენახა ამ მეტად საინტერესო ხალხის წარსული, აწმყო და მომავლის პერსპექტივები. როგორც ინდოეთის სტუმრებმა, პირველსავე დღეს ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შევამკეთ ინდოეთის დიდი მოაზროვნის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, მაჰათმა განდის საფლავი; შემდეგ დავესწარით პარლამენტის სხდომებს და ვეწვიეთ ქვეყნის პრეზიდენტს რაჯენდრა პრასადს, ვიცე-პრეზი-



მარიკა ბარათაშვილი და ინდოეთის პრეზიდენტი რაჯენდრა პრასადი. დელი. 1957 წ. დეკემბერი

დენტს რადჰა კრიშნანს, ხოლო საღამოს პრემიერ-მინისტრ ჯავაჰარლალ ნერუს.

რადჰა კრიშნანმა თავისი მოსაზრებანი გამოთქვა დიდი სახელმწიფოების ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე. მან თქვა, რომ მხოლოდ შეშლილებს შეიძლება სურდეთ ომი, რომ სსრკ, ამერიკა და ინდოეთი უნდა თანამშრომლობდნენ მშვიდობის განსამტკიცებლად. შემდეგ რადჰა კრიშნანი შეეხო ხელოვნებას, პოეზიას.

— რა ხასიათისაა თქვენი ნაწარმოებები? შემეკითხა, გონების კარნახითაა დაწერილი?

— დიახ, გულისა და გონების.

— მაინც რაზე წერთ?

— ყველაფერზე, რაც მაღელვებს: ჩემს ხალხზე, მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, სიცოცხლის სილამაზეზე, ბუნებასა და სიყვარულზეც.

ეგ კარგია! თანამედროვე სამყაროში — განაგრძო მან ყველა იჩქარის... ადამიანს არა აქვს საშუალება თავის თავში ჩაღრმავებისა. პოეტს კი ესაჭიროება დრო დაფიქრებისათვის. ჰო, იცით, მეც თქვენი კოლეგა ვარ, მხოლოდ ფილოსოფოსი — დასძინა მან.

რადჰა კრიშნანს ვუამბე ინდოეთ-საქართველოს ძველისძველი მეგობრული ურთიერთობების შესახებ, ვახტანგ გორგასლისა და XVIII საუკუნეში მოღვაწე დანი ბეგაშვილის მოგზაურობაზე, რომელიც ერეკლე მეფის დროს გაემგზავრა ინდოეთში და, სამშობლოში დაბრუნებისთანავე, აღტაცებულმა, თავისი შთაბეჭდილებები წიგნად დაწერა, შემდეგ ეს წიგნი რუსულად თარგმნა და მოსკოვშიც გამოიცა. ყურადღება გამახვილდა ქართული წარწერების შესახებ ბენარესის ზოგიერთი საფლავის ქვაზე და შოთა რუსთაველზე, რომელმაც თავისი უკვდავი პოემის გმირების სამოქმედო ასპარეზად ინდოეთი აირჩია.

ჯავაჰარლალ ნერუ გვესაუბრება ჩვენი მოგზაურობის გეგმაზე. შემდეგ თავის ქალიშვილ ინდირასთან ერთად შეუყავართ დარბაზში, გვიჩვენებს ძვირფასი ნივთების კოლექციასა და ინკრუსტაციებით მორთულ მამონტის დიდ რქას. ამ რქას 300 წლის ისტორია აქვს. ინდირა თავს იწონებს მხატვარ ივანოვის მიერ დახატული დიდი ტილოთი და თავისი მშვენიერი ვაჟით. ინდირა განდი მეუღლესთან განქორწინებულია და მამის ოჯახში ცხოვრობს.

— აი, იმოგზაურებთ ჩვენს შტატებში, გაეცნობით ინდოეთს და დარწმუნდებით, რომ ყველაფერი, რაც ძველია, დასანგრევი არ არის, — გვეუბნება ნერუ და თავისი მოდუღებული ყავით გვიმასპინძლდება.

დამშვიდობებისას, ნერუსა და რადჰა კრიშნანს, ჩვენი ერების ურთიერთ პატივისცემის ნიშნად, ლამაზად მოჩუქურთმებული ქართული სურა და „ვეფხისტყაოსანი“ გადავეცი.

1957 წლის 22 დეკემბრის მზიან დილას, ჩვენი მანქანები ფართო, ხმაურიან გზაზე მისრიალებს. გზის ორივე მხარეს ყვითლად ღაღანებს მდოგვი, წყნარად ირხევა შაქრის ლერწამი... აგერ, მუხლებამდე წყალში ჩამდგარი გლეხი ხის კავით მიწას ჩიჩქნის და ბრინჯსა თესავს. იქვე მწვანედ შრიალებს ყანა, გვერდით ნაკვეთზე კი, შემოსული ბრინჯი ოქროსფრად ღივლივებს. მიიჩქარიან ქალები და კაცები ფუთებითა და თაბახებით თავზე, მიიზლაზნებიან აქლემები, ლენტებითა და ეკვნებით მორთული თეთრი ცხენები ორთვალას მიარახრახებენ, ნესტოებში ბაწარგაყრილი დიდრონი თეთრი, კუზიანი ხარები ურემს მიაგორებენ. ასეთსავე ურემს მიაგორებს ჩია ტანის რიქშაც, ზოგი ველოსიპედზე შემჯდარი რიქშა კი, ტახტრევანში მჯდომ მგზავრს მიაქროლებს. ხანგამოშვებით გაიელვებს უცხოური ფირმების მანქანებიც, რომლებსაც საოცარი დისონანსი შეაქვს ამ აღმოსავლურ სურათში.

დელი მოვიტოვეთ და, როგორც ყოველმა მოგზაურმა, პირველად აგრისაკენ ავიღეთ გეზი.

გზის პირას ჩარიგებული ხეებიდან ცნობისმოყვარედ გადმოგვცქერიან მაიმუნები და ნუთით შევაჩერეთ თუ არა მანქანა, მათ გარემოცვაში აღმოვჩნდით. ხელგამოშვერილები, ჭყივილით გარს გვეხვევიან, თვალებს აფახულებენ, საჭმელსა გვთხოვენ. ერთმა დედამაიმუნმა, რომელსაც შვილი მკერდზე მიეკრა, მანამდე გვდია, სანამ ბანანი არ გამოგვტყუა. მეტი რა გზა გვქონდა, გავუნაწილეთ მათ ჩვენი საგზალი, მაგრამ ახლა, მაიმუნებს ძაღლები, ფასკუნჯები წასართმევად წაეტანენ და ატყდა გამაყრუებელი ღრენა, წკავწკავი, ყრანტალი, როცა ამ კონცერტს მწვანე თუთიყუშებმაც შეუერთეს თავიანთი მოძახილი, მანქანებს მივაშურეთ, რათა სასწრაფოდ გავცლოდით იქაურობას და მალე აკლდამების მყუდროებას შევაფარეთ თავი.

ტაჯმაჰალი და სხვა ღირსშესანიშნაობანი

დიდ ხელოვანთა მარჯვენის სადიდებლად აჭრილა ცაში აგრის აკლდამები. მშვენიერების ხილვის სურვილმა პირველად ტაჯმაჰალთან მიგვიყვანა. ჭიშკრიდან აკლდამისაკენ კიპარისების ხეივანს მივყევით. კიპარისი სევდა-ნაღველის სიმბოლოა, ამიტომაც უხდება, ალბათ, აქაურობას ამ ხეთა მწკრივი. თითქოს გვეშინია, მძინარენი არ გავაღვიძოთ, მარმარილოს კიბეებით, მოკრძალებით შევდივართ ნახევრად ბნელ აკლდამაში. ოცდაორი წლის განმავლობაში აშენებდა ამ აკლდამას 22 000 მონა და დილიდან საღამომდე დასტრიალებდა მშენებლობას საყვარელი ცოლის დაღუპვით გულდაკოდილი შაჰ-ჯაჰანი. „სამი ანდერძი შემისრულე, ძვირფასო!“ — აგონდებოდა მას მომაკვდავი ქალის ვედრება — „ჩვენს თოთხმეტ შვილს მოუარე, ჩემ მაგიერს ნუ შეირთავ და ამიშენე აკლდამა ჩვენი სიყვარულის უკვდავსაყოფად“



ტაჯმაჰალი. ინდოელი პოეტი სუჩილნა და მარიკა გარათაშვილი. 1957 წ.

სამივე ანდერძი შეუსრულა ცოლს შაჰ-ჯაჰანმა და, მართლაც, XVII საუკუნიდან მოყოლებული, შაჰისა და მისი მეუღლის დიდი სიყვარულის მთხრობელად და ადამიანის ყოვლისშემძლე მარჯვენის მადიდებლად, მდინარე ჯამნას ნაპირას დგას თეთრი მარმარილოსაგან გამოკვეთილი და ათასფერი ყვავილებით მოხატული აკლდამა. დიდი ხელოვნებით განცვიფრებულებმა დავითვალეთ ერთი გვირილისოდენა ყვავილის ფოთლები, რომელიც სამოცდაოთხი ფერადი ქვისაგან შედგებოდა.

მაგრამ, ტაჯმაჰალზე მეტად, იტმად-უდ დოლის არშიების აკლდამამ მოგვხიბლა. მართლაც არშიებადაა დაქსოვილი ქვა და მარმარილო. გეგმა, თავისი მამის სამარხისათვის, იმპერატორ ჯაჰან-გილის მეუღლეს შეუდგენია. ქალის ოცნებასა და ხუროთმოძღვრის დალოცვილ ხელებს თეთრისა და ფერადი მარმარილოს ზოდებისაგან ხელოვნების უნატიფესი ძეგლი შეუქმნია და სიკვდილის ამ სამეფოში, მაჟორული ტონებით სიცოცხლის ხოტბა აღუვლენია. აკლდამის დარბაზების კედლები აღმოსავლეთის დიდი მოაზროვნის ომარ ხაიამის ფილოსოფიითაა ამეტყველებული. სიკვდილის გარდუვალობაზე ფიქრით დასევდილ ადამიანებს გვეუბნებიან, გაიხარეთ, დატკბით სიცოცხლითო! კედლებიდან ლექსები და სურათები, ლხინის სცენები, სასმისები და ყვავილები მოჩანს.

დავათვალიერეთ თემურ ლენგის შვილიშვილის შვილის, სახელგანთქმული აკბარის დიდებული აგრა-ფორტი. იგი მტკიცე კედლებითაა შემორაგული და მძიმე ურდულებით ჩაკეტილი. ვნახეთ დარბაზი, სადაც მოგოლთა იმპერატორების კურთხევა ხდებოდა. ვნახეთ იმპერატორთა ოჯახების მოსასვენებელი დარბაზები, აბაზანები, რომელთა ჭერი და კედლები ათასი წვრილი სარკითაა მოჭედილი. მეორე დარბაზიდან უმზერდა ხოლმე მოგოლთა იმპერატორი ათას სარკეში არეკლილ, ვარდის წყალში მობანავე ცოლებს.

მდინარე ჯამნა ცოცხალთა და მკვდართა საუფლოს შუაზე ჰყოფს. აქედან ეჯიბრება სიცოცხლე სიკვდილს. ქარხნების ცადაწვდილი მილების საყვირი ძილს უკრთობს აკლდამების ბინადართ.

შთაბეჭდილებებით გაბრუებულნი ისევ ხალხმრავალ ქუჩაში აღმოვჩნდით. ახლა უფრო მეტი ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებით ამ ხალხის ცხოვრებას.

23 დეკემბრის ადრიან დილით ჰაიდარაბადისაკენ მივფრინავთ. ეს ჩვენი მოგზაურობის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია. აქ, სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციაზე დასასწრებად ვართ მიწვეულები. ინდოეთში ქალთა უამრავი ორგანიზაციაა შექმნილი, მაგრამ სრულიად ინდოეთის ქალთა ორგანიზაციაა (ჩამოყალიბებულია 1927 წ.) მათ შორის მთავარი. ინგლისელებისაგან გათავისუფლებამდე იგი ქალთა უფლებებისათვის იბრძოდა, ახლა კი მთავრობას უდგას მხარში და სხვადასხვა ღონისძიებაში ეხმარება.

თვითმფრინავის სარკმლიდან მოჩანს პურისა და ბრინჯის ყანები, ტყის მასივები. როგორც ჰაეროვანი სარი ინდოელი ქალის ნატიფ სხეულს, ისე ეხვევა ნისლი ტანზე მდინარეებს. გადავუფრინეთ ძველ ფორტს — გვალიორს, ამ ციხე-სიმაგრის მდიდარი და ძლიერი მთავარი ყველაზე გვიან დანებებია ინგლისელებს.

თანდათან დნება ნისლი, მოჩანს, როგორ იღვიძებენ მდინარეები და თავიანთი გზებით მიიჩქარიან. აღმოსავლეთის ქალსაც გაუღვიძნია, მასაც ჩამოუხსნია პირბადე და თავისი დიდი, ძნელი გზით მიიჩქარის... ნეტავ, რას ვნახავთ საინტერესოს ჰაიდარაბადში?

როდესაც ინდოელ ქალებზე ვფიქრობ, მაგონდება პირველი შთაბეჭდილება გუბერნატორთან დარბაზობაზე. მწვანითაა მოფარდაგული ეზო-ბაღი, შადრევნები, ფერადი ფარნები, ყვავილების ღობე და მჩქეფარე შადრევნების ფონზე ფეხადგმული ყვავილები — ფერად სარებში მორთული ნაზი, ნატიფი ქალები. მაგრამ ასევე გხიბლავენ ისინი, როდესაც პარლამენტში, კონფერენციებსა თუ მიტინგებზე მიკროფონთან დგებიან და თავიანთ საქმიან გამოსვლებს აღმოსავლური სიტყვაკაზმულობით აქარაგმებენ.

სოციალური კეთილდღეობის ორგანიზაციებთან ერთად, ქალთა კომიტეტებს ინდოეთში მართლაც დიდძალი სამუშაო აქვთ. ნებისმიერი პრობლემის ამოხსნა ძირითადი რგოლებიდან იწყება. სახელმწიფოს ცხოვრების გარდაქმნა წარმოუდგენელია მისი მთავარი უჯრედის — ოჯახის გარდაქმნის გარეშე, სადაც დიდი როლი ქალს, დედას ენიჭება. დღეს ინდოეთში მხოლოდ ოცდაათი პროცენტია წერა-კითხვის მცოდნე. მათში ერთი მესამედი ქალია. ფიქრობენ, რომ 1965 წლისათვის მოახდინონ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დიდი ბრძოლაა ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ. მართალია აქ შავი ჭირი აღარაა, მაგრამ ქოლერის, ყვავილისა და კეთრის შემთხვევები ჯერაც ხშირია. დღის წესრიგშია მათხოვრებისათვის საბინაო მშენებლობა, ხალხის მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. განდის პრინციპების მიხედვით, დიდი ყურადღება ექცევა სახელოსნო სკოლების, წვრილი სახელოსნო წარმოებებისა და თავშესაფრების დაარსებას.

ადათი, როდესაც დაქვრივებული ქალი ცეცხლს იკიდებდა და თავს იწვავდა, დღეს უარყოფილია, მაგრამ ქვრივი, წესისამებრ (მაღალი წრის ქალების გამოკლებით), მეორედ აღარ თხოვდება. საქველმოქმედო დაწესებულებები ასეთი ოჯახების, უპატრონოებისა და ინვალიდებისათვის, ჯერჯერობით მეტად მცირეა ინდოეთის საჭიროებასთან შედარებით.

ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ხშირ შემთხვევაში, ორგანიზმის დასუსტება და დაავადება არა მარტო პროდუქტების უქონლობით, არამედ გაუნათლებლობითაცაა გამოწვეული — ხშირია შემთხვევები, როდესაც ადამიანები, ინფექციური დაავადებების საწინააღმდეგოდ არ იცრებიან. ჰაიდარაბადის ქალთა კონფერენციაზეც მთელი სიმწვავით დადგა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარებისათვის სათანადო სახსრების გამონახვის, მოსახლეობის კვებისა და სხვა საოჯახო პრობლემების საკითხები.

— ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ამ პრობლემების მოგვარებისათვის, გაჭირვებულების დასახმარებლად, ქალებისა და ბავშვების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობაში განათლების შესატანად, — მოუწოდა დელეგატ ქალებს ლაქშმი მენონმა.

დამამახსოვრდა: კონფერენციის დაწყების წინ, ფოიეში თავმოყრილი 3000-მდე

ქალი, ჯგუფ-ჯგუფად დგას და საუბრობს, მაგრამ ისე, რომ ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებ, ანდა სხვადასხვა ფერის სარებში გამოწყობილნი ისეთი ნარნარით, უჩუმრად იცვლიან ადგილს, ისე ღირსეულად უჭირავთ თავი, რომ შეუძლებელია, არ მოიხიბლო.

კონფერენციამ მიიღო მთელი რიგი გადაწყვეტილებები და რეზოლუცია, რომლითაც დიდ სახელმწიფოებს მშვიდობისაკენ მოუწოდებს. ატომის იარაღის გამოცდის აკრძალვისაკენ. ისე, როგორც ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს, ინდოელებსაც არ სურთ ომი. ეს ხალხი ბუნებით თვინიერია და კეთილი. ინდოეთში არიან ადამიანები, მწიფე პამიდორს რომ არ ჭამენ იმ მოტივით, სისხლს გვაგონებსო და ახალ დაკრეფილ ბოსტნეულს — ჯერ კიდევ ცოცხალია მასში ორგანიზმებიო, ანდა კოღოს და ბაღლინჯოს ხელს არ აუქნევენ. ეს არის ხალხი, რომელიც თოთხმეტ ენასა და სამოც დიალექტზე მეტყველებს.

ბევრი რამაა ინდოეთის ცხოვრებაში საიდუმლოებით მოცული, გასაოცარი. ამ საიდუმლოების ამოხსნის გასაღები სამლოცველოებში, ტაძრებსა და გამოქვაბულებშია. აჯანტისა და ელორის გამოქვაბულები ჩვენს ვარძიას მოგვაგონებს, ინდოელებს ეს ბრწყინვალე სასახლე-გამოქვაბულები თავისი ღმერთებისათვის გამოუკვეთიათ. ზოგან სხვადასხვა ღმერთი ერთმანეთის გვერდითაც სახლობს. მაგალითად, ელორის ოცდათოთხმეტი გამოქვაბულიდან, რომლებიც V-VII საუკუნეებს ეკუთვნის, თორმეტი ბუდისტებისაა, ჩვიდმეტი ბრაჰმანისტებისა და ხუთი ჯაიანისტებისა. ყოველი აქაური ღმერთთაგანი ებრძვის ბოროტებას, ამყარებს სიკეთესა და ქვეყანას უბედურებისაგან იფარავს.

აჯანტის ოცდაათი გამოქვაბული კი, დაწყებული II საუკუნიდან (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) და დამთავრებული VII საუკუნით, მთლიანად ბუდასთვისაა გამოკვეთილი. ეს გამოქვაბულები სხვადასხვა სტილისაა, მაგრამ ყველა მათგანის ფრესკები, სურათები, გაუხუნარი საღებავების საშუალებით, კედლებზე ბუდიზმის ისტორიას მოგვითხრობს.

ქანთ თეთრი სამოსი მაცვია...
მოვსულვარ დიდ საქართველოდან,
რომ მოვინახულო ვარძიის
ქოლები – აჯანტა, ელორა.
ფეხთ თეთრი ქოშები მაცვია...
რამდენ მთას გადმოველ, მინდორ-ველს,
და მიკვირს – რამდენიც კაცია,
იმდენი ღმერთი ჰყავთ ინდოელთ.
თავს თეთრი მანდილი მახურავს...
შორს დამრჩა მუხეთა და ხერთვისი.
აქ, ყველა დამდგარა მსახურად
ღმერთისთვის, ღმერთისთვის, ღმერთისთვის.

(„აჯანტა, ელორა, ვარძია“)

როგორც ელორისა და აჯანტის, ისე ბომბეის მახლობლად სპილოების გამოქვაბულები და მახაბული პურამის ტაძრები (მთლიანი, უზარმაზარი ქვებისაგან გამოკვეთილი ხუთი ბალდახინი და კრიშნას ტაძარი) — ერთი დიდი ისტორიაა, ინდოეთის უძველესი კულტურისა და უმაღლესი ხელოვნების შესახებ. მათი ფრესკების, ნახატების, ბარელიეფებისა თუ ჯგუფური ქანდაკებების მეშვეობით ვეცნობით ინდოელი ხალხის ცხოვრებას. ხალხისა, რომელსაც თავის მწუხარება, სიხარული, შიში, იმედი, გულისწყრომა თუ ოცნება ამ მხატვრული ნიმუშების მეოხებით გამოუმჟღავნებია. მათში ჩაქსოვილი ისტორიები ღრმად ფილოსოფიური, მითოლოგიური თუ თეოლოგიური ხასიათისაა. აქ წარმოდგენილია სცენები ძველი ეპოსებისა: „მაჰარაბჰატა“, „რამაიანა“ თუ სხვა. ისინი ყოფითი დეტალებითაა გაცოცხლებული. განსაცვიფრებელი სიძლიერითაა გადმოცემული ღმერთების სულიერი განწყობილება: ჩაფიქრება, სიხარული, მწუხარება, რისხვა. ზოგჯერ ერთი სახე სხვადასხვაგვარად შუქდება და სხვადასხვა განწყობილებასაც გამოხატავს: მრისხანეს, მომღიმარსა და ჩაფიქრებულს.

აგერ, ღმერთი შივა ებრძვის ბოროტს. მას თავი წაუგლეჯია დემონისათვის (სიბნელისა და ბოროტების სიმბოლო), ხელში თასი უჭირავს, რომელშიც ცდილობს მოაქციოს დემონის სისხლი, მაგრამ სისხლის წვეთები მაინც მიწაზე ეცემა და იმ წვეთებზე კლავ იზრდება დემონი. აი, რა ძნელია ბოროტებასთან ბრძოლა — გვეუბნება დიდოსტატი.

ღმერთი შივა სამსახოვანია: შემოქმედი, მცველი და დამანგრეველი. ცენტრში, ბრონზეულით ხელში (რომელიც შეიცავს სიცოცხლის მარცვლებს), დგას პირმშვენიერი შემოქმედი, მარჯვნივ — სიცოცხლის მარცვალი, ლოტოსის კოკრით ხელში, ეს ქანდაკება რვა ფუტია, მარცხნივ სახემოღუშული — დამანგრეველი. მხოლოდ განათების, შუქ-ჩრდილების თავისებურების წყალობით ვწვდებით ღმერთი შივას განწყობილებებს. შივას ერთი სახე ახორციელებს ადამიანის არსის სამ ძირითად საწყისს: აზრს, სიყვარულს, ბრძოლას. მოქანდაკისა და შუქ-ჩრდილის ავტორის ნიჭიერებით მოხიბლული, დიდხანს ვერ ვწყვეტ თვალს ამ ორი განსაცვიფრებელი ტალანტის შერწყმის ნაყოფს.

ხშირად, ეს საინტერესო გამოსახულებები იუმორითაცაა შეფერილი: აგერ, ღმერთ კრიშნასათვის განკუთვნილი რძე კატას მოუპარავს, მისთვის სპილოს დაუსწრია, ხორთუმით აუტაცნია და უკანა ორ ფეხზე დამდგარი გაუშეშებია. კატას კი ვირთხები დასცინიან. მაიმუნს საერთო არეულობით უსარგებლია და შივას მაგიდიდან ბანანი აუცალცლია. შივას ქორწილში ღმერთები მოსულან, ზოგი მათგანი ნიანგზე ზის, ზოგი — სპილოზე, ხოლო სიმდიდრის ღმერთი ადამიანზე შემჯდარა და ისე მობრძანებულა. და ვინ იცის, რამდენი ისტორია, ხალხის რამდენი ტკივილი და ოცნება ინახება ყოველი გამოქვაბულისა და სამლოცველოს კედლებს შორის. ყველა ეს ისტორია ადამიანის ხელს ქვის, მარმარილოს, ბრინჯაოს, ხის, ოქროსი თუ ვერცხლის წარწერა-არშიებით დაუქსოვია. ვნახეთ მსოფლიოში განთქმული ორიათასწლოვანი აპოლიშვერარის

ტაძარი მადრასში. ამ ტაძრის შვიდივე შენობის მთლიანად ოთხი, ცისფერი და ვარდისფერი გარე კედლები საოცრად ნატიფი, მოოქროვილი ქანდაკებებითაა დაფარული.

სპეციალური ნებართვით, ფეხშიშველები შევედით ტაძრის დასათვალიერებლად, კართან შივას ჩასუქებული შვილობილი შემოგვეგება. ლანგარზე რაღაც სურნელოვანი იწვოდა. ტაძარში შემავალი ინდოელები იმ სურნელოვან კვამლს ყნოსავდნენ და შუბლზე ისვამდნენ. ღვთის მსახურებმა ყვავილწნულებით მოგვრთეს და ამ ტაძარში მომხდარი სასწაულები მოგვითხრეს. ასევე ფეხშიშველები ვეახელით წმინდა ფრინველებსაც. ეს ტაძარი მადრასიდან რამდენიმე კილომეტრზე, მთის თავზეა, სადაც მაღალი, სამას-საფეხურიანი კიბეა ასასვლელი. მნახველი თუ მლოცველი, მცირე საფასურად, რიქშებს ხელითაც აჰყავთ, საკაცეზე ფეხმორთხმულნი. ტაძრის მოპირდაპირე გორაკის გამოქვაბულში მცხოვრები წმინდა ფრინველები ორი ყვითელი ქორი, ხალხის რწმენებით, ხუთასი წლისანი არიან და დღის 11-დან 12 საათამდე ტაძარში საჭმლისთვის მოფრინდებიან ხოლმე. ამ დროისთვის, თეთრად შემოსილ მათ მსახურს, გორაკზე თითბრის სინები და თუნგები გამოაქვს, არახუნებს, რითაც ღვთიურ სტუმრებს ეპატიჟება. ჩვენ იმ ქორების სანახავად კვირა დღეს მივედით. ახლომახლო გორაკები ხალხით იყო მოფენილი და, მართლაც, მოწმენი გავხდით გამოქვაბულიდან იმ ფრინველების გამოფრენისა.

კიბეებზე დაფიქრებული ვეშვებოდით... ზემოდან ისმოდა სინების ხმა და იქით მიისწრაფოდა ხალხი, რომელსაც მათხოვრები ესიტყვებოდნენ: „მამიი, მამიი“



იდოეთის ქ. ნანგალში 1957 წ.

ხელგაშვერილი ევედრებოდნენ გალეული პატარები და მუცელზე ხელს იტყაპუნებდნენ.

დიდი კულტურული წარსულით, სულიერებითა და მითოლოგიითაა გაჟღენთილი დღევანდელი ინდოეთის ხელოვნებაც: თეატრალური, ქორეოგრაფიული, მუსიკალური, ვოკალური, ფერწერული თუ სკულპტურული.

თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებში ჭარბობს ულტრათანამედროვე-დასავლეთევროპული სტილი. გვხვდება რეალისტური ნაწარმოებნიც. გემოვნებით, ცოცხალი და წარმტაცი ფერებით გამოირჩევა ინდოეთის პეიზაჟები. მაღალი ოსტატობითაა შესრულებული მოქანდაკე ჩაუდჰურის „შიმშილის მსხვერპლნი“ და „როდესაც დგება ზამთარი“. ამჟამად ყველაზე მეტად, ინდოეთში ქანდაკება და კინოხელოვნებაა განვითარებული. ჰაიდარაბადის ჯანმრთელობის მუზეუმშიც კი, სხვადასხვა დაავადების, მათ პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე საუბრისას, ფართოდაა გამოყენებული ქანდაკება. რაც შეეხება კინოხელოვნებას, ფილმების უმეტესობა გაჟღენთილია განდის ფილოსოფიით „არა ხელჰყო ბოროტება“.

მაგალითად, „ინდოეთის დედა“, სადაც დედა კლავს შვილს იმისათვის, რომ შვილმა ხელი აღმართა მათი ოჯახის დამრბევ მევახშეზე, თანაც ოჯახის მამა რომ იმსხვერპლა. ფილმებში ჰოლივუდის გავლენაც საკმაოდ შეიმჩნევა.

თეატრალური წარმოდგენების უმეტესობა, სიუჟეტური ცეკვები, საღვთისმეტყველო და მითოლოგიური ხასიათისაა. ამ წარმოდგენებს დიდძალი მაყურებელი ესწრება. ხალხი ჭილოფებზე ფეხმორთხმული ზის. მაყურებელი არ შეიძლება არ მოხიბლოს ინდოელი ქალის ცეკვამ, რომელიც სრულდება ეროვნული საკრავებისა და სიმღერის ფონზე, რასაც ხშირად მოცეკვავეც აყოლებს ხმას, უფრო კი, შიშველ წვივებზე მიმაგრებული ეჟვნების ჟღარუნს. ტერფები მოცეკვავეს წითლად აქვს შემოხაზული. იგი საოცრად პლასტიკურია — სხეულის ყოველი ნაწილი მონაწილეობას იღებს ცეკვაში.

მომხიბლავია ინდოელების მიერ სტუმრის მიღების კულტურა. მაგონდება ერთ-ერთი ასეთი მიღება მადრასის კარნალაკის მუსიკის ცენტრალურ კოლეჯში. ეს კოლეჯი ადგილობრივი მუსიკის ტრადიციების აღდგენის საქმეს ემსახურება: მარმარილოს იატაკზე, ვარდებშემოწყობილი წრის ირგვლივ ანთებული კანდელებია შემორიგებული და აწერია: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ აქეთ-იქით ჩამწკრივებულან პროფესორები და სტუდენტები. ერთ მხარეს მდგომ ქალიშვილს ნელსაცხებლიანი ფიალა უჭირავს ხელში და შიგ თითებს გვასველებინებს. მეორე მხარეს მდგომი რაღაც კეთილსურნელებას გვაფრქვევს, მესამე — თმაში ყვავილწნულს გვიკეთებს, მეოთხე ვარდებით გვრთავს.

მეტად თავისებურია კონცერტი. შემსრულებლები — მომღერლები და მესაკრავენი სცენაზე ფეხმორთხმით სხედან. ცალი ხელით უკრავენ, მეორე ხელი მუხლზე ცემითა და თითების მოძრაობით სხვადასხვა ხმას გამოსცემენ. დარბაზში მსხდომნიც (ნაწილი სკამებზე, ნაწილი იატაკზე) იგივე ტაქტს იმეორებენ... და ივსება დარბაზი მუსიკისა და სიმღერის ჰანგებით, ამასთანავე, უცნაური აკომპანიმენტით, რაღაც კეთილსურნელებით, რომელსაც კონცერტის დროს აკ-

მეკენ. ერთ-ერთი პროფესორის რწმუნებით, ასორმოცდაათი რიტმის შესაქმნელად ინდოეთში 3000 ხალხური ჰანგია. პირველად ეს კონცერტი მეტად უცნაურად მომეჩვენა, მაგრამ შემდეგ, მეც არ ვიცი, როგორ აჰყვა ჩემი ხელიც, ხელების საერთო აკომპანიმენტს.

მეტ-ნაკლებად მსგავს შეხვედრებს გვიწყობენ ყველგან: გულუხვად გვმასპინძლობენ ყვავილებით, რომელსაც კისერზე გვკიდებენ. თითო წნულში ასი თუ ორასი ვარდის კოკორია. ამ მეტად უჩვეულო დარბაზობებზე ხანდახან სასაცილო მდგომარეობაშიც ვვარდებოდით. აი, ერთ-ერთი ასეთი შემთხვევაც: ინდური, მეტად ცხარე კერძით „პირჩაგემრიელებულს“ მიკროფონთან მისვლა და (ისე, როგორც მათ პოეტებშია მიღებული) ლექსების სიმღერით შესრულება მთხოვეს.

რა მემღერება, ყელში ხანძარი მინთია, მაგრამ რა გაეწყობა! მიკროფონთან დავდექი და იქუხა ტაშმა, ალბათ კატასავით რომ მეკნავლა, სტუმარი ვიყავი და მაინც ოვაციებს დავიმსახურებდი. შემდეგ კი, იმდენად გავთამამდი, „საპოვნელა“ რომ არ მეყო, აკაკის „სულიკოსა“ და „ციცინათელას“ მივდექი და... ერთი სიტყვით, ცხარე საჭმელებსაც მივეჩვიე და ახალ როლსაც.



„მომღერალი“ მარიკა ბარათაშვილი ინდოეთში. გიგლა ფირცხალავას მეგობრული შარჟი

ვოკალური მონაცემებით თავს ვერასოდეს მოვიწონებდი, თუმცაღა მონაფეობის წლებში ვმღეროდი ლოტბარ სანდრო კავსაძის გუნდში, შემდეგ კი სასიმღეროდ აღარც მომიცლია, საბოლოოდ, ყელის მძიმე დაავადებამ დარჩენილი ხმაც წამართვა, ასე რომ ახლა, სასიმღეროდ ყელს რომ მოვიღერებ, მეუღლის აღტაცებასაც ვერ ვიმსახურებ, აქ კი, მასპინძლები ოვაციებით მაჯილდოებენ.

ქალი რის ქალია, ქმართან თავი თუ არ მოიწონა. მეც, რა თქმა უნდა, მოვწერე: „შენ, მართალია, ჩემი ხმა არ მოგწონდა, მაგრამ აქ, ინდოეთში, პირველი მომღერალი ვარ“.

ინდოეთიდან დაბრუნების შემდეგ, ზაფხულს სოხუმში ვატარებდით; მე და ბიძინა ერთ ოჯახში სადილად მიგვიწვიეს. ცხადია, ჩემი მოგზაურობის ამბავიც აინტერესებდათ. ისიც გაუგიათ, რომ იქ პოეტები თავიანთ ლექსებს სიმღერით წარმოთქვამენ.

— თქვენც მღეროდით?

— დიახ! და მეუღლეს ერთგვარი თავმოწონებით გადავხედე.

— იმღერეთ რა! — შემომიჩნდნენ აქეთ-იქიდან და მაცდუნეს.

— ღმერთო მომკალი, — წამოიძახა ქალმა, რომელიც

ყველაზე მეტად მეხვეწებოდა, — რომ მცოდნოდა, უკეთ არ მღეროდით, როგორ შეგაწუხებდით! ბევრი ვიცინეთ... ის იყო და, იმ დღიდან ჩემი ლექსები სიმღერით აღარ შემისრულებია და დიდი აკაკიც მოვასვენე.

დავუბრუნდეთ ინდოეთს. მის შტატებში მოგზაურობისას, ყოველი გუბერნატორი დარბაზობას გვიწყობს. და აი, ჰაიდარაბადის შტატის გუბერნატორის ოჯახში ვართ. ბრწყინვალე დარბაზია და საგანგებო მიღება. დიდი გემოვნებით გაწყობილ სუფრას მრავალი სტუმარი ეუსხედვართ. ჩემს პირდაპირ სხედან ჰაიდარაბადისა და მადრასის შტატის გუბერნატორები. სადილის დასასრულს მასპინძელმა ბრძანა, ბეტელი მოერთმიათ, ბეტელი არასოდეს მინახავს, მაგრამ სადღაც წამიკითხავს, რომ ის ინდოელთათვის განსაკუთრებული ნუგბარია და შემიძლია საქართველოში თავი მოვიწონო, რომ ინდოეთში ბეტელიც კი გეახელით და, აი, ოფიციანტს ლანგარზე დაწყობილი ბეტელი შემოაქვს — მწვანე, სქელ ფოთოლში გახვეული ნუგბარი ძაბრისა და კონვერტის ფორმისა, თუთიის წვრილი ძაფით შეკრული. მეც ერთ კონვერტს ვიღებ და სხვებივით ვიქცევი. გამიგია, რომ ბეტელს კი არ ჭამენ, ღეჭავენ, ვხედავ, გუბერნატორებმა მთლიანად ჩაიდეს პირში და სახეზე ნეტარება დაეფინათ. მეც მივბაძე, მაგრამ როგორც კი კბილი დავაჭირე, კონვერტი გასკდა და პირი მთელ-მთელი, მრგვალი და ჩხირისებრი მიხაკებითა და კიდევ რაღაც მწვავეთი ამევსო. თავი ცუდად ვიგრძენი. რა ვქნა? ასე პირავსებული ვერც ავდგები, რომ მსახური მოვძებნო და პირსაბანში შემიყვანოს, ვერც თეფშზე გადმოვიღებ ამ მასას და მეც მეტი რაღა გზა მაქვს? იმ მწვანე კონვერტის მთელი შემადგენლობა ფოთლიან, მიხაკებიან, თუთიის ძაფებიანად გადავყლაპე. თან ვითომ ვიღეჭები, რათა გუბერნატორებმა ვერ შემამჩნიონ რომ სიამოვნებით გაბადრული მასპინძლების შეკითხვაზე, როგორ მომწონს ბეტელი, როგორც იქნა სახეზე ღიმილი გამოვტანჯე. „აბა, კიდევ მიართვით“, — ბრძანა გუბერნატორმა, — არას გამოსახატავად თავი გავიქნიე, რაც თურმე იმათებურად კი-ს ნიშნავს და კიდევ მომართვეს, მეც გადმოვიღე და თეფშზე დავდე. „რა, არ მიირთმევთ?“ — მეკითხება მასპინძელი. „ამ დღის სამახსოვროდ მიმაქვს“, მითხრეს, კიდევ მოგართმევთო, მაგრამ ის ნუგბარი უკვე ჩანთაში მედო.

...ცხოვრება მოულოდნელობებითაა სავსე. ბომბეის სასტუმროში ვართ. ხვალ დილით აჯანტისა და ელორის გამოქვაბულებისაკენ მივფრინავთ, სადაც ახალ, 1958 წელს უნდა შევხვდეთ. საღამოთი კი, ჩვენთან შესახვედრად ბომბეის ინტელიგენცია მოვიდა სასტუმროში. ჩვენი ქალები უკვე ჩავიდნენ საბანკეტო დარბაზში. როდესაც კარი შევაღე, ვხედავ, ისინი ცნობილ ინდოელ მსახიობს რაჯ კაპურს ესაუბრებიან. რაჯი მათ საბჭოთა კავშირში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს: „საქართველოშიც ვიყავი, გავეცანი თბილისის კინოსტუდიის მუშაობას. ვნახე კინოფილმი „ჭრიჭინა“. ძალიან მომეწონა. გამაცნეს ლეილა აბაშიძე. ძალიან გულით მინდოდა სცენარის ავტორის ნახვა, მაგრამ მითხრეს თბილისში არ არისო“.



ბომბეის, აეროპორტის მოსაცდელში 1958 წ იანვარი

სწორედ ამ სიტყვებზე შევაღე დარბაზის კარი.

აგერ, „ჭრიჭინას" ავტორიც, ასე რომ გინდოდათ მისი გაცნობა, უთხრეს ქალებმა. ამ შეხვედრამ დარბაზი გაამხიარულა.

ბომბეისთან დაკავშირებით კიდევ ერთი შემთხვევა მახსენდება: დილაადრიან აეროდრომზე გავედით. რაც კი რამ ძვირფასი გაგვაჩნდა: ტანსაცმელი, სამკაულები, დოკუმენტები და ფულიც, ერთ დიდ ჩანთაში მოვათავსეთ. თვითმფრინავში რომ ჩავსხედით და ის იყო, უნდა ავფრენილიყავით, ჩანთა მოვისაკლისეთ. გულგახეთქილებმა თვითმფრინავი შევაჩერებინეთ და აეროდრომის უფროსთან მივვარდით. „ალბათ მებარგულს შეეცვალა და სხვა მაგიდაზე დადო. ნუ გეშინიათ, შევამოწმებთ, სად შეიძლება იყოს თქვენი ჩანთა და უვნებლად ჩაგაბარებთ"

ჩვენი მწარე გამოცდილებით, დიდი იმედი კი არა გვაქვს ამ დაპირების შესრულებისა, მაგრამ რას ვიზამდით? ჩვენს გაოცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა მეორე დღის სამ საათზე, ამ გამოქვაბულში, უვნებლად ჩაგვაბარეს ჩვენი გამოტირებული ჩანთა. გარდა ინდოეთის ცხოვრების გაცნობისა, კიდევ ერთი საკითხი მაინტერესებდა: ვეძებდი მასალებს ინდოეთ-საქართველოს ურთიერთობათა შესახებ. ცხრამეტი დღე მეტად მცირეა ასეთი მასალების შესაგროვებლად, მაგრამ იმედს არ ვკარგავ. ყველას მოვუთხრობ იმ შორეული მოგზაურობისა და მეგობრობის თაობაზე და ვთხოვ მოგვაწოდონ ყველაფერი, რასაც იპოვიან. ვფიქრობდი, ნუთუ ვერაფერს ვიპოვი-მეთქი... და დიდად გავიხარე, როდესაც ჰაიდარაბადის უბრწყინვალეს მუზეუმში, სადაც თავი მოუყრია ხელოვნების უნიკალურ ნიმუშებს, ერთ-ერთ თაროზე, ჩვენი ძველებური ვერცხლის ჭურჭელი — დიდი თასი და თუნგი დავინახე.

ვინ იცის, რა გზით მივიდა მუზეუმის თაროსთან ჩვენი მამა-პაპის ნაკეთები ჯამ-ჭურჭელი! ეგებ ქართველი ქალის მზითევიცაა, ინდოელ მთავარზე გათხ-

ოვილისა, ან მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ, ინდოეთში სტუმრობისას ინდოთა მეფისათვის მორთმეული? მე, მათ შორეულ შთამომავალს, ოქრო და ვერცხლი არ ჩამომიტანია. ჩამოვიტანე: „ვეფხისტყაოსანი“, ქართულ ენაზე გამოცემული რაბინდრანათ თაგორის თხზულებანი, ქართული ორნამენტით მოჩუქურთმებული სურა, ფირზე ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები და ჩვენი მანდილი, როგორც ქალთა მეგობრობისა და მშვიდობის სიმბოლო, რომელიც სრულიად ინდოეთის ქალთა კონფერენციის თავმჯდომარეს ქ-ნ ბალიგოს გადავეცი.

უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობას დიდად არ სიამოვნებს, როდესაც საჩუქრებს საქართველოს სახელით გადავცემ.

რომელ თაროს ამშვენებს ახლა ნეტავ „ვეფხისტყაოსანი“, სად იღერებს ყელს ოქროთი მოვარაყებული მწვანე და შინდისფერი ქართული სურები, ან სად ქათქათებს, ძველთაგან საფიცარი, ქართველი დედის თეთრი მანდილი, ან რა გრძნობით უსმენენ ინდოელები ჩვენს სიმღერებსა და რადიოგადაცემებს?

ინდოეთიდან მეც მიმაქვს ძვირფასი საჩუქრები — გამომგზავრებისას სასტუმროში რომ მომიტანეს, რადჰა კრიშნანისაგან გამოტანებული, ეს ქართველ პოეტ ქალს გადაეცითო... შეფუთული გავხსენი: ოქრომკერდით ნაქარგი, ცისფერი აბრეშუმის სარი, თეთრი, ასევე ოქრომკერდით მოხატული თხელი დიდი თავსაფარი, წითელი ხავერდის ქოშები, ყელსაბამი, სამაჯური და საყურეები. და მეც, ინდოეთის სიყვარული რომ შემომენთება, მისი ქალების მსგავსად, შემოვიხვევ ხოლმე ჰაეროვან სარის.

საქართველოში დაბრუნებისთანავე დავწერე ლექსები: „ინდოელ ქალებს“, „ინდოეთს“, „რადჰა კრიშნანთან გასაუბრება“, „აჯანტა, ელორა, ვარძია“, „ქართული ვერცხლი“. ეს ლექსები დაიბეჭდა ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინასა“ და „საბჭოთა ქალში“. თებერვალში, მწერალთა კავშირის კლუბსა და „გოქსში“ წავიკითხე მოხსენება: „შთაბეჭდილებანი ინდოეთზე“, რომელიც პრესაშიც გამოქვეყნდა.

ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში

1958 წლის მარტი. მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა გაიმართა. თბილისიდან ძალიან დიდი დელეგაცია ჩავედით. მანამდე კი დაძაბული შრომა მქონდა თეატრთან „მარინეს“ აღსადგენად. დეკადაზე რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის განახლებულმა დადგმამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მოსკოვმა პირველად ნახა მედეა ჯაფარიძე „ჭრიჭინას“ როლში. აღტაცებული რეცენზიები დაიბეჭდა „პრავდაში“, „სოვეტსკაია კულტურაში“, ჟურნალ „ტეატრში“. სპექტაკლი რომ არა, სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, რადგან წიგნის გამოფენისათვის, ვერც ქართული, ვერც რუსული კრებულები ვერ მომესწრო. წიგნი „Я люблю“ მხოლოდ დეკადის დამთავრებისათვის მომაწოდეს. გახსნაზე, საღამოებზე



ფოტოკოლაჟი 1 მარიჯანი, მარიეტა შაგინიანი, მარიკა ბარათაშვილი
2 სხედან: გალაკტიონ ტაბიძე, პავლე ანტოკოლსკი, ალიო მირცხულავა, დგანან: იოსებ ნონეშვილი, ანდრო თევზაძე, გრიგოლ აბაშიძე, ალექსანდრე გოგიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ვართან ატრიანი, ხუტა ბერულავა, გიორგი ნატროშვილი, სერგო ლდიაშვილი, ერემია ქართველიშვილი, მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი ლეონიძე
3 პავლე ანტოკოლსკი, სანდრო შანშიაშვილი, , მარიკა ბარათაშვილი, იცხოკრე დოლიძე, , ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე სიმონოვი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ჯიბლაძე, სერგი ჭილაია.
ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. მოსკოვი. 1958 წ

გამოვდიოდი და ლექსებს ვკითხულობდი.

დიდ თეატრში კი ეთერ გელოვანმა „ჭრიჭინას“ ცეკვა შეასრულა (ოპერიდან „მარინე“) და დიდი წარმატება მოიპოვა.

გარდა მწერლებისა, დეკადაში მონაწილეობას იღებდნენ მუსიკოსები, მხატვრები, ქართული ცირკი... კონცერტი გამართა ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა, ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ხელმძღვანელობით. დეკადაზე, ქართული ხელოვნებით ყველა აღფრთოვანებული დარჩა.

ინდოელი მეგობრები საქართველოში

იმავე ზაფხულს, ქალთა კომიტეტიდან მაცნობეს, რომ ინდოეთიდან საპასუხო ვიზიტით ჩამოდის ქალთა დელეგაცია და მთხოვეს იგი გაგრაში, ნესტორ ლაკობას აგარაკზე მიმეღო. უმალვე გავემგზავრე და, ყველაფერი მოვანესრიგეთ ძვირფასი სტუმრების მისაღებად. მოვიტანეთ ქართული კინოფილმები, სიმღერების ჩანაწერები, მოვიწვიეთ საუკეთესო მზარეული და სხვა. მე კი მოვირთე რადჰა კრიშნანის ნაჩუქარი სარით, თავსაბურავით, სამკაულებით, ოქროსფრად მოხატული შინდისფერი ქოშებით. შუბლზეც კი, მათებური ნიშანი გავიკეთე. და



მარიკა გარათაშვილი ინდოელ სტუმრებთან ერთად გაგრის აეროდრომზე 1958 წ.

რომ დამსვენებელთა ყურადღება არ მიმეპყრო, სწრაფად ჩავირბინე სასტუმროს კიბე და მანქანაში ჩავჯექი.

აეროპორტისაკენ მიპქრის მანქანა, თავზე თეთრი თავსაფარი მიფრიალებს, ხელში ვარდების დიდი თაიგული მიჭირავს. ქუჩაში გამვლელები ჩერდებიან ძახილით: „პატარძალი მიჰყავთ, პატარძალი მიჰყავთ!“ და თვალს გვაყოლებენ, მაგრამ სენსაციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც თვითმფრინავიდან ჩამომავალმა სტუმრებმა აეროდრომზე ინდოელი ქალი დაინახეს. ძალიან გაიხარეს, როდესაც თავსაფარი გადავიწიე და ხელთ მე შევრჩი.

ჩემს რვა სტუმართან ერთად, შესანიშნავი 10 დღე გავატარეთ: ექსკურსიები, ქართული ფილმები, კონცერტები, სიმღერები... და ქართული გულუხვი სუფრა, ინდოეთის მშრალი კანონის დარღვევით. სუფრის თავში — უცვლელი თამადა მე გახლდით. ერთი სიტყვით, ჩემი საყვარელი ინდოელი ქალების სტუმრობამ ჩინებულად ჩაიარა.

...მოსკოვის ქალთა კომიტეტისაგან დიდი მადლობის წერილი მომივიდა, ხელს აწერდა კომიტეტის მდივანი ლიდია პეტროვა. მცირე ხნის შემდეგ კი, მათგან მეორე ბარათიც მივიღე. მაცნობებენ, რომ ამერიკელ კომპოზიტორს კაროლ ფანესტოკს ჩემს ლექსზე „ინდოელ ქალებს“ სიმღერა დაუწერია. მალე თვით კომპოზიტორისაგანაც მივიღე სიმღერის ნოტები. ამრიგად, ინდოელი ღირსეული ქალებისადმი მიძღვნილმა სიყვარულისა და მეგობრობის სტრიქონებმა თავიანთი მომღერალი ამერიკაში პპოვა, სამ ქვეყანას შორის მეკავშირედ იქცა და სიმღერადქცეული და ატაცებული დამიბრუნდა.



მოგონებების ხეთა ქვეშ ვდგები.
მოდის ნიავი და ფოთლებს არხევს...
თვისკენ მეძახით შორეთის დები.
მეძახის თქვენი კეთილი სახე.
მომენატრებით ძვირფასო ლაქშმი.
სუჩილნა. სიტა და ვიოლეტა!
ოცნებას ფერად სარივით გავშლი
და მეგობრობა მომაფრენს თქვენთან.

(„ინდოელ ქალებს")

...ამ მოვლენებს წინ უსწრებდა მწერალი ქალების — განდეგილის, დარია ახვლედიანის, საფო მგელაძისა და კატო მიქელაძის მოსაგონარი საღამო. ძლივს ვიპოვეთ მათი საფლავები... საღამო მწერალთა კლუბში ორ ივნისს მოეწყო. მე დარიაზე ვილაპარაკე, დავით ქორიძემ საფო მგელაძეზე, ნინო ჩიხლაძემ განდეგილზე, ანიკო ღვინიაშვილმა — კატო მიქელაძეზე. ისაუბრეს ქეთო ელისაბედაშვილმა, ნაზი კილასონიამ და სხვებმა.

ვინ იცის, რამდენ მწერალს, ხელოვანსა თუ მოღვაწეს გადაუარა დავიწყების მდინარემ... ცოტა რომ დაგვეგვიანა, დარიასა და კატოს საფლავებს ალბათ ვეღარც ვიპოვიდით.



მწერალი ქალების საფო მგელაძის, დარია ახვლედიანის, კატო მიქელაძის, განდეგილის (დომინიკა ერისთავი) საფლავებთან 1958 წ. 2 ივნისი

1958 წლის ზაფხული წყნეთში, ჩემს პირველ შვილიშვილ პატარა იკუნა ქორიძესა და ელენე დეიდასთან ერთად გავატარე. ნანული, ბიძინა და მერაბი ამოდიოდნენ.

მერაბმა გაგვახარა: სამეცნიერო ჯგუფის თავმჯდომარე იყო თავის კურსზე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. მოხსენებებით გამოვიდა ბაქოში, ერევანსა და თბილისში. ერთ-ერთი თემა სადისერტაციოდ მიიჩნიეს, დააჯილდოვეს და, ავტორთან ერთად, ბრიუსელში, გამოფენაზე გააგზავნეს. სულხანი სოხუმშია კვლევებზე, მასაც წარმატებები აქვს, სამსახურში ემადლიერებიან. ძალზე მიხარია.

დეკემბერში მე, ალიო მირცხულავა და პეტრე ამირანაშვილი ესტონეთის მწერალთა ყრილობაზე მიგვავლინეს. ტალინმა შესანიშნავად მიგვიღო. ყრილობაზეც და რადიო ეთერშიც სიტყვით გამოვედი. ბანკეტზე ცეკვამაც მომიწია. გვინვევდნენ მწერლებთან, ოჯახებში... შემდეგ მოსკოვს გავემგზავრე. ლუბა ეორონკოვაც ვინახულე.

სესიაზე ჩამოსული ირაკლი აბაშიძე ქუჩაში შემხვდა. „ესტონეთში დიდი ფურორი მოგიხდენია, კარგად გამოსულხარ და ბანკეტზეც გიცეკვია“, — მითხრა თავისებური იუმორით. „ინდოეთში ვმღეროდი, ესტონეთში ვცეკვავდი... ნეტავი, რა იქნება ჩემი შემდგომი პროგრამა?“ — გავიხუმრე მეც.

მწუხარება და სიხარული. „ჩემი ყვავილეთი“

ბევრი ტკივილი გვარგუნა 1959-მა წელმა:

იანვარში მარიკა მიქელაძე დავკარგეთ. გულით დავიტირე ნიჭიერი პოეტი. დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარე ვიყავი. დაკრძალვაზე სიტყვა წარმოვთქვი და წერილი დავბეჭდე „საბჭოთა ქალში“, ეს იყო და ეს... გული მტკივა, უზომოდ მტკივა...

შალვა დადიანის სიკვდილი ძალზე განვიცადე. წავიდა ჩვენგან ძველი, თავადაზნაურული საქართველოს ერთ-ერთი ჩინებული წარმომადგენელი — დინჯი, ტკბილმოუბარი, შესანიშნავი მწერალი და თეატრალური მოღვაწე. ანდერძით თავისი არქივი ჩემთვისა და ალექსანდრე ბურთიკაშვილისათვის მოუნდვია.

შემძრა გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობამ... პოეტთა მეფეს, გალაკტიონს, პოეზიის უმაღლეს მწვერვალს, გაუხარელი ცხოვრება ჰქონდა, მარტოობას უჩიოდა.

ორთავენი მარტში მივაბარეთ მიწას. ჟორა შავგულიძის გარდაცვალებამაც დიდი ტკივილი მოგვაყენა. შესანიშნავი მსახიობი, სამწუხაროდ, უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, ძალზე მომხიბვლელად ითამაშა კოხტას როლი „ჭრიჭინაშიც“. ამ დროს ჭიათურაში ვიყავი. ჩემი აღმზრდელისა და მეგობრის, დიდად განათლებული პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ჩემი მამიდამვილის, მარგარიტა ვაშაძის დაკრძალვაზე. თითქმის გრძნობადაკარგულმა, დამშვიდობებისას მაინც ამოილუღლუღა: „გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას“. უკანასკნელ წუთებშიც კი ჩემზე

წუხდა... კიდევ ერთი, ჩემი უზომოდ მოყვარული გული ჩაიფერფლა. სამუდამო სამყოფელი მივუჩინეთ ლეჟავების სასაფლაოზე (ჭიათურაში) ანუშკა მამიდას, ისაია ბიძიას, ანტონის, რებეკას, დედაჩემის, მამაჩემისა და ჩემი ვახტანგის გვერდით.

ჩემიანების საფლავის ნახვამ გამამწარა, რადგან საფლავის ჯუბირი ჩამონგრეული დამხვდა. ისევ შევაკეთებინე და ძეგლიც დავუდგი წარწერით: „გაუხარელ მშობლებსა და უდროოდ დაღუპულ ძმას, მარიკასაგან" ესღა დარჩა მათგან — მთელი რომანის დაწერა კი შეიძლებოდა.

❦ ❦ ❦

1959 წლის მაისში მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა დასადგმელად „ჩემი ყვავილეთი!" მიიღო. ეს ჩემთვის დიდი სიხარულია. ახლა ღონე უნდა მოვიკრიბო და სექტემბრიდან მუშაობას შევუდგეთ. იურა ციციშვილის მადლობელი ვარ. პიესა გულით მოიწონა და მის დადგმაში მეხმარება.

ქართული პოეზიის ანთოლოგია ინგლისურ ენაზე გავუგზავნე: ინდოეთის ჰაიდარაბადის უნივერსიტეტს, მადრასის ბიბლიოთეკასა და მუზეუმს. აგრეთვე რადჰა კრიშნანს, ინდირა განდის, ლაქშმი მენონს, ვიოლეტა ალვას, მალიკს და სხვებს. ვიოლეტა ალვასგან მადლობის წერილი მომივიდა. მალიკიც მწერს, ოღონდ ინდურად.



პირველ შვილიშვილ ირაკლი ჟორჟოლიანთან ერთად. 1959 წ.

...მე, შალვა აფხაიძე, მორის ფოცხიშვილი და თეიმურაზ ჯანგულაშვილი შევხვდით დმანისელებს. კარგად მიგვიღეს განთიადშიც. ამ კუთხეს მიხედვა უნდა!!!

1959 წლის ივლისში კისლოვოდსკში ვარ, გორკის სახელობის სანატორიუმში. წამოსვლის წინ ნანული და ირაკლი ქვიშხეთში გავისტუმრე; სულხანი საჩხერეშია, მივლინებით. მერაბმა წარჩინებით დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი. ახლა ერთთვიან სამხედრო-სავალდებულო სამსახურშია, ბიძინა მივლინებაშია, დეიდა — თბილისში.

1959 წელს, თბილისის საქალაქო კომიტეტის დადგენილებით, მოგვეცა სამოთახიანი ბინა პეკინის ქუჩაზე №22 სახლში. ბინა გვეძლეოდა ჩვენი ადრინდელი სამოთახიანის სანაცვლოდ, მაგრამ საქალაქო კომიტეტის მდივანს, გიორგი გეგეშიძეს განცხადების გაცნობის შემდეგ, უთქვამს: სამოთახიანი ბინიდან სამოთახიანში გადაგვყავს ცხრა

სული, ეს რაღა პირობების გაუმჯობესებაა, ისიც მწერლისა და მეცნიერისათვის? ასე დაგვიტოვა დიდბუნებოვანმა ადამიანმა ძველი ბინა. გიორგი გეგეშიძემ ბევრი სიკეთე შესძინა ქალაქს: სპორტის სასახლე, ვაკე-საბურთალოს გზა, მტკვრის სანაპირო და სხვა.

ისევ მცირე ექსკურსი წარსულში: 1957 წლის ოქტომბერში განახლდა საქართველოს ქალთა ჟურნალი, რომელიც 1923 წლიდან წყვეტილად, თან სხვადასხვა სახელწოდებით გამოდიოდა.

ჟურნალს სათავეში ცნობილი საზოგადო მოღვაწე თეო აბაშმაძე ჩაუდგა. პასუხისმგებელ მდივნად ღირსეული ჟურნალისტი, მირცა კალანდაძე დაინიშნა. დიდი სურვილი გვქონდა ჟურნალისათვის „ქართველი ქალი" გვეწოდებინა, მაგრამ ნება არ დაგვრთეს იმ საბაბით, რომ საქართველოში სხვა ეროვნების ქალებიც არიანო. არც „მანდილი" გვირჩია აკადემიკოსმა გიორგი ახვლედიანმა, ამ სახელწოდებისათვის ლექსიც კი დავწერე სატიტულო გვერდისათვის. ბოლოს, არჩევანი „საბჭოთა ქალზე" შეჩერდა.



მარიკა და ბიძინა შვილიშვილებთან ერთად ლანა, მაკა, ქეთინო. 1985 წ.

მე სარედაქციო კოლეგიაში შემიყვანეს. ჩემი ნანულიც აქაა. ვფიქრობ, ჟურნალში შეძლებს იგი თავისი ნიჭის, პროფესიონალიზმის გამომჟღავნებას, მაგრამ მისი ოჯახური ცხოვრების, დედობისა და შემოქმედებითი საქმიანობის წლები, ჩემ ყოველმხრივ დაძაბულ წლებს დაემთხვა. ცოტა მოგვიანებით, როდესაც ბავშვი უკვე წამოჩიტულია, ნანული ჩვენთან გადმოსახლდა და მაშინაც ვერ ვახერხებდი მისთვის საჭირო ყურადღების განაწილებას...

ჩემს ოჯახურ დამსახურებად მაინც ის მიმაჩნია, რომ ორი დაობლებული ოჯახის შემტკიცება და ჩვენი სამი შვილისათვის მშობლიური, სიყვარულით გამთბარი ატმოსფეროს შექმნა შევძელი, რა თქმა უნდა, ქმრისა და შვილების დახმარებით.

...60-იან წლებში, ჩვენ უკვე საბურთალოზე, პეკინის ქუჩაზე ვცხოვრობთ. სულხანი და მერაბიც დაქორწინდნენ და ჩვენს დიდ ოჯახს სამი გოგონა შეეძინა: სულხანსა და ლია გედევანიშვილს — ქეთინო, მერაბსა და თინა გელდიაშვილს — ლანა, ნანულისა და კოტე ჭორიძეს — მაკა. შემდეგ შეგვეძინა: დიმა, პაატა, გურამის ნათია. ჩემს შვილიშვილებთან ერთად მრავლდება ჩემი ლექსებიც, იბადება პიესები...

❦ ❦ ❦

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში „ჩემი ყვავილეთის“ რეპეტიცია მიმდინარეობს. პიესის კითხვის დროს, გულის არეში ტკივილი ვიგრძენი, მაგიდასთან უხერხულად ვზივარ, მკერდზე ხელი მაქვს მიჭერილი, ვცდილობ, არავინ შემამჩნიოს. აკაკი დვალიშვილს მაინც მოუკრავს თვალი.

— რა მოგივიდათ? — მეკითხება.

— გული მეტკინა-მეთქი, ვპასუხობ.

— გულის ტკივილის გარეშე ასეთი პიესის დაწერა არ შეიძლება! — მითხრა მან.

განა შეიძლება ადამიანს გული არ ტკიოდეს, როდესაც ხედავს, როგორ ცარიელდება სოფელი, იჭედება კარ-ფანჯარა, ვერანდება კარ-მიდამო.

პრემიერა 1960 წლის 6 თებერვალს შედგა. პიესა კოტე სურმავამ დადგა. მუსიკალური ფონი კომპოზიტორმა სანდრო მირიანაშვილმა მოუძებნა. სპექტაკლი დიდებული „ცა-ფირუზით“ იწყება. მაყურებელი განწირული ქართული სოფლის ბედს განიცდის. გულში ჩამწვდომია გრიგოლ კოსტავას — ყარამანის დიალოგი ძმისშვილთან და რძალთან.

სპექტაკლის შესახებ თეატრმცოდნე ნოდარ გურაბანიძემ ჟურნალ „საბჭოთა ქალში“ საინტერესო წერილი გამოაქვეყნა.

ჩვენმა ნათესავმა, თამარ ლეჟავამ (დედამისი ბარათაშვილის ქალია, მამას ბიძაშვილი) დამირეკა, „ჩემი ყვავილეთი“ ვნახე და ბევრი ვიტირე, ჩვენ მიერ მიტოვებულ და გაქერანებულ კარ-მიდამოზე, „ანგიასეულ“ პარტახზეც რომაა შიგ ლაპარაკიო. ვარლამმაც (აკადემიკოსი თოფურია, თამარის მეუღლე) ძალზე განიცადა ჩვენი ყვავილეთის ბედიო.

„ჩემი ყვავილეთი“ საქართველოს კიდევ რამდენიმე თეატრში დაიდგა: ჭიათურის, ოზურგეთის, ცხინვალის, სოხუმის, თელავის, ბათუმისა და თბილისის სომხურ თეატრში. მოგვიანებით კი, იგი მაყურებელმა პლეხანოვის სახელობის კლუბთან არსებულ სახალხო თეატრში იხილა.

სპექტაკლის რეჟისორმა ნელი ჭანტურიამ სახალხო თეატრების დათვალიერებაშიც გაიმარჯვა და ოქროს მედალი დაიმსახურა. ეს პიესა ითარგმნა ოლექსა სინიჩენკოს მიერ და ცალკე წიგნად გამოვიდა, ისევე, როგორც ოლექსა ნოვიცკის მიერ თარგმნილი „ჭრიჭინა“ უკრაინულ ენაზე.

ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, მწერალმა ლუბა ვორონკოვამ მთხოვა პიესის თარგმნა. სიამოვნებით დავთანხმდი. ლუბა სოხუმშიც ჩამოვიდა ჩემს აგარაკზე და გატაცებით მუშაობდა. არასოდეს დამავიწყდება ერთად გატარებული ის ერთი თვე.



გრიგოლ აბაშიძე, მარიკა გარაბაშვილი, მეღია ჩახავა, სერგო ზაქარიაძე, სალომე ჯანელი, მოსკოვი 1960 წ

„ჩემი ყვავილეთის“ რუსული პწკარედი მოსკოვში, დრამატურგთა საკავშირო შეკრებაზე მოიწონეს და კულტურის სამინისტროს დაევალა ჩემთან ხელშეკრულების გაფორმება, ჟურნალ „ტეატრს“ კი — თარგმნილი პიესის დაბეჭდვა.

ჩემს სამაჩაბლოსა და სოხუმში

1962 წლის 3 ივნისს, სამაჩაბლოში, სოფელ ქემერტში, დედაჩემის ბიძის დიმიტრი კასრაძის ოჯახში თავი მოვიყარეთ კასრაძეების ოთხი ძმის: დიმიტრის, სიმონის, ილარიონის, სპირიდონისა და ერთი დის, მაკას შთამომავლებმა: კასრაძეებმა, ჩაგუნავებმა, მაჩაბლებმა, გელაშვილებმა, ბარათაშვილებმა, გულისაშვილებმა, გოგებაშვილებმა... და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულმა მათმა შვილებმა, შვილიშვილებმა, რძლებმა, სიძეებმა.

მწყინს, რომ ბევრს არ მიეცა საშუალება ქემერტში ყოფნისა, მაგალითად, ჩვენთან არაა დიმიტრი კასრაძის სიძე, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, რომელსაც ძალზე უყვარს ეს სოფელი და ზაფხულს ხშირად აქ ატარებს ხოლმე.

ქემერტში ჩამოსვლისთანავე პატარა ბექობს მივაშურეთ, სადაც დიდედაჩემი სონია ქუჩუკაშვილი-კასრაძეა დაკრძალული. მეუღლის დაკარგვის შემდეგ, ბაბუაჩემი, მღვდელი სვიმონ კასრაძე, თავისი რვა შვილით, კასპის რაიონის სოფელ ჩოჩეთში გადასახლებულა.



მარიკა ბარათაშვილი დედულეთში, სოფელ ქემერტში, ნათესავებთან ერთად
1962 წ. ივნისი

...სიამოვნებით გავატარეთ ის დღე ქემერტში და გადავწყვიტეთ, ხშირად შევიკრიბოთ...

როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, სამაჩაბლოს ქართული სოფლები დარბეულია, ქართული ოჯახები — ანიოკებული, ქართველები კი თავისი ძირძველი ადგილებიდან დევნილები არიან. ასე მტრებად გვექცნენ ოდესღაც აქ ჩამოსახლებული და მომრავლებულ-მომძლავრებული ოსები, რა თქმა უნდა, მათი რუსი მრჩევლებისა და მფარველების შემწეობით. დარბევასა და აოხრებას, ნეტავი, ბებიაჩემის საფლავი გადაურჩებოდა ქემერტის ბექობზე?!

უეჭრად ყველა კანონის მგმობმა
(რომ არ ველოდით არა, სრულებით),
უგონო ღვარძლმა, შურმა და მტრობამ
მთლად აინყვიტა აპეურები.
ეშმას უპყრია სიკვდილის ცული
და არნახული ჭრდვა მოჯარდა:
ინვის სახლ-კარი, საბადებელი.
ძირძველი კერა ქართულ ოჯახთა...
ჩრდილოეთიდან ზვავი მოდიდდა,
სურს ქართულ კერას ხედავდეს მოშლილს
და გზებს მოჰყვება ჯარი ლტოლვილთა
საქართველოდან – საქართველოში.

(„დიდედასთან გასაუბრება")

60-იან წლებში სოხუმის სახლის ხშირი ბინადრები ვართ. საოცრად მომხიბლავია ქალაქისა და ზღვის ხედი სამსართულიანი აგარაკიდან. მეტწილად მე და ელენე დეიდა ვატარებთ აქ ზაფხულისა და შემოდგომის თვეებს. ვხარობთ, როდესაც ჩვენთან ამოდიან მეგობრები, განსაკუთრებით, პოეტი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ჟურნალისტი ლეილა დადიანი (მომღერალ გია ჭირაქაძის დედა) და მარგალიტა გვასალია. ვსხედვართ მესამე სართულის ღია აივანზე და გადავცქერით ზღაპრული მშვენების ქალაქს — განსაკუთრებით ღამით რომ არის მომხიბლავი...

ხან დღე ჰგავს ფერიას. ზღვას ისე გადუკლის.
რომ გაშლილ ფარჩაზე კვალიც კი არ ჩანს...
(აქ იყო ისეთი შფოთვა და ხმაური?
რა ნაზად შრიალებს ცალღების ფარჩა!)
მზე ისე იწინის... გიკვირს, არ იღლება!
და გვიან, სულ გვიან ზღვას პეშვით დალევს
და როცა მოღლილი წუკვით და თარეშით
საძილედ ჩანვება ზვირთების ბადეში.
მის ძებნად ნამოვა სალამო – ბინდებად.
შემდეგ ჩირაღდნებით დაეძებს ღამეც.
ამ ცისქვეშ გრძნობები ვერ დაგიმალია.
აარჩევ კენჭებს და დააბნევ ნაფიქრალს
და გწყინს, რომ დღეები აქ ისე მალია.
ისეთი სხვრაფია და ისე მჭრქალია,
როგორც ამ ქვიშაზე ცალღების ქაფი.

(„სოხუმი")



ნელი თარგა, მარიკა ბარათაშვილი, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე. სოხუმი 60-იანი წლები.

მაგრამ დიდხანს არ გრძელდება ეს ბედნიერება. ელენე დეიდამ, ნავარძეთში ყოფნისას, ფეხი მოიტეხა — მენჯის სახსარში, საოცრად ვაჟკაცურად იტანდა ტკივილს, რომ მე და ჩვენი სტუმრები თინა დონჟაშვილი და ქეთო ხომერიკი არ შევეწუხებინეთ. სტუმრები მეორე დღესვე წავიდნენ, ელენე კი ჯერ ჭიათურის საავადმყოფოში დავაწვინეთ, შემდეგ — დიდი გაჭირვებით ჩავიყვანეთ თბილისში. საოცარი მოთმინებით გადაიტანა ოპერაცია და რამდენიმე ხანში, ყავარჯნების დახმარებით, ფეხზე დადგა, მაგრამ სოხუმსა და ნავარძეთს კი სამუდამოდ დაემშვიდობა. მისმა პოლიართრიტმა იმძლავრა... ამდენ ტკივილს ვეღარ გაუძლო და... 1964 წლის ოქტომბერში გარდაიცვალა.

ახალი პიესები. ქალთა ჟურნალის რედაქტორად არჩევა

1962 წლის 27 დეკემბერს, ჭიათურის თეატრში დაიდგა ჩემი პიესა „რატომ“ ეს სამმოქმედებიანი კომედია ოჯახსა და საზოგადოებაში ქალის თანასწორუფლებიანობის პრობლემებს მიეძღვნა. რეჟისორია — სოფრომ ცომაია, მხატვარი მიხეილ აბჟანდაძე, მთავარ როლში — ნოდარ ჩაჩანიძე. 1963 წლის 13 ივლისს კვლავაც სოფრომ ცომაიამ დადგა „სიყვარულის წისქვილი“ („შეხვედრა ნაკადულასთან“). მხატვარი გახლდათ კვლავ აბჟანდაძე, მთავარ როლში — ანტონ ბარათაშვილი. ეს პიესა ფოთშიც განხორციელდა რეჟისორ ზ. ჯანელიძის მიერ.

1964 წელს, გორის თეატრში დაიდგა „სიყვარულის წისქვილი“. რეჟისორი გოგი აბრამაშვილი, მხატვარი შ. ხუციშვილი, მუსიკა ლილი იაშვილს ეკუთვნოდა.

სულ დაიდგა ჩემი 9 პიესა, ვერ განხორციელდა „უცნაური თამაშების საღამო“. რაიონული თეატრების მიმართაც მხოლოდ მადლობა მეთქმის, თავად აკითხავენ კულტურის სამინისტროს და ნაწარმოებები მიაქვთ, მარტო ჭიათურის თეატრმა 8 პიესა დადგა.

1964 წლის 3 აპრილს, ჭიათურელებმა თეატრის შენობაში ძალზე თბილი შეხვედრა მომიწყვეს. დაუვიწყარი საღამო იყო...

აგვისტოში, ისევ ჭიათურაში, ჩემს ნუნუსთან ჩავედი. უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს მასთან ყოფნა. წარსულის სევდიანი თუ ღიმილიანი მოგონებებით, სადღეისო, საქვეყნო თუ პირადულ პრობლემებზე განსჯითაა დატვირთული ჩვენი საუბრები.

შემდეგ ნავარძეთში გავემგზავრე, დაძაბულად ვმუშაობ, „სართულებზე“ უნდა მოვამთავრო. დავიღალე. დასვენება არ ხერხდება, რადგან მოდიან და მოდიან ადამიანები, თავიანთი ჭირ-ვარამით და არის ლაპარაკი მათ გაჭირვებაზე, სიკვდილზე, ავადმყოფობაზე. მინდა ყველა დავამშვიდო, რაღაც ვუშველო... სკოლაშიც ვიყავი.



60-იანი წლების ფოტოკოლაჟი
სხედან: ნინო გეზარაშვილი, ანა აღლაძე, ანა ღვინიაშვილი, მარიკა ბარათაშვილი, მარიჯანი, ნინო კლდიაშვილი, თამარ ანდღულაძე, დგანან ქეთო ჭილაშვილი, დოდო ჯადაჭკორია, ქეთო ჟურჟაშვილი, ნინო თოფჩიშვილი, თამარ ჩხაიძე, ნადია გეგეჭკორი, ნინო დოლიძე, ნინო ჩიხლაძე 1962 წ. 8 მარტი
2. აფრიკის ერთ-ერთი სამეფოს პრემიერ-მინისტრის მეუღლე და მარიკა ბარათაშვილი აფრიკის ხალხებთან მეგობრობის კონფერენცია 1966 წ.
3. მარიკა ბარათაშვილი სალვადორელ პოეტთან ერთად. 1964 წ.

შენობა სრულიად უვარგისია, არც ეზო გააჩნიათ. სოფელს უნდა დავეხმარო.

ნეტავი, ნაყოფიერად ვიღვაწე? რა ბედი ეწევა პიესას? ჩემს ბიძაშვილს მსახიობ ანტონ ბარათაშვილს ძალიან მოსწონს და მაჩქარებს, თეატრში წაიკითხეო. რაც ელენე დეიდა გარდაიცვალა, სოხუმის სახლმაც მიმზიდველობა დაკარგა. ბიძინა მუშაობს, შვილებიც ვერ ახერხებენ სოხუმში ჩამოსვლას. მშვენიერია ეს სახლი, მაგრამ ქალაქის ცენტრიდან, ზღვიდან თუ ბაზრიდან, სამი კილომეტრითაა დაშორებული და უმანქანოდ იქ ცხოვრება მეტად ძნელია. და აი, დღის წესრიგში დადგა სახლის გაყიდვის საკითხი. გვენანება, მაგრამ რა ვქნათ, ვერავინ ვიცლით იქ მისასვლელად.

რაც სახლი ავაშენეთ, უფასო მდგმურები ყოველთვის გვყავს — ახალდაქორწინებულნი, გაჭირვებული ქართველი ახალგაზრდები, ვისაც ბინის დაქირავების სახსრები არ გააჩნია...

ათი წლის განმავლობაში რამდენიმე ოჯახს გავუმართეთ ხელი. საოცარია, მაგრამ ფაქტია: მდგმურების უმეტესობა, არც ბაღ-ვენახს უვლის, არც საოჯახო ნივთებსა და ავეჯს უფრთხილდება. ერთი მათგანი კი იმდენად გათავხედდა, რომ ჩვენ ავტოფარეხს აქირავებს და შიგ სამინისტროს „ვოლგა“ უდგას. ვენახი კარგად მოვლილი ჩაგვაბარა, მაგრამ ყურძენი ღამით ჩუმად დაუკრეფია და თავისი „ვოლგით“ გაუზიდია, ხოლო მის შემდგომ მდგმურს მეზობლისათვის საიდუმლოდ გაუნდვია: აგერ, მეორე შვილს გავაჩენთ და აქედან ფეხსაც ვერ მომაცვლევინებენო. თავად თბილისშიც ბინა აქვთ და სოფელშიც, მე კი არაფერი გამაჩნიაო.

სახლის გაყიდვა საბოლოოდ გადავწყვიტეთ. მეზობლები ძალზე შეაშფოთა ამ ამბავმა, რადგან გარდა ჩვენი კარგი მეზობლობისა, არაფერი ახსოვდათ. აქ ყოფნისას უბანს შუქისა და გაზის გაყვანაშიც მოვეხმარე, ტრანსპორტის მოძრაობის საკითხის მოგვარებაშიც და, საერთოდ, იმ უბნელებს თავის ქომაგად მივაჩნდი. ამიტომაც, თურმე სახლის მუშტრებს უარით ისტუმრებდნენ. მხოლოდ ერთმა მათგანმა მოიფიქრა, — თბილისში ჩამოგვაკითხა და, რომ იტყვიან, სახლი, რადგან ქართველი იყო, ჩალის ფასად შეიძინა.

სალომე ბებიასათვის მიცემული პირობა სრულდება. მერაბი რომ არა, რომელიც იმ ხანებში პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალში კითხულობდა ლექციებს, ნავარძეთის სახლი ვერ აშენდებოდა. ძველ ეზოს გურამს ვუტოვებთ, მის ზემოთ კი ახალი სახლის მშენებლობა დავიწყეთ.

როგორ მომიხარია ახლა აქეთ!

აი, ახლაც, ჭერათხევი უკან მოვიტოვეთ. მანქანაში ვსხედვართ მე, მერაბი და ბიძინა. სიხარულს ვერ ვფარავ.

— ასე რომ გიყვარს, დედა, აქაურობა, იმიტომაც გიშენებ ნავარძეთში სახლს! — ღიმილით მეუბნება ჩემი შვილი.

ცრისკენ გაქცეულ ბილიკს შევყვი,
შემომხვევია ნატვრა ულევი.
გვერდით მომდევენ მოგონებები,
ბავშვობის გზიდან მონვეულები.
კარვად გაშლილი კაკლის ხეები.
ლოყამწარნარე გრონეულები.
ვხედავ იმ ოდებს აივნებიანს,
ეზოებს ნაჭარგს ყვავილნარებად.
ვინც აქ მოსულა, ვინც სტუმრებიათ.
(ზემო იმერეთს ვით ეკადრება),
აგამღერებენ. ამღერდებიან
დამშვიდობება დაგენანება

(ზემო იმერეთში)

❀ ❀ ❀

1965 წლის სექტემბერში, კახეთის გზატკეცილზე, ავტოავარიაში, ტრაგიკულად დაიღუპნენ ქალთა ჟურნალის რედაქტორი თეო აბაშმაძე და მისი მეუღლე კონსტანტინე ჯაფარიძე. მთხოვეს, გამოსათხოვარი სიტყვა მეთქვა. ბევრი ვიღელვე, დიდი გულისტკივილით გამოვეთხოვე.



ეახტანგ ბერიძე, სტუმარი ქალბატონი, თეო აბაშმაძე, ნანული ბარათაშვილი. 1962 წ.

გავიდა ხანი... ჟურნალის რედკოლეგიამ „საქართველოს ქალის“ რედაქტორად დამასახელა.

სამსახურზე არასოდეს მიფიქრია, სამსახურის გარეშე რასაც ვაკეთებ, იმაზე მეტს ვერც გავაკეთებდი: ვმუშაობ პიესებზე, ლექსებზე, ნარკვევებზე, მაქვს დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა, არც ეკონომიურად მიჭირს — მე და ბიძინა საკმაოდ უზრუნველვყოფთ ოჯახს. მიუხედავად ამისა, ქალთა ჟურნალის ხელმძღვანელობა ძალზე საინტერესოდ და დიდ პატივად მიმაჩნია.

1965 წლის ნოემბრიდან „საქართველოს ქალის“ რედაქტორი ვარ. ადრეც, ჟურნალის დაარსების (უფრო სწორად აღდგენის) დღიდან, რედაქციის მუშაობაში აქტიურად ვმონაწილეობდი, როგორც მისი რედკოლეგიის წევრი და ვიცნობდი მის მუშაკებს: პასუხისმგებელ მდივანს მირცა კალანდაძესა და მის შემოქმედებითსა თუ ტექნიკურ პერსონალს: ნაზი კილასონიას, ლია კაკაბაძეს, მედეა კვარაცხელიას, ნანული ცაგარეიშვილს, ირმა ჩოფიკაშვილს, ლია გოგიშვილს, ნანული ბუკიას, რამინ მელაძეს, ქეთევან დემუროვას, ოლია რევიას, ვერიკო გეგეჭკორს, მხატვარ ლეონარდო შენგელიასა და ფოტორეპორტიორ დავით იაკობაშვილს. ჩემი ნანულიც, როგორც აღვნიშნე, აქ მუშაობს, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების განყოფილების გამგეა.

თეოს დაღუპვამ ყველა დაამწუხრა. ამასთან ერთად, იყო დიდი ღელვა, ვის დანიშნავდნენ მის ადგილზე. როგორც ვატყობ, კოლექტივს ჩემი მისვლა გაუხარდა.

ღმერთო, მომეცი ძალა, გავამართლო მათი იმედები!

ღმერთო, მომეცი ძალა, ხალხის სასიკეთოდ, გონივრულად წარვმართო რედაქციის საქმიანობა. მოვერიო ამ მეტად საპატიო, მაგრამ მძიმე ტვირთს!

17 დეკემბერს მატარებლით „თბილისი-მოსკოვი“ მე და ლეონარდო შენგელია „სოვეტსკაია ჟენშჩინას“ 20 წლის იუბილეზე მივემგზავრებით. რედაქტორად ჩემი მუშაობის ერთი თვე შესრულდა. ტკივილებით, მღელვარებითა და მასთან ერთად, ოცნებებით სავსე იყო ეს ერთი თვე. მოსკოვის სადგურზე დაგვხვდნენ და სასტუმრო „ბუდაპეშტში“ დაგვაბინავეს.

20 დეკემბერს დეპეშით მივულოცე ვასო გოძიაშვილს მისი დაბადების 60 წელი. საღამოს კი „სოვეტსკაის ჟენშჩინას“ იუბილეს ვესწრებით. არის მილოცვები, სიტყვები. ღონისძიებამ კარგად ჩაიარა.

მეორე დღეს სხვადასხვა რესპუბლიკის ქალთა ჟურნალების რედაქტორებმა მოვიყარეთ თავი. ერთმანეთს ვეცნობით, ვლაპარაკობთ ჩვენს გეგმებზე, საქმიანობაზე. „რაბოტნიცასა“ და „კრესტიანკას“ გაერთიანებულ ღონისძიებას ვესწრებით. ძალზე საინტერესო საუბარი გაიმართა.

მოსკოვში ყოფნისას ჩემი საყვარელი ცოლ-ქმარი მარია ლეოპოლდის ასული და გრიგორი ისაიას ძე რევზინები მოვინახულე.

რედაქტორობისას მიღებული ზომები დანგრეული ოჯახების გადასარჩენად



მარიკა რედაქციაში 1966 წ.

...რედაქციაში მუშაობამ უფრო ღრმად ჩამახედა ცხოვრებაში, დამაახლოვა ოჯახებთან, ადამიანებთან. რამდენი დანგრეული ან დანგრევის ზღვართან მისული ოჯახი, მიუსაფარი, გაჭირვებული ადამიანი, უპატრონო ბავშვი, მოხუცი თუ ყველა ესენი ყოველდღიურად მოდიან ჩვენთან, ან წერილობით მოგვმართავენ დახმარებისათვის. უხვად მოიძიება უსულგულობის, უკანონობის, ადამიანის ჩაგვრის, მისი უფლებებისა და ადამიანური ღირსების უხეშად შელახვის მაგალითები... რამდენი ტრაგედიის მომსწრე და მომსმენია ეს კედლები! მტყუან-მართლის განსჯის რა უნარია საჭირო, რომ შეცდომა არ დაუშვა! ყოველი გადარჩენილი ოჯახი თუ ბავშვი გადამრჩენის მადლიცაა და ქვეყნის სიმდიდრეც.

ქალთა და არასრულწლოვანთა კოლონიებშიც გვიხდება მისვლა. ქალთა კოლონიაში ცხრა-ცხრა წლის პატიმრობა მისჯილის, მამისა და ქმრის მკვლელის ბედმა დაგვაინტერესა. ორთავეს სასჯელი უკანონოდ მივიჩნიეთ და საქმეების გადასინჯვის შემდეგ, შესაძლებელი შეიქნა მათი გათავისუფლება. ერთ მათგანზე — კერძოდ, მამის მკვლელ გოგონაზე დაწერილმა ჩემი ნანულის ნარკვევმა დიდი მოწონება დაიმსახურა და ყოფილი პატიმრის ბედზე სასიკეთო გავლენა მოახდინა... ვფურცლავ იმ ოჯახების, ქალებისა და ბავშვების ისტორიებს და ვმადლობ უფალს, რომ შეგვაძლებინა ბევრი მათგანის ბედის სასიკეთოდ შემობრუნება.

დიდი ძალა აქვს პრესას, თუ სამართლიანად გამოიყენებ.

პოლიომიელიტით დაავადებული, ქუთაისელი 6 წლის ბიჭი მამამ მიატოვა. მიატოვა მაშინ, როდესაც ბარგი შეკრული ჰქონდათ სამკურნალოდ გასამგზავრებლად. გავიდა შინიდან და აღარ დაბრუნებულა. გულით დაავადებულ დედას კი, არც ფიზიკური, არც მატერიალური საშუალება არ გააჩნდა. ბიჭი უკვე თოთხმეტი წლისა იყო, როდესაც ჩვენ მოგვმართა. იწერებოდა, რომ არაფერს მოითხოვდა მამისაგან, მხოლოდ ნახვას და გამამხნევებელ სიტყვას — მამობრივ, კაცურ დახმარებას. მამა, რომელიღაც ახლო რაიონში ცხოვრობდა,

მაგრამ შვილის წერილობით თხოვნასაც არ პასუხობდა.

ო.ი-ს წერილი ჟურნალში გამოვაქვეყნეთ და რარიგ გავიხარეთ, როდესაც მას თითქმის მთელი საქართველო გამოეხმაურა: წერილებს სწერდნენ, ტელეფონით ურეკავდნენ, თავისთან ეპატიჟებოდნენ. ერთ-ერთი წაღვერელი პენსიონერი სწერდა: ურმით ჩამოვალ და საზაფხულოდ ჩემთან ჩამოგიყვანო. ყმაწვილს ჯერ სკოლა ამოუდგა მხარში, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. მოდიოდნენ მასწავლებლები, ამხანაგები... თბილისიდან საჯარო ბიბლიოთეკა აწვდიდა საჭირო ლიტერატურას. მე და ოლია რევიამ ბავშვი რომ ვინახულეთ, ეტლში იჯდა და ინგლისური ენის სახელმძღვანელო ჰქონდა გადაშლილი...

რომელი ერთი მოვიგონო, იმ მძიმე დღეების ამბებიდან! რამდენი მამა უარყოფდა თავის მამობას, რამდენი უპატრონოდ და უსახსროდ ტოვებდა მოტყუებულ ქალსა და უმწეო ბავშვს. ერთ-ერთი ასეთი მამა „ბამიდანაც“ ჩამოვიყვანეთ. ახლა მათ ბედნიერი ოჯახი აქვთ.

რედაქციაში წერილი მოვიდა: „ამას წინათ ქუჩაში ნაცნობი გოგო შემხვდა. ვიღაც ქალთან ერთად იყო. გამაცნო. ქალი შემეკითხა, მაქცევს თუ არა ყურადღებას მამაჩემი. მე მამა არა მყავს-მეთქი, — ვუპასუხე. როგორ არა, მამაშენი სოხუმშია, პროკურატურაში მუშაობს — მგონი მთავარი პროკურორის მოადგილეა, მამიდაშენი კი ზუგდიდის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მასწავლე-



„საქართველოს ქალის“ თანამშრომლები. სხედან: ვერიკო გეგეჭკორი, მირცა ქალანდაძე, მარიკა ბარათაშვილი, ოლია რევია, ნანული ბარათაშვილი. დგანან: ლეონარდო შენგელია, ქეთევან დემუროვა, მხატვარი ტარასაშვილი საფრანგეთიდან, ნანული ცაგარეიშვილი, ირმა ჩოფიკაშვილი, ნანული გუკია 1967 წ



ვერიკო ანჯაფარიძე, ელენე ახვლედიანი „საქართველოს ქალის“ რედაქციაში 1918 წ

ბელიაო. გაკვირვება, წყენა ერთმანეთში ამერია, მე კი დედაჩემისაგან ვიცოდი, რომ მამა აღარ მყავს. შინ დაბრუნებულმა დედას ვუამბე იმ შეხვედრის შესახებ და არ მოვეშვი, სანამ სიმართლე არ ვათქმევინე.

მე ახლა თექვსმეტი წლისა ვარ, საშუალო სკოლა დავამთავრე. არც მამაჩემისაგან, არც მამიდასაგან სხვა არაფერი მინდა, გარდა იმისა, რომ ერთხელ მაინც მენახა, ვინ არიან, როგორები არიან?! და, აი, სამი წერილი მამას გავუგზავნე, სამი — მამიდას. მაგრამ არც ერთმა არ მიპასუხა. რატომ, რა დავუშავე, მე ხომ არაფერს ვთხოვდი, მხოლოდ ორად-ორ სტრიქონს, ჩემი წერილების პასუხად... დედაჩემი ბევრს ეცადა, მაგრამ წერილების გაგზავნაში ხელი ვერ შემიშალა. ეტყობა, ძალზე შეურაცხყოფილად და მოტყუებულად მიიჩნევდა თავს, როდესაც სოფლის იმ სკოლიდან წამოვიდა, სადაც მამაჩემს შეხვედრია. შემდეგში დედას ხმა გაუურცელებია, რომ გათხოვდა. მე ახლა აღარაფერი მახარებს... ძვირფასო რედაქციავ, დამეხმარე, მომწერე, როგორ მოვიქცე!“

ცხადია, შეგვძრა გოგონას სასონარკვეთილმა ტონმა, წერილი ჟურნალში დავბეჭდეთ, ხელმონერა ინიციალებით გამოვაქვეყნეთ. ზაფხული იყო. რედაქციაში რემონტი მიმდინარეობდა. თანამშრომელთა უმეტესობა შვებულებაში იმყოფებოდა. სექტემბრის პირველ რიცხვებში დავბრუნდი სამსახურში და გავიგე, რომ იმ წერილის გამოქვეყნებას დიდი ამბები გამოუწვევია. სოხუმიდან რეკავს გოგონას მამა და მისამართს გვთხოვს. მას წარმოდგენა არ ჰქონია შვილის არსებობის შესახებ და არც არავითარი წერილი არ მიუღია. რომ ჰყავს მეუღლე და ორი ვაჟი და, ბედნიერად მიიჩნევდა თავს, თუკი თავის გოგონას ნახავდა. „არ იფიქროთ, რომ სამსახურიდან განთავისუფლების შიში მალაპარაკებდეს. არაფერს არაფრად ჩავთვლიდი, ჩემი ქალიშვილი რომ მაპოვნინა. ეგებ, წერილით მივაგნო! ხვალ ჩამოვდივარ!“

მეორე დილით მართლაც თავზე დაგვადგა გოგონას მამა. კაცმა გაიხსენა, ვისთანაც იმ წლებში სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონია და, ბოლოს, ზუგდიდის ერთ-ერთი სკოლის, მის დასთან ერთად მომუშავე მასწავლებელი გაიხსენა. ეს ყოფილა მისი

ლენინგრადში სასწავლებლად გამგზავრების წინ. შეყვარებულს დაჰპირებია, რომ იქ ჩასვლისთანავე გამოუგზავნიდა წერილს. იქ კი უამრავი საზრუნავი დასტეხია თავს და როდესაც წერილის მისაწერად მოუცლია, პასუხი აღარ მოსვლია, დას კი უცნობებია, რომ ის ქალიშვილი მათი სკოლიდან და სოფლიდანაც წასულა, ხოლო შემდეგ, გათხოვილა. გოგონას გვარის ინიციალიც იმ ქალზე მიუთითებს და რამდენადაც ახსოვს, ბათუმელი იყო, მაგრამ მისამართი? როგორ დაადგინოს? არადა, დრო აღარ ითმენს, მისი ბედი ბეწვზე ჰკიდია.

გადავწყვიტეთ აქტიურად ჩავრთულიყავით წერილის ავტორის ძებნაში. კაცს რედაქციიდან, ოლია რევია გავაყოლეთ. ბათუმში გაემგზავრნენ. დადიან, დაეძებენ, ფეხით შემოიარეს ბათუმი, მაგრამ... მე, ამასობაში, ვრეკავ სოხუმში, იქაურ ხელმძღვანელობას ვაცნობ საქმის ვითარებას, ვთხოვ, არ აჩქარდნენ და, ვარწმუნებ მამაკაცის წესიერებაში, რომ ის არათუ უდანაშაულოა, არამედ ჩემს ჟურნალისტურ პრაქტიკაში ერთადერთია, რომელიც ასე მონდომებით ეძებს შვილს, რომლის არსებობაზე წარმოდგენაც არ ჰქონდა.

და, აი, მოულოდნელი წერილი: „ძვირფასო მარიკა ბებია, რომ იცოდეთ, რა ბედნიერი ვარ! შევიძინე მამა და ორი ძმა. მომძებნეს, მოვიდნენ. ახლა გავაცილე და დამპირდნენ, რომ მალე ჩამომაკითხავენ“



„თუში მეცხვარის“ დამდგმელი რეჟისორი სოსო ჩხაიძე (დგას მარჯვნიდან პირველი), როლების შემსრულებლები პატარა ზურიკო, მეცხვარე გიორგი და ალეკოს როლის შემსრულებელი მსახიობი ხიზანიშვილი (ჩხაიძის გვერდით) სტუმრად რედაქციაში. 1977 წ.

მადლობის წერილი მოგვდის გოგონას მამისაგანაც, ოღონდ, წუხს, რომ ქალიშვილი აგერ ახლა გათხოვდა, ადრე რომ მიესწრო, ინსტიტუტში შეიყვანდა. ახლა კი სიძეზე ზრუნავს, რომ სამსახური უშოვოს. და საერთოდ, რაც შეუძლია იზრუნებს სიძე-ქალიშვილზე.

მსგავსი მრავალი ისტორიის გახსენება შეიძლება რედაქციის ყოველდღიური ყოფიდან. ერთ ქალს დაკარგული შვილიც კი ვაპოვნინეთ.

ჩვენი რედაქციის შუამდგომლობით, ქორწინების კანონმდებლობაში შეტანილია მუხლი, რომლის თანახმად, კანონი იცავს მშობლებისა და მათი შვილობილების უფლებებს. ისჯებიან ადამიანები, რომლებიც იჭრებიან მათ ურთიერთობებში, ამხელენ გაშვილების საიდუმლოს, გულს უცრუებენ ბავშვებს მოამაგე მშობლებზე. რამდენი ასეთი ტრაგედია ხდება ჩვენს თვალწინ... რა ბედნიერებაა, როდესაც დღის ბოლოს, ანგარიშს აბარებ საკუთარ თავს და რწმუნდები, რომ დღე უქმად არ დაგიკარგავს — რომ ვიღაცას შველი, ვიღაცას იმედს უმართლებ.

დღითი-დღე იზრდება ჟურნალის პოპულარობა და ტირაჟი. განა პატარა ამბავია უდანაშაულო ადამიანის დაცვა, არცთუ ისე მძიმე დამნაშავის გამოხსნა რუსეთში გასაგზავნთა ეშელონიდან, ანდა ბრძოლა დაავადებული, სასიკვდილოდ განწირული პატიმრის საქართველოში დასაბრუნებლად! მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს უანგარობასა და სამართლიანობაში ეჭვი არავის უჩნდება.

ერთ-ერთ 8 მარტს კი, ქალთა კოლონიაში ზეიმზე მიწვეულს, ორმოცამდე ქალმა, რომლებიც მეორე დღისათვის შორეულ ჩრდილოეთში გასამგზავრებლად იყვნენ გამზადებულნი, ცრემლით მთხოვეს დახმარება — აქ სიკვდილი გვირჩევნია გადასახლებას, ოღონდ ოჯახსა და შვილებს სამუდამოდ არ მოვწყდეთო. მათ ბედზე, სარვამარტო ზეიმს ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა გორგოძე. მას გადავეცი ქალების თხოვნა და ჩემის მხრივაც დავარწმუნე, რომ საქართველოში მათი დატოვება სჯობდა ჩრდილოეთში გასახლებას და უსაზღვროდ გავიხარე, როდესაც მინისტრმა სათანადო განკარგულება გასცა. იმ დღიდან, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, საერთოდ, ასეთი მკაცრი სასჯელით აღარ სჯიდნენ.

არ არსებობს იმაზე დიდი ბედნიერება, ვიდრე გაჭირვებული ან გზასაცდენილი ადამიანის შველა, ანდა ნიჭიერი ახალგაზრდისათვის ხელის ნაშველებაა.

ასე დავეხმარეთ ნიორაძეების ოჯახს, მათი ოთხი ნიჭიერი გოგონასათვის საბინაო პირობების გაუმჯობესებაში. შემდგომში ერთი მათგანი ლენინგრადის პრიმა ბალერინა გახდა, ორი — თბილისის ოპერის საბალეტო დასში ჩაირიცხა, მეოთხემ კი ლასკალას თეატრში გაითქვა სახელი, — დიდებული ხმა აღმოაჩნდა. ასევე შევძელით, რაღაც წვლილი შეგვეტანა პატარა მეციოლინის — მაია გვასალიასა და მხატვრული ტანმოვარჯიშის ირმა ყიფშიძის გზის გაკვალვაში.

შეუძლებელია ყველაფრის ჩამოთვლა, რითაც ცხოვრობს ჩვენი რედაქცია. აქ მხოლოდ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანე. რედაქციის საქაღალდეებიცა და ჩემი არქივიც სავსეა ბედისა თუ ადამიანებისაგან დაწიხლულთა ტრაგედიებით.

რამდენს მიხედავ? ექსტრემალურ შემთხვევებში, ადგილზე გვიხდება ფაქტებ-

ის შემოწმება. მაგალითად, მარტო ერთ გასვლაზე, მე და ოლია რევიამ დასავლეთ საქართველოს რვა რაიონი შემოვიარეთ. უამრავი სიმახინჯის მხილველი გავხდით! ერთ ქალს საბავშვო ბაღში მიბარებული ბავშვი გაუყიდეს, მეორეს — სამშობიაროში ბიჭი გოგოთი შეუცვალეს და სხვა და სხვა.

დამაფიქრებელია საქართველოში ქართველების დემოგრაფიული მდგომარეობა. მაშინ, როდესაც სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ოჯახებში ხუთი-ექვსი ბავშვი იზრდება, ქართულ ოჯახში — ერთი-ორი. მაგალითისათვის ჩემი სოფელიც კმარა: ადრე თუ ღარიბულ ქოხებში ექვსი, რვა და მეტი ბავშვი ჰყავდათ, ახლა მშვენიერი სახლ-კარის პატრონთა მემკვიდრე ერთი-ორს ძნელად თუ აღემატება. ქალთა შრომის, ყოფა-ცხოვრების, ბავშვთა აღზრდის პირობების შესწავლის მიზნით და იმისათვისაც, რომ ჟურნალმა შეძლოს მათი პრობლემების უფრო ღრმად ჩაწვდომა, მათი საზრუნავის შემსუბუქება, ადგილებზე, რაიონებში მივდივართ, ვმართავთ მკითხველთა კონფერენციებს. ვეცნობით მკითხველთა აზრს ჩვენი ჟურნალის მუშაობის შესახებ — ჩვენს სამომავლო საქმიანობაში გასათვალისწინებლად... ასე შემოვიარეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონი... ბევრი მათგანის ცხოვრება აისახა კიდეც ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ქალთა პრობლემები მეტ-ნაკლებად იდენტურია. ამ პრობლემებზე არაერთი შეკრება გაიმართა რედაქციაშიც. ჟურნალის მიზანია მთელი სიღრმით ჩასწვდეს მკითხველის გულს, შეაგრძნობინოს ქალის ტკივილის შემსუბუქების აუცილებლობა მათ, ვისაც მანდილოსნების დახმარება ხელეწიფება.



სხედან: ნათელა იანკოვიჩი, მარიკა ბარათაშვილი, მარიკა ლორთქიფანიძე, ნაჩი კილასონია; დგანან თინგიზ გიორგაძე, მაია ჩიგოგიძე, ლეონარდო შენგელია, ნანა ალექსანდრია, ნანული ცაგარეიშვილი, ნანა იოსელიანი, ალექსანდრე გეგაშვილი. 1978 წ.

...ჩემმა საქმიანობამ სხვადასხვა რესპუბლიკის ქალებთან დამამეგობრა, განსაკუთრებით ქალთა ჟურნალების რედაქტორებთან, ერთ-ერთი მათგანი უკრაინის ჟურნალის „რადიანსკა ჟინკას“ რედაქტორი ნინელი პრიხოდკოა. 17 ივნისი, 1966 წ. ნინელი თბილისშიც მეწვია. ყველაფერი გავაკეთე, რომ ეს სტუმრობა კარგად დამახსოვრებოდა მას. მცხეთაშიც მყავდა, ოჯახშიც მოვიპატიჟე. განსაკუთრებით მთაწმინდით

მოიხიბლა. ძალზე გაოცდა, როდესაც მთაწმინდის რესტორანში ვახშმობის დროს, ვიღაც, სრულიად უცნობებმა, შამპანურები და ტკბილეული გამოგვიგზავნეს.

რა სიამოვნებით იგონებდა ნინელი ყოველი შეხვედრისას თბილისში გატარებულ დღეებს! შეხვედრები კი წელიწადში ორ-სამჯერ მაინც გვქონდა მეტწილად ქალთა კომიტეტის მონვევით. ბოლოს, 1973 წელს, ქალთა კომიტეტის პლენუმზე შევხვდით ერთმანეთს. მაგრამ ვერც დავემშვიდობეთ. პლენუმის შემდეგ ნინელი პრაღაში მიფრინავდა. შინ დაბრუნებულს კი კიევიდან მიღებულმა დეპეშამ თავზარი დამცა: პრაღის აეროდრომზე, 1973 წლის 19 თებერვალს, თვითმფრინავის კატასტროფის დროს გმირულად დაიღუპა ნინელი პრიხოდკო, ბევრი ადამიანი გადაურჩენია, გამოუტაცნია ალმოდებული თვითმფრინავიდან, ხალხს, თურმე, გამოსვლაში ეხმარებოდა, მაგრამ საკუთარი თავის გადარჩენა ვეღარ მოასწროო, მხოლოდ თბილისში გადაღებული სურათიღა შემომრჩა ჩვენი მეგობრობის სამახსოვროდ...

ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეები

1968 წლის სექტემბერში ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეებია. ერთერთი დღე წინანდალში გავატარეთ. თითქმის ყველა რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ სტუმრები. გავიცანი „ჭრიჭინას“ მთარგმნელი ყაბარდოელი დრამატურგი.

მესხეთიდან შუა აზიაში გასახლებულ ე.წ. თურქ-მესხთა ნარმომადგენელი იურისტი ბარათაშვილი მოვიდა ჩემთან და მთხოვა მეშუამდგომლა მთავრობის წინაშე, საქართველოში, ადრინდელ კუთვნილ სამოსახლოებში მათი დაბრუნების შესახებ. თუ არ ვცდები, მარტო ბარათაშვილებისა ასზე მეტი ოჯახი იყო გასახლებული. და ახლა, დიდი წინაპრის იუბილესთან დაკავშირებით, მოითხოვდნენ თავიანთ მიწა-წყალზე დაბრუნებას.

არ შემეძლო ჩემი გულისტკივილი არ გამომეთქვა: აი, თქვენ შესანიშნავად ლაპარაკობთ ქართულად. შორეულ ფერეიდანშიც ქართველები იბრძვიან ქართული ენის შესანარჩუნებლად და, ამ დროს, მე ვიყავი თქვენს კუთხეში, სოფელ უდეში, ბარათაშვილების ოჯახში და, დიასახლისს ვერაფერი გავაგებინე, — მე თურქული არ ვიცოდი, იმან — არცერთი ქართული სიტყვა! ესაა საქართველოს სიყვარული? თქვენისთანები ხომ იქნებიან იმ გადასახლებულთა შორის და რატომ არ ეცადეთ, სხვებისთვისაც შეგეყვარებინათ საქართველო და ქართული ენა? მამაჩემი, გერვასი ბარათაშვილი, რამდენიმე წელს ახალციხეში პედაგოგად მუშაობდა და შეეცადა ამ კუთხის ხალხისათვის ქართული გვარები დაებრუნებინა და ასედაც შეიტანა სასკოლო ჟურნალში, რაზეც მოსწავლეები ჯერ სიხარულით დათანხმდნენ, მაგრამ ორი კვირის შემდეგ სთხოვეს, ისევ თურქული გვარები დაგვიტოვეთ, თორემ სოფელში აღარ მიგვესვლებაო.

მიუხედავად ამისა, ადამიანურად ძალიან შემეცოდა ის ხალხი, რომელიც

უშუალოდ, იმ საშინელი დეპორტაციის წინ გავიცანი. ამ საკითხით დავინტერესდი, ვასილ მჟავანაძესაც შევხვდი და ვკითხე, თუ რა აზრის არის მთავრობა ე.წ. თურქი-მესხების საქართველოში დაბრუნებაზე. რესპუბლიკის ხელმძღვანელმა მიპასუხა, რომ საკითხი განხილვის პროცესშია.

სექტემბერშივე, ინჟინერი ვასო ჩაჩანიძე ჩემთან, რედაქციაში მოვიდა და მომიტანა 1897 წლის გაზეთ „ივერიიდან“ (№41,52) ამოკრეფილი მასალები ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის ძიების შესახებ. ამ კვლევის ავტორები არიან გრიგოლ ტატიშვილი, ივანე ზედგინიძე და დავით კარიჭაშვილი — XIX საუკუნის ცნობილი მწერლები, ჟურნალისტები, საზოგადო მოღვაწენი. მასალების გაცნობამ გადაგვაწყვეტინა, მივყოლოდით პუბლიკაციის კვალს.

ერევნელ სომეხ ექიმს, ვინმე ლევონ ტიგრანიანცს, მემკვიდრეობით (მამისაგან ან ბიძისაგან, რომლებიც ნიკოლოზ ბარათაშვილს იცნობდნენ) მიუღია დიდი პოეტის სურათის ორიგინალი. შემდეგ ფოტოგრაფ კეგამოვს პორტრეტისათვის ფოტო გადაუღია და ასლზე დიდი ულვაშები მიუხატავს, რომ სომეხ ყაჩაღს „აღასს“ დამსგავსებოდა. ძირითადად ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით, შვიდი ათეული წლის შემდეგ, გადავწყვიტეთ კიდევ გვეცადა ბედი და, დიდი პოეტის პორტრეტის საძიებლად ერევანში გავემგზავრეთ მე, ვასილ ჩაჩანიძე, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომელი ეკატერინე პრივალოვა და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელი ქეთევან ბაგრატაშვილი.

ერევანში სამი დღე გავატარეთ. ექიმი ლევონ ტიგრანიანცი კარგა ხნის გარდაცვლილია. არც მისი ვაჟია ერევანში. როგორც მეზობლებმა გვითხრეს, გალოთებულა. პორტრეტი არც მამის ადრინდელ სახლში, არც შვილის სახლში აღმოჩნდა. სად შეიძლება იყოს? მივიკითხეთ-მოვიკითხეთ ტიგრანიანცების ნათესავ-მეგობრებში, აგრეთვე იმ მხატვრისა და ფოტოგრაფის ახლობლებში, რომელსაც პორტრეტიდან გადმოღებული ფოტოსათვის ულვაშები მიუმატებია.

ვიყავით მუზეუმებში, სამხატვრო გალერეაში, რესტორანში, სადაც ლევონის ვაჟი თავის თანამესუფრეებთან დროს ატარებდა, ვეძებდით მის მეგობრებსაც, რომელთაც შესაძლოა, სცოდნოდათ რამე, პორტრეტის დაგირავების ან გაყიდვის თაობაზე. გამოვაცხადეთ რადიოში, გაზეთებში. მპოვნელს დავპირდით გასამრჯელოს... ერთი სიტყვით, არ დაგვიტოვებია კუთხე-კუნჭული ერევნისა, მაგრამ ამაოდ... რომელ ოჯახსაც მივაკითხეთ, დიდი ინტერესითა და გულითადობით გვხვდებოდნენ, გვირჩევდნენ, დაგვყვებოდნენ... ამრიგად, რამდენიმე დღის დაძაბული ძიების შემდეგ, ხელმოცარულები დავბრუნდით თბილისში.

მცირეოდენი ხნის მერე, ვიღაც უცნობმა დაგვირეკა ერევნიდან და გვაცნობა, რომ მისი ღრმა რწმენით, პორტრეტი, ამ რამდენიმე წლის წინ, ერევნიდან კრასნოდარში გადასახლებულ, საოპერო თეატრის მოლარე ქალის ოჯახში

უნდა იყოსო. კრასნოდარშიც გაიგზავნა კაცი, მოლარისათვის მიუგნია, მაგრამ მას კატეგორიულად უარუყვია ეს ცნობა. ვინ იქნება შემდეგი? ვინ გაყვება ჩვენს გზას — ეგეც ის მაინც იყოს იღბლიანი?

რა ნამეგაა!.. ამ სიყხისგან არ სჩანს საშველი.
შფოთავს პოეტი სნეულებით სანოლს მიყრული.
ხან ძვირფას ბიძას, ხან სანატრელს შესჩივის გულით
„ო, გამიყვანეთ გზა ფართოზე, მომეყრით ხელი"

და ეჩვენება: ვისაც გულით შესტრფოდა მარად,
გადმოიხარა მისკენ ნაზად, აღერსით ფრთხილით,
შველას პპირდება ნაზი ყელი, ბროლივით თლილი,
თვისკენ ეძახის ამ სიყხისგან თავშესაფარად...
მაგრამ, ო, ნუთუ ის პანანა საყურის ჩრდილი
დამძიმდა ასე? და... თვალებზე გადაეფარა!

(„საყურის ჩრდილი" ნიკოლოზ ბარათაშვილს)

ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში

1969 წლის 10 მაისს, უკრაინაში, ქართული ლიტერატურის დეკადა იწყება. ამ მოვლენასთან დაკავშირებით მწერლებს გვიწვევენ.



კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ აბაშიძე, ხუტა ბერულავა, გესარიონ ჭელიძე, მარიკა ბარათაშვილი, გიორგი ცინცაძე, გიორგი მარგველაშვილი, არჩილ სულაკაური 1969 წ

უკრაინისკენ სიხარულით მივისწრაფვი! იქ განისვენებს ნეშტი ჩვენი დიდი ეროვნული პოეტის, დავით გურამიშვილისა. წილად მხვდა ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, დაუვიწყარი დღეების იქ გატარება, სადაც განვიცადე დიდი შემოქმედებითი სიხარული და სამუდამო მეგობრები შევიძინე.

ჩემი „ჭრიჭინა“ შავი ზღვის სანაპიროებიდან დნეპრისპირეთში 1953 წელს ჩაფრინდა და თუ მას სიყვარული არ დაკლებია, ესეც ქართველ-უკრაინელთა მეგობრობის კიდევ ერთი დადასტურებაა. ახლა, კვლავ მეძლევა საშუალება, სიყვარული გაგიცხადო, შენი სახელოვანი შვილებიდან ახალი მეგობრები გავიჩინო, შენი მიღწევებით გავიხარო...

დეკადაში ვმონაწილეობთ მწერლები: გრიგოლ აბაშიძე, ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ხუტა ბერულავა, კონსტანტინე გამსახურდია, ნოდარ გურეშიძე, ბესო ჟღენტი, კარლო კალაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გიორგი მარგველაშვილი, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე, თამაზ ჭილაძე, არჩილ სულაკაური, მე და სხვანი... მოვიარეთ მთელი უკრაინა. სხვადასხვა ქალაქში ქართული ლიტერატურის საღამოები გაიმართა, მოეწყო შეხვედრები.

მირგოროდში დავით გურამიშვილის ძეგლისა და მუზეუმის გახსნას დავესწარით. გამოვედით ტელევიზიით, რადიოთი...

მოსახლეობა გზადაგზა პურითა და მარილით გვხვდება. მირგოროდიდან სამხრეთ უკრაინის გავლით (პოლტავის ოლქი, კრემენჩუკის ზღვისპირი, ჩერკასის ოლქი) კიევში დავბრუნდით. შემდეგ, უჟგოროდისა და დიდებული ქალაქის — ლვოვის თეატრებში საღამოები გაიმართა.

განსაკუთრებით დაუვიწყარია კარპატებში ჩასვლა, სადაც მიტინგზე უკრაინულად გამოვედი. სიტყვა გაზეთების დახმარებით შევადგინე.

ყველგან შეხვედრები, ყვავილები, მუსიკა, სახალხო ზეიმი.

ქალთა საერთაშორისო კონგრესი ჰელსინკში

1969 წლის 14-18 ივნისი, ჰელსინკი. ბრწინვალედ ორგანიზებული ქალთა საერთაშორისო კონგრესი დიდი ზეიმით დაიწყო. ტერეშკოვას ყოველ გამოჩენას დარბაზში მყოფნი ოვაციებით ხვდებიან. „დაე, მუდამ იყოს მზე!“ მღერის მზისფერთმიანი ფინელი გოგონა და თითქოს მზეს ესმისო მისი მუდარა — აგერ, ღამის ათ საათზედაც ჯერ თვალის მოხუჭვას არ აპირებს.

ფინეთში ივნისი, ჩვეულებისამებრ, გრილია, ხშირად მოღრუბლული და წვიმიანიც. ახლა კი, მისი დედაქალაქი, წლის ამ დროისათვის ჩვეული თეთრი ღამეებითა და თითქოს სტუმრებისათვის საგანგებოდ მოწვეული მზით შემოგვეგება.

„დაე, მუდამ იყოს მზე...“ — მღერის ჩრდილოელი გოგონა და მისი სიმღ-

ერა აიტაცეს აფრიკელებმა, ინდოელებმა... მღერის მთელი დარბაზი, მსოფლიო, ხუთივე კონტინენტის ოთხმოცდათექვსმეტი ქვეყნის რვაასამდე ქალით რომ არის წარმოდგენილი.

მართლაც, დიდებული სანახავია ჰელსინკის კულტურის სახლი. იგი უჩვეულოდ აყვავებულ ბაღს წააგავს. ქალთა ამ დიდი ფორუმის ყველა მონაწილეს თავისი ქვეყნის იერი აქვს: თმისა და კანის ფერი, ჩვევა და ჩაცმულობა. ნაირფერ, წვივებამდე კაბებს მინი კაბები ეჯიბრება და ამ ფონზე, კონტრასტს ქმნის ვიეტნამური სამხედრო ტანსაცმლიანი 18-19 წლის ორი გოგონა. თოთხმეტი წევრისაგან შემდგარ ჩვენს დელეგაციას საბჭოთა კავშირის გმირი, ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე, კოსმონავტი ვალენტინა ტერეშკოვა იელმძღვანელობს. ლეგენდარული ქალი „თოლია" ცურადღების ცენტრშია მოსკოვიდან-ჰელსინკამდე, ხალხით გაჭედილ რკინიგზის სადგურებში, ფოტო-რეპორტიორებში, ყვავილებსა და ოვაციებში ჩაკლულა. განსაკუთრებით დაუვიწყარია, ჩვენივე მატარებლით მომავალი უცხოელების „შემოსევა" ვაინაკალას (ფინეთი) სადგურზე. ვალენტინა ვაგონიდან გამოიტაცეს და, რამდენიმე წუთის შემდეგ, უცხოელებთან ერთად, ბაქანზე „ყერჩულს" უცეკვიათ.



ფინეთი, ვაინაკალას სადგური 1969 წ.

ჰელსინკის კონგრესი 14 ივნისის დილის 10 საათზე, საგანგებო ცერემონიით გაიხსნა. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილ ფინელ მამაკაცთა კვარტეტმა რამდენიმე სიმღერა იმღერა. როცა კვარტეტმა სიმღერა დაამთავრა, მას ხნიერი მომღერალი გამოეყო, პრეზიდიუმის მაგიდასთან მივიდა, ტერეშკოვას წითელი ყვავილი მიართვა და ხელზე ეამბორა. გახშირდა ოვაციები...

კონგრესის მთავარი თემაა: „ქალის როლი თანამედროვე მსოფლიოში". მომხსენებელია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივანი სესილ იუჟელი (საფრანგეთი). ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ვიეტნამელ ქალთა ბრძოლაზე ილაპარაკეს სამხრეთ ვიეტნამისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

მოხსენებები:

„ქალი და ოჯახი" — ავსტრალიელ ქალთა კავშირი.

„ქალი და შრომა" — სსრკ (ვ. ტერეშკოვა).

„ქალი საზოგადოებაში" — მექსიკის წარმომადგენელი.

„ქალი ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში" — სუდანის წარმომადგენელი. ეს მოხსენებები სადისკუსიოდ გადავიდა კომისიებში, დისკუსიებში მონაწილეობა მიიღო სამასამდე დელეგატმა. ვუსმენთ ორატორებს და ჩვენს თვალწინ იფურცლება მსოფლიოს ცხოვრების დღიური... ტრიბუნაზე ისინი ერთმანეთს ცვლიან, ლაპარაკობენ მღელვარედ, აღშფოთებით.

გრძნობ, როგორ კრთება დარბაზის საზეიმო ელფერი, გგონია კედლები იხსნება და დიდ, აფორიაქებულ სამყაროში გავდივართ. ჩვენს თვალწინ სკდება ყუმბარები, ინგრევა სახლები, იღვრება სისხლი... „მსოფლიოს ქალები კანის ფერით, ჩაცმულობით, ჩვეულებითა და მრწამსით განვსხვავდებით ერთმანეთისაგან, მაგრამ გვაერთიანებს სურვილი თავისუფლებისა, ბედნიერებისა, სიცოცხლის გადარჩენისა..." — ამბობს შარლენ მიტრელი აშშ-დან.

„კეთილი სძლევს ბოროტს" — გვარწმუნებს ინდოელი. უსმენ და გჯერა, რომ ეს ასე იქნება. ამის გარანტიაა კეთილ ძალთა ყოველდღიური ზრდა მსოფლიოში და, თუ გნებავთ, ეს ფორუმიც — მსოფლიოს დედათა დიდი ფორუმი.

და მაგონდება რომენ როლანის ბრწყინვალე ნათქვამი, რომ კაცობრიობა წააგავს ხეს, რომელიც ერთი მხრივ კლდეზეა მიჭყლეტილი და მხოლოდ მის მეორე ნახევარს აქვს ნორმალური ზრდისა და განვითარების საშუალება. ახლა ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, თუ როგორ იმძლავრა კაცობრიობის ხის იმ დაჩაგრულმა ნახევარმა, როგორ ითავისუფლებს თავს კლდის ტყვეობიდან, იზრდება და მიაშრიალებს ტოტებს მაღლა, სულ მაღლა, ცხოველმყოფელი მზისა და უსასრულო სივრცეებისაკენ. ეს ზრდა ქალთა ფორუმიდან — ფორუმამდე განსაცვიფრებლად შეინიშნება. ქალების მზარდი მონაწილეობა თავ-თავიანთი ქვეყნების ცხოვრებაში, ძალა და რაოდენობა, რომელსაც ისინი წარმოადგენენ თანასწორუფლებიანობისათვის, მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის,

სამართლიანობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში, უდავო ფაქტია.

აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი ცხოვრება ქალთა სრულ ემანსიპაციას მოითხოვს. სხვადასხვა ორგანიზაციების კონვენციებს, დეკლარაციებსა და რეკომენდაციებში (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, იუნესკო და სხვა) აღნიშნულია ქალთა უფლებების იურიდიული ცნობა, მაგრამ ეს არ კმარა! ფაქტობრივი თანასწორუფლებიანობისათვის საჭიროა, რომ დედობა აღიარებული იქნეს მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციად, საჭიროა ქალს შეექმნას პირობები დედის, როგორც მშრომელისა და მოქალაქის მოვალეობათა შესასრულებლად.

...მეოთხე დღის ბოლოს დაჯამდა დისკუსიები და კონგრესის პლენარულ სხდომაზე სამ დოკუმენტად ჩამოყალიბდა.

18 ივნისის დღე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მორიგ VI კონგრესს მიეძღვნა. მოისმინეს ქსდფ მუშაობის ანგარიში 1963-1969 წლებში და ჩატარდა ქსდფ პრეზიდენტის, გენერალური მდივნის, საბჭოს, ბიუროსა და სამდივნოს არჩევნები

პრეზიდენტად ავირჩიეთ ფინელი ჰერტა კუუსინენი, გენერალურ მდივნად ფრანგი სესილ იუჟელი. მიიწურა კონგრესის მეხუთე დღე. გარეთ ისევ მზეა, ისევ თეთრი ღამეა.



ერთმანეთს ვეშვებით ემოციებით და მეგობრებით გამდიდრებულნი, იმ საერთო სურვილით, რომ „მუდამ იყოს მზე“ მზე სიცოცხლის, სიყვარულისა და ბედნიერებისა. ...მოსკოვისაკენ გამომგზავრებულები გზაში მეტად დავახლოვდით, იუმორისტული ლექსიც კი მივუძღვენი დიდი ფორუმის მონაწილეებს:

მარიკა ბარათაშვილი
და
ვალენტინა ტერეშკოვა

19/XI 1969 г
Поезд Хельсинки – Москва

Мужские стоны

Взбудоражена вся пресса:
едут женщины с конгресса,
где судили и рядили
и в конец постановили:
„Без разбора, всем мужьям
брать заботы помогать".
И пошел протест в ООН,
как мужской, грозный стон:
„помогите, разберите,
не губите, пощадите
и внемлите нашим стонам,
и внушите нашим жёнам,
что готовы мы стирать,
гладить, штопать, пеленать,
но рожать нас не учили, —
хоть родим и без усилий...
Что там сложно, что там трудно?
мы накормим деток грудью
только кто же будет нас
и кормить, и пеленать?
мы же слабый, нежный пол..
помогите нам, ООН!"

М. Бирманова

მატარებელში ლექსი ხელიდან ხელში გადადის, ყველა გაამხიარულა. ბოლოს მას ჰანგიც მიეუსადაგე. ვალენტინა ტერეშკოვა და, საერთოდ, ყველანი, მთხოვენ დავწერო დედების პიმნიც. ეს ლექსი კი გადავწერე და სახსოვრად დავურიგე ჩემს თანამგზავრებს.

1970 წლის 27 ოქტომბერს შესრულდა ქსდფ 25 წლისთავი. მოსკოვი. პროფკავშირების სახლი. განვლილი წლების მუშაობის ანგარიში და სამომავლო გეგმები. საქართველოდან ვართ ზინაიდა კვაჭაძე, აიშე და ნელი თარბები, სახსოვრად შემომრჩა ჩემი ექსპრომტი:

გავა დრო, დღეებს გაჰყვება დღენი,
(ბუნებას შევსთხოვ, გეყხოვროთ ლხენით!)
და კიდევ, ზინა, აიშე, ნელი
არ დაგვინყოდეთ შეხვედრა ჩვენი!

საქმიანი შეხვედრები საქართველოსა თუ სხვადასხვა ქვეყანაში

1970 წლის აპრილში რედაქცია სტუმრადაა ლანჩხუთში: მე, მირცა კალანდაძე, ნანული ბარათაშვილი და ლია კაკაბაძე. საქმიანი საუბრებია ქალთა ცხოვრების ავ-კარგზე. რა უჭირთ, რა ულხინთ მეჩაიე ქალებს, ანდა რა მოსწონთ, რა არ მოსწონთ ჩვენს მუშაობაში, რა პრობლემები წამოვწიოთ წინ, ან რითი დავეხმაროთ.

მოსკოვში, 1970 წლის 3-4 სექტემბერს, სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი შედგა, თეატრის, კინოსა და ტელევიზიის ამოცანებზე. მოხსენებით წარსდგა დრამატურგი ა.დ. სალინსკი. ამ პლენუმზე მან „ჩემი ყვავილეთის" თარგმნასა და თეატრებში დადგმის საჭიროებაზე ისაუბრა.

1970 წელს „საქართველოს ქალის" მკითხველთა კონფერენცია გაიმართა დუშეთში. ვიყავით: მე, ნინო ჯავახიშვილი, ნადია შალუტაშვილი, ელენე ჩოფიკაშვილი, დარეჯან იოსელიანი, სოფიო კევლიშვილი და ჩვენი რედაქციის მუშაკები. ვსაუბრობდით რაიონის ქალთა ყოფა-ცხოვრებისა და ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე.

1970 წლის 21 ოქტომბრის „Литературная газета"-ში დაიბეჭდა ჩემი სტატია „Счастливые встречи" — რომელიც დრამატურგისა და თეატრის ურთიერთობის პრობლემებს ეხება.

1970 წლის ნოემბერში, პოეტი მაყვალა მრევლიშვილი ჩვენმა რედაქციამ რუსთაველის პრემიაზე წარადგინა.

1970 წლის 28 ოქტომბერს, „საქართველოს ქალმა" აჭარაში, ბათუმის პროფკავშირების კულტურის სახლში კონფერენცია ჩაატარა. შეხვედრები გაიმართა:



გიორგი ქალაძდაძე, მორის ფოცხიშვილი, მარიჯანი, მარგო თომაძე, მარიკა ბარათაშვილი, ხუტა ბერულავა. 1970 წ

ჩაქვის ჩაის მეურნეობაში, ოჩხამურის ჩაის ფაბრიკასა და აკადემიკოს ქსენია ბახტაძესთან, ქობულეთის ერთ-ერთ სკოლასა თუ ხელვაჩაურის რაიონში... ყველგან ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, ბავშვთა აღზრდის საკითხებზე გაჩაღდა მსჯელობა. ყველგან გვესმოდა თხოვნა, აჭარის ქალთა ყოფა-ცხოვრებაზე მეტი გვეწერა.

1970 წლის დეკემბერს, სსრკ მწერალთა კავშირის დელეგაცია, რუმინეთის მწერალთა კავშირში გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, ბუქარესტში გავემგზავრეთ. დელეგაციაში ვიყავით: მარია პრილეჟაევა, ვიქტორ ტელპუგოვი, ვლადიმერ კანივეცი, ელიზბარ მაღცევი, ვლადიმერ პისკუნოვი, ესტონეთიდან ლილი პრომეტი და საქართველოდან — მე.

ძალზე თბილი მიღება გვქონდა. მწერალთა კავშირის თავმჯდომარეა ზაქარია სტანკო. 12 დეკემბერს ბროშევში გავემგზავრეთ. კუპეში ვართ მე, ლილი პრომეტე, ტატიანა ნიკოლესკუ და პროფესორი ლუპანი. მაშინ, როდესაც ბუქარესტში თითქმის ცხელოდა, აქ, მთებში, თოვლი იდო, ციოდა და იმავე დროს, მზიანი დღე იდგა, მთიანი რუმინეთი — ნაძვნარითა და მთაგორებით საქართველოს მაგონებს. გავიარეთ ქალაქი სინაი — მეფის რეზიდენცია, სადგურები: ასუგა, პრედალი. ბროშევოში, სასტუმრო „კარპატებში“ მოვეწყვეთ. ბროშევო პატარა ქალაქია 200 000-მდე მცხოვრებით, აქ ძვირფასი მაღაზიებია.

ვიყავით სინას მთაზე, ანთიმოზ ივერიელის მონასტერში. ღმერთო! „სადაურსა სად წაიყვან!“ მეფე მიხეილის საზაფხულო რეზიდენციაში ვიმყოფებით. ვნახეთ

მეფე ფილიპეს ქანდაკება. ნახევარი წერი მოპარსული აქვს, კათოლიკურსა და ლუთერანულ ეკლესიებს შორის მერყეობის გამოა ასე დასჯილი. ასეთი წერი ჰქონდა მთელ მის შთამომავლობასაც. მიხეილის სასახლე ბრწყინვალეა, დიდებულად მორთულ-მოწყობილი.

დავბრუნდით ბროშევოში. დავათვალიერეთ მუზეუმი. ვიმყოფებით ღამის ბარში, „შავი თხა" რომ ჰქვია. პროგრამა შიშველი ცეკვებით დამთავრდა. აქ უცხოელების დიდი მოძალებაა. ამოსული ახალგაზრდობა თხილამურებით ერთობა.

14 დეკემბერს ბუქარესტში ვართ. მიგვიწვიეს უნივერსიტეტში. ვილაპარაკე საქართველოზე, მის უძველეს კულტურაზე, წავიკითხე ანთიმოზ ივერიელისადმი მიძღვნილი ლექსი და „საპოვნელა" ქართულად და რუსულ თარგმანშიც. ოვაციებით დამაჯილდოვეს.

15 დეკემბერს ქალთა ჟურნალის რედაქციის მუშაობას ვეცნობოდი. დავათვალიერეთ სამხატვრო გალერეა.

საღამოს ზაქარია სტანკოს ოჯახში დიდებული ვახშმით გაგვიმასპინძლდნენ. მე საქართველოში მოვინვიე. „ოჰ, არა, არა", — გაიცინა სტანკომ და მეუღლეს გადახედა. ისიც იცინის საქართველოში ძალიან ბევრს ჭამენ, ჩვენ იმდენი ჭამა არ შეგვიძლია, თანაც, გვეუბნებოდნენ, თუ არ მიირთმევთ, დიასახლისს ეწყინებაო.

16 დეკემბერს ინტერვიუ მივეცი რადიოკომიტეტის კორესპონდენტს, საღამოს 8 საათზე კი თეატრში დავესწარით სპექტაკლს „მეფე ლირი". ნოვატორული დადგმაა, — უკოსტუმებოდ. აქტიორები ბრწყინვალედ თამაშობდნენ. ეს სპექტაკლი მოვლენა იყო ბუქარესტის თეატრალურ ცხოვრებაში.

გამოსამშვიდობებელი საღამოა. რკინიგზის სადგურის ბაქანზე გულითადი მადლობის სიტყვები და განშორების სინანული გამოითქმის. მისამართების გაცვლა-გამოცვლა და მომავალ შეხვედრებზე ოცნებაა. განსაკუთრებით მარია პრილეუაევა აქტიურობს. ისიც სხვებივით სვამს, საკმაოდ შეჭიკჭიკებულია და ხვევნა-კოცნით, სიყვარულის ფიცით ძლივს სცილდება მასპინძლებს.

...1970 წლის აგვისტოში, ლესია უკრაინკას დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით საკავშირო საიუბილეო კომიტეტში შემიყვანეს და მოსკოვის დიდ თეატრში საიუბილეო საღამოზე სიტყვით გამოსვლა დამევალა. საღამო 1971 წლის 2 მარტს გაიმართა და ტელევიზიითაც გადაიცა. მილოცავდნენ მოსკოველი და თბილისელი მეგობრები. ირაკლი აბაშიძემ თბილისიდან დამირეკა და მრავალი ქათინაურით შემამკო.

„მე რომ უკრაინელი არ ვყოფილიყავი, ქართველობას ვინატრებდი", — უთქვამს ლესიას, როდესაც ჩვენი ერის უძველეს კულტურასა და გმირულ წარსულს გასცნობია. მე კი, მის ხსოვნას შემდეგი სტრიქონები მივუძღვენი:

და მაღალი, ლილისფერი,
მედიდური მთები.
სიწყნარის და სიყვარულის
მოზეიმე ხმები...
საქართველო, საქართველო –
მოგონება შორი...
იქ პირს იბანს გაზაფხული
ჩემი ღრუბლის თქრით.

და როდესაც ქართლის ველებს
ზეცა უკლავს ნუკრივილს,
იმ ველს ჩემი სულიც ანვიმს, –
უკრაინკას სული.

(„ლესია")

ჩვენი ქვეყნისადმი სიყვარულით იყო, ლესიამ რომ — უკრაინის საამაყო შვილმა, პოეტმა და დრამატურგმა — მძიმე სენით შეპყრობილმა, თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოში გაატარა... უკანასკნელი ამოსუნთქვა საქართველოს ცას შეუერთა. ასეთივე გრძნობით ჩაიკრა გულში მირგოროდმა დავით გურამიშვილი. ჩვენი ხალხების გულიდან ამონაზარდი ფესვები კი ერთმანეთში გადაიზარდა, იმძლავრა და მეგობრობის ურღვევ ხიდად იქცა. ამის შემდეგ კი, თბილისის საოპერო თეატრში, ლესია უკრაინკას საიუბილეო საღამოზე, მოხსენებით გამოვედი. იუბილეზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყო ლესიას ოჯახის ერთ-ერთი შთამომავალი ამერიკიდან. რესტორან „არაგვში" გამართულ ბანკეტზე სტუმარმა საქართველოს სადღეგრძელო რომ შესვა, თქვა: „მრავალ ქვეყანაში ვყოფილვარ — მსოფლიო შემომივლია, მაგრამ დღეს თუ იყო კიდევ სადმე რაინდი ხალხი, ვერ წარმომედგინა. თქვენს ერს დიდი გაფრთხილება უნდა". ეს სიტყვები გულში ჩამრჩა. როგორა გვაქვს საქმე? გვიფრთხილდებიან? ან ჩვენ თუ ვუფრთხილდებით საკუთარ თავს და ერთმანეთს?

იუბილე უკრაინაში დაგვირგვინდა. დელეგაციაში მეც ვიყავი. რადიოთი გამოვედი, „ვეჩერნი კიევშიც" პატარა წერილი გამოვაქვეყნე. ვთარგმნე ლესიას ლექსი „სიზმარი".

1971 წლის ივლისს, მოსკოვში მწერალთა V საკავშირო ყრილობაზე საუბარია მხატვრული ლიტერატურის განვითარების გზებზე. საქართველოდან ოცდაცხრა დელეგატი ვესწრებოდით. ყრილობიდან დაბრუნებულები „ზარია ვოსტოკას" რედაქციაში მიგვიწვიეს.


ამავე წელს ჩატარდა ქართული კულტურის დღეები აზერბაიჯანში, ჩავედით ბაქოში, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. დელეგაციაში გახლდათ შესანიშნავი ადამიანი, უდიდესი მეცნიერი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე. დავმეგობრდით.

1971 წლის ივლისს ჩემი მერაბი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ბერკლის უნივერსიტეტში, ათთვიან სამეცნიერო სტაჟირებაზე გაემგზავრა. არ დამავიწყდება გამგზავრების წინა საღამო წყნეთში, გელდიაშვილების აგარაკზე — საზეიმო და თან სევდიანი განწყობილება სუფევს. რადგან ადვილი არაა ათი თვით განშორება. ვსხედვართ, ვსაუბრობთ, ვხუმრობთ კიდეც, გული კი რატომღაც შემომკვნესის, განსაკუთრებით მაშინ შემომაწვა სევდა, როდესაც ჩემმა ვაჟმა და მისმა პატარა ლანამ ინგლისური სიმღერა „ედელვაისი" შეასრულეს. არ ვიცი, როგორ იტანენ მშობლები შვილთან წლობით განშორებას!

სან-ფრანცისკოდან წერილები მოდის. მერაბი იქ, უკრაინელ სტაჟიორთან ერთად საერთო საცხოვრებელში ცხოვრობს. თავისი მუშაობითა და პროფესორ-მასწავლებლებით კმაყოფილია. შაბათ-კვირაობით სადილად მეპატიჟებიანო. თვეები გადის და ისე გამიტაცა მუშაობამ, რომ მაღაზიაში შესასვლელად ვერ მოვიცალეო. დღეს ღამესთან ვასწორებ, რომ ყველაფერი მოვასწრო, ენასაც უკვე კარგად დავეუფლეო.

ასე გავიდა ხუთი თვე. ახალი წელიც მოახლოვდა და აი, მშვენივრად მოხატული საახალწლო მისალოცი ბარათიც მივიღეთ — 1971 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული. მერაბი წუხს, რომ პირველი შემთხვევაა, ახალ წელს ჩვენი მეკვლე რომ არ იქნება. გვილოცავს და შორიდან გვეფერება. წერილში გვთხოვს, თუ ამანათს გავუგზავნით, ამერიკელი მეგობრებისათვის შევუძინოთ ქართული სუვენირები — ალბომები, ჭედურობა და სხვა. ცხოვრება უამრავი მოულოდნელობებითაა აღსავსე. ჩემმა ვაჟმაც ამერიკაში ყოფნის ვადა განსაზღვრულ დროზე ადრე დაასრულა... მერაბი ამერიკაში რაღაც პროვოკაციაში გახვიეს (ალბათ, ქართველ ემიგრანტებთან კარგი ურთიერთობის გამო), რომელშიც, უეჭველია, რუსული „კგბ"-ს ხელი ერია. ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცის, რა ვაჟკაცურად მოიქცა მაშინ ჩემი შვილი და რა დიდი რისკის ფასად (ამერიკელები დარჩენას სთავაზობდნენ) დაბრუნდა საქართველოში.

მე, როგორც დედა, უბედნიერესი ვარ, ჩემი შვილი თავის სამშობლოშია, ახლობლების გვერდით. ღმერთო, მიეცი მის ნიჭსა და უნარს კეთილი გზა!..



1972 წლის ივლისში „მანდილი" გადავეცით ზუგდიდსა და ფოთის გამარჯვებულ ქალთა საბჭოებს. ფოთიდან ნავარძეთისაკენ მივდივართ. დიდ მანძილზე გამომაცილეს ქალაქის ხელმძღვანელმა ნინო ლაკიამ, მოსამართლემ ლეილა აბუევამ, ქალთა საბჭოს თავმჯდომარემ ქეთო კვაჭაძემ და ქალაქკომის მდივანმა გრიგოლ არჩაიამ. ნავარძეთისაკენ ჟორა ალანიას მივყავარ.

...1972 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობა გაიმართა. „ლევ ტოლსტოიმ, შეკითხვაზე, თავს როგორ გრძნობო, უპასუხა: მადლობა ღმერთს, მოუსვენრად", — ასე ვიწყებ ჩემს გამოსვლას ყრილობაზე, რომელიც ქართული

მწერლობის პრობლემებს, მის დღევანდელობასა და მომავალს ეხება. ვეხები თეატრის საკითხებს, ვსაუბრობ დრამატურგისა და რეჟისორის ურთიერთობაზე, ყურადღებას ვამახვილებ საქართველოს გარეთ — პლასტუნკაში, საინგილოსა თუ ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრებ ქართველებზე, რომ აუცილებელია, მეტ ყურადღებას ვიჩენდეთ მათ მიმართ.

1972 წლის ოქტომბერში, ყვარელში, საკავშირო პოეზიის დღე ჩატარდა. რესპუბლიკებიდან მწერლები გვეწვივნენ. მათ შორისაა შესანიშნავი პოეტი ბელა ახმადულინა. ილიას სახლ-მუზეუმში პოეზიის საღამო მოეწყო, ეზოში უამრავი ხალხია თავშეყრილი, ვესწრებით: მე, იოსებ ნონეშვილი, მედეა კახიძე, თამარ ერისთავი, გიორგი ციციშვილი და სხვანი.



ფოტოკოლაჟი: პოეზიის დღე ყვარელში 1972 წ. 19 ოქტომბერი

1973 წლის 12 მაისს, აკაკი ხორავას სახლმა და 21-ე საქალაქო ბიბლიოთეკამ გულთბილი შეხვედრა მომიწყო. შესავალი სიტყვა წარმოთქვა დოდო ანთაძემ, მომხსენებელი იყო თეატრმცოდნე ელენე კვირკველია. სიტყვით გამოვიდნენ მწერალი ანა ღვინიაშვილი და სხვები. ბოლოს ლამაზი კონცერტი გაიმართა.

ქალთა ჟურნალების იუბილეები

1973 წლის ივნისს, მოსკოვში, კავშირების სვეტებიან დარბაზში სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ჟურნალების რედაქტორები ვიკრიბებით. აქ, ყოველ წელს ვხვდებით ერთმანეთს ქალთა კომიტეტის პლენუმებსა თუ სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად.

დღის წესრიგშია: ქალთა ჟურნალების მუშაობა. პრობლემატიკა. სამომავლო გზები.

1974 წელს, ბაქოს ქალთა ჟურნალის „აზერბაიჯან გადინის“ 50 წლის იუბილეა. ქალთა ჟურნალებიდან ორმოცი სტუმარი ვართ მოწვეული და რაიონებიდანაც ათასამდე ქალია ჩამოსული. საქართველოდან — მე და მადონა მგელაძე ვართ. კულტურის-2500 კაციან დარბაზში შემსვლელებს კარშივე სამკერდე ნიშანს გვაბნევენ და მიხაკს გვთავაზობენ. მოხსენებით გამოვიდა ჟურნალის რედაქტორი ხალიდა გასილოვა. მას ქალთა ჟურნალების რედაქტორები და ვალენტინა ტერეშკოვა მივესალმეთ. ზეიმობს მთელი აზერბაიჯანი. ქალაქი ტრანსპარანტებითაა აჭრელებული, მთელი პრესა მიძღვნილია ამ იუბილესადმი. სტუმრები ერთი კვირით ვართ მიწვეულნი. ექსკურსიები, დიდებული მასპინძლობა, კონცერტები, სპექტაკლები... ბოლოს ბანკეტი, დასაჩუქრება...

დაბრუნებისთანავე მოხსენებითი ბარათი დავწერე და გაზეთებიც დაეურთე.

1974 წლის შემოდგომაზე კი ერევანში, ჟურნალი „პაიასტან აშხატავორუის“ 50 წლისთავია. აქ ვართ ქალთა ჟურნალების რედაქტორები და ხუთასამდე სტუმარი სომხეთის ყოველი კუთხიდან. ვათვალიერებთ ქალაქის ღირსშესანიშნავ ადგილებს. მოვინახულეთ ერთი მილიონი სომეხის — გენოციდის მსხვერპლთა აკლდამა, სადაც მუდამ ანთია ჩირაღდნები და ჟღერს კომიტასის საგანგებო ჰანგი, ხოლო ზეცისკენ აწვდილი სვეტი გვამცნობს, რომ სომხეთი მაინც ცოცხლობს და იზრდება. ყოველი წლის მაისში, ნიშნად გლოვისა, აქ ამოდიან შავით მოსილი ფეხშიშველა ქალები და ფიცს დებენ, რომ გაამრავლებენ და გააძლიერებენ დედა-სომხეთს. საღამოს, სუნდუკიანცის სახ. თეატრში საზეიმო შეკრებაა.

ქალთა ჟურნალის რედაქტორის ანჟელა ჩილინგარიანის მოხსენება და მისალმებებია. იუბილარ ჟურნალს მეც მივესალმე.

მეორე დღესაც ექსკურსიებია.

ანჟელამ სადილი რედაქციაშიც გაგვიმართა. მოწვეული ჰყავდა რამდენიმე მწერალიც, ერთ-ერთმა ჩემს სადღეგრძელოს საქართველოს სადღეგრძელო დაუკავშირა და დიდი მადლიერებით აღნიშნა, რომ საქართველო მუდამ მხარში უდგას სომხეთს, რომ იგი მუდამ ეხმარება მათ შეჭირვების ჟამს.

ერთ-ერთი ტაძრის დათვალიერებისას, სომეხი მწერლის გვერდით მოვხვდი. ტაძრის ეზოში აღმოსავლური ქვეყნის მიბაძვით, ხეები ფერადი ნაჭრების ბაფთებითაა მორთული. ასევე, მათი კინოთეატრი, იაპონური არქიტექტურის ასლით იწონებს თავს. როდესაც სომეხ მწერალს გავუზიარე ჩემი გაოცება იმის შესახებ, რომ ქუჩებში, გარდა სომხურისა, სხვა ენა არ მსმენია, ჩაეცინა, სომხეთი ქვიანი ქვეყანაა და არავის იზიდავსო.

ერევნიდან დაბრუნებისთანავე იმ იუბილეს ანგარიშიც დავწერე, რადგან ახლა რიგი საქართველოზეა. როგორც შეხვედრისას მეუბნებოდნენ, ახლა ყველა რესპუბლიკის ქალთა ჟურნალს თვალი ჩვენსკენ უჭირავს, მოწვევას ელოდებიან. მაგრამ გეგმის შედგენისას გამოირკვა, რომ ჩვენი ზეიმი შედარებით ვიწრო წრეში ჩატარდება და მხოლოდ სომხეთის, აზერბაიჯანის ჟურნალების „სოვეტსკაია ჟენშჩინასა“ და „რაბოტნიცას“ რედაქტორებს მოვიწვევთ.

29 ნოემბერს „საქართველოს ქალის“ 50 წლისთავის იუბილე რუსთაველის თეატრში ჩატარდა. დარბაზი ხალხით გაივსო. მოგვილოცეს: მორის ფოცხიშვილმა, თენგიზ ჩანტლაძემ, ნანი ბრეგვაძემ, თამარ გოთუამ, ნელი თარბამ, ნინო გალანოვამ, დავით მჭედლიშვილმა, აჭარელმა მოხუცმა ალმასი თალაკვაძემ, ელეონორა კანდელაკმა, ანა ღვინიაშვილმა და სხვებმა. ესწრებოდნენ ვიქტორია სირაძე, ზინაიდა კვაჭაძე, ნელი გურგენიძე და ნათელა ვასაძე. კონცერტში გოგონათა ანსამბლი „მზიურიც“ მონაწილეობდა.

ჟურნალის განვლილ გზაზე მოკლედ ვისაუბრე. მისი დაარსების დღეა 1923 წლის სექტემბერი. ჟურნალს ჰყავდა წინამორბედი „ამიერკავკასიის დამაშვრალი ქალი“, რომელიც 1922 წელს სამ ენაზე გამოდიოდა. „ჩვენი გზა“, „მშრომელი ქალი“, „საბჭოთა ქალი“ და ბოლოს — „საქართველოს ქალი“.

ჩვენს ჟურნალს არც განუწყვეტელი სიცოცხლე ჰქონია. 1939 წელს დახურეს — მისი მისია ამოწურულად მიიჩნიეს, მაგრამ ცხოვრებამ კვლავ წამოჭრა ჟურნალის აღდგენის საკითხი.

1957 წელს გამოცემა განახლდა. მის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ გამოჩენილი მწერლები, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი. იყო დრო, როდესაც ჟურნალს თავისუფალი რედაქტორიც კი არ ჰყავდა — სულ ორ ქალბატონს ითვლიდა მთელი რედაქცია — პასუხისმგებელ მდივანსა და მასობრივ მუშაკს.

ჩემი და ჩემი ვაჟის ავადმყოფობა

1975 წლის მარტში ინფარქტის დიაგნოზით სამკურნალო კომბინატის საავადმყოფოში, თეიმურაზ ანჯაფარიძის განყოფილებაში დამაწვინეს. ჩემი მკურნალია თინა ავალიშვილი. ეტყობა, ხმა გავრცლდა, რომ ძალიან ცუდად ვარ. მოდიან და მოდიან მნახველები, მაგრამ ჩემთან შემოსვლა აკრძალულია.

ძალზე გადავიღალე. გასული ზაფხული ნავარძეთში, ჩვენს ძველ სახლში გავატარეთ. ბიძინა ინვა, რადიკულიტი დაემართა. მე ახალი სახლის მშენებლობას ვმეთვალყურეობდი, მუშებს სადილს ვუმზადებდი და ზემოთ, გორაკზე ამქონდა.

თბილისში რომ დავბრუნდი, როგორც უკვე აღვნიშნე, „საქართველოს ქალის“ 50 წლის საიუბილეო სამზადისში ჩავერთე. თუ როგორ ჩატარდა იუბილე, ამის შესახებ უკვე მოგითხრეთ.

1-3 აპრილს, თურმე ამავე კარდიოლოგიურ განყოფილებაში დააწვინეს ჩემი მერაბიც. ავად რომ გავხდი, ის თბილისში არ იყო. ჩამოვიდა, გაიგო თუ არა ჩემი ამბავი, მომინახულა და... მანქანაში იმდენად ცუდად გამხდარა, რომ საავადმყოფოში მოიყვანეს და ჩემსავე განყოფილებაში, მეორე მხარეს დააწვინეს. მიკვირს, დღეში რამდენიმეჯერ რომ მოდის ჩემს სანახავად, მეშინია, სამსახურში ამის გამო რაიმე უსიამოვნება არ შეხვდეს, მთელმა საავადმყოფომ კი, თურმე იცის სიმართლე და დიდად ამხიარულებთ ეს ისტორია.

ეჰ, ჯერ მაინც რა უნდა მერაბთან გულის დაავადებას!

ივლისიდან წყნეთში ვარ. ექიმები არ მირჩევდნენ თბილისიდან გასვლას, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო, ძალზე შევწუხდი. წყნეთში ამოსვლის ღამეს მართლაც შევშინდი — ჰაერი არ მყოფნიდა, მაგრამ თანდათან მოვიკეთე. ჩემს აქ ყოფნაში, 17 ივლისს, გარდაიცვალა კონსტანტინე გამსახურდია — დიდი მწერალი! სასთუმალთან მიძევს მისი „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“ და არა მარტო რომანები! — უზომოდ მიყვარს ნოველებიც — განსაკუთრებით, „ზარები გრიგალში“ და „შეხვედრა მკვდართან...“ ამ დღეებში გარდაიცვალა ჩემი ბიძაშვილიც, ჭიათურის თეატრის მსახიობი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჩემი პიესების მოამაგე და ყველა სპექტაკლის მონანილე ანტონ (ტონია) ბარათაშვილი. ამ ამბებმა უზომოდ დამამწუხრა.

აგვისტოში მერაბი ჩამოვიდა ნავარძეთიდან. ბევრი რამ გაუკეთებია. მომიყვა, გამახარა. ნავარძეთში ცხოვრება უკვე შეიძლება, მაგრამ ექიმები არ მაძლევენ წასვლის ნებას. იმასაც კი ნანობენ, რომ წყნეთში გამიშვეს. მივიღე ჩემი სკოლის ამხანაგის, ახლა სოფელ მერევის სკოლის დირექტორის ბიქტორ ხარაიძისა და სასწავლო ნაწილის გამგის ალექსანდრე ასანიძის წერილი. მადლობას მიხდიან სკოლის გახსნაზე ზრუნვისათვის.

მაისიდან მოყოლებული, სარედაქციო საქმეს შინ ვაკეთებ და მაინც არ ვიცი, როგორ „მოვკლა დრო“, როგორ გავუძლო ამ უაზრო საქმიანობას ე.ი.

არაფრის კეთებას. მე ხომ არასდროს მომიცლია მოსაწყენად, ახლა კი ვკითხულობ — ვიღლები, დავდივარ — ვიღლები... წერას ვერიდები და ჩემს ოთახში ისე ვარ, როგორც საკანში. შევძლებ კი, გამოჯანმრთელებას და ისევ მწყობრში ჩადგომას? ძნელია წარმავალობაზე ფიქრი. ის კი არა, რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ეჯაჭვები ცხოვრებას, ადამიანებსა და, განსაკუთრებით, მიწას, რომელზეც შენს ბავშვობაში აგიდგამს ფეხი.

რა ვარ? ვინა ვარ? — ერთი ფოთოლი,
უმშვენიერეს სიყვარულის ხისა...
როცა უფალმა ჩამთვალა ღირსად.
მის მკერე ტოტზე მეყხოვრა თრთოლვით.
მეც ვას შევხარი, მეც მზისკენ ვიღტვი,
მაქვს ატკტკვილი მისკენ ხელები,
მეც გულში მიზის პატარა კვირტი.
მას დავშრიალებ და ვეფერები...
რა ვარ? ვინა ვარ? — ფოთოლი ერთი
და პანანინა კვირტის მფლობელი.
მეც მითქვამს მკერე სათქმელი ხეთა
და მიმღერია საგალობელი.

(„ერთი ფოთოლი")


სტუმრად ლადო გუდიაშვილთან

დრო გადის... თანდათან თავს უკეთ ვგრძნობ და სამსახურში გავდივარ.

„საქართველოს ქალი" ხშირად ბევრი კარგი შეხვედრის მასპინძელია. მოდიან მწერლები, მხატვრები, მსახიობები... ზოგჯერ ჩვენც ვსტუმრობთ საინტერესო შემოქმედ ადამიანებს.

1976 წლის შემოდგომაზე, ლადო გუდიაშვილს სახელოსნოში ვეწვიეთ, რედაქციის თითქმის მთელი შემადგენლობა. ეს შეხვედრა დაუვიწყარია... ბევრი ვისაუბრეთ, მხატვრის ტილოებით მოვიხიბლეთ, შემდეგ ერთად ფოტოც გადავიღეთ.

ლადოსთან მე დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. მისი ნაჩუქარი წიგნიც მაქვს და სურათიც ავტოგრაფით:





ლადო გუდიაშვილის სახელოსნოში
1976 წ.

ჩვენ ერთმანეთს დიდ პატივს ვცემთ და საქმიანი ურთიერთობაც გვაქვს — ნიჭიერი ახალგაზრდების ხელის გასამართად რედაქციაში წერილებს მწერს ხოლმე. მეც, რაც შემიძლია, ყველაფერს ვაკეთებ მათ დასახმარებლად.

1977 წლის აპრილში, ჭიათურა-ნავარძეთში მთელი ჩემი დიდი ოჯახით ჩამოვედი. სოფელმა გაგვახარა. აყვავებულია ჩვენი კარ-მიდამო, ამინდიც კარგია. მიკვირს, ამდენს ვტრიალებ, კიბეებზე ავდი-ჩავდივარ და გულის წვა და ტკივილი არა მაქვს.

ყველა აღტაცებულია ნავარძეთით, ესე იგი, ჩემ მერეც მოხედავენ აქაურობას. ავასრულე შენი ანდერძი, სალომე ბებია! ყოჩაღ, მერაბ!

მეორე დღეს, საღამოს, ჭიათურის თეატრში ვართ. ჩემთან შეხვედრის თემაა: დრამატურგი, თეატრი, მაყურებელი. დარბაზი სავსეა ხალხით. ძალიან საინტერესო საღამო გამოვიდა.

70 წლის აღსანიშნავი ჩემი ოუბილე

1978 წლის 14 აპრილს, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმებასთან დაკავშირებით, თბილისი და სრულიად საქართველო მღელვარებამ მოიცვა. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად ჩათავდა და ჩვენმა რედაქციამ, ჩვეული სტილით განვაგრძეთ მუშაობა. აპრილშივე რუსთავის საბავშვო სახლში ვიყავით: ეთერ ჯაფარიძე, ნანული ცაგარეიშვილი, ლია კაკაბაძე, ირმა ჩოფიკაშვილი, ოლია რევია და რუსიკო ხაბურზანია. ასეთ ღონისძიებებზე თითქმის მთელი კოლექტივი მიმყავს ხოლმე. მინდა, თავად, ადგილზე ნახონ და გაეცნონ ვითარებას, ადამიანებს, მათ ჭირ-ვარამსა და პრობლემებს, გულთან უფრო ახლოს მიიტანონ მათი ბედი, იყვნენ გულმხურვალენი და ამავე დროს, ობიექტურნიც, რომ უფრო სამართლიანად წარიმართოს ჩვენი საქმიანობა. აქ 110 დაობლებული ბავშვია. ისინი მშვენიერები, ნიჭიერები, ნორმალურ პირობებში არიან. მათი ხელმძღვანელია ეკატერინე კოსოვა. კარგი კონცერტი გაგვიმართეს, მაგრამ არცერთი ქართული ლექსი, ცეკვა, სიმღერა! სად ვიყავით, საქართველოში? ასეთი სახლები და სკოლები, რომლებსაც ქართული მხოლოდ ეწოდება, მეტისმეტად მოგვიმრავლდა...

ამ გაზაფხულზე 70 წლისა შევსრულდი. მრავალი მილოცვა, დეპეშა, ჯილდო მივიღე.


კვლავ სიყმანვილის გზას დავადგები,
ჩემი ბილიკი ისევ ბილიკობს.
მინდა დავკრიფო ყოჩივარდები
და ყველას, ყველას ჩამოგირიგოთ.
შემომხვდებიან გზებზე ცქემლები,
წამოაფრენენ ხსოვნას გულისას!
და მოგონებებს დამბრედებენ
ჭიათურული გაზაფხულისას.

(„სვგაზაფხულო")

იუბილესთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო ღონისძიებაც ჩატარდა. ბათუმისა და ჭიათურის კულტურის სახლებმა საღამოები გამიმართა. ტელევიზიით უჩვენეს ჭიათურა, ჩვენი და მამიდაჩემის სახლები, ნავარძეთი... მსახიობებმა წაიკითხეს ლექსები, მეც მოვიგონე ბევრი რამ, იყო სიმღერები, მუსიკა... ძალზე ლამაზი სიუჟეტი გამოვიდა.

წლის ბოლოს კი ტელევიზიაში საღამო მომიწყვეს. სცენარის ავტორი ჯანეტა ქორიძე იყო. სიტყვებით გამოვიდნენ გიორგი ციციშვილი, გრიგოლ აბაშიძე, იოსებ ნონეშვილი, თეატრმცოდნე ვასილ კიკნაძე, პროფესორი უშანგი ობოლაძე. გადაცემამ კარგად ჩაიარა.

1978 წლის 28 ივნისს, საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიაზე სიტყვით გამოვდივარ ქალთა ჟურნალის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე; ქალთა პრობლემებზე ოჯახსა და საზოგადოებაში, მოზარდი თაობის აღზრდისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების ირგვლივ და რედაქციის კოლექტივის მონაწილეობის შესახებ ამ პრობლემების მოწესრიგებაში. მომყავს ფაქტები, მოვითხოვ საზოგადოების ყურადღების გამახვილებას, ჩვენს თანადგომას, ერთობლივ ბრძოლას ყველა იმ სიმახინჯის დასაძლევად, რაც ქალს ხელს უშლის ოჯახის განმტკიცებაში, ბავშვთა აღზრდაში, შრომის, დედობის, დასვენების პირობების გაუმჯობესებაში. სიტყვა იმდენად ემოციური გამოვიდა, რომ ირაკლი აბაშიძემ სესიაზევე პატარა ბარათი მომწერა:



❦ ❦ ❦

ივლისის თვეში საზოგადოებამ ორი წლის წინ გარდაცვლილი — ბესო ჟღენტი გაიხსენა. მას 75 წელი შეუსრულდებოდა. „ლიტერატურულ საქართველოში“ წერილი დავბეჭდე „ჩემი ბავშვობის მეგობარი“. ბესოსადმი ბავშვობიდან კეთილი გრძნობები გამომყვა. ვახტანგი, ბესო და ლევან ასათიანი ხომ თითქმის თანშეზრდილები იყვნენ და ქუთაისის რეალურ სასწავლებელშიც ერთად სწავლობდნენ. ბესო და ლევანი ხშირად იყვნენ ჩვენთან. ერთხელ, როდესაც მშობლები შინ არ იყვნენ და ბესო და ვახტანგი დაჭერ-

ობანას თამაშობდნენ, რომელიღაც მათგანი ანთებულ ლამპას წამოედო და კინაღამ ხანძარი გაჩნდა, მე ძლივს გამაჩუმეს და მშობლების მოსვლამდე გვერდიდან არ მომშორებიან.

...ბესოს მწერალთა ოჯახში ჩემი მისვლა ძალზე გაუხარდა, წლების შემდეგ ჩემს შესახებ გამოაქვეყნა მშვენიერი წერილი გაზეთ „სოფლის ცხოვრებაში". ერთხელ კი „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე გამაკრიტიკა, როდესაც მწერალთა ერთ-ერთ ყრილობაზე, ჩვენს კრიტიკოსებს ახალგაზრდა მწერლების მიმართ უყურადღებობა ვუსაყვედურე. მძიმე ავადმყოფობის ბოლო დღეებში რომ ვინახულე, ძალზე გაუხარდა და მითხრა: მაპატიე, რომ სათანადო ყურადღება ვერ მოგაქციე, ვერ დაგეხმარე, მაგრამ თუ გადავრჩი, დანაშაულს გამოვისყიდიო.

20 დეკემბერს პროფკავშირების კულტურის სასახლეში აღინიშნა ჩემი იუბილე; მომხსენებლები — ალექსანდრე ბეგაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, იოსებ ნონეშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ლია კაკაბაძე. მონაწილეობდნენ: მედეა ჯაფარიძე, ნათელა მიქელაძე, ელენე და ტარიელ საყვარელიძეები, ქეთევან კიკნაძე, გოგი გელოვანი, თამილა ლასხიშვილი, ზაზა ბანელაშვილი, ზურაბ ქაფიანიძე; კომპოზიტორები და მომღერლები: სანდრო მირიანაშვილი, ალექსანდრე შავერზაშვილი, ედიშერ მირიანაშვილი, ირმა ანანიძე, ნუნუ გაბუნია, შოთა მილორავა, ცინუკი დადიანი; სცენები „ჭრიჭინადან" და „ჩემი ყვავილეთიდან" წარმოადგინეს მედეა ჯაფარიძემ და ქეთევან კიკნაძემ. ძალიან ლამაზი ღონისძიება გამოვიდა, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი ზაირა ასლამაზიშვილი გახლდათ.

1979 წლის 18 თებერვალს, კვლავ საიუბილეო საღამო გამიმართეს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. სიტყვებით გამოვიდნენ: მწერალი გიორგი ციციშვილი, რეჟისორი დოდო ალექსიძე, ჟურნალისტი ოთარ ეგაძე, თეატრმცოდნე ნინო შვანგირაძე... ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა: ჯემალ მონიავამ, თათია ხაინდრავამ, გოგი გელოვანმა, თამილა ლასხიშვილმა, მაია ტატიშვილმა... ამ შეხვედრას მალე მოჰყვა საზოგადოება „ცოდნის" მიერ მოწყობილი საღამო ჩაის სახლში. ჩემს მოღვაწეობაზე საინტერესოდ ისაუბრეს მარიკა ლორთქიფანიძემ, პროკოფი რატიანმა, თინა შარაშენიძემ, ალექსანდრე (ბუკა) ნაკაიძემ... სასიამოვნო დღე იყო. პოეტმა მედეა კახიძემ და ჟურნალისტმა სოფიო გველესიანმა ძალზე გულთბილი წერილები გამოაქვეყნეს პრესაში.

1979 წლის მარტში, თბილისში გვესტუმრნენ მოსკოვის საბჭოთა არმიის თეატრის მსახიობები — „სტრეკოზას" მონაწილენი: ნელი სალდატოვა („ცქრიალა"), ანდრეი პეტროვი („გიორგი") სასიამოვნოდ გავატარეთ ის დღე. იყო მოგონებები, მოგონებები... გული დაგვწყდა, რომ „ჭრიჭინა" კასატკინა (გ. ოსტროვსკიას დუბლიორი) და ვლადიმერ ზელდინი („კოხტა") ვერ მოვიდნენ (მონაწილეობდნენ აქ, თბილისში მ. ზორინის პიესის პრემიერაში). რა სიხარული იყო ჩვენი სტუმრებისათვის, როდესაც ჩემი კაბინეტიდან გაისმა ფირფიტაზე ჩაწერილი მათი „სტრეკოზას" ხმები... სტუმრებმა აღნიშნეს: „ეს პიესა მშველელად მოვიდა ჩვენს თეატრში იმ დროს, როდესაც არ ვიცოდით სამამულო ომის



70-იანი წლების ფოტოკოლაჟი
1. ლადო სულაბერიძე, იოსებ ნონეშვილი, მარიკა ბარათაშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, შალვა ამისულაშვილი, ელიზბარ უგულავა, პიორკი ქავთარაძე. მწერალთა მეშვიდე ყრილობა. 1976 წ.
2. „საქართველოს ქალის" კოლექტივი სტუმრად პაუნა წერეთლის ოჯახში. 1976 წ.
3. მარიკა ბარათაშვილი, კარლო კალაძე, მორის ფოცხიშვილი. ჯუთაისი. 1974 წ.

თემატიკის შემდეგ რისთვის მოგვეკიდა ხელი. პიესამ გარდატეხა მოახდინა რეპერტუარში და კლასიკად დამკვიდრდა. გვინდა აღვადგინოთ, მაგრამ ამას ახალი ძალები ესაჭიროება. თავიდანაც უდიდესი მუშაობა დაგვჭირდა, რადგან ეს იყო პირველი ქართული პიესა ჩვენს თეატრში, ისიც კომედია და, ასე ხალისიანი სიმღერებით, ხასიათებითა და ცეკვებით... გაგვიძნელდა, მაგრამ, საბოლოოდ, სახალისო სამუშაო კი გამოვიდა. სამწუხაროდ, აღარ არიან „ჭრიჭინას“ დამდგმელი რეჟისორი დავით ვლადიმერის ძე ტუნკელი, მთავარი რეჟისორი ალექსი დიმიტრის ძე პოპოვი... და რამდენი მსახიობი წავიდა... მათ შორის ოსტროვსკაია, ხოდურსკი („ნიკიფორე“) და ბევრი სხვა...“

თბილად დავემშვიდობეთ ერთმანეთს. მთხოვეს ახალი პიესების — „ფრთხილად, სასიკვდილოა“ და „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“ — პწკარედები, მალე ამთავრებენ გასტროლებს თბილისში და ლენინაკანში მიდიან.

1979 წლის 30 მარტს, თელავის დრამატულ თეატრში, ჩემი პიესის — „ფრთხილად, სასიკვდილოა“ — პრემიერაა. რეჟისორია ნუგზარ ლორთქიფანიძე. თბილისიდან ჩამოვიდნენ: თეატრმცოდნე მარგარიტა გოგოლაშვილი, დრამატურგი გოდერძი ბერიაშვილი და კულტურის მუშაკთა პროფკავშირების თავმჯდომარე ევტიხი გოგიაშვილი. მასპინძელია თეატრის დირექტორი გივი კახნიაშვილი. დარბაზი ხალხითაა სავსე. თეატრი ძველია — არც მბრუნავი სცენა აქვთ, არც კიდევ ბევრი რამ, მაგრამ თავი არ დაუზოგავთ და სპექტაკლი გამოუვიდათ. მომეწონა ჩიორასა და ბებიას, დათოსა და ზაზას თუ გოგის როლების შემსრულებლები. ასევე — მერის, თამაზისა და დიმიტრისა. კარგია სტუმარი ქალიც. დარბაზში ბევრი ტიროდა...

სპექტაკლი ოვაციებით დააჯილდოვეს. მეც სცენაზე ამიყვანეს, რეჟისორ ნუგზარ ლორთქიფანიძეს მართლაც კარგად უმუშავნია და ქებაც დაიმსახურა. თელავში „ჩემი ყვავილეთისა“ და „სიყვარულის წისქვილის“ შემდეგ ეს ჩემი მესამე პიესა დაიდგა. სპექტაკლი გულით დაილოცა.

მეორე დღეს, თეატრის დასში წავიკითხე ახალი კომედია „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“. ვფიქრობ, პიესა მოეწონათ. ნუგზარ ლორთქიფანიძემ მთხოვა, ტექსტი გამოვუგზავნო. მასპინძლებს დავემშვიდობეთ და თბილისისკენ გამოვბრუნდით.

1979 წლის აპრილი. ვერა და ვერ ვაიძულე თავი, მუშაობა დამეწყო. არადა, ამ დღეებში, რესპუბლიკის მშრომელთა კომიტეტის დამფუძნებელი კრებაა, რომელზეც სიტყვით უნდა გამოვიდე. ყოველი დღე შრომითა და ღელვით არის დატვირთული. გიგა ლორთქიფანიძეს გადავეცი პიესები „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“ და „ფრთხილად, სასიკვდილოა“.

რამდენი რამე მაქვს გასაკეთებელი, რამდენი საზოგადოებრივი დავალება — შესასრულებელი! რეადაქციაშიც მოდიან ადამიანები, მთხოვენ ვიბრძოლო მათთვის, ვუშუამდგომლო. ყველა მათგანი ჩივის, რომ ყურადღებას არ აქცევენ, ჩაგრავენ. ვცდილობ, დავეხმარო, ზოგ შემთხვევაში, მართლაც ვშველი.

მოგზაურობა ჩრდილოეთ ევროპაში

1979 წლის მაისში მე და ბიძინა „მშვიდობის რეისით" მივემგზავრებით. გემი ლენინგრადის ნავსადგურს გასცდა და გეზი ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებისაკენ აიღო. წინ დიდი გზა გვაქვს: პოლონეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დანია, ნორვეგია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, შვედეთი, ფინეთი და ამ მოგზაურობის მისიაა მშვიდობის ძალთა საერთაშორისო კონგრესისათვის მზადება.

ჩვენი რეისის მთავარი პუნქტია ქალაქი ოსლო, სადაც 25-28 მაისს „მშვიდობის დღეები" უნდა ჩატარდეს. გემზე საბჭოთა კავშირის ორასამდე წარმომადგენელია, მათ შორის, ექვსი ქართველია. დელეგაციას ლატვიელი ვიქტორ ბლიუმი ხელმძღვანელობს. წინ თოლიების გუნდი მიგვიძღვის. ზღვის ფართო გზას უცხოეთისაკენ მივყვებით და მტკიცდება ძველი მეგობრული კონტაქტები, მყარდება ახალი...

ჩვენმა გემმა ღუზა პოლონეთის ნავსადგურ გდინიაში ჩაუშვა. გულთბილად გვეგებებიან მასპინძლები. აქვე იმართება სახელდახელო მიტინგი და ისეთი გრძნობა გვეუფლება, თითქოს ჩვენს სიტყვას — ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა აღარ განმეორდეს საკაცობრიო ტრაგედია — გულისყურით უსმენს აქვე, ნავსადგურში მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთათვის დადგმული ძეგლი — იარაღასხმული ბავშვიანი ქალი. ვათვალიერებთ ქალაქებს: გდინიას, გდანსკს, სოპოტს. ეს სამი ქალაქი ომის დროს თითქმის მთლიანად განადგურებულა. დიდებული ძეგლებით უკვდავუყვიათ პოლონელებს გერმანიის ფაშიზმთან ბრძოლებში დაღუპული გმირების — პოლონეთის განმათავისუფლებლების ხსოვნა. ჩვენც გვირგვინებით ვამკობთ საფლავს ვესტერპლატეზე, მივდივართ წმინდა მარიამის ტაძართან, რომელიც უამრავ მლოცველს იტევს.

ტაძარი საუკუნე-ნახევარი უშენებიათ, ხოლო აქაური ორღანის შექმნისათვის ოცდახუთი ნელი შეუღევია სახელგანთქმულ ოსტატს. ამ ტაძარშიც ომის მძიმე მოგონება დგას — ეკლის გვირგვინდადგმული ქანდაკება. მის ავტორ ქალს მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ექვსი მილიონი პოლონელის ხსოვნისათვის უძღვნია ეს სკულპტურა, რომელთაგან ორი ათასი მღვდელმსახური ყოფილა.

პოლონეთში ჩვენს კრუიზს ოცდათხუთმეტი ადამიანი უერთდება და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისაკენ მივემგზავრებით... ვარნემიუნდეში ჩავდივართ. შეხვედრა გდრ-ის მშვიდობის მომხრეებთან კულტურჰაუსში, ექსკურსიები ქ. როსტოკში... ყველგან თვალსა და გულს ახარებს ახალი ხუროთმოძღვრული შედევრები, სილამაზე, წესრიგი, სისუფთავე, დიდი ზრუნვაა ხალხის კეთილდღეობასა და ქალაქის მომავალზე — მის კეთილმოწყობასა და სილამაზეზე.

კოპენჰაგენში შევდივართ. ჩვენს დელეგაციას კიდევ ათი კაცი ემატება. ვათვალიერებთ დანიის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. შეხვედრები გაგვიმართეს

დანიელმა კოლეგებმა. იმავე დღეს ჩვენმა გემმა კურსი ქალაქ ოსლოსაკენ აიღო.

კონფერენცია „მშვიდობის დღეები“ ოსლოს კულტურის სახლში გაიხსნა. ჩვენი კრუიზის მონაწილეთა გარდა, კონფერენციას ესწრებიან დელეგაციები დანიიდან, შვედეთიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან და ფინეთიდან.

შეკრება მიეძღვნა ევროპის ქვეყნებს შორის მშვიდობის, უშიშროებისა და ურთიერთთანამშრომლობის საკითხებს. კონფერენციაზე დიდი სიხარულით აღინიშნა ვიეტნამში ომის შეწყვეტის ფაქტი. მეოთხე დღეს მივიღეთ რეზოლუცია. ოსლოდან ჰამბურგს გავემგზავრეთ.

როდესაც მე და ბიძინამ ეს მოგზაურობა გადავწყვიტეთ, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საშუალება მომეცა ჩემი ორმოცდათექვსმეტი წლის უნახავი, ძალზე საყვარელი მამიდაშვილის დავით ვაშაძის ნახვისა. 1923 წელს ძმასთან, სიმონთან ერთად გერმანიაში სასწავლებლად ჩამოსულმა, სწავლის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება რომ ვერ გაბედა. მართალია, ძმები სიმონ და დავით ვაშაძეები ვიზებით იყვნენ წასული გერმანიაში, მაგრამ როდესაც სწავლის დამთავრების შემდეგ სიმონი შინ დაბრუნდა, გერმანიაში ყოფნა ბრალდებად წაუყენეს და 1937 წელს დახვრიტეს. ამიტომ დავითი წერილებსაც კი არ იწერებოდა, რომ ახლობლებისათვის ზიანი არ მიეყენებინა. ამ ხუთი ათეული წლის მანძილზე რამდენიმე წერილის მოწოდება მაინც მოახერხა, საიდანაც შევიტყვეთ, რომ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, იგი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, ცოლიც შეირთო, შვილიც ჰყავდა, მაგრამ ორთავე დაეღუპა. შემდეგ კი, გერმანიაში გადასახლდა და თავის მეორე ცოლთან, გერმანელ ანე-მარიასთან ერთად ჰამბურგის მახლობლად, პროვინციულ ქალაქ იტცეჰოეში ცხოვრობს. ქართულ ემიგრანტულ პრესაში დავით ვაშაძის არაერთი სტატიაა გამოქვეყნებული. იგი გრიგოლ რობაქიძისა და ვიქტორ ნოზაძის მეგობარი გახლდათ. ჩვენამდე იმ



ანე-მარია ვაშაძე, პაველ ვაშაძე (დგას), დავით ვაშაძე, ვიქტორ ნოზაძე — ქართველი ემიგრანტები იტცეჰოეში. გერმანია. 1965 წ.

ამბავმაც მოაღწია, რომ ომის წლებში მან გერმანიაში მოხვედრილი ბევრი ქართველი დაღუპვისაგან იხსნა.

მე და ბიძინა მოუთმენლად ველით დავითთან შეხვედრას. ჩემი თხოვნა, რომ გემიდან ჰამბურგში დავითს რადიოთი დავკავშირებოდით, რეისის ხელმძღვანელობამ არათუ ვერ დააკმაყოფილა, გამაფრთხილა, ჰამბურგში გემიდან ბაქანზე არ ჩავსულიყავი და, საერთოდ, ქალაქში არ გავსულიყავი ჩემი ნათესავის მოსანახულებლად: გზიდან ბარათი გაუგზავნეთ და თავად მოგაკითხავთო. არადა, როგორ გამეგზავნა ბარათი, როცა ბარათის შესაძენი საშუალება არ გვქონდა — არც ერთ ნავსადგურში საამისო ფულიც არ მოგვცეს. ბოლოს, ნორვეგიაში, ნავსადგურიდან ბაღში გასული რომ ვისვენებდით, რუსი ემიგრანტი ქალი გვერდით მომიჯდა, ჩემი გასაჭირი რომ გავანდე, ხელჩანთიდან ღია ბარათი ამოიღო და მაჩუქა. სასწრაფოდ მივწერე დავითს წერილი, ვაცნობე ჩვენი ჩასვლის დრო და ქალს ვთხოვე, ბარათი გაეგზავნა. ამ იმედით მივაღწიეთ ჰამბურგს. ჩვენს თანამგზავრებს მრავლად დახვდნენ ჰამბურგელი ნაცნობ-მეგობრები. გემის ბაქანი დაცარიელდა, მე და ბიძინა კი კიბის თავზე ვდგავართ და ველოდებით. ქვემოთ, კიბესთან, ერთი კაცი ღა შემორჩა. ჭაღარაა, საშუალო ტანის, მარტო დგას, ხელჯოხს დაყრდნობილი. როგორი უნდა იყოს დავითი? მე ხომ ნახევარ საუკუნეზე მეტია, არ მინახავს.

„დავით ვაშაძე, დავით ვაშაძე!“ — ვყვირით მე და ბიძინა.

კაცმა ამოიხედა, „ნაინ! ნაინ!“ — გვიპასუხა და შებრუნდა. რა გუნებაზე დავდგებოდი! ბიძინა მამშვიდებს: აქ ხომ ორ დღეს ერჩებით, ქართველები მოგვაკითხავენ და აუცილებლად შეგვახვედრებენო.

საღამოს, ჰამბურგის ერთ-ერთ კლუბში შეკრებას დავესწარით მშვიდობის დაცვის პრობლემების შესახებ, დიდ დარბაზში, გრძელ მაგიდას ვუსხედვართ. ჩვენს პირდაპირ ძალზე სიმპათიური წყვილი ზის. მაგიდაზე გამაგრილებელი წყალია ბოთლებით ჩამორიგებული. მაგიდის ყველა წევრს თავ-თავისი ბოთლი უდგას და აზრადაც არ მოსდის, სტუმარს წყლით მაინც გაუმასპინძლდეს. პირდაპირ მსხდომებს შევეკითხეთ, რა მანძილია ჰამბურგიდან იტცეჰოემდე, რა ტრანსპორტით და რომელ საათებში შეიძლება იქ გამგზავრება? მათ ერთ ახალგაზრდას მოუხმეს და დავალება მისცეს. იგი მალე დაბრუნდა და გვითხრა, რომ იტცეჰოემდე 80 კილომეტრია და მატარებელი იქით დილის 6 საათზე გადის.

მეორე დილით, ჩვენი ჯგუფის წევრები ტელმანის საფლავის მოსანახულებლად წავიდნენ, ხელმძღვანელმა მე და ბიძინას გვთხოვა დავრჩენილიყავით — ორი საათისათვის ჩვენთან ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მოვლენ, სამშვიდობო მიტინგი უნდა ჩავატაროთ და გთხოვთ, თქვენ უხელმძღვანელოთო.

დილის 11 საათზე გემის მსახური მოდის ჩვენთან და გვეუბნება, რომ ვიღაცეები გკითხულობენო. გერმანელი ახალგაზრდა ქალი და კაცი შემოვიდნენ: „გუშინდელი მიტინგის მონაწილენი ვართ. გავიგეთ, იტცეჰოეში ვიღაც გყოლიათ და

მასთან დაკავშირება გდომებიათ. თქვენ წასაყვანად მოვედით. მანქანით ვართ“.

— დიდი მადლობა, მაგრამ ორ საათზე გემზე სტუმრებს ველოდებით და...

— მერედა, იქ წასვლა-წამოსვლას რა უნდა!

— არა, ვერ შეგაწუხებთ, მაგრამ ტელეფონით რომ დაგვაკავშირებდეთ...

— სიამოვნებით!

მე და ბიძინა სტუმრებს გავყევით. ნანა კუპრაძემაც (აკად. ვიქტორ კუპრაძის ქალიშვილი) მოინდომა ჩვენთან წამოსვლა.

ფოსტამტის, დიდი დარბაზის გრძელ მაგიდაზე სხვადასხვა ქვეყნის სქელტანიანი სატელეფონო წიგნებია ჩამწკრივებული. ერთ მათგანში იტცეჰოეს ტელეფონის ნომრებია. გახარებულმა დავითის ტელეფონი მოვძებნე, ნომერი ავკრიფე. არავინ გვიპასუხა. გულდაწყვეტილი გამოვბრუნდი.

— მაგაზე ნუ წუხხართ! — მეუბნებიან გამყოლები — აგერ, მანქანა და ერთი საათიც არ გვინდა იტცეჰოემდე. პირველი საათისათვის გემზე იქნებით.

დიდი რისკია, მაგრამ იმდენად დიდია დავითთან შეხვედრისა და მისი ნახვის სურვილი, რომ... არა, ამ შესაძლებლობას ხელიდან ვერ გავუშვებ!

იტცეჰოესკენ მივქრივართ. გზის იქით-აქეთ თვალუწვდენელი მინდვრებია. არც ბაღები, არც ბოსტნები, არც ყვავილნარი! მუხლამდე ბალახში შავ-თეთრი ძროხებია მიმოფანტული. წვიმს...

ნანა კუპრაძე გერმანული ენის სპეციალისტია, ბიძინაც კარგად ფლობს გერმანულ ენას. საინტერესო საუბარი გაიმართა. ახალგაზრდები თავიანთ ამბებს ჰყვებიან, ჩვენსას — გვეკითხებიან. მაგრამ მე ფიქრით იქა ვარ, საითაც მივიჩქარით. წარმომიდგენია, როგორ გაუხარდება დავითს ჩემი დანახვა. მის ცოლსაც აქებენ. როგორც მათი ნაცნობ-მეგობრების — ემიგრანტების წერილებიდან ჩანს, ძალიან კარგი ცოლ-ქმრობა ჰქონიათ.

იტცეჰოესაც მივაღწიეთ. დავითის საცხოვრებელ სახლსაც, მაგრამ მისი ბინის კარს სხვა გვარი აწერია. ზარს მაინც ვრეკავთ. კარს გერმანელი გვიღებს.

— ვაშაძე? ათი წელია აქ ვცხოვრობ და ასეთს არ ვიცნობ.

დაბნეულები ვდგავართ ბაქანზე.

გვერდითა სახლის სადარბაზოს კარი იღება. შუახნის კაცი გამოდის. ეგებ ამან იცოდეს რამე?! ვეკითხებით.

— როგორ არა, როგორ არა! აქ ცხოვრობდა, მაგრამ ათი წელი იქნება, რაც გადავიდა. ქალაქის ცენტრშია. აი, მისი მისამართი.

დიდ მადლობას ვუხდით. თან საათს დავცქერით. ვჩქარობთ.

მადლობა ღმერთს! თეთრად გადაპენტილი ხეებით დამშვენებულ ეზოში შევდივართ. ქვის კიბით მეორე სართულზე ავდივართ, და აგერ, კარზე წარწერა „დავით ვაშაძე“. რა ბედნიერებაა! ღილაკს თითს ვაჭერ. კარს შუახნის გერმანელი ქალი გვიღებს.

— დავით ვაშაძე? როგორ არა! აქ ცხოვრობს, მაგრამ ახლა აქ არ არის — ის და მისი მეუღლე რომელიღაც სანატორიუმში ისვენებენ, მგონი საზღვარგარეთ.

რამდენი ვიღელვე ჯერ აქეთ გამომგზავრებამდე, შემდეგ გზაში... როგორ ველოდი მასთან შეხვედრას... ტირილი წამსკდა.

ქალმა შინ შეგვიყვანა, დამამშვიდებელ ნვეთებს მასმევს. მეუხერხულება, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ. ეს ხომ უკანასკნელი შანსი იყო მასთან შეხვედრისა. ვტირი არა მარტო დავითის — მისი უსამართლოდ და უდროოდ დაღუპული ძმის — სიმონის, ჩემი რეპრესირებული ძმის ვახტანგის — უდანაშაულოდ, განუკითხავად ნაწამებ-ნაწვალები, ჩვენი ორი ოჯახის სამ მემკვიდრეზე...

ფანჯარასთან ყმანვილი ზის, მეცადინეობს როგორ არ ჰგავს ჩვენს ბავშვებს — არც შერხეულა, ჩვენთვის არც შემოუხედავს — თავის საქმეს განაგრძობს.

დავითისთვის დატოვებულ ბარათში ჩვენი ამ ახალგაზრდა გერმანელი მეგობრების მისამართს ვწერ, სადაც ჩემს წერილსა და მისთვის დატოვებულ ამანათს უნდა მიაკითხოს. დიასახლისს ვემშვიდობებით და ჰამბურგისკენ მივეჩქარებით.

ძალიან გვინდოდა ბენზინის საფასური მაინც გადაგვეხადა, მაგრამ ახალგაზრდებმა კატეგორიული უარი განაცხადეს და საღამომდე დაგვემშვიდობნენ. არადა, ამბობენ, გერმანელები ხელმოჭერილი ხალხიაო(!). გემზე რომ ავედით, სადილი კარგა ხნის დამთავრებული ჰქონდათ. მაგრამ სადილს ვინღა დაეძებდა! ცოტა ხნის შემდეგ ჩვენს ხელმძღვანელთან, უშიშროების თანამშრომელთან გამომიძახეს, ძალზე გაბრაზებული დამხვდა.

— მე ხომ გაგაფრთხილეთ, გთხოვეთ, უჩვენოდ გემიდან ფეხი არ მოგეცეალათ, თქვენ კი... მაინც სად იყავით?

— იტცეჰოეში.

— იტცეჰოეში? მერედა ვის მიჰყვებოდით? იცნობდით?

— ჩვენ შეკრებაზე იყვნენ, კლუბში.

— მაგრამ ხომ შეიძლება პროვოკატორები ყოფილიყვნენ? გაეტაცეთ?

— ძალიან კარგი ახალგაზრდები არიან.

— საიდან იცით? მაინც საიდან იცით? არა, შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლობა? აღარც ვიცი, რა ვუწოდო ასეთ საქციელს.

კარში გემის მსახურმა შემოყო თავი. — ბარათაშვილს კითხულობენ!

— ისევ ბარათაშვილს? და რა თქმა უნდა, ისევ ქართველები! მთლად გაცოფდა. თავს ძლივს იკავებს — მიბრძანდით, მიბრძანდით! ხუმრობაა ამ „თანამდებობის პირის“ ასეთ გაცოფებამდე მიყვანა? ამას ველოდი კიდეც და ვიცი, ამიერიდან „იმ მისამართზე“ ჩემ შესახებ კარგი არაფერი მიიწერება, მაგრამ ჩემთვის ეს იყო ერთადერთი შანსი და, რა თქმა უნდა, უკანასკნელიც...

დათიკოს ეზოში მოტეხილი, აყვავებული ხის პატარა ტოტი ჩვენს კაიუტაში, დიდ კასრში, სხვა ყვავილების გვერდით ჩავრგე, რომ მის სამშობლოში ჩამეტანა და იმ ძვირფასი რელიქვიის პატარ-პატარა ნაწილი ნათელასა და ნუნუსთვისაც მეწილადებინა. მეორე დღეს, ექსკურსიიდან რომ დავბრუნდით, აღარც კასრი დამხვდა, აღარც ის ტოტი. სხვა ყვავილებთან ერთად გადაეგ-

დოთ. დაკარგული ტოტიც კი ცხარე ცრემლით დავიტირე.

საღამოს ჩვენი ახალგაზრდა გერმანელები მოვიდნენ ჩვენთან. დათიკოსთვის რაც მქონდა ჩამოტანილი, წერილთან ერთად, გავატანე და თავადაც დავასაჩუქრე.

თვალწინ მიდგას ჰამბურგის გამოცილება: ხალხით გაჭედილი რომ იყო სანაპირო. ისმოდა მუსიკა, სიმღერები... შემდეგ კი, კარგა დიდ მანძილზე, ხალხით სავსე, მოფრიალე დროშებიანი კატერი მოგვაცილებს. გამცილებელთა შორის მოხუცი კაცია. მის მუხლებზე ორი ბავშვი მოკალათებულა. მოხუცს ქარი თმას უწეწავს, წვიმა ასველებს, მაგრამ მთელი ხმით გაჰყვირის: „მირ!“, „დრუჟბა!“.

...მაგონდება სევდიანი შეხვედრები ოსლოს პროფკავშირების სასახლეში. მაგიდასთან მოწყენით ჩამომჯდარი უკრაინელი კაცი — ომის ტალღას აქ რომ გამოურიყავს. ტყვეობიდან გათავისუფლებული, დაავადმყოფებული ერთ ქალს შეუფარებია, მერე თავისი კეთილისმყოფელი ცოლად შეურთავს და აქვე დარჩენილა. იგი გვერდიდან არ გვშორდება და ყველას შემოგვჩივის თავისი სევდიანი ცხოვრების ამბავს. გვიყვება, როგორ ენატრება უკრაინა. ახლაც ვხედავ, როგორ დგას ის კაცი შუაღამისას, უამრავ გამცილებელთაგან მოშორებით, ნავსადგურის განაპირას, მარტოდმარტო და გულმოკლული, უხმოდ გვემშვიდობება.



მარია. 1978 წ.

დაახლოებით ასეთივე ბედის ქართველს გრიგოლ ჩხეიძეს შევხვდით ჰამბურგში. სიხარულით დაუბრუნდებოდა იგი ხარაგაულს, თავის ოჯახს! სიზმრად თუ ცხადად თვალწინ უდგას სოფელი ჭარტალი, იმერული ოდა-სახლი, ახლობლები. კიდევ რამდენი ასეთი გაუხარელი, სიცოცხლედასახიჩრებული ბიოგრაფია, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაბნეული უსამშობლო ადამიანი და შორეული ცის ქვეშ გათხრილი საფლავი დაგვიტოვა ომმა. და განა მარტო ომმა?...

დავდივართ ახლა უცხოეთის მიწა-წყალზე, უცნობით სამშობლოდან მოწყვეტილ, გზაკვალარეულ ადამიანებს, ვუსმენთ მათ ამონაკვნესს, ვხე-

დავთ მათ ცრემლიან თვალებს, გვირგვინებით ვამკობთ საძმო საფლავებს...

ფინეთიდან ვრცელი წერილი გაეუგზავნე დავითს. შინ დაბრუნების შემდეგ, ალბათ, ამისი საშუალება აღარ მომეცემოდა. ვწერდი ყველაფერს ჩვენი ოჯახების, ახლობლების ცხოვრების შესახებ. ვწერდი, რომ ახლა უკვე საშიში აღარაა დაბრუნება და ეგებ გაგვახარებდა და თავადაც გაიხარებდა სამშობლოში ჩამოსვლით. როგორ ველოდი, წლების განმავლობაში ველოდი მის პასუხს... ბოლოს გავიგე, რომ რამდენიმე წერილი გამოუგზავნია, მაგრამ ჩემამდე ვერ მოაღწია...

რამდენიმე წელიწადში დავითი გარდაცვლილა. ასე რომ, მის ძვლებსაც არ ეღირსა მშობლიურ მიწაში, მამულის ცის ქვეშ განსვენება. მის მეუღლესაც დიდხანს აღარ უცოცხლია, ესეც გავიგე.

ყოველივე, რაც იმ მოგზაურობაში დავითთან დაკავშირებით განვიცადე, კინოფილმის თუ არა, კარგი ნოველის მასალად უთუოდ გამოდგება.

„საქართველოვ, შენ გაგიმარჯოს!" — ამ სიტყვებით დალია სული შორეულ ჰამბურგში კიდევ ერთი ქართველის, ლილი პაპე-გეგელაშვილის ერთადერთმა, 27 წლის ვაჟმა ულრიხმა დედამისსაც, შვილის შემდეგ, დიდხანს აღარ უცოცხლია. ახლა ჩემს მაგიდაზე გერმანულ ენაზე გამოცემული ორი წიგნი დევს: „ქართული ხალხური ზღაპრები" და „ქართული სამზარეულო", რომლებიც დედაშვილს დიდი სიყვარულითა და მონდომებით უთარგმნიათ. აქვეა ლილი პაპე-გეგელაშვილის მიერ ჰამბურგში, რუსთაველის 800 წლის იუბილეზე წაკითხული მოხსენება. მასვე მიუწოდებია გერმანელი ბავშვებისათვის „ვეფხისტყაოსნის" შემოკლებული პროზაული თარგმანი, უთარგმნია აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, მიხეილ ჯავახიშვილის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილისა და ირაკლი აბაშიძის თითო-ოროლა ლექსი და მოთხრობა.

ლილი რადიოთი, ტელევიზიით, სხვადასხვა შეკრებებზე გამოდიოდა და გერმანელებს ესაუბრებოდა ძველი კოლხეთის ისტორიაზე, ქართულ მუსიკაზე, არქიტექტურის ძეგლებზე, ოქრომჭედლობაზე, ქართული სუფრის კულტურასა და ადათ-წესებზე. მართალია, შესაძლებლობა არა გვაქვს, შევაფასოთ თარგმნილი ლექსებისა და მოთხრობების მხატვრული დონე, მაგრამ არ შეიძლება სევდანარევი სითბოთი არ მოვიგონოთ ადამიანი, რომელმაც მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, მთელი სიცოცხლე უცხოეთის ცის ქვეშ გაატარა — ოთხი წლისა ყოფილა, როდესაც მშობლებმა უცხოეთში ნაიყვანეს და სამშობლოს მხოლოდ ახლობლების გადმოცემით, წიგნებითა და ოცნებით იცნობდა, მაგრამ იმდენად შეიყვარა, რომ თავისი ერთა ულრიხიც საქართველოს სიყვარულით დააავადა და, მასთან ერთად, მთელი თავისი სიცოცხლე, ქართული კულტურისათვის, საქართველოს სახელისათვის ზრუნვას შეალია...

ჩემი და ლილის დაუსწრებელი, შორეული მეგობრობა რამდენიმე წლით ადრე დაიწყო, „საქართველოს ქალში" წერილი მასზეც გამოვაქვეყნეთ. მოგვიანებით, ჰამბურგში მცხოვრები მისი მეორე მეუღლე ნიკოლოზ ჯანელიძეც შე-

მოგვიერთდა და ლილის გარდაცვალების ამბავი შეგვატყობინა. შემდეგ გვაცნობეს, რომ ნიკოლოზ ჯანელიძეც მიუბარებიათ გერმანიის მიწისათვის. გული სევდით მეკუმშება...

შეხვედრები და... ისევ აჯარა

შეხვედრებს კვლავ სისტემატური ხასიათი აქვს. მიწვევენ სკოლებში, საბავშვო ბაღებში, ბიბლიოთეკებში, ქარხნებში, ფაბრიკებში, რაიონებში...

1979 წელს, „ბავშვის წელიწადთან" დაკავშირებით შეიქმნა კომისიები და ქვეკომისიები. სექტემბერში მოსკოვში მივემგზავრები საერთაშორისო კონფერენციაზე. მასში მონაწილეობენ როგორც საბჭოთა რესპუბლიკების, ასევე სხვადასხვა ქვეყნის ქალთა ჟურნალების რედაქტორებიც. შევხვდი მშვიდობის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტს — ფრომეშ ჩანდრას (ინდოეთი). კონფერენციამ საინტერესოდ ჩაიარა.

ამ თარიღთან დაკავშირებით, ნაზი კილასონია, რევაზ ინანიშვილი და მე, ნოემბრის თვეში, კაკაბეთში ვიყავით. ძალზე თბილი შეხვედრა მოგვიწყო კაკაბეთის სკოლამ, ბიბლიოთეკამ, კოლმეურნეობამ. ნაიკითხეს მოხსენებები, ჩვენი ლექსები, მოთხრობები.



„ბავშვის წელიწადის" საერთაშორისო კონფერენციაზე სომხეთის ქალთა ჟურნალის რედაქტორი ანჯელა ჩილინგარიანი, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო საბჭოს პრეზიდენტი ფრომეშ ჩანდრა და მარიკა ბარათაშვილი. მოსკოვი. 1979 წ. სექტემბერი

17 დეკემბერს ჭიათურის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე სიტყვით გამოვედი. ღონისძიება ფართომასშტაბიანი იყო.

❦ ❦ ❦

70-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, მე და ჩემი მეუღლე ყოველი წლის ნოემბრის თვეს ქობულეთის სანატორიუმში ვატარებთ. აქ მყავს ძველი და ბევრი ახალი მეგობარი: გული ცივაძე, გულიკო კიკნაძე, ნანი გუგუნავა, ლამარა ბოლქვაძე, ნათელა ჩელებაძე, აიშე გურგენიძე, ნათელა დუმბაძე, ნინო ხახუტაიშვილი, ლეილა ინაიშვილი, თუნთულა ცივაძე, გულნარა ბაცილაძე, ნარგიზა წულუკიძე, ეთერი... ქალები ყოველთვის დიდი სიყვერულით გვხვდებიან.

მაგრამ მარტო იმიტომ კი არ მეწევა გული აჭარისაკენ, რომ აქ ძვირფასი მეგობრების ნახვა მიხარია — თავად აჭარა, მისი ბედით, ხალხით, ცხოვრებით, მწარე წარსულითა თუ დღევანდელობით ჩემი დიდი ტკივილია და უნაზესი სიყვარული. მას ხომ ყველა ჩვენგანის სითბო და სიყვარული სჭირდება! შეიძლება, ერთი დაუფიქრებელი სიტყვითა თუ მოქმედებით, დიდი, მოუშუშებელი ტკივილი მიაყენო.

მოვინახულებ, მივეფერები, ირგვლივ შემოვიკრებ და იმედით შევყურებ ჩემს მეგობრებს. ქალი დიდი ძალაა! ჩვენ, ქალებმა უნდა განვამტკიცოთ საქართველო! ამიტომ მომიხარია ქობულეთისაკენ და იგი ყველა კურორტს მირჩევნია. აქ, ალბათ ამიტომაც მეწერება ლექსი ყოველ ჩამოსვლაზე.

მოგვიანებით, როდესაც აჭარაში ჩასვლას ველარ ვახერხებ, ჩემს ძალიან მონატრებულ მეგობრებს ლექსებით ვეხმიანები.

ზღვა მოშრიალე ძილისპირულით.
თეთრი სანთლები მაგნოლიების...
მზით მოხიბლულნი. ცრთ მოხიბლულნი.
ქათიბს აფენენ ზღვას თოლიები.
დამიქარგავენ ფიქრს მაქმანებით.
მავსებენ ხიბლით და სასოებით.
სანაპიროზე მდგარი პალმები
ნაზად დარხეულ მარაოებით.
და თქვენკ აქა ხართ. ვიცი. მიმელით
მონატრებული ჩემი ქალები.
თქვენი საოცრად სათნო ღიმილი.
ასე საყვარელ კილოკავებით.
იცოდეთ. როგორ მეამაყებით.
ყველა ცირსებით გხედავთ შემოსილს
უსაყვარლესი ჩემი ქალები.
ასულნი დიდი საქართველოსი!

გფარავდეთ მადლი ჩვენი ფუძისა
და სიყვარულის გვენთოს ლამპარი!
ერთი სულიდან, ერთი გულიდან
ერთი ფესვის ვართ ამონაყარნი.
თქვენზე ფიქრებში ისე გავერთე, –
ვნუხვარ, რომ გვერდით არ მეგულებით,
რამდენი რამ გვაქვს, მაინც, საერთო,
რა ერთგულებით ვართ შეკრულები!
ო, რად არა მაქვს ჯადოსნის ფრთები
გადმოსაფრენად მძლავრად გავშლიდი!
ახლა კი, მხოლოდ ნატრული ვრჩები
თქვენი, მარიკა ბარათაშვილი.

(*მეგობარ ჟარელ ქალებს*")



მარიკა ბარათაშვილი და სიკო დოლიძე. ქობულეთი. 1977 წ.

1980 წლის იანვარს, ფოთში ჩავედი, „ფრთხილად, სასიკვდილოას" სანახავად. გავვოცდი, როდესაც აფიშა სწორედ იმ სახლზე (ჯაფარიძის სახლი, მგონი კიროვის №6) ვნახე გაკრული, სადაც ჩვენი ოჯახის შექმნა მე და კვიროსმა 1929 წლის 13 მაისს დავიწყეთ. წარსულმა თავი გამახსენა. რა სიმბოლურია ეს აფიშა! ალბათ, იმ ღღეს უნდა ყოფილიყო გაკრული, როდესაც პირველად შევდგით ამ სახლში ფეხი — მას შემდეგ 52 წელი გასულა...

შემდეგ „ფრთხილად, სასიკვდილოა" ილია მაცხონაშვილის რეჟისორობით ოზურგეთის თეატრში დაიდგა. კარგად ჩაიარა, ილიამ მთხოვა, დავკავშირებოდი ხარაგაულს, ზესტაფონსა და თერჯოლას, სადაც თითო დღით უნდა ჩაეტანათ სპექტაკლი.

მარტში ახალციხეში ვართ. „ცეკვა-სიმღერის მასწავლებლის" პრემიერაზე (რეჟ. ნანა დემეტრაშვილი) ვიყავით: მე, მარგო გოგოლაშვილი, თეატრმცოდნე ეთერ გალუსტოვა და ახალგაზრდა რეჟისორი ვასიკო ჩოგოვაძე.

მიუხედავად იმისა, რომ მთავარი გმი-

რი ვერც მღეროდა, ვერც ცეკვავდა, „ბებია“ კი ისე ცუდად გახდა, კულისებში ძლივს მოაბრუნეს, სპექტაკლი მაყურებელმა კარგად მიიღო. და საერთოდ, რა მოსვლია თეატრს? საუკეთესო ძალებისგან გამოშიგნულა. ახალგაზრდები „ბაშზე“ მიდიან, ახალციხეში კი, სადაც ასე გვჭირდება თეატრის სიცოცხლე... უნდა მივიდე და ველაპარაკო ედუარდ შევარდნაძეს, რომ დავეხმაროთ თეატრს, მსახიობებს გავუუმჯობესოთ პირობები...

21 მარტს „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა ალბერტ კრავცოვის რეცენზია რუსულად თარგმნილი ჩემი ლექსების წიგნზე „Я и Она“. რეცენზია თბილადაა დაწერილი. მწყინს, ავტორს არ ვიცნობ, რომ მადლობა მაინც ვუთხრა. წიგნები მერი ოლშანიცკაიასა და ლექსების მთარგმნელს იან გოლცმანს გავუგზავნე მოსკოვში.

1980 წლის 27 ივნისს, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სატირისა და იუმორის საღამო გაიმართა. მონაწილეობენ მწერლები: ნიკა აგიაშვილი, ზაურ ბოლქვაძე, ვახტანგ გოგოლაშვილი, კუკური გოგიაშვილი, ნოდარ დუმბაძე, მურმან ლებანიძე, ოთარ მამფორია, რევაზ მიშველაძე, მორის ფოცხიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, ნოდარ ხუნწარია და მე. მსახიობები: ბადრი ბეგალიშვილი, ქართლოს კასრაძე, თენგიზ ჩანტლაძე... წავიკითხე ჩემი იუმორისტული მოთხრობა „ბებიის დაბადების დღე“ და ლექსები — „უნიღბო პორტრეტები“. სასიამოვნო საღამო გამოვიდა.



ჩემი თიურა ვაშაძის ამბავმა ძალიან გამახარა — ცოლად გაჰყვა შესანიშნავ მწერალსა და კარგ ადამიანს — თამაზ ბიბილურს. ღმერთმა აბედნიეროთ! რამდენიმე წლის წინ რომ დაქორწინებულიყვნენ (თანაც, დიდი ხანია ერთად მუშაობენ), ალბათ, ახლა შვილებიც ეყოლებოდათ, მაგრამ ბედმა ასე ინება...

1980 წლის აგვისტო-სექტემბერი ნავარძეთში გავატარეთ. სახლ-კარი კარგადაა მოვლილი. სკოლის მოსწავლეების მიერ დარგული ვარდები ნაირფრად ყვავის. ყველას უხარია ჩვენი ჩამოსვლა. მშვენიერია ნავარძეთი და გულთბილი — მისი ხალხი. მიხარია, რომ ბიძინასაც ჩემზე არანაკლებ უყვარს აქაურობა.

დღეები ისე მიფრინავს, ვერაფერს ვასწრებ. სამუშაო კი ბევრი მაქვს, მაგრამ მთხოვნელები დიდ დროს მართმევენ. რა ქნან შეწუხებულებმა, გაჭირვებას მოჰყავს ჩემთან... სოფელს წყალი უჭირს — არსებული მცირეა (17-18 წლის წინ გამოვაყვანინე). ამ ოთხი-ხუთი წლის წინ კი ჭიათურის ხელმძღვანელობას ვთხოვე შეესწავლათ ჩვენი წყარო, ჭალა და თუ მოხერხდებოდა, დამატებით მოეწოდებინათ სოფლისათვის. ახლა ეს წყარო იმდენად მოიწონეს, ჭიათურელებისათვის გაჰყავთ, მაგრამ ნავარძეთს? დავწერე შუამდგომლობა, მივმართე ჭიათურის საქალაქო საბჭოს და საკითხი თითქოს მოგვარდა, ასე რომ, სოფელს ეშველება. ასევე მოსაგვარებელი იყო ნავარძეთის სერზე დასახლებულთათვის შუქისა და გზის გაყვანის საქმე. ეს საკითხიც სასიკეთოდ გადაწყდა. დავეხმარე ცალკეულ ოჯახებსაც.

სომეხი რეჟისორები დგამენ ჩემს პიესებს

თბილისის სომხური დრამატული თეატრი დიდ ყურადღებას იჩენს ჩემი პიესებისადმი. მე არა თუ ოდესმე შემითავაზებია მათთვის ჩემი რომელიმე ნაწარმოები, არამედ მისი დადგმის ამბავსაც რეპეტიციების პროცესში ან პრემიერის წინ მაცნობებენ ხოლმე. ასე დაიდგა სომხური თეატრის სცენაზე: „ჩემი ყვავილეთი“ და „სართულები“ (1969 წ. რეჟ. მ. გრიგორიანი).

ახლაც, 1981 წლის მარტში, ჩემთან შინ მოვიდნენ რეჟისორები — რომა ჩალტიკიანი, ჰაიკ უმიკიანი და მხატვარი შ. ტერ-მინასიანი. თეატრი დგამს „ფრთხილად, სასიკვდილოას“. რომამ მოიტანა ოთარ თაქთაქიშვილის პირველი კონცერტის ფირფიტა — ფიქრობს, სპექტაკლის მუსიკალური ჩარჩოსთვის გამოიყენოს. ვლაპარაკობთ დადგმის გეგმაზე, მხატვრულ გაფორმებაზე, როლების განაწილებაზე. დასს კარგად ვიცნობ. აქ ხომ უკვე განხორციელდა ჩემი პიესები.

თეატრში ვიყავი. სპექტაკლის მაკეტი ვნახე. მთხოვეს, „ფრთხილად, სასიკვდილოა“ შევცვალოთ სახელწოდებით: „ფიქრები სიყვარულზე“. ვნახოთ, როგორი სპექტაკლი გამოვა.

27 მარტს, ფილარმონიის დიდ დარბაზში გაიმართა პოეტ ქალთა საღამო მთვარისა კერესელიძის, ნანა ღვინეფაძის, თამარ ჯავახიშვილის, ცირა ქიტიაშვილის, მზია ჩხეტიანის, მზია ხეთაგურის, ნელი გაბრიჩიძის, ნაზი კილასონიას, ნაზი თარგამაძისა და ჩემი მონაწილეობით. ანა კალანდაძისა და ლია სტურუას ლექსები წაიკითხეს მსახიობებმა.

1981 წლის 30 მარტს, უმაღლესი საბჭოს შენობაში მწერალთა X ყრილობა გაიხსნა. შესავალი სიტყვით ირაკლი აბაშიძე გამოვიდა, მოხსენებით — „ქართული მწერლობის მიმოხილვა ყრილობიდან ყრილობამდე“ — გრიგოლ აბაშიძე, სიტყვა წარმოთქვა 24 მწერალმა — ქართველმა და უცხოელმა. ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ ისაუბრა. ავირჩიეთ მწერალთა კავშირის სამდივნოს ახალი შემადგენლობა: თავმჯდომარე ნოდარ დუმბაძე, მდივნები: გიორგი (იურა) ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, რომან მიმინოშვილი და, რა თქმა უნდა, გამგეობაც.

აპრილში მე, ეთერ ჯაფარიძე და ოლია რევია ცხინვალში, მოხუცთა თავშესაფარში ვიყავით. ყველასგან მიტოვებული 96 უბედური ადამიანის ნახვამ გული მატკინა... რა ვუშველოთ, როგორ შევუმსუბუქოთ ხვედრი?

მაისში უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატს ვეწვიეთ მე, ნანული ბუკია და ჟურნალის მხატვარი ცინარა ტერელაძე. 70 უსინათლო მოსწავლე ვნახეთ, რომელთაც სკოლის დამთავრების, შინ დაბრუნების, ცხოვრებაში გამოსვლისა ეშინიათ. ძალიან შევწუხდი, მაგრამ თავს ვძლიე და სასაცილო ისტორიები გავიხსენე.

26 ივნისს კი, სომხეთის ქალაქ აბოვიანში, თბილისის სომხური თეატრის გასტროლები ჩემი პიესით „ფიქრები სიყვარულზე“ იწყება, რომლის პრემიერა თბილისში, 21 მაისს შედგა. სომხეთის თეატრალური საზოგადოება, კულტურის სამინისტრო და ქალთა ჟურნალი ამ ღონისძიებაზე მეც მეპატიჟება. არ

ვიცი, მოვახერხებ? თუ კარგად ვიგრძენი თავი... გადაწყდა მე და მარგო გოგოლაშვილი აბოვიანში მივემგზავრებით. რკინიგზის სადგურში თეატრის დირექტორი პავლე მირველოვი დაგვხვდა და სასტუმრო „აინი"-ში მიგვიყვანა. აბოვიანი ახალი, კარგად დაგეგმარებული ქალაქია. სპექტაკლები კულტურის სასახლეში იმართება. სასახლეზე ტრანსპარანტი მოჩანს: „გაუმარჯოს ჩვენს მეგობრობას!" კართან სომხური პურმარილით ლავაში, მარილი და ღვინო — შემოგვეგებნენ. იყო ზეიმი, სიტყვით მეც გამოვედი. ეზოში დავრგე „მეგობრობის ხე" მაყურებელმა სპექტაკლი კარგად მიიღო. ოვაციები. აქაურ რეჟისორებს პიესა მოსწონებიათ.

❀

ივლისის თვეში მე და ეთერ ჯაფარიძე, რესპუბლიკის მოღვაწე ქალებთან ერთად, ყვარლის ადგილობრივ მშრომელებს ვხვდებით. ილიას სახლ-მუზეუმი და ყვარლის კლდის გვირაბებში ჩაშენებული უზარმაზარი მარნები (400-500-600 ლიტრიანი ქვევრებით) დავათვალიერეთ.

ივლისშივე, რედაქციაში ქალთა აქტივის სხდომა მოვიწვიეთ ქორწილებისა და ქელეხების დამახინჯებული წეს-ჩვეულებების თაობაზე. ილაპარაკეს: ნინო ჯავახიშვილმა, ნინო ჟვანიამ, ქეთევან ლომთათიძემ, ლუბა შენირულმა, ნადია შალუტაშვილმა, ნანული ცაგარეიშვილმა...



სხედან: ლუბა შენირული, ნინო ჟვანია, ნანული ცაგარეიშვილი, მარიკა ბარათაშვილი;
დგანან: , ცინარა ტერელაძე, ნაზი თარგამაძე, ოლია რეხია,
ნანული ბარათაშვილი, ნანული ბუკია 1988 წ.

სხდომის ანგარიში და საქართველოს ქალებისადმი მოწოდება დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის სექტემბრის ნომერში. შემდეგ კი რაიონებში გავალთ ქალთა შეკრებებზე.

აგვისტოს სოფელში ვატარებთ ძალიან სასიხარულო ამბავი შემატყობინეს -- წელს ჩემი სამი შვილიშვილი აბარებდა უმაღლეს სასწავლებელში და სამივემ ჩააბარა. ყოჩაღ, გოგოებო! სექტემბერში თბილისში დავბრუნდი. აქაც სასიამოვნო ამბები დამხვდა — ჟურნალ „Семья и школа"-ს მე-8 ნომერში დაბეჭდილია ვლადიმერ პრიხოდკოს წერილი ჩემზე და მის მიერვე თარგმნილია ჩემი საბავშვო ლექსები.

ქობულეთსა და სხვა ქალაქებში

გვიანი შემოდგომის დღეებში, მე და ბიძინა ქობულეთის სანატორიუმ „საქართველოში" ვართ -- ახალი თუ ძველი მეგობრებით გარემოცულები. მათ შორის არის მერი ფოჩხუა, მხატვარ არსენ ფოჩხუას და. ამ გარემოცვაში ოცი ლექსი დავწერე. რადჰა კრიშნანის არ იყოს, მართლაც, საკუთარ სულში ჩასაღრმავებლად როგორ სჭირდება ადამიანს დრო და განმარტოება. კომედია „უცნაური თამაშების საღამოც" დავამთავრე. როგორი ბედი ექნება?



მარიკა მეულლესთან ერთად. ქობულეთი. 80-იანი წლები.

სანატორიუმის კოლექტივმა და დამსვენებლებმა საღამო მომიწყვეს. მოხსენება ბიბლიოთეკის გამგემ ნუნუ წილოსანმა გააკეთა. სიტყვებით გამოვიდნენ სანატორიუმის დირექტორი რეზო მითაგვარია და დამსვენებლები. რამდენიმე ლექსი ნავიკითხე. ინდოეთში გატარებული დღეებიდანაც რამდენიმე სასაცილო ეპიზოდი გავიხსენე და მსმენელები გულიანად იცინოდნენ.

1 დეკემბერს აჭარიდან გამოვემგზავრეთ. თან მოგვაქვს ძვირფასი ფოტოები. მოგვყვება მეგობრების სიყვარული... მანამდე, ქობულეთიდან სამტრედიაში ჩავედით. იყო საინტერესო შეხვედრები. გავეცანით წარმოებების საქმიანობას. საღამოს

როგორც საქმიანმა ნაწილმა, ისე კონცერტმაც კარგად ჩაიარა.

შემდეგ ლანჩხუთსაც ვეწვიეთ რაიონული გაზეთის იუბილეზე. მისი რედაქტორია შესანიშნავი ქალი — ჭკვიანი, გულითადი, ენერგიული თამარ დოლიძე.

დეკემბერშივე მე, ეთერ ჯაფარიძე და ნაზი თარგამაძე გურჯაანში, პოეტ ქალთა სალონის გახსნაზე ვართ. ქალებმა კარგი ლექსები წაიკითხეს. ჩვენც სიტყვებით გამოვედით. ვიყავით ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში. კედლებზე ნატოს სურათებია, საპროექციო დარბაზში ფილმებიდან ნაწყვეტები და ნატოს იუბილესადმი მიძღვნილი საღამო გვიჩვენეს.

28 დეკემბერს, რედაქციაში ქალთა საბჭოების თავმჯდომარეების დიდი თავშეყრა მოხდა. ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებული მიმართვის თაობაზე — დამახინჯებული წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის შესახებ. შეკრებამ საინტერესოდ ჩაიარა.

ახალი წლის წინადღეს, ნაძვის ხის ირგვლივ შეიკრიბნენ ჩვენი თანამშრომლები თავიანთი პატარებით. ბავშვებმა გულით მოილხინეს.

1982 წლის 19 თებერვალს, მე და ეთერ ჯაფარიძე თელავში, გაზეთ „ივრის განთიადის“ 60 წლისთავზე ვიყავით მიწვეულნი. გზად ყვარელში გავიარეთ და ღამე ჩემი ბიძაშვილის შუშანა ბარათაშვილის ქალიშვილის — მანანას ოჯახში გავათენეთ. თელავში მშვენიერი, მზიანი დღეა. იუბილე თეატრის ახალ შენობაში გაიმართა.

თებერვალში გარდაიცვალა ჩემი ძმის, ვახტანგის ქვრივი — კინოსტუდიის მხატვარი ბაბულია ცინცაძე. ძალიან განვიცადე ჩემი გაუხარელი რძლის დაღუპვა.

1982 წლის გაზაფხულზე, ხონის რაიონის სახალხო თეატრმა, თბილისში, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში სპექტაკლი „ფრთხილად სასიყვდილოა“ ჩამოიტანა. მაყურებელმა იგი კარგად მიიღო და ბევრი საინტერესო აზრიც გამოითქვა.

...უამრავი სამუშაო მაყრია თავზე. რედაქციაში მომსვლელები რომ არ მაცლიან მუშაობას, მასალები შინ მომაქვს და ღამეებს ვათენებ. მეუბნებიან: ყველა მომჩივნის საქმეში ნუ ერთვები, არ გევალებაო, მაგრამ გული და სინდისი მავალებს, იმ გაჭირვებულებს ჩემი იმედი აქვთ...

მძიმე შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე გურამ პატარაიას ფილმმა „ტაო-კლარჯეთი“ და დამაწერინა ლექსი რომელიც გურამს ვუძღვენი. რა დიდებულ ეროვნულ საქმეს აკეთებენ გურამ პატარაია, რეზო თაბუკაშვილი, გურამ შარაძე!

როცა ცქვილებით
გული მერაზება.
მივყვები წუხილის ნართს...
ჩემი გურამები,
ჩემი რევაზები
მოხვალთ და
გამიყოფთ დარდს.

(„ტაო-კლარჯეთში“)



ცენტრში: მარიკა ბარათაშვილი და რეზო თაბუკაშვილი 80-იანი წლები

ძალზე მოხარული ვარ რეზო თაბუკაშვილის პატრიოტული საქმიანობისა. თავისი ფილმით ამჯერად გაგვაცნო დიდებულ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრება. იმავე ფილმით გავიცანით გალაკტიონის მუზა, ახლა უკვე 94 წლის მერი შერვაშიძე, ვნახეთ შვეიცარიელი ქართველოლოგები, გამომცემლობა „ამირანის“ მოღვაწენი, რომელნიც ადრე, თბილისში სტუმრად ყოფნისას, რედაქციაშიც გვეწვივნენ.

რეზო და ოპერატორები დიდი ოვაციებით დააჯილდოვეს. ფილმზე ისაუბრეს: ვახტანგ ბერიძემ, ვახუშტი კოტეტიშვილმა, სოსო მეგრელიძემ, სარგის ცაიშვილმა, ნოდარ გურაბანიძემ და სხვებმა.

1982 წლის 6 ივნისს, ტანძიაში ფართომასშტაბიანი ღონისძიება „საბაობა“ გაიმართა. სახალხო დღესასწაულზე თბილისიდან უამრავი ხალხი ჩამოვიდა. სიტყვები წარმოთქვეს მსახიობებმა, მწერლებმა... მათ შორის, მე, ჯანსულ ჩარკვიანმა, მუხრან მაჭავარიანმა, ტარიელ საყვარელიძემ და სხვებმა.

1983 წლის აპრილში, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საიუბილეო საღამო მომიწყვეს. მომხსენებელი — თეატრმცოდნე ლამარა დოღონაძე. წარმოითქვა სიტყვები, ლექსები, ნაჩვენები იქნა სცენები სპექტაკლებიდან.

ზაფხული კვლავ სოფელში გავატარე. სექტემბერში რედაქციაში რომ მოვედი, რემონტი ჯერაც არ იყო დამთავრებული, საქმე კი ბევრი გვაქვს.

ქუთაისის ქალთა საბჭო ნოემბრისთვის გეგმავს ჩვენთან შეხვედრას. მანამდე კი, თბილისის ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკა გვიწვევს მკითხველებთან სასაუბროდ, შემდეგ ასეთივე ღონისძიება ეწყობა ბოლნისში.

1983 წლის 7 ოქტომბერს, მე და პროფესორი ლუბა შენირული ვანში, „ახალგაზრდა დედების“ შეკრებაზე ვიმყოფებით. დავათვალიერეთ ვანის არ-

ქეოლოგიური გათხრები, ხელმძღვანელია ოთარ ლორთქიფანიძე. მუზეუმში ვნახეთ ექსპონატები, ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნისა. ვნახეთ, აგრეთვე, ნაგებობები.

კიდევ რამდენ საიდუმლოს ინახავს ამ მიწის წიაღი, და საერთოდ, მთელი საქართველო, მიწის სიღრმეში ჩამარხული, თუ მთის მწვერვალებზე ატაცებული ისტორიით. რა ნაკეთობები! დარბაზების, ტაძრების, სამლოცველოების ნანგრევები, რა ფილიგრანულად ნაქერწი ჭურჭელი, ნივთები... მალე აქ, საერთაშორისო არქეოლოგიური ცენტრი შეიქმნება შესანიშნავი მუზეუმით, სასტუმროთი, საკვლევი ინსტიტუტით.

შთაბეჭდილებებით დატვირთული დავდივართ ვანში. ვიყავით ჭყვიშში, გალაკტიონისა და ტიციანის სახლებში. ვნახე სოხანე (მიწის იატაკი) კედლებთან ჩამორიგებული სკამლოგინებით, ვნახე პატარა ოთახი გალაკტიონისა... დავათვალიერე კორნელი კეკელიძის სახლ-მუზეუმიც.

„ახალგაზრდა დედების“ შეკრება პირველად ვანში ტარდება. ეს დღე ამიერიდან ყოველი წლის 7 ოქტომბერს გაიმართება. შეკრებას ესწრებიან ჯანმრთელობის სამსახურის მუშაკები, მეცნიერები, სამედიცინო ჟურნალის რე-



„საბაოება“ ტანძიაში 1982 წ

დაქტორი ჯანგირ მამალაძე, პროფესორები: ალექსი მინდაძე, უჩა გაბუნია, ეთერ ჯანელიძე, ჩემი ლუბა შეწირული და სხვები. ჩამოვიდნენ ჩიქოვანების მომღერალთა ოჯახი და სხვა სტუმრებიც.

ექიმებმა და, მათთან ერთად ლუბამაც, ხვალინდელი დღე „ღია კარის“ დღედ გამოაცხადეს. ჭკვიანურად დაგეგმილი ღონისძიება გამოვიდა. ახალგაზრდა დედები პირობას იძლევიან, რომ კიდევ გაიჩენენ შვილებს, მეც გმირობისკენ მოვუწოდებ ქალებს, რადგან მათ პირობებში, მართლაც გმირობაა რამდენიმე შვილის შობა-აღზრდა.

ამ საღამომაც ჩინებულად ჩაიარა. მოგვხიბლა ჩიქოვანების ოჯახმა და განა მარტო ჩვენ — მსოფლიოს არქეოლოგიური ცენტრის ვიცე-პრეზიდენტი, ყველა — სტუმარი თუ მასპინძელი...

15 ოქტომბერს, ჭიათურობის დღესასწაულის — „კვალი ნათელის“ გახსნაზე მიმიწვიეს და ჭიათურის საპატიო მოქალაქედ ამირჩიეს. ჩემმა ქვეყანამ ბევრჯერ დამაფასა, მაგრამ ეს წოდება ჩემთვის უძვირფასესია.

1983 წლის ნოემბერში, თბილისის აეროპორტში დიდი ტრაგედია დატრიალდა. ამ ამბავს ქობულეთში ყოფნისას ვგებულობ. ჩემთან ერთადაა ქეთო ნუცუბიძე (შალვას მეუღლე). ძალიან ამაღელვა და გულთან ახლოს მივიტანე არა მხოლოდ ის საშინელი ინციდენტი, არამედ მასთან დაკავშირებული შემდგომი მოვლენები და ფაქტები. უბედურებაა, დიდი უბედურება ჩვენს თავს...

„საქართველოს ქალის“ ობგილე. სემინარი გაგრაში და სხვადასხვა

1984 წ. 18 ივნისს „საქართველოს ქალის“ 60 წლის საიუბილეო საღამო ტარდება გრიბოედოვის სახელობის თეატრში. თეატრი ხალხითაა სავსე. გვყავს სტუმრებიც: „სოვეტსკაია ენციკლოპედიის“ რედაქტორი ვალენტინა ფედოტოვა, „რაბოტნიცას“ რედაქტორი ზოია ნიკოლოზის ასული..., „აზერბაიჯან გადინის“ რედაქტორი ხალიდა გასილოვა და „ჰაიასტან აშხატავორუის“ რედაქტორი ანუელა ჩილინგარიანი. არის მოლოცვები... კონცერტი...

სტუმარი რედაქტორები სამ დღეს დარჩნენ. მხოლოდ ერთი უხერხულობა მოჰყვა მათ სტუმრობას: ვალენტინა და ზოია კრწანისის სამთავრობო სასტუმროში წაიყვანეს, ხალიდა და ანუელა „აჭარაში“, რითაც ეს ორი ქალი ცოტა გაგვინაწყენდა. გასაგებიცაა, რადგან არც ბაქოში, არც ერევანში, ასეთი რამ არ ყოფილა. მე წინააღმდეგი ვიყავი ასეთი დაყოფისა, მაგრამ ვინ შემეკითხა!

საერთოდ „საქართველოს ქალის" 50 და 60 წლის იუბილეები საკმაოდ მოკრძალებულად ჩატარდა, მაშინ, როდესაც სომხეთსა და აზერბაიჯანში სახალხო ზეიმების სახე მიიღო, ყველა რესპუბლიკის ორ-ორი წარმომადგენელიც კი ჰყავდათ მიწვეული. დიდი ყურადღებითა და პატივისცემით გემასპინძლობდნენ, თანაც, თითქმის ერთი კვირის განმავლობაში.

❁ ❁

1984 წლის სექტემბერში გარდაიცვალა ნოდარ დუმბაძე. ძალიან გვიცადე. წავიდა ჩვენგან ჯერ კიდევ სიცოცხლით დაუპურებელი, საქართველოს მზისა და მეგობრობის საგალობლებით გულავსებული შესანიშნავი მწერალი, ადამიანი. სიკვდილმა მას ვერ წაართვა მთავარი — ნიჭი სიყვარულისა, რომელიც მარადისობის კანონის ძალით გადაეცემა ადამიანებს.

ნოდარ დუმბაძეს ბავშვთა ქალაქ „მზიურში" მიუწინეს საპუდამო განსასვენებელი. მისი გმირებიც იქ დასახლდებიან და ოლღა ბებია ჩვეული სიყვარულით შემოევლება შვილიშვილის საფეს, ხოლო ათასობით დაცრთიანებული ზურიკელა და ხატია თაობიდან თაობას გადასცემენ ერთი, სიყვარულით მოუსვენარი, შემოქმედის ცხოვრების ამბებს.



ბიჭი მელაძე, მარიკა პარათაშვილი, ნოდარ დუმბაძე, ეთერ ჯაფარიძე, იოსებ ნონეშვილი, სერგი ყილაია სტუმარი მწერლების მოლოდინში თბილისის აეროპორტი
1978 წლის 25 ოქტომბერი

❦ ❦ ❦

1985 წლის 1-7 მარტს, გაგრაში დრამატურგთა სემინარი ჩატარდა. შედგა პიესების კითხვა-განხილვა მწერალთა დასასვენებელ სახლში. ჩემი „ცეკვა-სიმღერის მასწავლებლის“ ირგვლივ ილაპარაკეს: მერაბ გეგიამ, თამაზ მეტრეველმა, გურამ ბათიაშვილმა, აკაკი გეწაძემ, გიგლა ხუხაშვილმა. ჰქონდათ საინტერესო შენიშვნები და რჩევები. ასევე წრფელი იყო ყველა იქ წაკითხული პიესების განსჯა-შეფასებაც.

გაგრაშივე დამებადა ახალი პიესის დაწერის სურვილი. სიუჟეტი მომავალი პიესისა „მამა“ — ჩვენი რედაქციის მუშაობის პრაქტიკიდანაა და ვფიქრობ, საინტერესო. ჩანაფიქრი გავაცანი მერაბ გეგიასა და გიგლას. ძალიან მოიწონეს. ამან წამახალისა და დიდი ენთუზიაზმით ვმუშაობ. მთელი პასაჟები დავწერე. ეგება, აქ რომ ვრჩებოდე, კიდეც დამემთავრებინა, რადგან საკმარისია, დროებით შევწყვიტო მუშაობა, პიესა „გაგრილდეს“ და... ერთი სიტყვით, ლექსია თუ პიესა, ერთი ამოსუნთქვით თუ არ ვთქვი, შემდეგ მიბრუნება მიჭირს. დავწერე რამდენიმე ლექსიც — მათ შორის, იუმორისტული „სემინარი გაგრაში“.

გაგრიდან გამოვემგზავრე და სარვამარტოდ თბილისში ვარ. ამ დღის აღსანიშნავად, სადილი სასტუმრო „საქართველოს“ რესტორანში გაიმართა. საინტერესო მოღვაწე ქალებით, ომისა და შრომის ვეტერანებით, პენსიონერებით სავსეა დარბაზი. მათ შორის ბრძანდება ვეტერან ქალთა საბჭოს თავმჯდომარე, ნამდვილად ღირსეული ქალი ოლია საბაშვილი. გვიან დავიშალეთ. მე და დარეჯან იოსელიანი ერთად წამოვედით. ხვავრიელად ბარდნის...

მაინც რამდენი მომჩივანი აწყდება რედაქციას! მე და ირმა ჩოფიკაშვილი ლამის სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებად გადავიქეცით. ყველას უნდა, მაინცდამაინც მე მოვუსმინო — ეს ნდობა მეამაყება, მაგრამ ძალზე მღლის.

სოფელ კაცხის კეთილმოწყობაში მის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს მუხრან მოდებაძეს ვეხმარები.

განათლების სამინისტროში დამპირდნენ, რომ ნავარძეთის სკოლას მიუშენებენ სასადილოს, სპორტულსა და სააქტო დარბაზებს. ეს მხოლოდ ფრაგმენტებია ჩემი ყოველდღიური ბრძოლისა. დავიწყეთ საბავშვო სახლების შემოწმება — ასეთი სასწაულებელი ჩვიდმეტია საქართველოში. მივედით თბილისის საბავშვო სახლში. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვილ ბავშვთა სახლმაც. მაინც რა მძიმეა უდედმამო ბავშვთა ხვედრი. გული მეწურება...

30 მარტს, მწერალთა კავშირმა პოეტი ქალები: მე, ნაზი კილასონია, მედეა კახიძე, ლალი ჯაფარაშვილი, ნინო ქუთათელაძე და პროზაიკოსი ჯანეტა ქორიძე ახმეტაში მიგვავლინა პოეზიის საღამოს გასამართავად. მეტად სასიამოვნო

ღონისძიება გამოვიდა.

„ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე თამაზ ნატროშვილი აკრიტიკებს ეთერ გუგუშვილს წერილისათვის, რომლითაც ეთერი იცავს ხორავასა და ვასაძეს, პასუხად თამარ ნულუკიძის წიგნისა „Вся моя жизнь". ესაა კრიტიკის კრიტიკა, ჩემი ფიქრით, ჭკვიანური, მართებული, ნიჭიერად დაწერილია. და საერთოდ, რა საჭიროა გარდასულთა ღანდების აფორიაქება?

რამდენიმე ხნის წინ, თამარი ჩამოვიდა მინსკიდან, სადაც იგი გადასახლებაში გაცნობილ თავის მეორე ქმართან ცხოვრობს. ნიჭიერი ქალია, ოდესღაც მშვენიერი მსახიობი იყო, რომელსაც მოუკლეს ქმარი, დაეღუპა ერთადერთი შვილი. ტრაგიკული ბედის ადამიანია. მაჩუქა მინსკში გამოცემული მშვენიერი საბავშვო წიგნები. ახლა ჩემს მაგიდაზეა მისი „Вся моя жизнь" — ეს წიგნი სანდრო ახმეტელის ცოლის მოწამებრივი ცხოვრების მატიანეა.

1985 წლის აპრილში თეატრალური საზოგადოების პლენუმზე ვიყავი. მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე. საუბარი კვლავაც მარჯანიშვილს, ახმეტელს, ხორავასა და ვასაძეს შეეხო.

ამავე თვეში, ჟურნალისტთა სახლში, ჩვენი რედაქცია ომის ვეტერან ქალთა შეკრებას ვატარებთ. საღამო თბილი გამოვიდა. მომხსენებელი ლია კაკაბაძე იყო, სიტყვები წარმოთქვეს და ლექსები წაიკითხეს: ნაზი კილასონიამ, მედეა კახიძემ, ნანული ცაგარეიშვილმა, ეთერ ჯაფარიძემ, ელენე საყვარელიძემ, დამანა მდივნიშვილმა, ზინა კვერენჩხილაძემ, დოდო ზურაბიშვილმა. საღამო მომღერალ ქალთა მშვენიერმა კვარტეტმა და ჟურნალისტთა სახლის დირექტორის ზურაბ რცხილაძის მონაწილეობამ კიდევ უფრო გაალამაზა. მეც წავიკითხე „მომიხვალ, მჯერა!" და „სიხარულის ცრემლი". ომგადახდილ ქალებს ჩვენი რედაქციის „ღიმილის პრიზი" გადავეცით.

დრო შეუჩერებლივ გარბის, ირგვლივ უამრავ ადამიანს ესაჭიროება თანადგომა. სპაზმებმა მიმატა, რაღაც სიმძიმე მაწევს გულზე. პროფესორმა ირაკლი ჭუმბურიძემ მირჩია გამოზომილად ვხარჯო ენერგია. ექიმი მერი ჭაჭიაშვილიც მირეკავს, რომ აუცილებელია საავადმყოფოში ჩემი დაწოლა. მე კი კონვეიერზე ვარ-მეთქი, ვხუმრობ.

სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყო თეატრალური ფესტივალი. მარჯანიშვილის თეატრში დაიდგა ოტია იოსელიანის პიესა „ადამიანი იბადება ერთხელ", სოხუმში კი — გიგლა ხუხაშვილის პიესა.

ფესტივალის დღეებში, ხარფუხში, გრიშაშვილობაზე ვიყავი. პატარა სიტყვა ვთქვი, ლექსი „ვისი ბრალია" წავიკითხე და საზოგადოება გავამხიარულე. ასევე მოვიგონე სოსო — ჩემი ლექსების პირველ კითხვას რომ ესწრებოდა მწერალთა კავშირში, 1943 წლის მარტში და მისი სიტყვები: „მარიკავ, დღეიდან მე თქვენი ტრუბადური ვარ".

1985 წლის 6 ოქტომბერი, ბედნიერად ვგრძნობ თავს. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში, ჩახრუხაძის ქ. №17-ში ვარ. გაიმართა მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება — საქართველოს სახალხო მასწავლებლების, ჩემი მშობლების ვერა კასრაძისა და გერვასი ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მოსწავლეები, მსახიობები, მომღერლები.

აქ არიან ჩემი შვილები და შვილიშვილები, რედაქციის მუშაკები, ნაცნობები, მეგობარ-ნათესავები. მათ შორისაა ჩვენი ახლობელი, ნათესავი ბუკა ნაკაიძე და მისი ძმა ბუჭუ.

ბუკამ დიდი სიყვარულით მოიგონა მისი ყოფილი მასწავლებელი მამაჩემი, დედაჩემი და ჩემი ძმა ვახტანგი. საერთოდ, ბევრი კარგი ითქვა მათ შესახებ. მეც, რა თქმა უნდა, დიდი გულისტკივილით მოვიგონე ჩემი გაუხარელი მშობლები და ბედნიერი ვარ, თუნდაც, ასე წამიერად მაინც რომ გაცოცხლდა მათი ხსოვნა... მაგონდება ჩემი პირველი შემოქმედებითი საღამო: 1943 წლის ოქტომბერი, ჭიათურის კულტურის სახლის ხალხით გაჭედილი დარბაზი. პირველ რიგში ჩემი მშობლები სხედან, ჩემს პირველსა და მათთვის ერთადერთ საღამოს ესწრებიან. და თითქოს ახლაც ჩამესმის მამაჩემის ჩურჩულით ნათქვამი: „ჩვენ არ მოვკვდებით, ვერიჩკა"... და დედას ეღიმება... არადა, რა იშვიათად ეღიმებოდა დედას!!!



ნანა ღვინეფაძე, ელენე საყვარელიძე, მარიკა ბარათაშვილი, თამარ იშხნელი, ცინუკი დადიანი. თბილისი. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი 1985 წ

პრემიერა გალის თეატრში. 80-იანი წლები

1986 წლის 30 აპრილს, გალის სახალხო თეატრმა წარმოადგინა „ჩემი ყვავილეთი“. ვიყავით მარგო გოგოლაშვილი, ნაზი თარგამაძე, ოლია რევია და მე. ილია ვეკუას სახლ-მუზეუმი და ეთნოგრაფიული მუზეუმი დავათვალიერეთ. ალეკო არდაშელიასა და დავით ქირიას ოჯახებში მიგვიპატიჟეს. რაიონის ხელმძღვანელობამ და, საერთოდ, გალის ინტელიგენციამ დიდი პატივით მიგვიღო. საღამოს კულტურის სახლში ვიყავით. მგონი შინ აღარავინ დარჩენილა დარბაზი ხალხით იყო გაჭედილი.

სპექტაკლი კარგად მიიღეს. სიტყვით გამოვედი. ტაშით მაწყვეტინებდნენ. დაუვიწყარია ის საღამო, მაგრამ ყველაფერზე მეტად იმან გამახარა, რომ რაიონის მოსახლეობის თითქმის 100 პროცენტი ქართველია.

❦ ❦ ❦

საქართველოში ცხოვრება ჩვეული წესით მიდის, მაგრამ ჩერნობილის ამბით ყველანი შეძრწუნებულნი ვართ. რა უბედურება დაატყდა თავს უკრაინას, 26 აპრილს აფეთქდა ატომური ელსადგურის IV ბლოკი. რამდენი მსხვერპლი, მოწამლული ატმოსფერო, ადამიანები, ევაკუირებული ოჯახებია... არც მოსაზღვრე ბელორუსიაა დაზღვეული და დასავლეთ საქართველოსაც უწევს ჩერნობილის აფეთქების საშინელი შედეგები... მსოფლიო შეშფოთებულია... ვწუხვართ, გვტკივა ჩერნობილელთა სატკივარი, მაგრამ რით ვუშველოთ?

მაისში, პრესის დღესთან დაკავშირებით, მე, ეთერ ჯაფარიძე და ლია კაკაბაძე ზესტაფონში ჩავედით. გაიმართა კითხვა-პასუხის საღამო. ზესტაფონელები გვაცნობდნენ რაიონის ქალთა ცხოვრებას, თავიანთ პრობლემებს. ლაპარაკობდნენ „საქართველოს ქალის“ ავ-კარგზეც, ჟურნალის მიმართ გამოთქვამდნენ თავიანთ სურვილებს.

1986 წლის 17 მაისს მწერალთა X ყრილობა ჩატარდა. მომხსენებელმა გიორგი ციციშვილმა მიმოიხილა მწერალთა საქმიანობა ყრილობიდან ყრილობამდე. სიტყვით გამოვიდნენ მურმან ლებანიძე, იზა ორჯონიკიძე და სხვანი.

თვის ბოლოს თბილისის საქარხნო რაიონის სადღეღამისო საბავშვო ბაღში მიმიწვიეს. ქართული და რუსული ჯგუფებია. კარგი პედაგოგები ჰყავთ. ბავშვები შესანიშნავი დეკლამაციებით, სიმღერებითა და ცეკვებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ეს ბაგა-ბაღი ელიას გორაკის თავზეა. აქ არის რუსული და სომხური სკოლებიც. ქართველი ბავშვები კი, ქართულ სკოლაში, რის ვაივაგლახით, ავტობუსით შორს დაჰყავთ.

ეს ხდება საქართველოს დედაქალაქში.

ბოლო ხანებში მომიხდა ყოფნა ბოლნისსა და დმანისში. ბოლნისის ცენტრ-

ში მშვენიერი რუსული და აზერბაიჯანული სკოლებია, ქართული კი ძველ, უხეირო შენობაშია. ვფიქრობ, რომ თბილისის ელია, ბოლნისი და დმანისი გამონაკლისი არაა!

ერთ-ერთმა დმანისელმა ინტელიგენტმა გვითხრა, რომ იქ არათუ ქართული სკოლა, არც კლუბი, თვითმოქმედებისა თუ რაიმე სახეობის წრეებიც არ არსებობს. იქაური ქართველები რუსულში ან მეტწილად აზერბაიჯანულ სკოლაში იღებენ საშუალო განათლებას. ამისდა მიხედვითვე განაგრძობენ უმაღლესში სწავლასაც, შემდეგ კი, ან აზერბაიჯანი, ან რუსეთი... სწორედ იმ დღეებში, ტრადიციული დმანისობა უნდა ჩატარებულიყო, სადაც, როგორც პროგრამა იუწყებოდა, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული თვითმოქმედი კოლექტივები თავიანთ ხელოვნებას აჩვენებდნენ.

მცირე ხნის შემდეგ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დიმიტრი ქართველიშვილს გავუზიარე ჩემი აღშფოთება თბილისში, ელიას დასახლებისა და ბოლნის-დმანისის რაიონებში ქართული სკოლების მდგომარეობის შესახებ და, ისიც დავძინე, რომ თბილისისა და საქართველოს არაერთი რაიონი იქნება მსგავს მდგომარეობაში. თავმჯდომარე გაოცდა. საღამო ხანი იყო და განათლების სამინისტროში დარეკა, ხვალვე წარმომიდგინეთ გეგმა დედაქალაქსა და საქართველოს რაიონებში არსებული ქართული სკოლებისაო, უბრძანა.

ამის შედეგად, თბილისის საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილებიდან დამირეკეს, რომ ელიას დასახლების რუსულსა და სომხურ სკოლებში გაიკრა განცხადებები, რომ პირველი სექტემბრიდან სკოლაში მიღებული იქნებიან ქართველი ბავშვებიც...

ამას წინათ, ძალზე გახარებულები მოვიდნენ ჩემთან უდროოდ გარდაცვლილი ნიჭიერი მხატვრის დათო კრაწაშვილის დედა და დეიდა, რომ მადლობა ეთქვათ პრესაში დაბეჭდილი დათოსადმი მიძღვნილი ჩემი ლექსისათვის. უზომოდ მტკივა მისი დაკარგვა... ყოველი დღე დატვირთულია...

ლიტერატურის მუზეუმში მოეწყო მწერალ ქეთევან ირემაძის დაბადებიდან 75 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. მომხსენებელი შუშანა მგელაძე. სიტყვებით გამოვიდნენ: გიორგი ნატროშვილი, გიორგი ჯიბლაძე, სოსო მეგრელიძე და სხვანი. მსახიობებმა წაიკითხეს ქეთევანისადმი მიძღვნილი ლექსები, აგრეთვე, ნაწყვეტი ირემაძის დაუმთავრებელი რომანიდან „ქეთევანი" და მოთხრობა „აისე".

მშვიდობის დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გვიწვევენ 170-ე ბაგა-ბაღის მიერ მოწყობილ ღონისძიებაზე. გულს ვერავის ატკენ, ყველგან უნდა მიხვიდე, რედაქციაშიც უამრავი საქმეა.

7 ივნისს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აღინიშნა დედის დღე. ჩემთან ერთად იყვნენ მხატვარი ნელი ოქროპირიძე და ნანული ბუკია. შევხვდით მრავალშვილიან სტუდენტ დედებს. საერთო საცხოვრებელში ვიყავით, მათ საარსებო პირობებს გავეცანით. ბევრი რამ კეთდება.

მედიცინის მუშაკთა დღესთან დაკავშირებით ქალაქის რესპუბლიკურ საა-









80-იანი წლების ფოტოკოლაჟი
1 მწერალი კალები „საქართველოს ქალის“ რედაქციაში 1986 წ
2 ნინო ჯავახიშვილი, აკაკი ზურაბაშვილი, მარიკა ბარათაშვილი, ეთერ ქემერტელიძე, ანდრია აფაქიძე, თინა მრევლიშვილი
3 მურმან ლებანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მარიკა ბარათაშვილი, რევაზ ჯაფარიძე, გურამ პეტრინთელი მწერალთა X ყრილობა 1986 წ
დოდო ჯიჭინაძე, ტარიელ საყვარელიძე, პახტანგ ტაბლიაშვილი, ედიშერ მალალაშვილი, მარიკა ბარათაშვილი, დარეჯან იოსელიანი. თამარ თეთრაძის სალამო 1984 წ

ვადმყოფოში მიგვიწვიეს. მათ მტკივნეულ პრობლემებს გავეცანით.

...ისევ ჩემი ჭიათურა მიხმობს. მე და ბიძინა ნავარძეთში გავემგზავრეთ. ჭიათურის თეატრში წავიკითხე პიესა „ცეკვა-სიმღერის მასწავლებელი“. თეატრსა თუ საერთოდ, ქალაქში, ჩვეული გულთბილობით მხვდებიან, მაგრამ ჭიათურაში დიდხანს ვერ ვრჩები...

მარჯანიშვილის თეატრში კოტე სურმავას — „ჩემი ყვავილეთის“ დამდგმელ რეჟისორს ვხვდები. ამ პიესის მუსიკალურ კომედიად გადაკეთებაზე ვიწყებ მუშაობას, მაგრამ ერთ საქმეზე ვერ დაიხარჯები. რედაქციაში უამრავი მომსვლელია. დღესაც, ერთდროულად ოთხმა ძალზე გაჭირვებულმა ქალმა მომაკითხა. მთელი დღე მათი საწუხარის გარკვევას მოვანდომე. სხვა ვეღარაფერი გავაკეთე და სამუშაო შინ მიმაქვს.

ივნისის თვეში, „ჩემი ყვავილეთისათვის“ სასიმღერო ტექსტებზე მუშაობაში სიამოვნებით გადავერთე. ნაყოფიერად ვიმუშავე. რამდენიმე სასიმღერო ტექსტი მზადა მაქვს, მაგრამ...

რა დამავიწყებს მედეა ჯაფარიძის საიუბილეო საღამოს ფილარმონიის დიდ დარბაზში. შეხვედრამ კარგად ჩაიარა, მაგრამ რაღაც მოუსვენრად ვიყავი და იქიდან, ნიკოლაძის ქუჩაზე, ჩემს ნანულისთან შევიარე. შემდეგ ჩემმა შვილიშვილმა მაკამ და მისმა მეუღლე — ავთომ სახლში გამაცილეს. რას წარმოვიდგენდი, რომ ეს უკანასკნელი საღამო იყო ჩვენი ერთად ყოფნისა, და რომ ორ დღეში, 1986 წლის 5 ივლისს, ავთო სულაბერიძე აღარ გვეყოლებოდა.

მთელი ქალაქი შეძრა ამ საშინელმა ტრაგედიამ. ვინ იფიქრებდა, რომ ოცი წლის მშვენიერ ვაჟკაცს სასიკვდილოდ ასე უმოწყალოდ გაიმეტებდნენ.

დაკრძალვა დემონსტრაციას ჰგავდა. ნიკოლაძის ქუჩიდან ვაკის სასაფლაომდე ხელით მიჰქონდათ კუბო. გზადაგზა ყვავილებს უფენდნენ...



1987 წლის იანვარში ქალთა საკავშირო კონფერენციაა მოსკოვში. ჩემთან ერთად არიან მარიკა ლორთქიფანიძე, ნინო ჟვანია, ნათელა ვასაძე, ნათელა ლაღიძე, ნათელა ჩელებაძე ქობულეთიდან, ნორა საკანია აფხაზეთიდან... სულ ოცნი ვართ.

მიხეილ გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა „პერესტროიკამ“ დიდი გამოცოცხლება გამოიწვია. ხალხი ხედავს, რომ ასეთ სიცრუესა და სიყალბეში ცხოვრება აღარ შეიძლება, რომ ყოველ წარმოებას, მეურნეობას, გარდაქმნა ესაჭიროება, რომ დროა, 70 წლის ცხოვრების შედეგებს შეფასება მივცეთ, აწმყო და მომავალი გავიაზროთ. კონფერენცია, რომელსაც 1202 დელეგატი ესწრება, „პერესტროიკის“ ეგიდით ტარდება. როგორ გარდავქმნათ ყველა სფერო ისე, რომ რეალურად დავეხმაროთ ქალს, დედას — მისი საქმიანობისა და ბავშვთა აღზრდის შემსუბუქებაში.



ბარათაშვილი, ჯანელიძე, ჩარკვიანი, მილორავა, ახვლედიანი, ჯუმბერ პატიაშვილი

.საქართველოში დიდი ღელვა და შეხლა-შემოხლაა ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის ირგვლივ. 100 წლის წინ, ქართველი ერისკაცები იცნებობდნენ ამ რკინიგზაზე, მაგრამ მაშინ სხვა ტრანსპორტი არ იყო. ახლა კი გამოვედევნეთ იმ „ოცნებას", რომელსაც დღეს ბევრი ეჭვით უყურებს. ესეც გასაგებია! საუბრებში აქტიურადაა ჩართული ჩვენი დიდი მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი

ძალზე მიხარია, რომ რედაქციაში, თანამშრომლად მივიღეთ ახალქალაქის რაიონის სოფელ კოთელიას მკვიდრი, მანანა ზარიძე ყოველმხრივ მშვენიერი ქალიშვილი. მომყავს ინგილო სტუდენტი გოგონაც და საშუალება გვექნება, უკეთ ჩავერთოთ მესხეთ-ჯავახეთისა და საინგილოს ცხოვრებაში. პლასტუნკასაც სჭირდება ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) ხელი, რომ ქართველებს — ქართველობა შევანარჩუნებინოთ. თუმცა აგერ, აქვე, ბოლნის-დმანისი და თეთრიწყაროც კი უკეთ მისახედი გვაქვს... მეც ვცდილობ, რაღაც ვაკეთო, მაგრამ რამდენს გაუწვდეთ ჩვენი სარედაქციო შტატითა და სახსრებით?

1988 წლის 18 ივლისს, საქ. კპ ცკ-ის პირველ მდივანთან, ჯუმბერ პატიაშვილთან არის შეხვედრა, რამდენიმე, უდავოდ მტკივნეული და ჩემი ფიქრით, აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხის გამო. ერთ-ერთი ასეთია, ახალქალაქის რაიონის ქართული სოფლის, კოთელიას მცხოვრებთა უმძიმესი მდგომარეობა. მათ ქოხებში (ჯერჯერობით 21 სახლში) ამოდის ნიადაგისეული წყალი. იფარება იატაკი, ჭირს გადაადგილება. ბინადრები ტოვებენ სოფელს და მიდიან ქართველებით ისედაც ძალზე მცირედ დასახლებული კუთხიდან. ახალქალაქის პარტიის რაიკომის მდივანს დიდად არ აწუხებს ქართველების ეს სატკივარი.

ჩემი ინფორმაციის დასადასტურებლად, ბატონ ჯუმბერს ჩვენი რედაქციის ფოტოკორესპონდენტის მიერ გადაღებული ფოტოები წარვუდგინე. მდივანი შენუხდა და ზომების

სასწრაფოდ მიღებას დამპირდა. მადლობა, რომ ეს დაპირება შეასრულა კიდეც: სოფელ კოთელიაში გაიგზავნა კომისია და დაზარალებულებს მთავრობა სახლებს აუშენებს.

იქნებ გადაისინჯოს და გაადვილდეს კონტაქტები მესხეთ-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებს შორის? მეცნიერების, ხელოვნების, მწერლებისა თუ ნათესავ-მეგობრების ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას სპეციალური ნებართვა სჭირდება, რომლის მოპოვება დიდი დროისა და ფიზიკური ძალის ხარჯვით ხერხდება და ზოგჯერ ორ-სამ კვირაობით ჭიანურდება. რატომ უნდა სჭირდებოდეთ ქართველებს ასეთი ნვალება, მაშინ, როდესაც კონტაქტები მესხეთ-ჯავახეთსა და სომხეთს შორის ძალიან გაადვილებულია. ამ საკითხის გადაწყვეტა, უდავოდ, ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლო კი არა, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

პატიაშვილმა დამაიმედა, რომ ყველაფერი მოგვარდება თურქ-მესხების პრობლემის მოწესრიგებისთანავე. ახლა კი საკმარისია გავხსნათ საზღვარი, მათი ტალღა მოაწყდება მესხეთ-ჯავახეთსო.

დიდი მცდელობის შემდეგ, მგონი, რაღაც შეღავათებს მივაღწიე ჭიათურის წარმოებაში, ექსკავატორზე დამარცხებულ, ნავარძეთელ ამირან ყიფშიძისა და მისი სამი თოთო ბავშვისათვის. არადა, ძალიან ცდილობდნენ საქმის წაფუჩჩებას.

ვიყავი ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანთან ომარ ხოფერიასთან, სოფლების ნავარძეთისა და ჭილოვანის მცხოვრებთათვის მდინარე ყვირილაზე ბონდის აღდგენის თაობაზე და რამდენიმე ნავარძეთელისათვის პენსიის საკითხის მოსაგვარებლად.

1988 წლის 10 ივნისს, ჭიათურის თეატრმა საიუბილეო საღამო გამიმართა. თბილისიდან იყვნენ მწერალთა კავშირის მდივანი გიორგი ციციშვილი, გიორ-



საიუბილეო საღამო ჭიათურის თეატრში ეთერ სამხარაძე-ჯლავაძე, მარიკა ბარათაშვილი, გიორგი ციციშვილი, გიორგი ნერეთელი, ეთერ ჯიშკარიანი, მიხეილ ეაშაძე, გუკა ნაკაიძე, ანზორ გოგართელი. 1988 წ. ივნისი.

გი ნერეთელი, მიხეილ ვაშაძე, ბუკა ნაკაიძე, ანზორ გომართელი, იყვნენ პოეტი ქალები ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე, ეთერ ჯიშკარიანი, ჩემი თანამშრომლები და ჩემი მეგობარი, სარედაქციო კოლეგიის წევრი, პროფესორი ლუბა შენირული. საღამომ კარგად ჩაიარა. შემდეგ ჩემმა დალიმ (ბაბო ბარათაშვილის ქალიშვილი) ნავარძეთში, თავის ოჯახში ვახშამზე მიგვიპატიჟა.

შემოდგომაზე, ნავარძეთის სკოლამაც მომიწყო შეხვედრა.

...ეგებ, ცოტა რამეს კიდევ გავაკეთებდი, მაგრამ რა ეუყო ჩემს 80 წელს? თუმცა... ამასწინათ შემეკითხნენ, რამდენი წლისა ხარო?

— როდესაც მუზა მეწვევა, 16-ისა, თუ დამივიწყა, სრული 100 წლისა-მეთქი, ვუპასუხე.

მწერალთა კავშირი იუბილეს გამართვას მიპირებს. მეკითხებიან, რომელ თეატრში მინდა მოეწყოს, მაგრამ ასეთ ხმაურიან ზეიმზე უარი განვაცხადე.

1989 წლის 3 მარტს, გორის რაიონულმა საბჭომ ჩვენი რედაქციის წევრებს შეხვედრა მოგვიწყო. ვიყავით: ეთერ ჯაფარიძე, ირმა ჩოფიკაშვილი და მე. ვისაუბრეთ რაიონის ქალთა ცხოვრების ავ-კარგსა და ჩვენი ჟურნალის საქმიანობის შესახებ. მოვიგონეთ ბევრი რამ... შეხვედრამ ძალზე გულთბილ ვითარებაში ჩაიარა.

იმპერიის რღვევა და 9 აპრილი

...რუსეთის იმპერიას ბზარი გაუჩნდა და სასიკვდილოდ განწირული თანდათან ირყევა. ახლა მთავარია მის ნანგრევებში არ მოვყვეთ და, ამიტომ, რესპუბლიკებიც საამისოდ გზებს ეძებენ.

თავგანწირვით იბრძვის ბალტიისპირეთი. მას ევროპაც ემხრობა. განსაკუთრებით ამიერკავკასიის რესპუბლიკებს გაუჭირდათ. ყარაბაღისათვის ბრძოლაში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, სისხლი იღვრება.

თავისუფლებაზე ოცნებით ცხოვრობს საქართველო. დადგა ჟამი დამოუკიდებლობის კვლავ აღდგენისა. ღელავს ხალხი — განსაკუთრებით ახალგაზრდობა, მოსწავლეები, სტუდენტები. არის მშვიდობიანი მიტინგები, მსვლელობები...

მოსწავლეებს სკოლებში, სტუდენტებს აუდიტორიებში ველარ ედგომებათ. ჩემი რედაქცია ქალაქის ცენტრშია, ლენინის ქ. №14, ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გამომცემლობის შენობის IV სართულზე. ჩვენი სამუშაო ოთახების ფანჯრები პროსპექტს გადაჰყურებს და ვხედავთ უწყვეტად რომ მიღელავს ქუჩაში ახალგაზრდობა თავისუფლების მოწოდების ტრანსპარანტებით ხელში.

1989 წლის 9 აპრილის საღამოსაც, ასე, მეოცნებე ადამიანებმა — მეტწილად, ქალებმა და გოგონებმა მოიყარეს თავი მთავრობის სახლის წინ, მოედანზე. ეს იყო მშვიდობიანი თავშეყრა. საქართველოს ბედნიერ მომავალზე მეოცნებენი ლოცვებითა და სიმღერებით ათევდნენ ღამეს.

რუსის ჯარისკაცები ტანკებზე ამხედრებულები, რკინის ბარებით, ხიშტებითა

და საწამლავი გაზით შეიარაღებულები მომიტინგეებს გააფთრებით შემოესივნენ. საშინელი ტრაგედია დატრიალდა თბილისის თავზე: მშვიდობიანი ადამიანების ხოცვა-ულტა გაჩაღდა. რამდენი ოჯახი განადგურდა, გაუბედურდა, უამრავი მოწამლულია... გამხეცებული ჯარისკაცები გაქცეულებსაც მისდევდნენ უკან.

ხანდახან ის ისევ ნარსულის ქუჩე არის,
იმ მწარე. გარდასულ დღეთა...
ახლაც თავს ახსენებს შუბლზე ნაქუცვიარი
და სისხლი ასფალტზე ნვეთავს...
„ბართლომეს ღამეა", თუ გზა ნინამურის,
ან ბნელი, ავსულთა ქუჩა?
მოიჯრნენ მკვლელები შემზარავ ხმაურით
და ერს დაახალეს ქუცია.

(„და სისხლი ასფალტზე ნვეთავს...", 9 აპრილის ექო)

9 აპრილს უმძიმესი გლოვის დღეები მოჰყვა... სრულიად უდანაშაულოდ დარბეული ოჯახების თანაგრძნობად ფეხზე დადგა მთელი საქართველო. ყვავილებით დაზვინული მოედანი... ანთებული კელაპტრები, დაღუპულთა გადიდებული სურათები... დამწუხრებულ ადამიანთა ნაკადები... სიონში გამართული პანაშვიდები... დაკრძალვის ცერემონია — სახალხო გლოვა.

საავადმყოფო-პოლიკლინიკებში ვეღარ აუდიან მოწამლულთა კვლევა-მომსახურებას. არადა, სპეციალისტებს ვერ დაუდგენიათ, სახელდობრ, რომელი საწამლავი გამოიყენეს თავდამსხმელებმა. „გმირები" კი უარყოფენ არათუ რაიმე საწამლავის, — ბარების გამოყენებასაც კი და ჩვენვე გვაბრალებენ საკუთარი თავის ხოცვას, მოწამვლასა და, საერთოდ, მომხდარ ყველა უბედურებას!

მოგვიანებით, პროფესორი თამარ დეკანოსიძე მიყვებოდა, როგორი წნეხის ქვეშ უხდებოდა მოსკოვში მუშაობა, 9 აპრილს გამოყენებული საწამლავის დადგენისას... ხელთა მაქვს ჩვენს რედაქციაში გამართული შეკრების მიმართვა ჩვენი ჟურნალის კოლექტივის, ქალთა რესპუბლიკური საბჭოს, ბავშვთა და ქალთა ორგანიზაციებისა და ერთობლივ საქართველოს ქალთა სახელით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა ქალების კომიტეტის, წითელი ჯვრის საერთაშორისო საზოგადოებისა და 1989 წლის 9 აპრილს, თბილისში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა გამომკვლევი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დროებითი კომისიისა და მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მიმართ, მოწოდებით, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენს პროტესტს, მიიღონ მონაწილეობა თბილისის სისხლიანი ტრაგედიის ინიციატორებისა და ორგანიზატორთა კონკრეტული ბრალეულობის გამოძიებაში, დაეხმარონ დაზარალებულთ.

უბედურებაა, უბედურება! უდანაშაულოდ დახოცილი ქალებისა და ბავშვების გარდა, ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 1400-ზე მეტ კაცს აღ-

მოაჩნდა მონამვლის ნიშნები... და ასეთი ფაქტების მიჩქმალვას ლამობს სსრკ თავდაცვის სამინისტრო!

1989 წლის ნოემბერს, მე და ბიძინა ქობულეთში ვართ, დასასვენებელ სახლ „ივერიაში". მთელ დედა საქართველოსთან ერთად ღელავს ჩემი აჭარაც. ჩვენთან მოდიან მეგობრები. ვსაუბრობთ, რა იქნება, როგორ იქნება... საქართველოს სახალხო ფრონტის ქობულეთის რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელ კონფერენციაზე მიმიწვიეს.

ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!

პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ! — ასეთია ამ შეკრების დევიზი. არის ღელვა, აზრთა გაცვლა-გამოცვლა: როგორი უნდა იყოს ჩვენი ხვალინდელი დღე! ერთი კი საერთოა: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს!"

1989 წელს საქართველოს ქალთა საბჭოსთან შეიქმნა ჯარისკაცთა დედების ასოციაცია. ჩვენი მოვალეობაა დავეხმაროთ ჯარისკაცებსა და მათ დედებს, ოჯახებს. რადგანაც, საბჭოთა არმიის ამა თუ იმ ნაწილში გამეფებულ არაადამიანურ დამოკიდებულებას, როგორიცაა „დედოვშჩინა" და სხვა, სულიერ და ფიზიკურ განადგურებამდე მიჰყავს ახალგაზრდები. აუტანელმა შიშმა და მწუხარებამ მოიცვა მათი ოჯახები. მარტო ამ ზაფხულს, ნავარძეთში ჩემი ყოფნისას, 9 თუთიის კუბო ჩამოასვენეს ჭიათურაში კუბოს თავების ახდის სასტიკი აკრძალვით, ეგებ, გვამებიც კი აერიათ გადმოგზავნისას და ჭირისუფალმა არც იცოდა, ვის გლოვობდა... ერთი კი უდავოა, მათი მთავარი „დანაშაული" ქართველობა იქნებოდა.



1990 წლის ოქტომბერში, ლაგოდეხში, მკითხველთა კონფერენციის ჩასატარებლად თითქმის მთელი ჩემი რედაქცია ჩამოვედით. მე, ლია კაკაბაძე, ეთერ ჯაფარიძე, ცინარა ტერელაძე, ნანული ბუკია, ოლია რევია და დავით იაკობაშვილი, ჩვენი ავტორი გულნარა სტურუა და ტურისტული საზოგადოებიდან მანანა დევაძე. ჩემი მეუღლეც მახლავს. მძღოლია რეზო მაისურაძე.

ლაგოდეხის ნაკრძალი დავათვალიერეთ. კონფერენცია არ შედგა, რადგან ხალხი ძალზე აღელვებულია, პიკეტებს აწყობენ აღმასკომის წინ, უჩივიან აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს, მოითხოვენ მის მოხსნას სამსახურიდან, რადგან ბრალად სდებენ კოსტავას ფონდის თანხების მითვისებას.

ლაგოდეხში ჩამოსვლამ 1931 წელი მომაგონა, როცა მე და კვიროსი ველისციხიდან გადმოვედით და თითქმის ერთი წელი ვიცხოვრეთ აქ. კვიროსმა ლაგოდეხის საავადმყოფოშიც გახსნა ქირურგიული განყოფილება. მაგონდება ის დღეები: ექიმ ვანო სულხანიშვილისა და მისი მეუღლის ელენეს ტკბილი ოჯახი. მათთან მეგობრობა, ერთად გატარებული საღამოები, გოგი ნუცუბიძე, მისი მშვენიერი მეუღლე და კიდევ სხვები... ვათვალიერებ, მაგრამ ვეღარ მივაგენი სახლს,

სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. იმ დღეებს ხომ თითქმის 60 წელი მაშორებს.

მეორე დილით, 9 საათზე, საინგილოსკენ გავემგზავრეთ. გამოვიარეთ ბელაქანი, ზაქათალა... თვალს გვტაცებს კაკლის, თხილის, ხურმისა და რისი პლანტაციები აღარ. ბაღები, ხეივნები — გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულ-გადაშლილა. საცოდავი ზემო იმერელი გლეხი, ოჯახის როგორმე გამოსაკვებად, ხეზე თოკით გამობმული რომ ფხოჭნის კლდეებს. საქართველოს ეს შესანიშნავი ბეღელი, მისი უმდიდრესი კუთხე, აზერბაიჯანის საკუთრებად ქცეულა... დიდკაცური ხელგაშლილობით მიურთმევია მათთვის ორჯონიკიძეს.

მიმოვიარე ფიქრით გზები და ცრამალღები...
ვის ვერ მივხედე, ვისი მრჩება ქვეყნად ვალები!
ვის ვნატრულობდი, ვინ მეძახდა, ვინ მიმელოდა,
ვის სჭირდებოდა ჩემი გული, საქართველოდან?
ო, რა ხანია ასე ვღელავ... რაც მსურს ვიხილო
ის ქართველები, პლასტუნკაა თუ საინგილო.
რაც მნვავს სახმილი... ვისთან მისვლაც ველარ მელირსა,
ფერეიდანის, ცაო-კლარჯეთ თუ შავშეთისა.
სისხლო ქართულო, სად არ მოჩქეფ, სად არ მეგულვი.
დარიგებული თუ ვერაგად მიტაცებული...
მიმოვიარე ფიქრით გზები და ცრამალღები,
ისე მივდივარ, რომ მიმყვება თქვენი ვალები...

(„ისე მივდივარ")

კახის ქართულ სკოლაში ვართ. გველოდებიან. ძალზე შეგვაგვიანდა და იმედი რომ გადაუწურავთ, დაშლილან. აქ, ამ სკოლაში წინა წლებში 800-მდე ბავშვი სწავლობდაო, გვეუბნებიან, ახლა 326-მდე შემცირებულა მათი რიცხვი. ბავშვებს როგორღაც მაინც მოუყარეს თავი და გაიმართა საუბარი. ითქვა ბევრი ტკივილიანი სიტყვა... გული დაგვიმძიმდა. გადავეცით სუვენირები და, მათ შორის, ორი შანდალი სკოლასა და ბიბლიოთეკაში დასადგმელად. ვიყავით მოქმედ ეკლესიაშიც. ხვალ აქ დიდი ზეიმი იმართება — საინგილოში ქრისტიანობის შემობრუნების 140-ე წლისთავის აღსანიშნავად. გვწყინს, რომ ვერ დავესწრებით.

ინგილოელთა ქორწილში მიგვიპატიჟეს. სუფრას 400-მდე ადამიანი შემოსხდომია. მექორწილეებს მივულოცე და მათაც საჩუქრად შანდალი გადავეცი. შეკრებილ ხალხსაც დიდი სიყვარულით მივმართე. არასოდეს დამავიწყდება მათი გაბრწყინებული სახეები. მათდამი სიყვარულმა ხელიც კი გამაშლევინა საცეკვაოდ.

...დავით იაკობაშვილმა მე-11 კლასელ მშვენიერ გოგონას სურათი გადაუღო — ჩვენი ჟურნალის საიანვრო გარეკანს დაგვიმშვენებს. მძიმე ფიქრებში ჩაძირულები, კახიდან საღამოს 6 საათზე გამოვემგზავრეთ.

გვწყინს, რომ ქართული თეატრის ნახვის საშუალება არ მოგვეცა ადგილზე არ იყვნენ. თეატრი ძალზე სასიკეთო მოვლენაა აქაური ქართველებისა და, საერთოდ, საქართველოს ცხოვრებაში და, ეგებ, ჩვენც ცოტა მაინც გულზე მოგვფონებოდა.

მაგონდება რამდენიმე წლის წინანდელი ინციდენტი, როდესაც მეცნიერებათა აკადემიის წევრებმა საინგილოში ჩასატანად წიგნები და საჩუქრები შეაგროვეს, მაგრამ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ გზიდანვე გამოაბრუნა. საერთოდ, საინგილოში ჩასვლა წინააღმდეგობებთან იყო დაკავშირებული, იქაურ ქართველებთან ურთიერთობა გაძნელებული.

ქართულმა ინტელიგენციამ ეს ფაქტი ძალზე მტკივნეულად აღიქვა. საპროტესტო განცხადებები საქართველოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტების სახელზე დაიწერა. განცხადებები ჩემთანაც მოიტანეს ხელმოსაწერად, რედაქციაში.

მაინც რომელ კუთხეს უნდა მიხედოს კაცმა, რომელ ერთ სატკივარს დაადოს მალამო?



მარიკა მეულლესთან, ქალიშვილთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად
1987 წ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐ

1990 წლის ოქტომბერში ეროვნული ხელისუფლება ავირჩიეთ. საქართველო, ფაქტობრივად, დამოუკიდებელია. ამ დროს მოვესწარ!!!

როცა ვფიქრობდით: ჩაკვდა, გათავდა,
ფიქრიც კი ლაღი და გაბედული,
კვლავ სასიცოცხლოდ ნამოიმართა
და ფეხზე დადგა მამულ-დედული.
და მეძახლება ნუხილის გროვა
(ლამის ტკივილმა გამიპოს მკერდი).
რომ ვერ დავმდგარვარ იმედად. ბრძოლად.
ფრთანამოშლილი შვილების გვერდით.
...ასე არასდროს დამწანებია.
რომ მამულს ვეღარ გავუნანილე.
რაც სანუთროსგან წილად მრგებია –
ის მგზნებარება და სიყმანვილე.

(„ასე არასდროს დამწანებია")



ᲒᲘ-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲘ

ზვიად გამსახურდიას დიდი დამსახურება მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში. მთელი თავისი ახალგაზრდობა იატაკქვეშა საქმიანობაში, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლაში გაატარა, უახლოეს მეგობარ, მერაბ კოსტავასთან და სხვა დისიდენტებთან ერთად. მაგრამ მერაბ კოსტავას ეროვნული მოძრაობის გმირს, დიდებულ მოღვაწეს, კეთილშობილ ადამიანს, ალარ დასცალდა ცხოვრება, მის საოცნებო, თავისუფალ საქართველოში ტრაგიკულად დაიღუპა.

1991 წლის 26 მაისს, ქართველმა ხალხმა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტად აირჩია...

ცხოვრების გარდაქმნის სინამდვილეში თავი იჩინა საბედისწერო ბზარმა, უმალვე რომ უფსკრულად გადაიქცა და რომლის აქეთ-იქეთ მდგარი ადამიანები ერთმანეთს სამშობლოს მოღალატეობასა და ათასგვარ, მომაკვდინებელ ცოდვას აბრალებენ.

გარემო უზომოდ იმუხტება, ერი იხლიჩება. უკიდურესობამდე მისულ მხარეთა გამზავებელი კი არსად ჩანს. უკეთ რომ ვთქვათ, მომრიგებელი კი არა, წამსისინებელი „ნიღბოსანი“ რესპუბლიკის გარედან გეთავაზობს თამაშის წესებს.

ახლა აუცილებელია გონიერება გამოვიჩინოთ და ეს დაპირისპირება არ გადაიზარდოს სამოქალაქო ომში, არ გავარდეს ტყვია... სამწუხაროდ, უგუნურებამ სძლია გონიერებას. ის საბედისწერო ტყვია გავარდა, დაიხოცა ხალხი, დაინგრა თბილისის მშვენება, ჩვენი საამაყო რუსთაველის გამზირი. ქვეყანა ქაოსმა მოიცვა... პრეზიდენტი საქართველოდან გაიხიზნა. ჩათრეული აღმოვჩნდით ფიზიკურად, მატერიალურად, მორალურად გამანადგურებელ, ძმათამკელელ ომში.

1992 წლის მარტში, საქართველოს ედუარდ შევარდნაძე დაუბრუნდა. ქვეყნის ე.წ. საოჯახო პრობლემების მოგვარებას ზედ დაერთო ომი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, რომელიც რუსებთან ერთად სამაჩაბლოს ოსებმა და აფხაზებმა გააჩაღეს. პოლიტიკურ-ეკონომიკურ-მორალურმა კრიზისმა კულმინაციას მიაღწია. საქართველოს გზებზე ქართველი ვაჟკაცების საფლავების თხრას ბოლო აღარ უჩანს. ქართველების გაუგონარი ეთნოწმენდა გაჩაღდა აფხაზეთში...

ომამდე ცოტა ხნით ადრე, ჩემი უსაყვარლესი ადამიანი, პოეტი ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე სოხუმიდან ბარათსა და ფოტოსურათს მიგზავნის. „გკოცნი, მენატრები, გეხვევი“, — მწერს იგი, თან გულდაწყვეტილია, რომ მის შემოქმედებით საღამოზე ჩასვლა ვერ მოვახერხე. ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის, რომ უკანასკნელად იგი გახარებული ვერ ვნახე... ვერ ვუთხარი რამდენიმე თბილი სიტყვა მაინც.

ვერ წარმომიდგენია მის ნაოპერაციევ მკერდს, მის კაფანდარა, დასუსტებულ სხეულს, მის მშვენიერ სახეს, რომელმა ბარბაროსმა დაახალა ტყვია.

...და როს მოიქუფრა ზეცა.
ჩატყდა სამეგობრო ხიდი?
უმალ მოძალადედ გექცა.
ვისაც ძმობილებად თვლიდი.
სულის შემზარავი ძალით
სახლში შემოგეჭრა მტერი.
თვალწინ დაგიხრილეს ქმარი.
თავზე ჩამოგამხეს ჯერი.
შენ რომ უგალობდი გზნებით
დედას – შენს აფხაზეთს, მზიანს,
შენი სიმღერების ხმები
დღესაც მის ლაქვარდში კრთიან...
შენ ხომ მეოცნებე იყავ.
შენ ხომ საგალობლებს წერდი,

როგორ მოაბნიეს მინას
შენი დაფლეთილი მკერდი!
თვალი ნაღველით მაქვს სველი...
დავვალ, შენს მკვლელებთან ვდარბ,
შენზე ვით აღმართეს ხელი
ჩვენო თვალხატულა დაო!
ფიქრი ქალივილების ქუჩაა,
მტრობით გადაბუგულ გზებზე,
ჰოეტს დაახალეს ქუჩია –
გულში მოფართხალე ლექსებს...

(„ჰოეტს დახალეს ქუჩია", ეთერ სამხარაძე–ჯალამაძეს)

აქვე მინდა ეთერის, სიყვარულით სავსე ადამიანის ერთ-ერთი წერილი წარმოგიდგინოთ:

იმდენად ვარ აფორიაქებული, რომ სიტყვებს ვერ ვპოულობ. ჩემი ნაწამები, დაგლეჯილი, სულიერი და ეკონომიკურ-პოლიტიკური მარწუხებით შებოჭილი საქართველოს ბედი გულს მიკლავს. ვერაფრით ვეშველი... ჟამიდან ჟამზე, ლექსებში თუ გამოჟონავს ჩემი მწარე ტკივილი...

გადის დღეები, თვეები, წლები, ძალა არ გვყოფნის უსაშველო მაჯლაჯუნას თავი დავაღწიოთ, რადგან, გაერთიანების მაგივრად, ათასად ვიწენებით, ვთითოვდებით და ასე, დანაწილებულნი, მტრის მაგივრად ერთმანეთს ვებრძვით, ვხოცავთ.

საუკეთესო ვაჟკაცები შეიწირა სამაჩაბლოსა და აფხაზეთში გაჩაღებულმა ომებმა და უაზროდ, შინ, საკუთარ ქალაქში, ქუჩასა თუ ბინაში, რამდენის მკვლელობამ თუ თვითმკვლელობამ შეგვზარა...

რა გვჭირს, რა მოგვივიდა? სად და როგორ აღიზარდა ამდენი მკვლელი, მძარცველი, ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული ადამიანი. რამ გაამწარათ, გაახარბათ, გზა-კვალი, ავისა და კარგის გარჩევის უნარი აურიათ?

ვერც პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, ვერც მომდევნო ხელისუფლებამ ვერ შეძლო სიძნელეების აღმოფხვრა, ვერ შეაკავშირა, ვერ დაიცვა ხალხი, ვერ შეძლო წესრიგის დამყარება, თუმცა, ეს თითოეულ მოქალაქეზედაცაა დამოკიდებული. ადამიანს უშიშრად ქუჩაში ვერ გაუვლია. თუ გახვედი, შეგაშფოთებს ხალხის დანახვა. ყველა მოღრუბლულია, ფიქრდამძიმებული, საარსებო სახსრების ძებნით შეწუხებული, დათრგუნული.

ვერა, ვერ შევძელით ცხოვრების აწყობა ანდა, საერთოდ, შევძლებთ კი? ნუთუ ერთადერთი საშველი ისევ რუსეთის ქვეშევრდომობაა?! კლავაც აუხდენელ ოცნებად დაგვრჩა საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა?!

საოცარი დეპრესიის მარწუხებში ვგრძნობ თავს. ამას დაემატა ჩემი ბიძინას მდგომარეობა... 49 წელია ერთად ვართ. ნახევარი საუკუნის წინ გავიცანით ერთმანეთი და შევაერთეთ ორი დაქვრივებული ოჯახი, აღვზარდეთ და გზაზე დავაყენეთ სამი შვილი. ახლა ისინი უკვე ბებია-ბაბუები არიან.

1994 წლის 22 მარტს, ჩემი კეთილი, მოსიყვარულე, კაცთმოყვარე მეუღლე გარდაიცვალა.

❦ ❦ ❦

1995 წელს, მწერალთა ყრილობაზე ითქვა, რომ საანგარიშო პერიოდში 43 (?) მწერალი დაიღუპა. მას შემდეგაც ბევრი დავკარგეთ: ალექსანდრე კალანდაძე, ერემია ქარელიშვილი, გიორგი წერეთელი, ვახტანგ გორგანელი, ალექსანდრე გომიაშვილი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ელიზბარ უბილავა, აკაკი გელოვანი... როგორ მიყვარდა ყველა მათგანი, როგორ განვიცდიდი მათ გაჭირვებას. მეტწილად შიმშილით დასუსტებულები, ავადმყოფობას ვეღარ უძლებენ.

ქეთო ქუჩუკაშვილის დარდი მაქვს — აფერისტი ნათესავის ანკესს წამოეგო

და მშვენიერი სამოთახიანი ბინა დაკარგა ვერაზე, ახლა ნაქირავებ, ერთოთახიან, ნესტიან ბინაშია.

1995 წლის დეკემბერში ნანული ცაგარეიშვილმა თავისთან მიგვიწვია, რედაქციიდან წამოსვლის შემდეგ პირველად მოვხვდი ქალთა ასეთ ფართო თავყრილობაზე. ნანული კარგი ადამიანი და ნიჭიერი ჟურნალისტია, მისი თაოსნობით ჩამოყალიბდა საერთაშორისო საქველმოქმედო ასოციაცია „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის", რომელიც ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებს. მიხარია, რომ ქალთა შორის მუშაობის ტრადიცია გრძელდება.

1996 წელს მომანიჭეს ღირსების ორდენი. ეს ორდენი ჩემთვის განსაკუთრებულია, რადგან იგი დამოუკიდებელ საქართველოში მიღებული ჯილდოა.

შვილების ავადობა. მერაბის გარდაცვალება

1997 წლის ივნისი. მე, ჩემს შვილებთან ვარ ონკოლოგიურ საავადმყოფოში... ნანული მეოთხე სართულზეა, მერაბი მეშვიდეზე. გაუსაძლისი დღეები მიდგას.

ნანული ქიმიოთერაპიას იტარებს. მერაბი — უმძიმეს მდგომარეობაში მყოფი, სახლში წავიყვანეთ. ავადმყოფის ოთახიდან გამოსულმა მოძღვარმა თქვა, რომ ზიარება მშვიდად მიუღია და აღსარებაც უთქვამს.



მერაბ ყურაშვილი

30 ივნისს მერაბი გარდაიცვალა.

ასე დამთავრდა ყოველივე. დავკარგე ჩემი სიცოცხლე. დავრჩი გამოფიტული. დამეკარგა არა მარტო შვილი, არამედ უახლოესი მეგობარი, რომელსაც ვუზიარებდი ჩემს ფიქრებს, ოცნებებს, რომელსაც აღელვებდა ჩემი შემოქმედების ყოველი დეტალი, აინტერესებდა და გულთან ახლოს მიჰქონდა ლექსების, სტატიების, პიესების ბედი. მიკვირდა, ზეპირად რომ იცოდა ყველა ჩემი ლექსი და საერთოდ, დიდად ნაკითხი და განათლებული, კარგად იცნობდა ქართულ, რუსულ, უცხოურ ლიტერატურას. უყვარდა ლექსების ზეპირად თქმა. თავის პროფესიაშიც გამოირჩეოდა — მყარი ადგილი ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის ცხოვრებაში. მთელი გულითაც დაიტირა ყველამ.

გარეთ ნიავია და ჩურჩული ხეთა.
ფოთოლთ შრიალია. თუ შენ მიხმობ: „დედა!"
იმ ხმას ვეძებ. მიპყრობს ნატვრა შენი ნახვის.
ვერ გპოულობ.. სული იმოსება თალხით.
შემდეგ გადაღლილი ძახილით და ძებნით.
ერთ კედელთან მივალ. ერთ სურათთან ვდგები.
სიგარეტით ხელში. ღიმჩამდგარი თვალით
გადმომცქერი. ნუთუ აქ შეიკრა რკალი
იმ საკვალავ გზების. ოცნებების. ღელვის...
რა უნყალოდ მოგწვდა ბედისწერის ხელი!
ვიღაც სადღაც ნივის. რომ დავკარგე შვილი...
როგორ უძლებს გული ამ ულმერთო ცქერილს!
გათანგული ვნვები. გათანგული ვდგები
და მივყვები ფიქრებს დაუკვალავ გზებით...
საით? მეც არ ვიცი. გამგებელის ნებით.
სადღაც მიდის გზები. სადღაც წყდება გზები...
სადღაც არის ალბათ. სულთა სამოსახლოც.
მაგრამ როგორ მოგწვდე. მაგრამ როგორ გნახო!
გარეთ ნიავია და ჩურჩული ხეთა.
ფოთოლთ შრიალია. თუ შენ მიხმობ: „დედა!"

(„რეკვიემი". მერაბს)

ბედნიერი ვიქნებოდი, მის ალაგას რომ ვიყო, ჩემი საამაყო შვილი რომ დამტიროდეს, ახლა კი სიკვდილის უფლებაც არა მაქვს — ნანულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უნდა გავუფრთხილდე. ის კი მე შემომყურებს თვალებში, ცდილობს, ეს ამოდენა უბედურება თავს რომ დაგვატყდა, გულში ჩაიმარხოს, მე გამამხნევოს.

❦ ❦ ❦

სექტემბერში გურამ ფანჯიკიძე გარდაიცვალა. ისიც, როგორც გურამ რჩეულიშვილი, შავმა ზღვამ შეიწირა. გარდა თავისი დიდი შემოქმედებისა, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე შესანიშნავი ადამიანური ღირსებებითაც გამოირჩეოდა. მართლაცდა, იშვიათია ხელმძღვანელი, ასე რომ ზრუნავდეს მასზე მინდობილთა ბედზე.

რამდენიმე თვის წინ, გურამმა თავისი ბოლო რომანი „ეშმაკის ბორბალი" მაჩუქა. ინტერესით წავიკითხე. შემდეგ კი ვერ მოვახერხე, რომ ჩემი შთაბეჭდილება გამეზიარებინა. ჩემმა გაჭირვებამ ყველა და ყველაფერი დამავიწყა...

შემოდგომის ფოთლებივით ცვივიან ადამიანები. იშვიათია დღე, რომ ვინმე ახლობლის დაღუპვის ამბავი არ დაგვატყდეს თავს. გარდაიცვალა კოტეს ნათესავი, ექიმი სერგო ხუნდაძე, რომელმაც გულით განიცადა მერაბის ავადმყოფობისა და დაღუპვის ამბავი და რას წარმოიდგენდა, რომ თვითონაც სასიკვდილოდ ყოფილა განწირული...

ამ თვეებში მწერალი არჩილ სულაკაური და ჩვენი ნათესავი ჟურნალისტი მიტო გულისაშვილიც მივაბარეთ მიწას. ბოლო წლების მანძილზე უდიდესი დანაკლისი განიცადა ქართულმა ხელოვნებამ და, მთლიანად ერმა, დიდი რეჟისორის მიხეილ თუმანიშვილის, ესტრადის მშვენების გოგი დოლიძისა და საოპერო თეატრის შესანიშნავი მომღერლის ზურაბ ანჯაფარიძის დაღუპვით. ზურიკოს დედა ალექსანდრა, ჩემი სკოლის ამხანაგი და მოგვარე, გულმოკლულია. ეს იყო 1997 წლის აპრილი და, რას წარმოვიდგენდი, რომ ჩემს მერაბსაც დათვლილი ჰქონია დღეები.

...ახლა მე და ალექსანდრა (ისიც ორი შვილის დამკარგავი), ჩვენ გაჭირვებას ტელეფონით შევტირით ერთმანეთს... ვიგონებ ჩვენი მოწაფეობის წლებს: დედით ობოლ ალექსანდრას პედაგოგი დეიდა სადიკო ვაშაძე ზრდიდა. ყველას გვიყვარდა, გვხიბლავდა ალექსანდრა საეკლესიო საგალობლებით. უთუოდ დედის ხმა გამოჰყვა ზურიკოს.

მერაბი დამეღუპა, ახლა კოტე იღუპება... 1998 წლის 26 ივნისს დასრულდა კოტე ქორიძის, ჩემი საყვარელი სიძის წამებაც.

ივნისის თვეში კიდევ ერთი საშინელი ამბავი მოხდა. დაიღუპა ძალზე კარგი ახალგაზრდა, ჩემი შვილიშვილების მეგობარი, გურამ შარაძის ვაჟი, ლაშა შარაძე. სახლში იპოვეს გარდაცვლილი. ჩვენმა ოჯახმა ეს უბედურება ძალზე მწვავედ განიცადა...

აგვისტო-სექტემბერს, ჩვეულებისამებრ, ჩემს სოფელში, ნავარძეთში ვატარებ. ხალხი უდიდეს გაჭირვებაშია, რადგან თვეების განმავლობაში ხელფასი და პენსია არ მიუღია. მიკვირს, როგორ არსებობენ? თუმცა, ასევე გაჭირვებულ ქალაქელებთან შედარებით, მათ ბოსტანი, ხილი და სუფთა ჰაერი მაინც აქვთ. ახლა სოფელში ხმა გავრცელდა — პენსიონერებს ფულის მაგივრად ფქვილს დაურიგებენო. ჭიათურის მოსახლეობა უმუშევრობით, წყლისა და ელექტროენერგიის დიდი კრიზისით გამწარებული აწყობს მიტინგებს, პიკეტებს... თუმცა, თბილისსა თუ სხვა კუთხეებშიც ხომ იგივე სურათია. თანაც, საოცრად მძიმე პოლიტიკური სიტუაცია სუფევს... ხალხი წუხს ლტოლვილთა ბედზე, ეღირსებიან კი ისინი შინ დაბრუნებას?

ტერაქტები... კრიმინალური სამყაროს შემოტევა. ღმერთო, უშველე საქართველოს!!!

ნავარძეთში ყოფნისას, წესისამებრ, ყოველ წელს მსტუმრობენ ხოლმე ჭიათურელი მწერალი ქალები: აზა წერეთელი, იზო ცარციძე, მაია ტყემალაძე, დარეჯან ხვედელიძე... კულტურის განყოფილების გამგე ზურაბ წერეთელი.

ძალიან მიხარია მათი ნახვა. ეს საღამოები განსაკუთრებულია ვსაუბრობთ, ვკითხულობთ ლექსებს, ვიგონრებთ ბევრ საინტერესო ამბავს. ასევე სისტემატურად, ყოველი წლის 1 სექტემბერს, ნავარძეთის სკოლაში მიწევს დასწრება. ვულოცავ მათ სასწავლო წლის დაწყებას, ვლოცავ ბავშვებს, მასწავლებლებს, სოფელს.

1998 წლის დეკემბერს, ჭიათურაში დაიღუპა ჩემი საყვარელი ნათესავი მსახიობი ნოდარ ჩაჩანიძე, თეატრისა და კინოს ჭეშმარიტად ნიჭიერი არტისტი. დიდი ღვაწლი მიუძღვის ნოდარს ჭიათურის თეატრის ცხოვრებაში. მრავალზე მრავალი საინტერესოდ შესრულებული როლით შემორჩა იგი თეატრის მატიანეს, ხოლო ქართული კინოს ისტორიას თავისი განუმეორებელი კირილეთი, ელდარ შენგელაიას „სამანიშვილის დედინაცვალში" უზომოდ განვიცადე მისი დაკარგვა. როგორ მებრალება ჩემი დალი ნოდარის მეუღლე. ერთი სიტყვით, დარტყმას დარტყმაზე მაგებებს წუთისოფელი...

ჩემი დიდი ოჯახის მხარდაჭერის გარეშე, ალბათ, ამდენი ტკივილის გადატანას ვერც შევძლებდი.



მარიკა გარათაშვილის დიდი ოჯახი. 1998 წ

ნანულის გაგრდაცვალება



ნანული და მარიკა 60-იანი წლები

1999 წლის სექტემბერი. ჩემი ნანული ძალიან მძიმედაა. იმის გაფიქრებაც კი, რომ მასაც ვკარგავ, გონებას მირევს. დღეები წამებაში იწურება, სულ უფრო აუტანელი ხდება. სანთელივით მიქრება თვალწინ ჩემი სიყვარული, სიცოცხლის აზრი და გამართლება.

...სულ უარესადაა... კონტაქტი უჭირს... უკანასკნელი სიტყვები მაინც ამოილუღლუღა: „ჩემი საბრალო დედა!"

ეს იყო და ეს!

5 ოქტომბერს საღამოს მორჩა ყველაფერი. დამთავრდა ჩემი სიცოცხლის აზრი.

შენ მიბარებდი. მაყრუხლეო. შენს გულში. დედა!
მაგრამ როდემდე? უთქვენობით ეს გულიც ხმება.
ახლა გვალვაა. რაც საჩვენოდ არ მეგულებით.
შრება სათავე თავანყარა ნაკადულების...
შემოდის ვიღაც. ყოველს აქეცვს სიზმრად. ლანდებად.
შემდეგ ლანდებიც სამყაროზე გაიფანტება...
...მომენატრებით. გადმოვანყობ ხსოვნის თაროდან
იმ მოგონებებს: რა გტკიოდათ. რა გიხაროდათ...
თორემ გვალვაა... რა ვუშველო. არა. არ ვიცი.
გულში გვალვაა – უნყალო და გაუსაძლისი...
შენ მიბარებდი. მაყრუხლეო. შენს გულში. დედა!

(„შენ მიბარებდი ნანულის)

მიჭირს, ძალიან მიჭირს, ორი შვილის დამკარგავ დედას!!!

❦ ❦ ❦

გარდაიცვალნენ ჩემთვის ძალიან ძვირფასი მეგობარი მწერლები: რევაზ ჯაფარიძე და გივი ჭიჭინაძე. გივის დედა, ნათელა მგალობლიშვილი, ჩემი ყრმობის მეგობარი იყო.

2000 წელი დაძაბულ შრომაში გავატარე. ნანულის დანატოვარზე ვმუშაობ, მინდა მოვასწრო მისი ნარკვევების წიგნის გამოცემა. მასალები შევკრიბე და „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციას გადავეცი. ნანულის მეგობრები მეხმარებიან წიგნის სასტამბოდ მომზადებასა, კომპიუტერზე აწყობასა და კორექტირებაში, სხვადასხვა პროცესების მოგვარებაში, განსაკუთრებით ჟურნალისტი ბელა დურგლიშვილია ჩართული, მასთან ერთად წიგნის რედაქტორია გურამ გოგიაშვილი. ყველას ვეფერები, მადლობისათვის სიტყვები არ მყოფნის.

...დაიწყო 21-ე საუკუნე. ამ ბოლო ხანს, წელთაღრიცხვა ჩემთვის ჩემი შვილების დაბადებით თუ დაკარგვით თარიღდება, რაც თან ერთვის ქვეყნის უიღბლო დღეებს — მის დაუსრულებელ, მშფოთვარე, არეულ ცხოვრებას. სიკეთისა და დოვლათის მაგივრად, პარტიები მრავლდება. გული მტკივა, როდესაც ვხედავ, როგორ იძარცვებიან ხიბლისაგან ადამიანები, რომლებზედაც დიდ იმედებს ამყარებდნენ. ვერა და ვერ ღაგდება საქართველოს ცისქვეშეთი...

ისედაც უსაშველო ტკივილებით განადგურებული, 2001 წლის აღდგომის ღამეს, შინ დავეცი და თეძოს ძვალი გამიტყდა. მესამე დღესვე ოპერაცია გამიკეთეს. დაახლოებით ორი კვირის შემდეგ, საავადმყოფოდან გამოვეწერე, მაგრამ მალე ჩემი ნავარძეთის ნახვის ნატვრა მომეძალა და ჩემიანებმა სასწრაფო დახმარების მანქანით, საკაცეზე დაწოლილი, ჩამიყვანეს სოფელში. აუწერელია ის სითბო, სიყვარული, რაც ჩემმა მეზობელ-ნათესავებმა და ერთობლივ სოფელმა შემომაგება. მაგრამ განსაკუთრებით ჩემი მეორე, ნამდვილი ქალიშვილი — ჩემი ბაბოს დალი ზრუნავს ჩემზე. ცდილობს, ნანულის მაგივრობა გამიწიოს. ძალზე გულმხურვალე და კეთილია.

2002 წელი. ყოველი ძილის წინ უფალს ვეევედრები, სიზმარში მაინც მამყოფოს ჩემს შვილებთან და ახლობლებთან. რა ბედნიერი ვარ, როდესაც მოლოდინი მიმართლებს. წუხანდელმა სიზმარმაც გამახარა.

„თეატრალურ საზოგადოებაში მივედი. დიდ დარბაზში მსახიობები და რეჟისორები მიდი-მოდიან. აგერ, ჩემი ჭრიჭინაც. „ჩემს მეოთხე შვილს“, — მედიკოს აბრეშუმის ღია მტრედისფერი, მოკლე, ირიბად აჭრილი კაბა აცვია. კაბა მუხლამდე სწვდება და საოცრად უხდება. თმა ერთ დიდ ნაწნავად, უკან აქვს გადაშვებული. უზომოდ მხიარულია და მომხიბლავი. რა სასიამოვნო შეხვედრაა და უცებ, ის უჩინარდება. შენობაში დავდივარ, დავეძებ. ბოლოს მოხვეულ კიბეს ზემოთ ავუყევი. კოშკისმაგვარ, პატარა დარბაზში შიშით შევდივარ, რომ ფეხი არ დამისხლტეს. რა დიდებული ხედია! და აი, ჩემი „ჭრიჭინაც“. ხელს ვკიდებ და ჩასასვლელისაკენ მიმყავს „არა, ქალბატონო მარიკა, თქვენ თუ გინდათ, ჩადით, ხედავთ, რამდენი ნაცნობ-მეგობარია“. ...ვდგავართ ასე სრიალა კიბის თავზე და გადმოვცქერით თბილისს მე და ჩემი მედეა ჯაფარიძე, ჩემი საოცრად ლამაზი, მტრედისფერ კაბაში გამოწყობილი მშვენიერი ჭრიჭინა“.

ისევ ნავარძეთში

2003 წლის აგვისტო. დიდი დაბრკოლებების შემდეგ, ჩემს ნავარძეთში განვაგრძობ წერას. რა შემიძლია შევმატო ჩემს დღიურებს, წიგნს. არადა, მოვლენებით, ფაქტებითა და განცდებით ისე ვარ გადატვირთული... შევძლებ კი მოგონებების სკივრიდან კიდევ ამოვზიდო რაიმე? ეს ბოლო წელიც შინაურ „პატიმრობაში“ გავატარე, ე.ი. ჩემს თბილისურ „საკანში“ და კვლავ ნავარძეთში ჩამოსვლის ოცნებით ვიცხოვრე, სადაც წარსული ჯერაც ისევ სუნთქავს. ჩემი თვალსაწიერიდან მოჩანს თანასოფლელების ამწვანებულ კარ-მიდამოებიანი სახლები, და ჩემი აივნიდან კარგა მოშორებით, ასევე მწვანეში ჩაძირული, ეკლესია-სასაფლაო, სადაც ჩემი ბაბუა, ბებია და მათი შთამომავლობა განისვენებენ. მოგონება კი კვლავაც ცოცხლად მიყენებს თვალწინ მათ. განსაკუთრებით მთვარიან ღამეებში ივსება ლანდებით ეკლესიის ეზო, შემომცქერიან ჩვენგან წასული ნათესავ-მეზობლები... და წუთისოფლის გადასახედიდან, უზომოდ გრძლად მეჩვენება გამოვლილი გზა, რადგან მასზე მწუხარება ბევრად მეტი იყო, ვიდრე სიხარული.

ასე გამოვიარე ცხრა ათეულზე მეტი მარიამობის თვე. ახლა, ამ ჭერქვეშ ორი მარიამი ვართ — დიდედა და შვილთაშვილი — ჩემი მერაბის შვილიშვილი მშვენიერი მარიამი. უფალს ვევედრები ჯანმრთელი, ბედნიერი და სახელოვანი მიმყოფოს იგი.


თბილისში დაბრუნებულს ისევ ცუდი ამბები მესმის. გარდაიცვალნენ: ჩემი უახლოესი მეგობარი, თეატრმცოდნე მარგო გოგოლაშვილი, კარის მეზობელი ჟურნალისტი ჯემალ ნინუა, ჩემი საყვარელი მეგობარი, მწერალი კლავდია დევდარიანი. ქეთევან ლომთათიძისა და ქეთო ქუჩუკაშვილის ბედი მაღელვებს, ორივენი საწოლს არიან მიჯაჭვულნი.

2003 წლის ნოემბერში, უსისხლო რევოლუციის გზით, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება შეიცვალა. ახლა, საქართველოს პრეზიდენტია 35 წლის მიხეილ სააკაშვილი. იგი ჩემი სიყრმის მეგობრების ნიკუშა წერეთლისა და თამარ აბაშიძის შვილთაშვილია. რა დრო გასულა!!!

მადლობა მუზას, რომ არ მივიწყებს და ხანდახან მომაკითხავს ხოლმე:

როცა აკვანდა ბაღში ნაშენი
და იცინიან ლაღად ცქემლებიც,
ნუ გაიკვირვებ თუ ვიღაშები,
ნუ გაიკვირვებ, თუ ვიცრემლები.
იცი... საკვირო დღეთა ახსმული
(ასეთი ღელვით რომ მოველოდი),
შემოვიდოდა შინ გაზაფხული
და სიყვარულით ვითანგებოდი.
ახლაც გამოჩნდა კვლავე თაიგული,
მოდის, მოიბრძვის, კარს ურახუნებს,
მე კი ქარებით გამოფიცული,
შემოვრჩენილვარ „იმ“ გაზაფხულებს...

(„ნუ გაიკვირვებ!“ 30.12.2003.)



2004 წელია და ვმუშაობ ლექსების კრებულზე. მინდა, რომ წიგნი კარგი გამოვიდეს. ახლა ჩემი სამყარო ამ პატარა ოთახის სარკმლიდან დანახული ცის მეტად ამღვრეული სანაპიროს ნაფლეთითა და მწვანე ან გახუნებული, ზოგჯერ კი თეთრ საბანში გახვეული მცირე გორაკით შემოიფარგლება.

ზაფხულის თვეები კვლავ ნავარძეთში გავატარე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა



2005 წლის 7 მარტს, საპატრიარქოში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს შევხვდი (თან მახლდნენ ჩემი შვილიშვილი ლანა და ჟურნალისტი დოდო იორდანიშვილი). საუბარი საინტერესოდ წარიმართა. მე გავუზიარე ჩემი — ორი შვილის დამკარგავი დედის ტკივილები.

„...თქვენისთანა ადამიანები არ კვდებიან", — მითხრა მან. — „სიკვდილი უსახელოდ გაქრობაა. რწმენამ მხნეობა უნდა შეგძინოთ, თქვენი წამებული სიცოცხლე ნიშანია თქვენი ღვთის რჩეულობისა. მინდა, დაგაიმედოთ, რომ არსებობს ბერძენი წმინდა ბერის წინასწარმეტყველება საქართველოს უტყუარი გადარჩენის შესახებ... წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე: ინგლისის დედოფალს მივაცილებდი ასე, ხელკავით, როგორც თქვენ მიგაცილებთ. ღმერთმა ასე სასიკეთოდ აგვიხდინოს ყველა სიზმარი"...

გულითადად ვისაუბრეთ. სამახსოვროდ ექსპრომტად დაწერილი ლექსი მივართვი.

მეამაყება, ჩვენს ქვეყნას ასე რომ შვენი,
კაცი დიადი, უწმიდესი, კეთილი, ბრძენი.
უეჭველია, ღვთის განგებამ ასე ინება:
სიდუხჭირეში მოგვკვლენოდი სულის იმედად.
და თუ ჩვენ ვძლიეთ ათას ჭირს და მელანქოლიას,
თქვენს ყოველ სიტყვას, განკურნების ძალა ჰქონია.
ბედნიერია ერი, ვისაც თქვენ ეგულებით,
რწმენის ცაძარში ანთებულან სუფთა გულები.
ო, ეს „სამება მართლაც თქვენი სულის ასლია...
როგორ იმძლავრეთ და ააგეთ თქვენი ვარძია!!!

(„ძღვნად პატრიარქს")

გამომშვიდობებისას უწმიდესმა და უნეტარესმა წმინდა ეკატერინეს ბეჭედი და ვერცხლის სასმისი მაჩუქა. ეს შეხვედრა დაუვიწყარია.

ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩამოსვენება პარიზიდან

2005 წლის 20 ნოემბერს, ღირსშესანიშნავი, მეტად ამაღელვებელი ფაქტის მოწმენი გავხდით: როგორ ჩაიკრა გულში მთაწმინდამ, მისი კარგა ხნის უნახავი, უცხოეთის ცის ქვეშ გახიზნული, გარდაცვლილი და ღევიღში დაკრძალული, ჩვენი დიდებული თანამემამულე, საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა ჩოლოყაშვილი. მისი ნეშტის პარიზიდან გადმოსვენება დიდ ეროვნულ, სევდანარევ ზეიმად იქცა. მთელი ქალაქი ფეხზე დამდგარი მოედო ქუჩებს. დროშები, ტრანსპარანტები, სიმღერები...

მთაწმინდაზე, ქაქუცას მომავალ განსასვენებელთან, ორატორი ორატორს ცვლიდა. მოგვითხრობდნენ მისი დიდი, პატრიოტული საქმიანობის, გმირული ცხოვრების, ბრძოლისა და მოღვაწეობის ამბებს.

ქაქუცასთან ერთად უცხოეთში გასულ ქართველ ემიგრანტთა, თანამებრძოლთა და მეგობართა შორის, ორატორთა მიერ ნახსენები ქაქუცას ექიმი „საქართველოს შეფიცულთა" რაზმის წევრი ილია ქარუმიძეა. ილიას მოგონებამ ძალზე ამაღელვა და წლების მიღმა მიმაბრუნა...

1924 წლის შემოდგომის მთვარიან ღამეს, კასპის რაიონის სოფელ ჩოჩეთში, ეკლესიის წინ, ბაბუაჩემის, მღვდელ სიმონ კასრაძის სახლის ქუჩისპირა ფანჯარასთან, დეიდაჩემ ელენესთან ერთად ვსხედვართ. ხის ჩრდილს ვიღაცის ღანდი გამოეყო და ჩვენსკენ წამოვიდა. ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მოგვესალმა:

— გამარჯობა, ელენე!

— ოჰ, მოდი, მოდი ილიკო! ელენე ფეხზე წამოხტა, შინ შევიდეთ!



ელენე დეიდა და მარიკა. 1926 წ

— გმადლობ, მაგრამ ვერა! არ შემეძლო არ დაგმშვიდობებოდი.

— უკვე მიდიხართ?!

— მივდივართ.

— თუ იცი, დიდი ხნით?

— არა მგონია, ისე კი, ყოველივე ღმერთმა იცის. აბა, მშვიდობით!

— არა, ნახვამდის!

— გისმინოს უფალმა! ადგილზე ჩასვლისთანავე მოგწერ, ყველაფერს გაცნობებ. აბა, შენ იცი, წერილებს დაველოდები! — მომიბრუნდა

— ეს გოგონა რამხელა გაზრდილა! ბედნიერი იყავი, აბა, ერთმანეთს გაუფრთხილდით.

ილიკომ გადაგვკოცნა და გაგვშორდა. მოსახვევთან მობრუნდა, უკან ისე მოიხედა, თითქოს სურდა გულსა და მეხსიერებაში ღრმად ჩაებეჭდა ეს მთვარიანი ორღობე, სახლი, მე და დეიდაჩემი... ვიგრძენი ელენეს შეშფოთებაც.

— ღმერთო, ბედნიერად დააბრუნე! ხმა აუთრთოლდა, პირჯვარი გადაიწერა.

შინ შევედით. დავწექით. ვგრძნობდი, დეიდაჩემს ძილი გაუკრთა... ელენემ ილიკოს წერილი მალე მიიღო. იწერებოდა, რომ პარიზშია, ემიგრანტ მეგობრებთან ერთად. 40-იან წლებამდე გრძელდებოდა მიმოწერა. შემდეგ ეს ურთიერთობა შეწყდა. ილიკოსაგან წერილები აღარ მოდიოდა. ვფიქრობდით, სადღაც, ომის ქარცეცხლში თუ დაიღუპა...

1947 წლის ზამთარში ილია ქარუმიძე, სრულიად მოულოდნელად, სამშობლოში დაბრუნდა. და აი, ერთ დღეს, დეიდაჩემს შემოესმა კიბეზე ამომავალი მამაკაცის ხმა, რომელიც ელენე კასრაძეს კითხულობდა. 23 წლის უნახავ მეგობრებს ერთმანეთის ცნობა გაუჭირდათ, მაგრამ ეს შეხვედრა, ალბათ, ერთერთი უბედნიერესი იყო, რაც ოდესმე განუცდიათ.

ილიამ დიდი გაჭირვებით მოაღწია საქართველომდე — ღელვა, შიმშილი, ფრონტის ხაზზე ათეულობით კილომეტრის ზოგჯერ ფეხშიშველი გადმოლახვა. ჩექმები რუს ჯარისკაცს წაურთმევია, ფეხები ჯერაც დაწყლულებული და დასივებული აქვს.

ამ ყველაფერმა მას ტუბერკულიოზის პროცესი გაუხსნა... აბასთუმნის შემდეგ თბილისის ტუბდისპანსერში დაანვინეს. ილიას მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა.

1948 წლის გაზაფხულზე იგი გარდაიცვალა. წელიწადზე ცოტა მეტი იცოცხლა თავის მონატრებულ სამშობლოში. იმ დიდი მეგობრობის ხსოვნად დარჩა მხოლოდ ილიას წერილები და მისი განსასვენებელი ვაკის სასაფლაოზე.

საუკუნისაც მოვიყარე

2005 წლის დეკემბერში გამოვიდა ჩემი ლექსების კრებული „საპოვნელა“ და 300 ლექსი (რედაქტორი ელენე სალარიძე). ძალიან გავიხარე მიძღვნების წერით და წიგნები ნათესავ-მეგობრებს ჩამოვურიგე.

გადის დრო... რამდენიმე თვე და დღეა აღარაფერი დამიწერია... ხელის კანკალმაც მიმატა... მხოლოდ მუზა არ მტოვებს, ვკარნახობ და ვკარნახობ ლექსებს ჩემს საყვარელ ეთერს, ისიც იწერს და იწერს.

2006 წელს, საოცრად გულმხურვალედ ჩატარდა ჩემი დაბადების დღე. ხალხს უხარია შეიძლება ას წელსაც მიაღწიოო!

მილოცვები... ტელერეპორტაჟები... უამრავი ადამიანია ჩემს ირგვლივ. ჩემი „ჭრიჭინას“ გმირებმაც გამახარეს სტუმრობით ლეილა აბაშიძე, მედეა ჩახავა, დოდო ჭიჭინაძე. ლიანა ასათიანმა მოსვლა ვერ შეძლო ავადმყოფობის გამო. ჩემი ბიეტა აბშილავა და ლიდა სტვილია ხომ არასოდეს მივიწყებენ. მთელი მწერალთა კავშირის სახელით სისტემატურად მილოცავს მაყვალა გონაშვილი. სასულიერო პირები, ნათესავები, ახლობლები... მათ არასოდეს აკლდება ჩემზე მზრუნველი, ჩემი მოყვარული, ღირსეული ადამიანი ნელი გურგენიძე, რომლის გულის სითბოთი სამარადისოდ ვარ დავალებული.



2006 წ. 7 აპრილი

2006 წლის ბოლო თვეები... ცუდად ვარ... ჩემიანებს გონიათ, რომ მდგომარეობიდან ველარ გამოვალ. მესიზმრა: ვწევარ... ხელებს შორის დიდი საქსოვი ძაფი მაქვს გაბმული. ლოგინთან კონსტანტინე გამსახურდია ჩამომიჯდა და მეუბნება: „ნუ გეშინია მარიკა! სანამდე მაგ ძაფს ბოლომდე არ ამოახვევ და გორგლად არ აქცევ, მანამდე კიდევ გაქვს დრო, ჯერ ჩვენამდე არ მოხვალ"

გამელვიძა... სიზმარი მოვყევი... მალე უკეთესად გავხდი.

2007 წლის 7 აპრილი. არაოფიციალურად უკვე საუკუნისა მოვიყარე. ჩემი ეს ჩანახატიც ხომ ამაზე მიანიშნებს:

განა არ კმარა?!

მე ისევ მანდ ვარ! — ჩემს ჭიათურაში, ჩემს ნავარძეთში. არც სალიეთი დამვიწყებია და არც საჩხერე.

კიდევ ვინ იცის, რამდენგან დააბიჯებს ჩემი ოცნება: ხან ბავშვური, ხან ცოტაც დადინჯებული და ხან კიდევ სულაც ქალადქცეული.

მერე რა, თუ ახლა თქვენთან არა ვარ! — გულით ხომ ვარ, გრძნობით, მოგონებებით! ხან აღმა ავრბივარ, ხან დაღმა ჩავრბივარ ამრეც-დამრეცი ბილიკებით.

აუ... გეძახით, სადა ხართ, სადა?

ნუთუ დრომ გაჯობათ? — ჩვენ ისევ ერთად ვართ. მოვედი, რომ ერთად ვიცოცხლოთ ყვავილში, ბალახში, ჩიტების გულებში, მათ სიმღერებში.

განა არ კმარა?!

❦ ❦ ❦

მაისია და მწერალთა კავშირი იუბილარია.

მე ასი წლისა შევსრულდი, საქართველოს მწერალთა კავშირი — 90-ის. ვულოცავ. და, ამ წლების გადასახედიდან, როდესაც დავფიქრდი თუ რა მახსენდება, აღმოვაჩინე, რომ არაფერი დამვიწყებია. ყველაზე კარგად მახსოვს ურთიერთობა მწერლებთან, მათთან მეგობრობა, ლიტერატურული საღამოები, ყველაფერი თვალწინ მიდგას. თითქოს, იმათ შემქმნეს, მე კი არაფერი გამიკეთებია. აი, ამ გარემომ შექმნა ჩემში პოეტი. ყოველ შემთხვევაში, ამამღერა. ჩემთვის მწერალთა კავშირი არ იყო რაღაც კავშირი, რაღაც დაწესებულება. ეს იყო ჩემი სამლოცველო, იქ ვლოცულობდი, იქ იქმნებოდა ჩემი ლოცვები, ე.ი. ჩემი ლექსები, სიმღერები, ჩემი ოცნებებიც კი...

ირმების გორაკს რომ შეფარვია,
რას ეფიქრება. რაზე პაექრობს,
როგორც მიჯნური, უსიტყვოდ მოვა
და უმალ პოვებს შენთან საერთოს.

უნდა ვუშველოთ. სანამ საქმენი
უმიზნო გზებზედ ჩაიძირება.
კალამს მივანდოთ ჩვენი სათქმელი.
ვიდრე ხსოვნისგან გაინირება.

(„მუზა საირმეზე 16.05.2008“)

❀ ❀ ❀

2008 წლის მარტში ჩემი ანა კალანდაძე გარდაიცვალა... შარშან მესტუმრა, ახალი წლის დღეებში, ავადმყოფობის დროს. მწოლიარე რომ მნახა, გული ეტკინა. წამოდგომა მინდოდა, მაგრამ არ დამანება. ბევრი ვისაუბრეთ, მოვესიყვარულეთ ერთმანეთს, ლექსები წავიკითხეთ.

სამახსოვრო ფოტოც გადავიღეთ. ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა იყო...

ანას ამქვეყნიდან წასვლა თავიდან დამიმალეს, არ გამიმხილეს, დაკრძალვის მეორე დღეს მითხრეს. ძალიან განვიცადე:



მარიკა ბარათაშვილი და ანა კალანდაძე. 2007 წ იანვარი.

აღარ არის ნეტავ
ჩვენი ლექსის დედა?..
გლოვობს, ტირის ნისლიურ,
ზეცის თავანზედა.
როგორ მოხდა, როგორ?..
არ ისვენებს ქარი
და ღრუბლები ცრემლებს
ყოველ კუთხით გზავნის.
მოიღუშა ზეცა,
ლექსს სანვიმრად ართავს...
არა მჯერა! ანა
აღარა გვყავს, მართლა?
ისევ მინდა ანას
ახალ ლექსთა ხმები.
პოეზიამ უფრო,
რომ ასნიოს მხრები.
მე ჩემს დობილს ვგლოვობ,
ვაჟკაცი მარჯვალ ცრემლებს.
დავალ, დავალ, ვეძებ,
სასაფლაოს მესერს.
სადღაც ვრჩები მიღმა,
მნუხრავს გლოვის ზარი.
დამიკარგავს... ვინა? –
ლექსის დედოფალი!

(„ლექსის დედოფალი“. 17.03.2008)

სიზმრებში ხშირად ვხედავ ჭრელი ჩიტებით დაფარულ ზეცას, ტრიალებენ, ჟივჟივებენ. მეც თითქოს ჩიტი ვარ და მათთან ერთად დავფრინავ. მაგრამ ზოგჯერ ცა ისეა გადაჭედილი ფრინველებით, რომ ზევით ვერასგზით ვიწევ.

ასეთი შინაარსის ხილვების დროს, ალბათ სულების სამყაროში გადავდივარ და უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. გამოღვიძებულს ამაღლებული განწყობილება მეუფლება და სასოებით ვივსები.

სიხარული ადამიანის შინაგანი დამოკიდებულებაა, განწყობაა, სიხარული თავისთავად სილამაზეა. ადამიანს უნდა გწამდეს, უნდა გჯეროდეს, რომ ღმერთი არ დატოვებს ასე ლამაზად შექმნილ სამყოფელს. მე მიმაჩნია, რომ უბედურია ის, ვინც მიწაზე პაწაწინა იას ანდა ხეზე მოჭიკჭიკე ჩიტს ვერ ხედავს. მინდა ასეთ ადამიანს ხელი ჩავჭიდო, იქნებ, წამოვწიო ზევით და ვუთხრა: აი, ეს არის ღვთისგან შექმნილი ქვეყანა, აი, ეს არის ცხოვრება და სილამაზე.

2008 წლის 7 აპრილს, მარჯანიშვილის თეატრში, თბილისის მერიის მხარდაჭერით, გაიმართა ჩემი 100 წლის იუბილე. ენით აუწერელი სითბო და აღფრთოვანება მარგუნეს ჩემმა თანამოკალმეებმა, სითბო და სიყვარული გამომიცხადეს. მწერალთა კავშირის სახელით, მაყვალა გონაშვილმა გალაკტიონ ტაბიძის პრემია გადმომცა.

ჭიათურის საზოგადოებამაც, ჩვეულებისამებრ, დიდი ზეიმით აღნიშნა ეს თარიღი. ხოლო საქართველოს ქალთა საბჭომ თბილისის კინოს სახლში საღამო მოაწყო.

საუკუნის იუბილე, განსაკუთრებული სითბოთი, საერთაშორისო ასოციაციის „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" წევრებმა მომილოცეს.

ამ უდიდესი სიყვარულისათვის მადლობელი ვარ სრულიად საქართველოსი.



საიუბილეო საღამო კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში. 2008 წ. 7 აპრილი

ბოლოთქმა

წიგნის დასასრულს, ავტორი ბოლოთქმას დაურთავს ხოლმე. მთელი ჩემი მოგონებებისას, ჟამიდან ჟამზე, ლექსად ვესიტყვებოდი მკითხველს, გადავწყვიტე, ჩემი ამ წიგნის ბოლოთქმაც ლექსად გამოვხატო.

კარგა ხანია აღარსად ჩანხარ,
ლექსის მეხოტბე, ლექსის მსტოვარი.
გადმოეშუქა სიტყვების ფარჩა, –
დაღლილი სულის ეს სახსოვარი.

იცი? როდესაც ჩამწკრივდებიან
ამოსათქმელი ღელვით რითმები,
თვალთა ცრემლით შემომკქერიან
იმათ ბადიშად როდის ვითქმები.

ეგებ სწყურიათ, მათზე ოცნებით
ამოვიქარგო გულის ფიცარი.
ვიქნები მე, თუ აღარ ვიქნები,
გამცნოთ სათქმელი და საფიცარი.

ჩანს, არ ანუხებთ რა იცო გუშინ,
აზრს, რომ ნაკრავდა გრძნობის ღადარი.
დღეს კი დავდივართ გარდასულ ხნულში,
ვეძებთ სად არის მზის შესადარი.

თქვენ გეხვეწებით, ნუ, ნუ მომაკლებთ
ქართულ სიტყვების კაიდარობას,
თორემ მკრთდება გული კვდომამდე
და დანებდება გარდამავლობას.

(„თხოვნა" 11.05.2008.)



საქართველოსთვის ღოცვად დაიდგარი ასი წლის პოეტი 2008 წ

ეს წიგნი გამოსაცემად მზად იყო, როდესაც 2008 წლის 25 დეკემბერს მარიკა ბარათაშვილი გარდაიცვალა. დასანანია, რომ ქალბატონი მარიკა მის ნახვას ვეღარ მოესწრო.

30 დეკემბერს დიდუბის მადლიანმა მიწამ მიიბარა ქართველ პოეტთა შორის ერთადერთი 100 წლის შემოქმედი.

მარიკა ბარათაშვილი
(1908-2008)

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ, სელოვნებამ და კულტურამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა უხუცესი ქართველი მწერალი, ღვაწლმოსილი, ამაგდარი შემოქმედი და საზოგადო მოღვაწე მარიკა (მარიამ) გერვასის ასული ბარათაშვილი.

ქართველი მწერლებისთვის ეს მტკივნეული დანაკლისია არა მარტო იმიტომ, რომ მარიკა ბარათაშვილი ყველაზე ღღეგრძელი შემოქმედი გახლდათ, შემოქმედი, რომელმაც მრავალწახნაგოვანი და ტევადი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, არამედ იმიტომაც, რომ იგი დიდებულ ქართველ ქალთა შთამომავალი იყო, მათი ტრადიციების ღირსეული გამგრძელებელი, საქართველოს მოუშუშებელი იარებით გულგასენილი მამულიშვილი, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ მშობელი ქვეყნის გადარჩენას შესთხოვდა არსთაგამრიგეს. დიახ, შვიდ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მისი სადა და უშუალო, ლაღი და მელოდიური სტრიქონები ხიბლავდა ქართველ მკითხველს და სიწმინდის, სიკეთის, სათნოების წმიდათაწმიდა იდეალებთან აბიარებდა.

მარიკა ბარათაშვილი დაიბადა 1908 წლის 7 აპრილს, ჭიათურაში. იქვე მიიღო საშუალო განათლება. 1945 წელს დაასრულა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1965 წლიდან იგი სათაეში ჩაუდგა ჟურნალ „საქართველოს ქალს“ და ის ქართველ ბანოვანთა საყვარელ ჟურნალად, მათ ერთგულ მრჩეველად და მეგობრად აქცია.

მარიკა ბარათაშვილის ლიტერატურული დებიუტი 1936 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „კომუნისტში“ გამოაქვეყნა პირველი ლექსი „დედასამშობლოს“. შეიძლება თამამად ითქვას, რომ სწორედ დედასამშობლოს მიუძღვნა მწერალმა მთელი თავისი შემოქმედება, თავისი ცხოვრება და ათწლეულების მანძილზე მისი ტკივილების, მისი ჭირისა და ვარამის მოზიარე იყო.

მარიკა ბარათაშვილი უნაზესი და უფაქიზესი ლირიკოსი გახლდათ. ქართველ მკითხველს ხიბლავდა მოქალაქეობრივი ღღერადობით და სიცოცხლის რწმენით, ჭეშმარიტი მელოდიურობით განმსჭვალული მისი ლექსები, რომელთაგან არაერთი სიმღერად გარდაისახა. „საპოვნელას“ კი, ზღაპრული იმერეთის ფერადებით შექმნილ გაუხუნარ შედევრს მთელი საქართველო მღეროდა და მღერის, მღერის ისეთივე გზნებითა და გატაცებით, როგორც „სულიკოსა“ და „ციცინათელას“...

ქალბატონ მარიკას უყურადღებოდ არც ნორჩი მკითხველები დაუტოვებია.

პატარების საყვარელ წიგნებად იქცა მისი საყმაწვილო ლექსებისა და პოემების კრებულები „ყაჩაღანა“, „ნანული“, „საქმის კაცი“, „თინა და ჭიანჭველები“.

მარიკა ბარათაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ეროვნული დრამატურგიის წინსვლასა და განვითარებას. მისი პიესები „მაღალი ოცნება“, „ჩემი ყვავილეთი“, „სართულები“, „ფრთხილად სასიკეთილოა!“, „ჩქარი მატარებელი“, „რატომ?“, „სიყვარულის წისქვილი“ წარმატებით იდგმებოდა ქართულ თეატრებში. და მაინც ყველაზე დიდი შემოქმედებითი გამარჯვება მწერალს „მარინემ“ მოუპოვა, რომელიც უცხოეთის თითქმის ორასამდე თეატრის სცენაზე დაიდგა. ეს პიესა ითარგმნა და ცალკე წიგნად გამოიცა ესპანურ, იტალიურ, უკრაინულ, ჩინურ, რუმინულ, ბულგარულ, რუსულ, პოლონურ, უნგრულ, ჩეხურ ენებზე, მისი მიხედვით დაიწერა ოპერა და მუსიკალური კომედია, შეიქმნა მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა“, რომელიც დღემდე დიდ სიხარულს ანიჭებს მაყურებელს.

მარიკა ბარათაშვილი ჭეშმარიტად დაუღალავი საზოგადო მოღვაწე იყო. სხვადასხვა დროს არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს, თბილისის საქალაქო საბჭოს, თბილისის კალინინის რაიონის საბჭოს დეპუტატად, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად და კინოკომისიის თავმჯდომარედ, სსრკ მწერალთა კავშირის საბაჭვო ლიტერატურის საბჭოს წევრად, სსრკ ქალთა კომიტეტის წევრად, საქართველოს ქალთა კომიტეტისა და ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის წევრად, უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული ურთიერთობების საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილედ, საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის პრეზიდიუმის წევრად.

მარიკა ბარათაშვილი სრულიად სამართლიანად ატარებდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდებას (1967 წ.). მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო (1990 წ.), ვაჟა-ფშაველასა (2003 წ.), აკაკი წერეთლის (2005 წ.) და გალაკტიონ ტაბიძის (2008 წ.) სახელობის პრემიები, მის არაერთ სამთავრობო ჯილდოს შორის გამორჩეული ადგილი უკავია ღირსების ორდენს (1996 წ.).

მარიკა ბარათაშვილი ერთი უმშვენიერესი გამოხატულება იყო ქართველი ქალობისა, მისი სისპეტაკისა და სათნოებისა. რაღაცით სამშობლოსაც ჰგავდა, სულით უტეხსა და შეუდრეკელს, მირიადი ჭირისა და ვაების ამტანს.

ქართველ მწერლებს, სრულიად საქართველოს სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ მარიკა ბარათაშვილი – შემოქმედი, მოქალაქე, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

საქართველოს მწერალთა კავშირი
(გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 2008 წ. 30 დეკემბერი)

ულამაზესი სიბოცხლის ასი წელიწადი...

სიყმაწვილიდან ჩვენს ცხოვრებაში გამჯდარი საბაეშვო ლექსების ავტორი (თუნდ „ყაჩაღანა“ გავიხსენოთ – „ურჩევნია, დედაკოს გაუგონოს ნანულიმ, თორემ გვიან იქნება წუხილი, სინანული“), „საქართველოს რესპუბლიკის“ მრავალწლიანი ერთგული მეითხველი და ავტორი, ჩვენი დაუვიწყარი ნანული ბარათაშვილის დედა... ჩინებული პოეტი, დრამატურგი, საზოგადო მოღვაწე...

მარიკა ბარათაშვილს, როგორც მწერალს, გაუხარია სახელად იმერული „საპოენელაც“ და დიდხანს ყველგან მოჭრიჭინე „ჭრიჭინაც“ ეყოფოდა...

ბუნებამ, ბედმა 100 წლის სიცოცხლე კი გაუმეტა, მაგრამ სიმწარეც ბევრი შეასეა – მოასწრო ორი შვილის, სიძის, სხვა ახლობლების სიკვდილს. ასი წლის მარტოობასაც მოასწრო: როგორც არ უნდა იყოს კაცი შთამომაელობით გარშემორტყმული და დახუნძლული, ბოლოს მაინც მარტო რჩება თავის თავთან...

ძვირფასო ქალბატონო მარიკა, წუხილითა და მადლიერებით გეთხოვებით – თქვენი დიდებული პოეზიისთვის, თქვენი საოცარი გულისხმიერებისთვის, ნანულის და მერაბის დედობისთვის, ადამიანის გაუტეხლობის, სახელოვანი, ხანგრძლიეი სამაგალითო სიცოცხლისათვის...

„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია. 30.12.2008

თილისმა წრფელი სიყვარულისა

ეეთხოვებით დიდ ქალბატონს, ცნობილ პოეტსა და დრამატურგს, კარგ ჟურნალისტსა და, სწორედაც რომ, საზოგადო მოღვაწეს – ქალბატონ მარიკა ბარათაშვილს.

ქალბატონ მარიკაზე, როგორც მწერალსა და რედაქტორზე (26 წელი რედაქტორობდა ჟურნალ „საქართველოს ქალს“) კარგზე კარგის მეტი რა შეიძლება ითქვას, მაგრამ უპირატესი მაინც მისი პიროვნული ხიბლი გახლდათ. ვინც ქალბატონ მარიკას ახლოს იცნობდა, იცოდა ძალა მისი კაცთმოყვარეობისა, კეთილშობილებისა, ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი სიდარბაისლისა, რომელსაც იშვიათი ბუნებრიობით გადმოსცემდა.

ეს უშუალობა სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

იგი ცოცხალი მაგიანე იყო ბოლო ასი წლის საქართველოსი... და მიუხედავად იმდენი გაუსაძლისი სულიერი ტკივილისა (თუ პირადული, თუ საზოგადო), ყოველთვის ჰყოფნიდა ძალა, მისი მშვენიერი თვალებიდან დედობრიეად მომფერებელი სიყვარული დაღერილიყო თანაგრძნობას დანატრებულ ქართველთათვის...

ერთგან წერს: „გაეა დრო, ეინმე შემოაღებს კარებს... რით მომიგონებს, რას ეუტოვებ, რას ჩაიბარებს?!“

ბევრ რამეს გეიგოვებთ, ჩვენო დიდო ქალბატონო, ძვირფასსა და სათუთად მოსაფრთხილებელს, უპირველესად კი თქვენს „საპოენელას“ – თილისმას წრფელი სიყვარულისას, რაც ახლა ისე გვჭირდება, როგორც არასოდეს...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი კეთილშობილი სული, ჩვენო ძვირფასო რედაქტორო...

ლეონარდო შენგელია, ნაზი თარგამაძე,
ცინარა ტერელაძე, მანანა წარიძე, ნანული ბუკია,
ირმა ჩოფიკაშვილი, რუსიკო ხაბურძანია, დავით იაკობაშვილი
ჟურნალ „საქართველოს ქალის“ ყოფილი თანამშრომლები. 30.12.2008

სარჩევი

წინათქმა 3
ბავშვობის სანეტარო წლები 4
ახლობლები. ჯონსტანტინე გამსახურდიას შემოსვლა ვაშაძეების ოჯახში 14
შიო მღვიმელმა ლექსისადმი ინტერესი გამიღვივა 17
აჯაყის ცხედართან. I მსოფლიო ომი 18
საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი 21
დამოუკიდებელი საქართველოს დამარცხების შემდგომი მძიმე ჭამი 30
სიახლოვე აჭარასთან. 20-იანი წლების ჩემი ჭიათურა 34
გადასახლებული ძმის სანახავად წასვლა სარატოვს 44
ქორწინება და ფოთში დასახლება, შემდეგ ჯი – ველისციხე 46
ჩუვაშეთში, ვახტანგთან გამგზავრება 53
ნანულისა და მერაბის დაბადება 56
ვახტანგის დაბრუნება გადასახლებიდან. პირველი ნაბიჯები პოეზიაში 58
1937 წელი... 62
ჩემი ნაწამები ძმის გარდაცვალება 65
მეუღლის, ჯვიროს ყურაშვილის გარდაცვალება 71
უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება. ახალციხე 74
ნათესავები. მეგობრობა რუს მწერლებთან 76
იის ჯონა 81
„საპოვნელას" დაბადება 82
II მსოფლიო ომი 84
ჩემი საღამო მწერალთა ჯავშირში. შეხვედრა ჭიათურაში 87
შორეული სიახლოვე გალაკტიონთან 89
აჯაყის ხსოვნის სუფრას შალვა დადიანი თამადობს 92
მამის გარდაცვალებით გამოწვეული სევდიანი დღეები 93
ჩემი მეორე ქორწინება. შემოქმედებითი სიახლეები 96
იოსებ გრიშაშვილისადმი მიძღვნილი ლექსები 99
„ლუდვიგის ანგინა" 100
„ჭრიჭინას" იდეის დაბადება. დავით ჯასრაძე 104
„ჭრიჭინა" მარჯანიშვილის თეატრში და საქართველოს გარეთ 108
გავხდი საბჭოთა ჯავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი 118
სტალინის გარდაცვალების შემდგომი პერიოდი 121
მწერალთა ყრილობები და სხვადასხვა 123
ქალთა დელეგაცია ინდოეთში 127

პრეზიდენტი პრასადი, რადჰა ყრიშნანი, ჯავაჰარლალ ნერუ 129
ტაჯმაჰალი და სხვა ღირსშესანიშნაობანი 132
ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მოსკოვში 142
ინდოელი მეგობრები საქართველოში 144
მწუხარება და სიხარული. „ჩემი ყვავილეთი“ 147
ჩემს სამაჩაბლოსა და სოხუმში 151
ახალი პიესები. ქალთა ჟურნალის რედაქტორად არჩევა 154
რედაქტორობისას მიღებული ზომები დანგრეული ოჯახების გადასარჩენად 159
ნიკოლოზ ბარათაშვილის საიუბილეო დღეები 165
ქართული ლიტერატურის დეკადა უკრაინაში 167
ქალთა საერთაშორისო კონგრესი ჰელსინკში 168
საქმიანი შეხვედრები საქართველოსა თუ სხვადასხვა ქვეყანაში 173
ქალთა ჟურნალების იუბილეები 179
ჩემი და ჩემი ვაჟის ავადმყოფობა 181
სტუმრად ლადო გუდიაშვილთან 182
70 წლის აღსანიშნავი ჩემი იუბილე 184
მოგზაურობა ჩრდილოეთ ევროპაში 189
შეხვედრები და... ისევ აჭარა 196
სომეხი რეჟისორები დგამენ ჩემს პიესებს 200
ქობულეთსა და სხვა ქალაქებში 202
„საქართველოს ქალის“ იუბილე. სემინარი გაგრაში და სხვადასხვა 206
პრემიერა გალის თეატრში. 80-იანი წლები 211
იმპერიის რღვევა და 9 აპრილი 217
ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება 222
შვილების ავადობა. მერაბის გარდაცვალება 226
ნანულის გარდაცვალება 230
ისევ ნავარძეთში 232
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა 234
ქაქუცა ჩოლოყაშვილის ჩამოსვენება პარიზიდან 235
საუკუნისაც მოვიყარე 237
ბოლოთქმა 243
მარიკა ბარათაშვილი (1908-2008) 244
ულამაზესი სიცოცხლის ასი წელიწადი 246
თილისმა წრფელი სიყვარულისა 246